

675-ფ  
1992



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

545  
—  
675-ფ

ფილოსოფიისა და  
ფსიქოლოგიის  
სერია

1.1992

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

Известия Академии наук Грузии

---

ფილოსოფიისა და  
ფსიქოლოგიის  
სერია

СЕРИЯ  
ФИЛОСОФИИ И  
ПСИХОЛОГИИ

ჟურნალი დაარსებულია 1980  
წლის იანვარში

Журнал основан в январе  
1980 года

გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Выходит раз в 3 месяца

1. 1992

თბილისი  
ТБИЛИСИ

„მეცნიერება“  
«МЕЦНИЕРЕБА»



## სარედაქციო კოლეჯია:

მ. ბალიაშვილი (რედაქტორის მოადგილე), თ. ბუაჩიძე, გ. თევზაძე, ვ. კე-  
შელავა, ზ. მიქელაძე, ლ. მჭედლიშვილი (რედაქციის მდივანი), შ. ნადირა-  
შვილი, გ. ნოდია (რედაქტორის მოადგილე), თ. ნონიაშვილი, დ. ფარჯანაძე,  
ნ. ქავჭავაძე (რედაქტორი), შ. ხიდაშელი.

პასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

ბალიაშვილი მ. ს. (зам. редактора), Буачидзе Т. А., Кешелავა  
В. В., Микеладзе З. Н., Мchedlishvili Л. И. (секретарь редколлегии),  
Надирашвили Ш. А., Нодиа Г. О. (зам. редактора), Нониашвили  
Т. А., Парджанадзе Д. Ш., Тевзадзе Г. Б., Хидашели Ш. В., Чав-  
чавадзе Н. З. (редактор)

Ответственный секретарь Ц. А. Шаламберидзе

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-85-46

---

გადაეცა წარმოებას 19.2.92; ხელმოწერილია დასაბუქდად 10.4.92:

ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; მალალი ბეჭდვა; პირ. ნაბეჭდი თაბახი 9,8;

საალრიცხვო-სავაგომცემლო თაბახი 8,01;

ტირაჟი 600; შვკ. № 110;

ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19  
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

© საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნ.,  
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1992, № 1.

## შინაარსი

### ფილოსოფია

ა. ბურჯალანი, ადამიანური უოფიერების სიმბოლური ემანაცია და ღირებულების ობიექტურობის პრობლემა . . . . .	5
ბ. ფარჯანაძე, შენიშვნა ინტუიციონისტური ლოგიკის თაობაზე . . . . .	20
ბ. მურადაშვილი, წოგი რამ საერთო და განსხვავებული ჰეგელის და ჰაიდეგერის შემოქმედებაში . . . . .	24
მ. ვაბანიანი, პარადოქსების ამოხსნა . . . . .	35

### ფსიქოლოგია

ლ. უვავილაშვილი, განზრახვა, განწყობა და ნებელობითი ქცევა . . . . .	40
ბ. მირაზიშვილი, თ. ნონიაშვილი, ფსიქიკურის ადგილი ბიოლოგიურ-სოციალურ სისტემაში . . . . .	69

### ჩვენი მემკვიდრეობა

შალვა ნუცუბიძის უცნობი რეცენზია . . . . .	78
---	----

### ახალი თარგმანები

გიგელ დი მონტანი, ესეები . . . . .	82
------------------------------------	----

20132

## СОДЕРЖАНИЕ

### ФИЛОСОФИЯ

А. А. БУРДЖАЛИАНИ, Символическая эманация человеческого бытия и проблема объективности ценностей . . . . .	5
В. В. ПАРДЖАНАДЗЕ, Замечание об интуиционистской логике . . . . .	20
Г. П. МУРАДАШВИЛИ, О различных и сходных моментах философии Гегеля и Хайдегера . . . . .	24
В. О. ВАГАНЯН, Решение парадоксов . . . . .	35

### ПСИХОЛОГИЯ

Л. Дж. КВАВИЛАШВИЛИ, Намерение, установка и волевое поведение . . . . .	40
Г. И. МЕРАБИШВИЛИ, Т. А. НОНИАШВИЛИ, Место психического в системе биологического-социального . . . . .	69

### НАШЕ НАСЛЕДИЕ

Неизвестная рецензия Шалвы Нуцубидзе . . . . .	78
--	----

### НОВЫЕ ПЕРЕВОДЫ

МИШЕЛЬ де МОНТЕНЬ, Эссе . . . . .	82
-----------------------------------	----

## ფილოსოფია

ანსონ ბურჯალიანი

### ადამიანური ყოფიერების სიმბოლური ემანაცია და ღირებულების ობიექტურობის პრობლემა

ადამიანური ყოფიერების პრობლემათა დამუშავებას დიდი ხანია შეუდგა ფილოსოფია. ადამიანური ყოფიერების კვლევაში დიდი ყურადღება ექცევა ადამიანისა და ღირებულებათა ურთიერთდამოკიდებულების გარკვევას. ამ ურთიერთდამოკიდებულებაში აქტუალურ მნიშვნელობას იძენს ღირებულებათა ობიექტურობის პრობლემა. ღირებულებათა ობიექტურობა, აპრიორულობა აბსოლუტურ ხასიათს ღებულობს მ. შელერისა და ნ. ჰარტმანის აქსიოლოგიაში. მათი აზრით, ღირებულება არის ისეთი საზრისი, რომელსაც გააჩნია აბსოლუტური ობიექტურობა და აპრიორულობა თავისთავად. მაგრამ ღირებულების აპრიორულობის დადგენით იქმნება თავისებური დუალიზმი ღირებულებისა და გრძნობისა. პრობლემა ამაში მდგომარეობს, თუ როგორ შემოდის ადამიანურ ყოფიერებაში ღირებულება, თუკი გრძნობა არის წმინდა ადამიანური, სულიერი მდგომარეობა, ე. ი. სუბიექტური მდგომარეობა, რომელიც თავისთავად სრულიადაც არ ხასიათდება აპრიორული სციენტრზმით და არც აქსიოლოგიური ორიენტაციით, მით უმეტეს რომ, ნ. ჰარტმანის თანახმად, ადამიანს სასიამოვნოსა და არასასიამოვნოს მასშტაბი იმთავითვე უნდა ჰქონდეს, ნივთები და მიმართებანი მის ქვეშ უნდა მოექცნენ, ამ მასშტაბის მიხედვით უნდა დაიყოს ნივთები სასიამოვნო და არასასიამოვნო ნივთებად. ერთი სიტყვით, ღირებულება არის არზე, საწყისი, პრინციპი, რომლის წყალობითაც ყველა დანარჩენი — საქციელი, განზრახვა, ჯერარსი, მიზანი და სხვა იღებს თავის საზრისს და გამართლებას. რაიმე შეიძლება იყოს ღირებულნი მხოლოდ თავისი მიმართების მეშვეობით თვითონ ღირებულებასთან [7, გვ. 111]. ნ. ჰარტმანის აღნიშნული მოსაზრების გამო შეიძლება ითქვას, რომ სასიამოვნოსა და არასასიამოვნოს მასშტაბი არ შეიძლება თვით სიამოვნების და არასასიამოვნოს მიღმა იყოს. სიამოვნებისა და უსიამოვნების გრძნობის საფუძველი ადამიანურ ყოფიერებაშია, ჩემი სიამოვნება-უსიამოვნების მასშტაბი შეიძლება ვიყო მხოლოდ თვით მე. კინაიდან შესაძლებლობას არაა მოკლებული თავისთავად ის ფაქტი, რომ მე შეიძლება რაღაც მასიამოვნებდეს, ან არ მასიამოვნებდეს თავისთავად, ყოველგვარი ობიექტისა და მასშტაბის გარეშე. სიამოვნება სუბიექტურობის მთლიანობის გამომხატველი მდგომარეობაა, განცდა და არაობიექტურია. შესაძლებლობას არაა მოკლებული ის, რომ მე სიამოვნებას განვიცდი ისე, რომ არ ვიცოდე მე მას რისგან განვიცდი — ღირებულებისაგან, თუ თვით ჩემი თავისაგან. ხშირად სიამოვნების განცდა, ან უსიამოვნება არაცნობიერია და მას არავითარი მიმართება, პრინციპულად. თავისთავად, არა აქვს არავითარ ღირებულებასთან, ან ფასეულობასთან, ან ღირებულ ნივთთან, ან მოვლენასთან. შაშის, ძრწოლის, მიტოვებულობის და სხვა ექსისტენციალურ სიმბოლოებს ადამიანური ყოფიერება განიც-

დის, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ადამიანური ყოფიერებიდან ამოსული და არა ღირებულებიდან.

შეიძლება ითქვას, რომ ღირებულების დადგენით, მისი აპრიორულობის და ობიექტურობის დაშვებით იქმნება აქსიოლოგიური დუალიზმი, სადაც ლაიბნიცის კვალად შეიძლება ითქვას, რომ ღირებულებაც და გრძნობაც თავისთავად წარმოადგენენ მონადებს, რომლებსაც არ გააჩნიათ ფანჯრები [6, გვ. 413] ერთმანეთის პირისპირ, მათი ფანჯრები მიმართულია მხოლოდ თავისი თავისაკენ. თუ ღირებულება, ერთის მხრივ, არსებობს თავისთავად, სული, თავის მხრივ, თავისი განცდებით უფრო მეტ თავისთავადობას უნდა წარმოადგენდეს. როგორც კირკეგორი აღნიშნავს, ინდივიდის შინაგანი, სულიერი ცხოვრება ეკუთვნის მხოლოდ მას და არავითარი ისტორია, არავითარი მსოფლიო ისტორია არ უნდა შეეხოს ამ სფეროს, სფეროს, რომელიც, საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, ამ ინდივიდუუმის მარადიულ და განუყოფელ საკუთრებას შეადგენს. სწორედ ამ სფეროში ბატონობს აბსოლუტური „ან-ანი“ [4, გვ. 245]. ამიტომ შესაბამისად, სიამოვნება-უსიამოვნების მასშტაბი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ თვით ადამიანურ ყოფიერებაში იყოს, რასაც უკვე ექნება არა აპრიორული ობიექტური, არამედ ექსისტენციალურ-სიმბოლური მნიშვნელობა. მაშასადამე, სიამოვნება-უსიამოვნების მასშტაბი, თვით სიამოვნება-უსიამოვნებაშია. ნივთები და მოვლენები შეიძლება დაიყონ სასიამოვნოდ ან არასასიამოვნოდ მხოლოდ და მხოლოდ ჩემთვის და არა ღირებულებისათვის. მაშასადამე, ასე გაგებულ ღირებულება შეიძლება იყოს მხოლოდ არაღირებულება. ღირებულება კი არ არის თვით ჩემი, ან ჩემი ქცევის საფუძველი, არამედ. პირიქით, ჩემი სიღრმისეული ყოფიერება არის ყოველგვარი ღირებულების საფუძველი. ყოველი ღირებულება საზრისს იღებს ჩემი ყოფიერების საფუძველზე, ე. ი. ღირებულება კი არ არის სასიამოვნოსა და არასასიამოვნოს მასშტაბი, არამედ, პირიქით, სიამოვნება-უსიამოვნება თვით არის ჩემი ყოფიერების ექსისტენციალური-სიმბოლური გამოვლენა და, მაშასადამე, ამდენად, ყოველგვარი ღირებულების საფუძველი და მასშტაბი. ღირებულება კი არ არის არზე, როგორც ამას ნ. ჰარტმანი ამტკიცებს, არამედ ადამიანური ყოფიერება, მისი სულიერი ემანაცია თავის თავში. ერთადერთი მასშტაბი ობიექტურობისა არის ადამიანური ყოფიერება, ყოველგვარი ობიექტური ღირებულება გარდა თეორიულისა, საბოლოო ჯამში, შესაძლოა პრინციპულად ყოველთვის ადამიანურ ყოფიერებაზე, მის ექსისტენცზე დაიყვანებოდეს, რომელსაც ექსისტენცი გაანათებს სიმბოლური აზროვნებითი უნარის საფუძველზე და რომელიც სხვა არაფერია, თუ არა განცდისეულ პრიზმაში გადატეხილი უსასრულო აზრი.

ღირებულება პრინციპულად გარეგანია ღირებულებითი ცნობიერებისაგან. ღირებულებების თავისთავადობის დაშვება, ნ. ჰარტმანის აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ეთიკისათვის. აღნიშნული დებულება მეტს ნიშნავს ვიდრე ღირებულების ზედვის აპრიორულობა და დანახული ღირებულების აბსოლუტურობა. ეს ნიშნავს, რომ არსებობს თავისთვის არსებულ ღირებულებათა სამეფო, ნამდვილი ნოეტური კოსმოსი, რომელიც როგორც სინამდვილის, ისე ცნობიერების მიღმა არსებობს. ეს ორი პოლუსი — ღირებულება და ღირებულებითი ცნობიერება — ქმნის, პირველად პრინციპებს ყოველგვარი ეთიკისათვის, ზნეობრივ საქციელს. იგი საფუძველად უდევს სინდისის კატეგორიას, რომელიც არის პირველადი ღირებულებითი ცნობიერების ძირი

და ფორმა, სინდისი არ ლაპარაკობს მაშინ, როდესაც მას ეძახიან, ან როცა მას იკვლევინ, იგი ლაპარაკობს მხოლოდ დაუძახებლად, მხოლოდ, საკუთარი კანონზომიერებით, ეს არის აშკარად დამოუკიდებელი, თვითმოქმედი ძალა ადამიანებში, ხმა სხვა სამყაროდან — ღირებულებათა იდეალური სამყაროდან. სინდისი არის შეტყობინება ზნეობრივ ღირებულებათა შესახებ, რეალურ ცნობიერებაში. იგი არის ღირებულების გრძნობის თავდაპირველი ფორმა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც თავდაპირველად არსებულნი არიან. ისინი არიან სინდისის შესაძლებლობის პირობები. აღნიშნული აზრიდან გამომდინარეობს ის, რომ ღირებულებითი ცნობიერება სხვა არაფერია თუ არა „გარეთ“ მიმართული ცნობიერება, ანუ ტრანსცენდენტურისაკენ მიმართული ცნობიერება. იგი შეიძლება დახასიათდეს, როგორც „სხვისკენ“ მიმართული ცნობიერება. სინდისი შეიძლება გავიგოთ, როგორც ტრანსცენდენტურზე მიმართული, ორიენტირებული გრძნობა, მაგრამ ეს ტრანსცენდენტური, აპრიორული ღირებულება, ნ. ჰარტმანის აზრით. თვით სინდისის ფენომენში არსებობს. მაშასადამე სინდისში, როგორც გრძნობაში უნდა იგულისხმებოდეს ღირებულება, სიკეთის და ბოროტების ღირებულება. „არავითარი აპრიორული ღირებულების ცნობიერება არ არსებობს სინდისის გვერდით, ასეთი რამ არსებობს თვითონ სინდისში. ის, რასაც სინდისს ვუწოდებთ, არის ყოველი ადამიანის გრძნობაში მდებარე ღირებულების პირველადი ცნობიერება, ყოველი ადამიანი სინდისის ქვეშ გულისხმობს დაწუნების (ან მოწონების) შინაგან ინსტანციას, სიკეთისა და ბოროტების გარკვეულ მაკნეს, „ხმას“, რომელიც საკუთრივ არსებობს სიღრმიდან ლაპარაკობს, კატეგორიულად და დამაჯერებლად. ეს „ხმა“ არის აპრიორული“ [2, გვ. 60]. ვინაიდან სინდისი ნ. ჰარტმანს ესმის, როგორც ღირებულებაზე ორიენტირებული, ანუ უფრო სწორად ღირებულების თავის თავში მატარებელი გრძნობა, ამდენად თვით გრძნობა, რომელიც ღირებულებას თავის თავში ატარებს, თვით წარმოადგენს აპრიორს. შესაბამისად, გრძნობა, რომელიც აპრიორია, უკვე თავისთავად კარგავს გრძნობის სტატუსს და, ამასთანავე იგი, როგორც გრძნობა, კარგავს არა მარტო სტატუსს, არამედ იგი, უპირველეს ყოვლისა, კარგავს თავის საფუძველს, თავის თავს — ადამიანურ ყოფიერებას. სინდისი, რომელიც არის აპრიორული, კარგავს თავის თავს და გაუცხოვდება კატეგორიულად. აპრიორად. გამოსული აქედან, ვფიქრობთ, რომ სინდისი, როგორც ღირებულებითი მნიშვნელობის მატარებელი, უნდა წარმოადგენდეს არა პირველად, როგორც ამას ნ. ჰარტმანი ამტკიცებს, არამედ მეორად, ნაწარმოებ გრძნობას, რომელსაც საფუძველში პირველადი ექსისტენციალები, ადამიანური ყოფიერების მახასიათებლები უძეგს. ვინაიდან, სინდისის არსებობას ადამიანში განსაზღვრავს მიწი ადამიანური ყოფიერება, ეს ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა იმას, რომ სინდისი ადამიანურ ყოფიერებას უჩნდება სულის თავის თავში ემანაციის მესამე ეტაპზე, როგორც არის რწმენა. სინდისის კატეგორია რომ პირველადი და აპრიორული იყოს ადამიანური ყოფიერებისათვის, მაშინ არ უნდა არსებობდეს უსინდისობის კატეგორია. სინდისის გრძნობა რომ მოუცილებელი, ანუ აპრიორული (შელერის და ნ. ჰარტმანის გაგებით) იყოს ადამიანისათვის, მაშინ მას არ უნდა შეეძლოს უსინდისო ქცევა, ეს მისთვის არსებითად შეუძლებლობას უნდა წარმოადგენდეს. სირცხვილი და სინდისი ადამიანისათვის არ არის პირველადი, აუცილებელი სასიცოცხლო გრძნობა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პრინციპულად ყველა ადამიანს უნდა გაჩნდეს. მაგალითად ველურს, არამზა-





დას და ბავშვს არ გააჩნია სირცხვილისა და სინდისის გრძნობა, რაც მხოლოდ, ჩვენი აზრით, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სინდისი და სირცხვილის გრძნობა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური, მორალური და ე. ი. შექმნილია და სრულიად არ წარმოადგენს აპრიორს, როგორც ეს ნ. პარტმანს მიაჩნია. ადამიანში ბევრი შინაგანი მომენტია სინდისისა და სირცხვილის საწინააღმდეგო. გვიხსენით, თუნდაც „ოიდიპოსის ლიბიდოალური კომპლექსის“ არსებობა ადამიანში (რაც თავის დროზე აჩვენა ზ. ფროიდმა), ადამიანი თავის შინაგან მე-ობაში ანტი-სოციალური, ანუ თავისუფალი ეგოისტია, რომელსაც ბოჰავს, აკავებს სოციალურობა, მორალი და ეონება.

სინდისის გრძნობა და, შესაბამისად, ღირებულება, სულს არ გააჩნია: არც ეგოიზმის, რომელიც სხვას არაფერს წარმოადგენს თუ არა სიცოცხლის (ბერგსონი), ანუ ძალის ნებას (ნიცშე, Der Wille zur Macht) და არც თავისუფლების ეტაპზე, რომელიც სხვას არაფერს წარმოადგენს, თავისთავად, თუ არა უარყოფას, უპ. ყოვლისა თავის თავის ნგრევის დინისურ უნარს, სიკვდილის ნებას (Der Wille zum Tode). სინდისის და ღირებულების ორიენტაცია სულს უჩნდება ემანაციის მესამე საფეხურზე, რომელსაც ეწოდება რწმენა, როცა იგი იმყოფება თავის თავთან მთლიანობაში, ანუ შემოქმედების უნარზე. სული, რომელიც გადალახავს სიცოცხლისა და სიკვდილის ნებას მათ შინაგან ურთიერთგამომრიცხველ ბრძოლას, ხდება პიროვნება, შემოქმედების ნება, ანუ შემოქმედება.

შემოქმედების შესახებ ნიცშე აღნიშნავს, რომ საუკეთესო სიმბოლოები უნდა ლაპარაკობდნენ დროისა და შემოქმედების შესახებ: ისინი უნდა იყონ ქებათა ქება და გამართლება ყველაფერ იმისა. რაც მოხდა! შემოქმედება, ესაა — უდიდესი განათვისუფლება ტანჯვისაგან და სიცოცხლის შემსუბუქება. იმისათვის რათა იყო შემოქმედი, უნდა განიცადო ტანჯვა, სიღატაკე და მრავალი გარდასახვა. დიახ მრავალი მწარე სიკვდილი უნდა იყოს თქვენს ცხოვრებაში შემოქმედნო!

ჩემი მგზნებარე მისწრაფება შემოქმედებისათვის სულ უფრო ანლიდან მიმაქანებს მე ადამიანისაკენ, როგორც მიისწრაფის ურო ქვისაკენ.

ადამიანებო, ჩემთვის ამ ქვაში თვლემს სიმბოლო, სიმბოლო ჩემი ხატებისა! მან უნდა ითვლინოს ყველაზე მტკიცე, ყველაზე ცუდ ქვაში! ([9] „ნეტარი კუნძულების შესახებ“).

რწმენის უნარის გარეშე არ არსებობს არავითარი ღირებულება და არავითარი სინდისი, ეს უკანასკნელნი ჩნდებიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც სული ამალდება სიცოცხლისა და სიკვდილის შინაგან წინააღმდეგობაზე და დაადგენს თავის თავს როგორც შინაგან მთლიანობას, პიროვნებას, ვინაიდან სიცოცხლის, ანუ ეგოიზმის საფეხურზე სული არის მხოლოდ საკუთარი თავი თავის წმინდა იგივეობაში, მისთვის არ არსებობს „სხვა“ როგორც მომენტი. ესაა სულის პირველდაწყებითი იდილია. თავისუფლების, ანუ სიკვდილის უნარის ეტაპზე იგი უარყოფს, ებრძვის, როგორც თავისი თავიდან ისე სხვისაგან, რაც არის საფუძველი თავისი თავისა და „სხვის“ ნგრევისა, სიკვდილის ნებისა. თავისუფლების ეტაპზე არ არსებობს შეთანხმება სიცოცხლესა და სიკვდილის ნებას შორის, აქ, ამის გამო, არ შეიძლება ვილაპარაკოთ, რაიმე ღირებულებითი ცნობიერების, ან გრძნობის შესახებ, ვინაიდან რაიმეს შეფასება, სინდისი და ღირებულება უკვე არის რაიმეს დადგენა, დადგენა ექსისტენცი-ალური აზრით და არა ლოგიკური, ობიექტური აზრით ხდება რწმენის საფუძ-

ველზე. შეფასება, სინდისი და ღირებულება, მთელი თავისი არსების მიხედვით პოსტექსისტენციალურია. ნ. ჰარტმანი მიუთითებს, რომ არსებობს ორგვარი ავტონომია ანუ ორი ავტონომიის ანტინომია. საყოველთაო, ანუ პრინციპის, ღირებულების ავტონომია და ინდივიდუალური ავტონომია. საყოველთაო და ინდივიდუალური ავტონომია (ასევე ჭერასი და ნებისყოფა) თანაარსებობენ, ვინაიდან ერთიმეორის გარეშე მათი ყოფნა შეუძლებელია. პრინციპის საყოველთაო და ინდივიდუალური ავტონომია არსებობს, როგორც ჭერ არსის მოთხოვნა მხოლოდ ინდივიდუალური პერსონისათვის და პერსონის ინდივიდუალური ავტონომია არსებობს მხოლოდ პრინციპის საყოველთაო ავტონომიის მიმართ, როგორც მასზე მიმართული მოთხოვნა [7, გვ. 789]. ინდივიდუალურ-ექსისტენციალური თავდება იქ, სადაც იწყება ობიექტურობა, აპრიორულობა.

მასადაამე, აზროვნებაში შეიძლება ერთმანეთისაგან გამოვყოთ პირველადი და მეორადი გრძობები, პირველადი გრძობები განისაზღვრება, როგორც ექსისტენციალური, სიმბოლური, ხოლო მეორადი — როგორც ღირებულებითი. შესაბამისად ღირებულებას, ისევე, როგორც ღირებულებით გრძობას, საფუძვლად უდევს ექსისტენციალურ-სიმბოლური. აქედან გამომდინარე, შეიძლება ცოტათი მაინც გავანათოთ ის ფაქტი, რომ არ არსებობს ყველასათვის სავალდებულო სიამოვნება და უსიამოვნება. თუ ადამიანი მაინც მოინდომებს ასეთი მტკიცების წარმოებას იგი პედანტობაში ვარდება, ვინაიდან სიკეთე, როგორც აპრიორული შეიძლება არსებობდეს მხოლოდ სოციალური ასპექტით, მაშინ მას ექნება მორალური სტატუსი, კანონის ხასიათი. კანონი, როგორც აღნიშნავს ლ. ფოიერბახი, რომელიც ჩვენ მხოლოდ მორალურ სრულქმნილებას გვთხოვს, არც ერთი ჩვენთაგანით კმაყოფილი არ არის, მაგრამ სწორედ ამიტომ ვერც კანონი აკმაყოფილებს ადამიანსა და მის გულს. კანონი გასწირავს დასაღუპავად, გული კი, ცოდვილსაც შეიბრალებს და შეუწოდებს. კანონი მე დამამტკიცებს როგორც მხოლოდ აბსტრაქტულ არსებას, გული კი — როგორც ნამდვილ არსებას. გული მე მაძლევს იმის შეგნებას, რომ მე ადამიანი ვარ, კანონი კი მხოლოდ იმის შეგნებას, რომ მე ცოდვილი ვარ, რომ მე უმნიშვნელო არაარობა ვარ, კანონი იმორჩილებს ადამიანს, სიყვარული ათავისუფლებს მას... რადგან იგი მომიხმობს, თუ რა უნდა ვიყო მე, ამით იმავ დროს პირუთვნელად იმასაც მეუბნება თუ რა არ ვარ მე [3, გვ. 85]. აქ ფოიერბახი კანტის აზრს ავითარებს, რომლის მიხედვითაც ის, რაც ჩვენ საკუთარ მსჯელობაში ჩვენს გაზვიადებულ წარმოდგენას ჩვენს თავზე არღვევს, ის გვამცირებს ჩვენ. ამრიგად, მორალური კანონი აუცილებლად ამცირებს ყოველ ადამიანს, რადგან ეს უკანასკნელი მას თავისი ბუნების გრძობად მიდრეკილებას ადარებს.

თავისთავად „ეგო“-სათვის, სიცოცხლისათვის, როგორც ავტონომიისათვის არ არსებობს არავითარი ღირებულება და არავითარი სინდისი, ეგო არის მხოლოდ წმინდა დაბალი, არაპერსონალური მე თავის იგივეობაში. თავისუფლებისათვის, სიკვდილის ნებისათვის არ არსებობს არავითარი ღირებულება და არავითარი სინდისი, როგორც აპრიორი; მხოლოდ და მხოლოდ რწმენა ქმნის ადამიანში პიროვნების ღირებულებისა და სინდისის არსებობის პოტენციას, ვინაიდან რწმენა არის ადამიანური ყოფიერება მის მთლიანობაში. რწმენის გარეშე არ არსებობს ღირებულება და სინდისი. შესაბამისად, ღირებულებითი სინდისი, უპირველეს ყოვლისა, სოციალური ფენომენია, მეორადაც, რასაც მისი

ობექტურობა და აპრიორულობა განსაზღვრავს. ადამიანი სინდისის „ხმას“ გებულობს მხოლოდ სოციალურობაში და მორალობაში, სოციალურობის მოხსნის სანქციით მოიხსნება ადამიანის ე. წ. „აპრიორული ხმა“. ეს ზდება იმიტომ, რომ განმსაზღვრელი, ღრმა ფუნდამენტური, ადამიანში არის არა ღირებულება და არა სინდისი, ეს უკანასკნელი იწარმოებოდა უფრო ღრმა და უკანასკნელ საფუძველზე, რომელსაც ადამიანური ყოფიერება, ექსისტენცია ეწოდება.

მორალობა, სოციალობა, განსაზღვრავს სინდისს, როგორც ღირებულებას და ღირებულებას როგორც სინდისის საფუძველს. სინდისი რომ აპრიორული იყოს, როგორც ამას მიიჩნევს ნ. ჰარტმანი, მაშინ იგი აუცილებელი მახასიათებელი უნდა იყოს ადამიანური ყოფიერებისათვის, ამას ნიშნავს აპრიორულობა. თუ სინდისი აუცილებელი და აპრიორულია ადამიანური ყოფიერებისათვის, მაშინ იგი როგორც გრძნობა, მოცემული უნდა იქნეს სულის, ანუ, ადამიანური ყოფიერების ტრანსცენდენტალური ემანაციის, უფრო სწორად კი „ექსისტენციალური ემანაციის“ რომელიმე საფეხურზე. მაშასადამე, სინდისი უნდა იყოს ისეთი ღირებულებითი გრძნობა, რომლის გარეშეც მოუღაზრებელია, ან საერთოდ არ არსებობს სული, ადამიანური ყოფიერება.

ჩვენის აზრით, ადამიანური სულის ემანაცია თავის თავში, რაც ჩვენ ნაწილობრივ აღვნიშნეთ („მაცნე“, 1990, № 1) მიემართება სამი ადამიანური უნარის ერთიანობის სახით:

1. ემანაციის პირველი საფეხურია „მე“, როგორც მარტივი, „ეგო“, თვითშენახვა (სიცოცხლის ნება);
2. ემანაციის მეორე საფეხურია თავისუფლება, უარყოფის პოტენცია (სიკვდილის ნება);
3. ემანაციის მესამე საფეხურია რწმენა, როგორც სიცოცხლისა და სიკვდილის ნების ერთიანობა (შემოქმედების ნება).

შესაბამისად, გრძნობათა სიმრავლე უნდა დალაგდეს სულის ემანაციის პოტენციალური უნარების მიხედვით:

1. სიცოცხლის ნებას შეესაბამება — სიყვარულის გრძნობა.
2. სიკვდილის ნებას შეესაბამება — სიძულვილის გრძნობა,
3. რწმენა, შემოქმედების ნებას — უკვდავების გრძნობა.

დასაბუთება:

სიცოცხლის ნებაზე ეყრდნობა სიყვარულის გრძნობა, უპირველეს ყოვლისა, თავისი თავისადმი (ეგოიზმი), რომელიც უკიდევანოა, უსასრულოა. სიყვარულის შესახებ ფოიერბახი წერს: ყველაფერს, რაც არსებობს, აუცილებლად მოსწონს თავი, განარებულა თავისი თავით, უყვარს თავისი თავი და უყვარს სამართლიანად, როდესაც ზრახავ, თუ რად უყვარს მას თავისი თავი, ამით შენ მას უსაყვედურებ, თუ რად არსებობს იგი. ყოფნა ნიშნავს თავისი თავის დამტკიცებას, დადასტურებას, თავისი თავის სიყვარულს, ვისაც სიცოცხლე მობეზრებია, იგი სიცოცხლეს ისაბოს. სიყვარულის შეგნება არის ის, რომლითაც ადამიანი შეურიგდება ღმერთს, ანუ, უფრო სწორად, თავის თავს, თავის არსებას, რომელსაც იგი კანონში უპირისპირებს თავის თავს, როგორც სხვა არსებას... სანამ სიყვარული არ ამალგებულა სუბსტანციამდე, ადამიანს ფოიერბახი, თვით არსებამდე, იქამდე სიყვარულის უკან იფარება სუბიექტი, რომელიც თვინიერ სიყვარულისა წარმოადგენს კიდევ რაღაც თავისთვის არსებულ, უგულო ურჩხულს, დემონურ არსებას, რომლის პიროვნება,

სიყვარულისაგან განმასხვავებელი და ნამდვილად განსხვავებულია... სიყვარულმა აიძულა ღმერთი უარი ეთქვა თავის ღვთაებრიობაზე [3, გვ. 88—104].

სიყვარულში, მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა, არის ადამიანური ყოფიერების „დამტკიცება, დადასტურება, თავისი თავის სიყვარული“. ადამიანს მაშინაც კი როცა მას სხვა უყვარს, ან სძულს, მას ჰგონია, რომ თითქოს მას „სხვა“ უყვარს, აქ კი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის სიყვარულია სახეზე, ადამიანს „სხვა“-ში უყვარს მხოლოდ თავისი თავი. თვით ღმერთშიც ადამიანს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავი უყვარს. ფიქრებაში აღნიშნავს ამის შესახებ, რომ იქ, სადაც გრძნობა უკანა რიგში არაა გადატანილი და დათრგუნვილი, როგორც სტოიციზმის მოძღვრებაშია, სადაც გრძნობას არსებობის ნება ეძლევა, იქ მას რელიგიური ძალა და მნიშვნელობა ეთმობა. იქ იგი ისეთ საფეხურზეა აყვანილი, რომელზეც შეუძლია თავის თავში აისახოს და აირეკლოს, ღმერთში როგორც (გრძნობის) საკუთარი სარკეში ჩაიხედოს. ღმერთი არის ადამიანის სახე. ადამიანისათვის წმინდა არის მხოლოდ ის, რაც მისი უშინაგანესი, მისი უსაკუთრესი რამ, საბოლოო საფუძველი, მისი ინდივიდუალური არსება არის... სიყვარულის შეგნება არის ის, რომლითაც ადამიანი შეურიგდება ღმერთს, ანუ უფრო სწორად თავის თავს, თავის არსებას, რომელსაც იგი კანონში თავის თავს უპირისპირებს როგორც სხვა არსებას [3]. სიყვარულის შესახებ მოყვასის მიმართ ნიციშეც აღნიშნავს, რომ ეს სიყვარული არის, უპირველეს ყოვლისა, სიყვარული თავისი თავისადმი. იგი წერს: თქვენ ეკვრით მოყვასს რისთვისაც თქვენ გაქვთ ღამაში სიტყვები. მე გაუწყებთ თქვენ: თქვენი სიყვარული მოყვასისადმი არის უღამაშო სიყვარული თქვენი თავისადმი. თქვენ ვარბიხართ მოყვასთან საკუთარი თავისაგან და გსურთ ამისაგან სიკეთე შექმნათ: მაგრამ მე ნათლად ვხედავ თქვენს „უზანგარობას“... თქვენ არ შეგიძლიათ თქვენი თავის ფლობა და არასაკმარისად გიყვართ თავი თქვენი: და აი თქვენ გსურთ თქვენი მოყვასის შეცდენა სიყვარულით და ოქროთი შემოსით თქვენივე თავი მისი შეცდომით ([9]. „მოყვასის სიყვარულის შესახებ“). ამისაგან განსხვავებით სიყვდილის ნებას, როგორც სიყვარულის უარყოფას, ყურდნობა სიძულვილის გრძნობა, ვინაიდან სიძულვილი თავისი არსებით არის უარყოფითი ნეგატიური პოტენცია.

მ. შელერი ინტენციონალურ-ემოციური ცხოვრების უმაღლეს სართულზე სიყვარულსა და სიძულვილს აყენებს. მისი აზრით, სიყვარული არასოდეს არაა აბსტრაქტული რამ, იგი ყოველთვის კონკრეტულია. ე. ი. ფიქრებახის მსგავსად, მ. შელერიც სიყვარულს კონკრეტულ პიროვნებას უკავშირებს. სიყვარული, ფიქრობს მ. შელერი, არის მოძრაობა, რომელშიც ყოველი საგანი, რომელიც ღირებულებას ატარებს, მისთვის შესაძლებელ უმაღლეს ღირებულებას აღწევს, ან თავის იდეალურ ღირებულებით არსს წვდება [10, გვ. 62]. სიძულვილს გააჩნია სიყვარულის საწინააღმდეგო მიმართულება. იგი დაბალ უარყოფით ღირებულებებზე მიმართულ გრძნობად წარმოუდგება შელერს. მისი აზრით, სიყვარული შემოქმედებით როლს ასრულებს და ხელს უწყობს ადამიანს უმაღლესი, დადებითი ღირებულებების დანახვაში. სიძულვილი სიყვარულით არის დაფუძნებული, ვინაიდან სიყვარული უპირატესია სიძულვილთან შედარებით. აქ, ჩვენის აზრით, შელერს ერთგვარი ნეოპლატონური იდეა შემოაქვს, რომლის მიხედვითაც „ბოროტება საერთოდ უნდა გავივით როგორც სიკეთის ნაკლოვანება“, თვით შესაძლებლობა გაუარესებისა, „წახედენისა“ გულისხმობს თავის თავში პირველადვე ბუნებაში შთადებულ „სიკეთეს“



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

[1, გვ. 485]. საერთოდ ეთიკის გამართლების სიღრმისეულ კანონზომიერებად მ. შელერი მიიჩნევს სიყვარულისა და სიძულვილის კანონის აღმოჩენას [11, გვ. 275]. მაგრამ შელერს განსხვავებულად ესმის სიყვარული, ვიდრე ფოიერბახს. ფოიერბახისათვის სიყვარული, როგორც ზემოთ ვნახეთ, არის უპირველეს ყოვლისა, თავის თავის სიყვარული, რომელზედაც ეფუძნება „სხვის“, მაგ. ღმერთის „სხვა ადამიანის, სიყვარული, ხოლო შელერისათვის სიყვარული არის, უპირველეს ყოვლისა, დადებითი ღირებულებითი მზერა, „დადებითი ღირებულებითი მოძრაობა“, სადაც ღირებულება დგას ადამიანურ ყოფიერებასა და თავის თავს შორის. ხოლო სიძულვილი ცხადდება „სიყვარულის საპირისპირო მოძრაობად“ ე. ი. უარყოფით ღირებულებებზე მიმართულ გრძნობად. შელერი მართალია იმაში, რომ სიყვარულსა და სიძულვილს გამოპყობს ღირებულებებისაგან, მაგრამ არ უნდა იყოს მართებული იმის დაშვება, რომ სიყვარული და სიძულვილი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან მხოლოდ და მხოლოდ ღირებულებითი ორიენტაციით. ვფიქრობთ სიყვარული და სიძულვილი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა ღირებულებითი ორიენტაციით, მოძრაობით, არამედ იმით, რომ ისინი არიან ადამიანური ყოფიერების დადებითი და უარყოფითი უნარების შეთანადებული გრძნობები: სიყვარულის გრძნობა ეს, როგორც ფოიერბახი აღნიშნავს, არის, უპ. ყოვლისა, სიცოცხლის მიერ თავის-თავის სიყვარული, აქედან კი შეიძლება დავასკვნათ, რომ სიძულვილი არის სიცოცხლის მიერ, ადამიანური ყოფიერების მიერ თავისი თავის, უპირველეს ყოვლისა, და შემდეგ, „სხვის“, უარყოფის პოტენციის უპირველესი შესაბამისი გრძნობა. და არა უარყოფით ღირებულებებზე ორიენტირებული გრძნობა, როგორც ამას შელერი ამტკიცებს.

სიძულვილის გრძნობა ადამიანურ ყოფიერებაში შეესაბამება არა სიცოცხლის უნარს, არამედ სიკვდილის უნარს, რომელიც თავის თავში წარმოადგენს თავისუფლების, „არას“ თქმის თავისუფლების უნარს, როგორც თავისი თავის, ასევე „სხვის“ მიმართ. ამ უნარის შესახებ ფ. ნიცშე წერს: მე ვაქებ ჩემს სიკვდილს, იმ თავისუფალ სიკვდილს, რომელიც მოდის ჩემთან იმის გამო, რომ მე მსურს იგი... თავისუფალი სიკვდილისადმი და თავისუფალ სიკვდილში წარმოთქვამს იგი წმინდა „არას“, მაშინ, როცა უკვე აღარ არის „ღიას“-ის თქმის დრო: აი მისი გაგება სიცოცხლისა და სიკვდილისა ([9], „თავისუფალი სიკვდილის შესახებ“). ღირებულებებს ადამიანური ყოფიერება აღდევს, არა სიყვარულისა და სიძულვილის გრძნობებზე დაყრდნობით, არამედ მეორად გრძნობებთან კავშირში, როგორცაა სიამოვნება, უსიამოვნება და ნეტარება, რომლებიც, ჩვენის აზრით, აღმოცენდებიან ადამიანში მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი დაეუფლა უკვდავების გრძნობას, რწმენის, ანუ შემოქმედების ნების, უნარის საფუძველზე. უკვდავების გრძნობა ადამიანს უჩნდება, რწმენის, სიყვარულისა და სიძულვილის გრძნობათა ბრძოლის ერთიანობის საფუძველზე. უკვდავების გრძნობა ჩნდება შემოქმედების პროცესში.

ფოიერბახი შემდეგ აზრს ავითარებს უკვდავების გრძნობის შესახებ. იგი წერს: მუშაობა-საქმიანობანი განსაზღვრავენ ადამიანის მსჯელობას, აზროვნების წესს, განწყობილებას. და, რამდენადაც მაღალია მუშაობა-საქმიანობის სახე, მით უფრო მეტი გაიგივება ზდება ადამიანისა მასთან საერთოდ, რასაც ადამიანი თავისი ცხოვრების არსებით მიზნად იხდის, მას იგი თავის სულად აცხადებს, რადგან მასში მოძრაობის პრინციპია. მაგრამ თავისი მიზნების წყალობით, იმ შემოქმედების წყალობით, რომლითაც იგი ამ მიზანს ახორციელებს,



ადამიანი იმავე დროს არსებობს როგორც თავისთვის, ასევე სხვისთვისაც, ზოგად საყოველთაოსთვისაც, გვარეობისთვისაც. ამიტომ, ვინც ცოცხლობს გვარეობის, როგორც ჭეშმარიტების შეგნებით, იგი თავის მყოფობას სხვისთვის თვლის; თავის საქვეყნო საზოგადოებრივი, საერთო სასარგებლო ყოფიერება მიჩნია ისეთ ყოფიერებად, რომელიც მისი არსების დედაარსია. მას იგი თვლის თავის უკვდავ არსად. ის მთელი სულით, მთელი გულთ ცხოვრობს კაცობრიობისათვის... მაშასადამე, იგი არის რწმენა პიროვნების მარადისობისა და უსრულობისა და მასთან არა მისი (პიროვნების) იმ მოდგმის, მისი იმ გვარეობის აზრგაგებით, რომელიც მუდამ ახალ ინდივიდებში იშლება და ვითარდება, არამედ ამ უკვე არსებული ინდივიდების აზრგაგებით, — მაშასადამე, ის არის ადამიანის რწმენა თავისი თავისადმი [3, გვ. 224—238]. უკვდავების გრძნობა, ფოიერბახის აზრით, არის ადამიანის მიერ თავისი თავის რწმენის უნარის საფუძველზე აღმოცენებული პირველადი გრძნობა, რომელიც თან ახლავს შემოქმედების პროცესს. ისევე, როგორც რწმენის, შემოქმედების უნარი, ნება თავის თავში მოიცავს სიცოცხლისა და სიკვდილის უნარებს და არ არსებობს მათი გაშუალების გარეშე. ასევე, უკვდავების გრძნობა მოიცავს თავის თავში სიყვარულისა, როგორც თავის თავის სიყვარულისა და იგივეობის და სიძულვილის, როგორც თავისი თავის უარყოფის, — თავისუფლების გრძნობებს და არ მოიაზრებს მათ გარეშე. მაგრამ ღირებულებითი გრძნობები, რომლებზედაც ფოიერბახი ლაპარაკობს ზოგადსაკაცობრიო აზრით, ჯერ გრძნობებს და არ მოიაზრება მათ გარეშე. მაგრამ ღირებულებითი გრძნობე-გრძნობებს და არ მოიაზრება მათ გარეშე. მაგრამ ღირებულებითი გრძნობები — სიყვარული, სიძულვილი და უკვდავება, არამედ მეორადი გრძნობები. პირველად გრძნობებთან არც ღირებულება და არც შეფასება, რომელიც წარმოადგენს სიამოვნება-უსიამოვნების გრძნობას, არ ფუნქციონირებენ. ღირებულებანი, როგორც ამას ამტკიცებს მ. შელერი, ნ. პარტმანი და სხვები შეფასების აქტის გარეშე არ შეიძენებიან, ანუ არ შემოდიან ადამიანურ ყოფიერებამდე. შეფასების აქტი კი უშუალოდ ეფუძნება სიამოვნებისა და უსიამოვნების მეორად გრძნობას. შეფასების აქტი ადამიანური ყოფიერებისათვის მეორად გრძნობებს ეფუძნება.

მაშასადამე, როგორც ნათლად ჩანს ზემოთ მოყვანილიდან, შელერისეული ღირებულებითი გრძნობა არ ემანირდება სულის სიღრმეში. იგი არ გვხვდება ექსისტენციის სიმბოლური ემანაციის არც ერთ მომენტში. იგი მისდამი ტრანსცენდენტურია, მას არ შეიცავს ადამიანური ყოფიერების არც ერთი შინაგანი პოტენცია, მაშასადამე, იგი არ შეიძლება მათ ეყრდნობოდეს. ამასვე აღნიშნავს ნ. პარტმანი, რაც ნაწილობრივ ზემოთაც ითქვა, როცა იგი ამტკიცებს, რომ პრინციპს აქვს საკუთარი ავტონომია, პერსონას კი შეუძლია, რამდენადაც იგი ზნეობრივად თავისუფალია, ამ პრინციპის მიმართ თქვას ჰო, ან არა, პერსონის განმსაზღვრელი უნდა იყოს პოზიტიური რამ, რომელიც პრინციპის ავტონომიისაგან დამოუკიდებლად იქნება. მაშასადამე, პერსონებს ზნეობრივი პრინციპის გვერდით უნდა ჰქონდეს საკუთარი, ინდივიდუალური ავტონომია [7, გვ. 708].

შესაბამისად, ეს აზრი შეიძლება იქნეს გაგებული ასე: არსებობს ადამიანური ყოფიერება, როგორც თავისი თავის საფუძველი და მხოლოდ შემდეგ აზრი აქვს მსჯელობას სინდისზე, როგორც აპრიორულ გრძნობაზე, ღირებუ-



ლებზე და ნორმებზე და არა პირიქით, თითქოს ჯერ არსებობს აპრიორული გრძნობა და მხოლოდ ამის შემდეგ ადამიანური ყოფიერება.

ზემოთ აღნიშნული ემანაციის საფეხურების მიხედვით შეიძლება დალაგდეს მეორადი გრძნობები. ეს გრძნობებია ის გრძნობები, რომლებზედაც მსჯელობს შელერი, ნ. ჰარტმანი, ლოტცე და სხვები, რომლებიც სიამოვნება-უსიამოვნებას საფუძვლად უდებენ ღირებულებით შემეცნებას [2, გვ. 15].

მეორადი გრძნობები, ჩვენის აზრით, სიმბოლურად უკავშირდება პირველად გრძნობებს. სიცოცხლის უნარს პირველად, როგორც ზემოთ ავლენინეთ, უკავშირდება სიყვარულის გრძნობა თავისი თავისადმი, როგორც თავის თავთან უშუალო იგივეობის საფუძველზე აღმოცენებული გრძნობა. თავის თავთან ადამიანური ყოფიერების უშუალო იგივეობა განიცდება, პირველად, როგორც თავის თავთან სიყვარული, ხოლო მეორად, როგორც სიამოვნება, რომელსაც ესწრაფვის ყოველი ადამიანური ყოფიერება. თავის თავთან უშუალო იგივეობა დიალექტიკის კანონების მიხედვით თავის თავში მოიცავს არარას, თავის თავის უარყოფას, თავისი თავის უარყოფის უნარს, რომელსაც სიკვდილის, ანუ თავისუფლების უნარი ეწოდება და წარმოადგენს ადამიანური ყოფიერების ნეგატურ პოტენციას. თუ თავის თავის იგივეობას ეფუძნება დადებითი გრძნობები, სიყვარული და სიამოვნება, შესაბამისად, ნეგატურ პოტენციას, სიკვდილის უნარს უნდა ეფუძნებოდეს უარყოფითი გრძნობები: სიძულვილი და უსიამოვნება. როგორც ამის შესახებ აღნიშნავდა კონდილიაკი: „სიყვარული — ეს იგივეა, რაც სიამოვნება და ნდობა, ხოლო სიძულვილი — ეს იგივეა, რაც ტანჯვა, განიცდილედ უსიამოვნებას რაიმე საგნის არსებობისაგან“ [5, გვ. 213].

შესაბამისად, რწმენის ანუ შემოქმედების უნარს, როგორც სიცოცხლისა და სიკვდილის უნარის სინთეზს, ეფუძნება სიყვარულისა და სიძულვილის სინთეზი — უკვდავების გრძნობა, ხოლო უკვდავების პირველად გრძნობას ეფუძნება უფრო მაღალი გრძნობა, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს პირველი ორი, მეორადი გრძნობის, სიამოვნებისა და უსიამოვნების სინთეზს — ნეტარებას.

შესაბამისად, მეორად გრძნობათა სიმბოლური ტრიადა შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. სიცოცხლის უნარს შეესაბამება სიყვარულის გრძნობა — სიამოვნება. სიხარული და სხვა.
2. სიკვდილის უნარს შეესაბამება სიძულვილის გრძნობა — უსიამოვნება, ტანჯვა, შიში და სხვა.
3. რწმენის, შემოქმედების უნარს შეესაბამება უკვდავების გრძნობა — ნეტარება.

დასაბუთება:

მეორად გრძნობებს, ჩვენის აზრით, ეფუძნება ისეთი სიმბოლოები როგორცაა სიკეთე, ბოროტება და მშვენიერება. ადამიანური ყოფიერებისათვის სიკეთე ეფუძნება სიამოვნებას. მაგალითად სიამოვნება ჰედონიზმის მიხედვით განსაზღვრავს ადამიანის საქციელის მორალურ ღირებულებას, სიამოვნებას ეფუძნება სიკეთე, სიამოვნების უარყოფას ეფუძნება ბოროტება, ბოროტება არის სიამოვნების უარყოფა. ადამიანური ყოფიერების პოზიციებიდან ეთიკურ პლანში ჰედონიზმი ახლოს მიდის თვით მასთან. სიამოვნებიდან და უსიამოვნ-

ნებიდან დანახული ღირებულება შეიძლება ჩაითვალოს ღირებულებად, ობიექტურობად, აპრიორად, მაგრამ ჩვენის აზრით, სიამოვნება-უსიამოვნების გრძნობაზე დაფუძნებული შეიძლება იყოს მხოლოდ განცდისეული უსასრულო აზრი — სიმბოლო, რამეთუ როგორც ჰუსერლი აღნიშნავს, ღირებულება არის შეფასებითი აქტის ინტენციონალური კორელატი [8, გვ. 380]. ეს სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ თვით ინტენციონალობის, შინაგანობის გამომხატველი უნდა იყოს არა მისი „კორელატი ე. ი. ღირებულება, რომელიც მისგან დამოუკიდებელია, ობიექტურია, არამედ „სხვა“, თვით „ინტენციონალობის“ იმანენტური უსასრულობის გამომხატველი აზრი — სიმბოლო, როგორც განცდისეული უსასრულო აზრი. „ინტენციონალობაში“, ჩვენის აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს არა მხოლოდ მიმართულება ობიექტისაკენ, არამედ, აგრეთვე, განცდისეული უსასრულო აზროვნებაც, სიმბოლური აზროვნება თავის თავად. შეფასება თავისთავად და თავისთვის სხვა არაფერია, თუ არა განცდისეული უსასრულო აზრი, სიმბოლური აზროვნება. შეფასების აქტის მიხედვით ხდება ისეთი ღირებულებების დადგენა ადამიანური ყოფიერებისათვის, რომლებიც სიმბოლოებს უფრო წარმოადგენენ, ჩვენის აზრით, ვიდრე ღირებულებებს ობიექტური გაგებით. ნეტარების გრძნობას შეესაბამება — მშვენიერების სიმბოლო.

გრძნობათა აღნიშნულ ტრიადულ განვითარებას ადამიანურ ყოფიერებაში, ჩვენის აზრით, ეფუძნება სიმბოლოთა შემდეგი (შეღერის და სხვათა გაგებით ღირებულებათა) ტრიადა:

1. სიამოვნებას შეესაბამება სიკეთე,
2. უსიამოვნებას შეესაბამება ბოროტება,
3. ნეტარებას შეესაბამება მშვენიერება.

#### დასაბუთება:

ადამიანური ყოფიერება მხოლოდ რწმენის, შემოქმედების უნარის საფუძველზე წარმოშობილ გრძნობასთან — ნეტარებასთან პოულობს მშვენიერების უნაკლო მნიშვნელობას, სიმბოლოს. ამალღებულია მშვენიერება, რომელიც თავის თავში დაბრუნებული სიკეთეა, ბოროტებაზე გავლილი მშვენიერება სრულიად მიწიერი, ე. ი. უარყოფითი, ბოროტებით დამძიმებული სიკეთეა, რომელმაც ამოწურა ბოროტება თავის თავში და კვლავ თავის საფუძველს დაუბრუნდა. ასეთი სიკეთე არის მშვენიერება.

ნეტარება უმაღლესი გრძნობაა, რომელიც გააჩნია ადამიანურ ყოფიერებას, იგი უმაღლეს სიმბოლოსთან არის დაკავშირებული მშვენიერებასთან. ნიცშე მას „თრობას“ უწოდებს. სხვა გრძნობა მშვენიერების განსაცდელად არ არსებობს ადამიანში, ისევე, როგორც არ არსებობს სხვა საფუძველი მშვენიერების არსებობისა, თუ არა რწმენის, შემოქმედების უნარი.

ეს არის კანტის კოპერნიკისებული გადატრიალების ფოიერბახისეული გაგრძელება ზნეობისა და ხელოვნების სფეროში, რომელიც მოკლედ ასე გამოიხატება: სიკეთისა და მშვენიერების ღირებულებების გარშემო კი არ ტრიალებს ადამიანი, არამედ სიკეთე და მშვენიერება არსებობს ადამიანური ყოფიერების საფუძველზე, სიკეთე და მშვენიერება ტრიალებს ექსისტენციის გარშემო.

ერთადერთი უნარი ადამიანურ ყოფიერებაში, რომელიც აერთიანებს სიკეთესა და მშვენიერებას, ზნეობას და ხელოვნებას, ჩვენის აზრით, არის რწმენ-

ნის უნარი, ვინაიდან ვერც ეგოისტი, რომელსაც მხოლოდ თავისი თავი უყვარს და ვერც თავისუფალი ადამიანი, ადამიანი, რომლისთვისაც წინა პლანზეა თავისუფლება, ანუ სიკვდილის ნება, ნგრევის დიონისური პათოსი, ვერ წვდება მშვენიერებას, ისევე, როგორც იგი ვერ წვდება შემოქმედებას. მხოლოდ შემოქმედება წვდება მშვენიერებას, უმაღლესი სიკეთე არის მშვენიერება. ამ აზრით, სავსებით მართებულად უნდა მივიჩნიოთ კანტის „მსჯელობის უნარის კრიტიკის“ ის ადგილი, რომელიც გვაძლევს იდეას შემდეგი ფორმულირებით „მშვენიერება არის ზნეობის სიმბოლო“. მშვენიერება არის სიკეთის, ზნეობის სიმბოლო, მაგრამ არა მარტივი სიკეთისა, ეგოისტური სიკეთისა, არამედ ბოროტების, ე. ი. ეგოიზმის უარყოფით გამდიდრებული სიკეთე, როგორც თავის თავში დაბრუნებული სიკეთე. კანტმა სწორად განჭკირება სიმბოლური ერთიანობა მშვენიერებასა და სიკეთეს შორის, მაგრამ დააკლო, ჩვენის აზრით, ბოროტების შუალაბითი სიმბოლო, ვინაიდან, როგორც შელინგი „გამოკვლევაში ადამიანის თავისუფლების შესახებ“ აღნიშნავდა ნეოპლატონიკოსების მსგავსად. ბოროტება მოუცილებელია ადამიანისაგან და სიკეთისაგან, ბოროტება ადამიანის შინაგანი მოუშორებელი სიმბოლოა. ნეტარ ავგუსტინე აღნიშნავდა, როდესაც იგი მიანიშნებდა ამბროსის ქადაგებაზე, რომელსაც ბოროტების გამომწვევებ მიზეზად თავისუფალი ნება მიაჩნდა, რომ „ბოროტება იმასაც ჰქვია, რასაც სჩადის ადამიანი და იმასაც რასაც განიცდის იგი. პირველი ცოდვაა, მეორე კი — სასჯელი... ადამიანი იმ ბოროტებას სჩადის, რომელიც სწავია მას, და იმ ბოროტებას განიცდის „რომელიც არ სურს თავისთვის“ (მანიჭეველთა წინააღმდეგ), რომ ბოროტება დამოუკიდებელი სუბსტანციას კი არ წარმოადგენს, არამედ გარდაქცეულებას ნებისას...“ ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტას ავგუსტინე გვაძლევს თავის ნაშრომებში: „თავისუფალი ნებელობის შესახებ“. 3, 17, 47 და განსაკუთრებით „დონატისტთა წინააღმდეგ“, 12,7—8 [1, გვ. 481].

ჩვენს მიერ მოყვანილი ტრიადისაგან განსხვავებით, ერთგვარი გნოსეოლოგიური ელფერი გააჩნია გრძნობების შეღერისეულ კლასიფიკაციას. შეღერი გრძნობათა ოთხ სახეს გამოჰყოფს, რომელიც ობიექტურ სურათს გვაძლევს და არა შინაგან ექსისტენციალურს. იგი წერს: „არსებობს: 1. ემპირიული გრძნობა, ანუ შეგრძნებითი გრძნობა, 2. სხეულისეული გრძნობება (როგორც მდგომარეობა) და სხეულისეული გრძნობები (როგორც ფუნქციები), 3. წმინდა სულისეული (Seelische) გრძნობები (წმინდა მე-ს გრძნობები), 4. გონისეული გრძნობები (პიროვნებისეული გრძნობები) [11, გვ. 344].

ემპირიული გრძნობა, როგორც თვით შეღერი აღნიშნავს, არის ისეთი გრძნობა, რომელსაც გააჩნია მთელი რიგი დამახასიათებელი თვისებები: „იგი მოცემულია, სხვა დანარჩენი გრძნობებისაგან განსხვავებით, სხეულის განსაზღვრულ ადგილებში, როგორც გაფართოებული და ლოკალიზებული. იგი დარგოლილია მეტნაკლებად, სხეულის ცხადად გამოხატული ორგანოების ერთიანობის მიხედვით“ [11, გვ. 345]. მაშასადამე, ემპირიული გრძნობა არის სხეულის გარკვეული ლოკალური, ან გაფართოებული ადგილის რეაქცია, გაღიზიანება რაიმეს მიმართ.

ემპირიული გრძნობა არასოდეს არაა გამოყოფილი შეგრძნებებისაგან, იგი თან ახლავს მათ ყურადღებაში და არასოდეს არაა საეჭვო, თუ ამგვარი შინაარსების რომელი ჯგუფი განეკუთვნება მათ. ემპირიული გრძნობა არასოდეს არ არის ობიექტის გარეშე, მაგრამ, შეღერის აზრით, ეს გრძნობა არ არის

ინტენციონალური, არამედ იგი შეიძლება გამოიხატოს, თავისი არსებითი აქტი-  
 ლეზობით, როგორც მდგომარეობა და არასოდეს როგორც ფუნქცია, ან აქ-  
 ტი. ინტენციონალობის პრიმიტიული ფორმა „სიხარულის ქონება რაიმეს მი-  
 მართ“ არ ფლობს წმინდა ემპირიულ გრძნობებს“ [11, გვ. 345]. მაშასადამე,  
 შეღერის აზრით, ემპირიული გრძნობა არ არის გამოყოფილი შეგრძნებები-  
 საგან და თან ახლავს მათ ყურადღებაში. მაგრამ ამ შემთხვევაში, შესაძლებე-  
 ლი არ უნდა იყოს მსჯელობა გრძნობაზე, როგორც გრძნობაზე. უპირველეს  
 ყოვლისა, უნდა დადგინდეს ის განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც განასხვა-  
 ებს გრძნობას შეგრძნებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში ის გრძნობა, რო-  
 მელზეც მიუთითებს შეღერი, იქნება მხოლოდ შეგრძნება და არა გრძნობა,  
 მით უმეტეს, რომ იგი თვით აღიარებს ემპირიული გრძნობის „ლოკალურო-  
 ბას“ სხეულის გარკვეულ ადგილას სივრცეში, მაშინ იგი უბრალოდ შეხების  
 შეგრძნება იქნება და არა გრძნობა. გრძნობა, განსხვავებით შეგრძნებებისაგან,  
 არ ხასიათდება არავითარი ლოკალურობით და არ არის დამახასიათებელი  
 სხეულის არც ერთი რეცეპტორისათვის. შესაძლებელია სხეულზე მოექცებნით  
 შეგრძნების ლოკალური ადგილი და შეუძლებელია ასეთივე წარმატებით  
 გრძნობის მითითება სხეულზე, ვინაიდან გრძნობა არ არის სხეულის დამახა-  
 სიათებელი თვისება. სხეულის დამახასიათებელი თვისება მხოლოდ რეცეპტუ-  
 ლობა და შეგრძნებადობაა. გრძნობა შეიძლება ახასიათებდეს მხოლოდ სულს.  
 ვინაიდან გრძნობა სულს მოიცავს მის მთლიანობაში და არა მის რომელიმე  
 ნაწილში. გრძნობა, განსხვავებით შეგრძნებებისაგან, ხასიათდება მთლიანო-  
 ბით, იგი გლობალურია სულის მიმართ, გრძნობა ისევე გლობალურია, რო-  
 გორც თვით სული. აქ არ არის სიმრავლე, გრძნობა არ არსებობს სულის რო-  
 მელიმე ნაწილში, ისევე, როგორც შეგრძნება სხეულის რომელიმე ლოკალურ  
 ნაწილში. ჩვენის აზრით, ლოკალობა არის სხეულებრივი შეგრძნების დამახა-  
 სიათებელი თვისება, ხოლო გლობალობა დამახასიათებელია გრძნობისათვის.  
 რაიმე მექანიკური ზემოქმედების შედეგად ჩვენს სხეულზე, ჩვენ გვიჩნდება  
 სხეულის გარკვეულ ლოკალურ ადგილას, დავეუშვათ, ტყვიის შეგრძნება.  
 ჩვენ შეგვიძლია სიზუსტით აღვნიშნოთ ჩვენს სხეულზე ასეთი ლოკალური ად-  
 გილი, მაგრამ ჩვენ ასეთივე წარმატებით ვერ შევძლებთ მივეუთითოდ ის ად-  
 გილი, თუ „სად“ გვიყვარს, ან „სად“ გვეშინია, ან „სად“ ვანერციდით მართო-  
 ბას. ეს შეუძლებელია, იმის გამო, რომ შეგრძნებებსა და გრძნობებს შორის  
 არსებითი განსხვავებაა: შეგრძნება ყოველთვის ლოკალურია სხეულის მიმართ,  
 გრძნობა ყოველთვის გლობალურია სულის მიმართ. ისევე როგორც ის, რომ  
 შეგრძნება ყოველთვის სხეულთან არის დაკავშირებული და სხეულებრივი  
 ორგანოები გვაწვდიან მათ გარე სამყაროსთან ურთიერთობის შედეგად, ხო-  
 ლო განსხვავებით შეგრძნებებისაგან, გრძნობები დაკავშირებულნი არიან მხო-  
 ლოდ სულთან გლობალურად და ჩნდებიან მხოლოდ და მხოლოდ შეგრძნებე-  
 ბის მრავალგვარობის სივრცისა და დროის შემეცნებითი უნარების საფუძ-  
 ველზე მათი მოწესრიგების შემდეგ.

მაშასადამე შეგრძნება, როგორც ცნობიერების კავშირის სხეულებრივი  
 ფორმა გარე სამყაროსთან, ხასიათდება მატერიალური სამყაროსათვის დამა-  
 ხასიათებელი ნიშნით — მრავალგვარობით თავის ინფორმაციულ შინაარსში.  
 შეგრძნება არის ის წერტილი, სადაც ერთიანობაში მოდის, ერთიანობაში იმ-  
 ყოფება სხეული და ცნობიერება, ჩემი მატერიალური კონკრეტული სხეული  
 და ცნობიერება. შეგრძნება არის ამოსავალი წერტილი ყოველი ცნობიერება-

2. „მაინე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1992, № 1

საქართველოს  
 მ რ ო ვ ნ ე შ ლ ი  
 ბ ი ბ ლ ი ო ტ ი ე კ ა

სა, რომლისგანაც ამოიზრდება ორი ძირითადი ტენდენცია აზროვნებაში. ეს ტენდენციებია: 1. ადამიანური, ე. ი. ემოციური, გრძნობითი სიმბოლური დამოკიდებულება ობიექტურობისადმი და 2. არაემოციური, ანუ გნოსეოლოგიური, ცნებითი დამოკიდებულება ობიექტური სინამდვილისადმი. ე. ი. ემოციური მკვეთრად უნდა განვასხვავოთ არა მხოლოდ არაემოციურობისაგან, მეცნიერულისაგან, არამედ აგრეთვე შეგრძნებებისაგან. გაღიზიანება, შეგრძნება და აღქმა წარმოადგენენ იმ საფუძველს, რომელშიც არა მხოლოდ საერთოს ნახულობენ ემოციური და გნოსეოლოგიური, არამედ ისინი მასში პოულობენ აგრეთვე განსხვავების საწყის პუნქტსაც, ვინაიდან შეგრძნებებისა და აღქმის მომენტში ემოციური და გნოსეოლოგიური თავდაპირველ იგივეობაში არიან, მათი განსხვავება აღქმის ფორმირების დასასრულს იწყება.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩემზე იმოქმედა გარკვეული სიძლიერის გარეგანმა გამღიზიანებელმა, იწყება მისდამი როგორც, უპირველეს ყოვლისა. ემოციური, ასევე გნოსეოლოგიური აზროვნება. შეგრძნებები და აღქმები თავისთავად ნეიტრალურია, ვულგარულია იმისადმი, თუ როგორ რეაქციას მოახდენს მასზე მოაზროვნე გონი — ემოციურს თუ გნოსეოლოგიურს, რაც, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია მატერიალური ინფორმაციის თვისობრიობაზე, რომელსაც გვაწვდის შეგრძნებები და აღქმები. როდესაც, მაგალითად დაუშვათ, დეკარტი ბუხრის წინ ზის, იგი დაკავებულია ამ ფაქტის გნოსეოლოგიური ანალიზით, რომელსაც წინ უძღოდა ასევე გნოსეოლოგიური სკეპსისი, იგი, ამვე დროს, ემოციურად ნეიტრალური იყო. მაგრამ, როდესაც ნაპოლეონის წინაშე აღიმართა ეგვიპტის პირამიდები და სფინქსის გრანდიოზული ფიგურა, იგი, უპირველეს ყოვლისა, აღფრთოვანებას განიცდიდა ხილული ობიექტის სიდიადით და არ აწარმოებდა მის გნოსეოლოგიურ ანალიზს, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ დროში ემოციურისა და გნოსეოლოგიურის მკვეთარი გამიჯვნა გარკვეული ხასიათის სიძნელეს ქმნის და დამოკიდებულია ადამიანის შინაგან პოზიციაზე და მიზნებზე.

#### ლიტერატურა

1. საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბ., 1985.
2. შუშანაშვილი გ. ღირებულების იდეალისტური ვაგების კრიტიკა. თბილისი, 1987.
3. ფოიერბახი ლ. ქრისტიანობის არსება. თბ., 1956.
4. Кьеркегор С. Наслаждение и долг, СПб., 1894.
5. Кондильяк Е. Трактат об ощущениях. Соч., т. I, М., 1982.
6. Лейбниц Г. Монадология. Соч., т. I, М., 1982.
7. Hartmann N. Ethik. Berlin, 1949.
8. Husserl E. Ideen zu einer reiner Phänomenologie und phänomenologische Philosophie. Bd. I, Haag, 1950.
9. Nietzsche F. Also sprach Zarathustra. Werke, Bd. 4, B. N. Y. 1980.
10. Scheler M. Zur Phänomenologie und Theorie der Sympathiegefühle und von Liebe und Hass. Halle. 1913.
11. Scheler M. Formalismus in der Ethik und die materiale Wertethik. Halle, 1927.



А. А. БУРДЖАЛИАНИ

## СИМВОЛИЧЕСКАЯ ЭМАНАЦИЯ ЧЕЛОВЕЧЕСКОГО БЫТИЯ И ПРОБЛЕМА ОБЪЕКТИВНОСТИ ЦЕННОСТЕЙ

Резюме

Проблема объективности ценностей является одной из актуальных проблем философии. Большое значение придается определению взаимоотношения человеческого бытия и ценностей, в котором актуальное значение придается пониманию не только объективности ценностей, но и человеческого бытия. Критическая оценка понимания объективности ценности дается на фоне анализа указанной проблемы в философских воззрениях М. Шелера и Н. Гартмана. Объективность, априорность ценностей получает абсолютную значимость в их аксиологии. Но с установлением априорности ценностей возникает своеобразный дуализм ценности и чувства. Проблема состоит в осмыслении того, как «входит» ценность в человеческое бытие, которое в самом себе является единством, символической эманацией мыслительных способностей: 1. самосохранения, т. е. жизни, 2. свободы, способности отрицания, т. е. смерти, 3. способности веры, которая объединяет в самом себе способность жизни и смерти и является основой человеческого творчества. Каждой ступени символической эманации человеческого бытия в самом себе соответствуют множество чувств и переживаний, которые распределяются как первичные и вторичные переживания. В этой системе переживаний оценочное чувство определяется как вторичное, по сравнению с первичными переживаниями человеческого бытия, его символической эманацией.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა



### ჰიპოთეზა უარჯანაძე

## შენიშვნა ინტუიციონისტური ლოგიკის თაობაზე

**1. შესავალი.** ლოგიკა ყველა სხვა მეცნიერებათა საფუძველია, მაგრამ მისი განვითარების სხვადასხვა ისტორიულ ეტაპებზე დაშვებულ იქნა ზოგიერთი უზუსტობანი თავად ლოგიკის აგებისას, რამაც მეცნიერება მიიყვანა პარადოქსებამდე [1, გვ. 7].

პარადოქსების ღრმა ანალიზი მოგვცა ბრაუერმა და მისმა ინტუიციონისტურმა სკოლამ. თუ ჰილბერტი იყო აქსიომატიკური მიმდინარეობის ლიდერი მათემატიკაში, მაშინ ბრაუერი ჩაითვლება ინტუიციური მიდგომის იდეოლოგად.

იმ დროს როდესაც ჰილბერტი ცდილობდა განემტკიცებინა კლასიკური მათემატიკა მისი არაწინააღმდეგობრიობის დამტკიცებით, ბრაუერი მზად იყო სულ უარყო მათემატიკის ის ნაწილი, სადაც მათემატიკოსები ზოროტად იყენებდნენ სიტყვებს, აჭარბებდნენ მათი ზუსტი გააზრების შესაძლებლობებს. ბრაუერმა სანაცვლოდ შემოგვთავაზა აგვეგო „ინტუიციონისტური“ მათემატიკა, რომელიც განიცდობდა მხოლოდ იმ ობიექტებამდე, რომელთა აგების გზაც შეგვიძლია მივუთითოთ [2, გვ. 235], ე. ი. იყენებდა კონსტრუქციული მათემატიკის მეთოდებს [5].

ბრაუერი თვლიდა, რომ ჰილბერტს რომც შესძლებოდა კლასიკური მათემატიკის არაწინააღმდეგობრიობის დამტკიცება, ეს კლასიკურ მათემატიკას კორექტულს მაინც არ გახდიდა. საბოლოო ჯამში ინტუიციონისტები დათანხმდნენ მოეხსნათ პროტესტი ჰილბერტის პროგრამის საწინააღმდეგოდ, მაგრამ იმ პირობით, რომ ფორმალისტები არ ჩათვლიან თითქოსდა არაწინააღმდეგობრიობის დამტკიცება ამართლებს მათემატიკის იმ ნაწილებსთვის აზრიანობის სტატუსის მინიჭებას, რომელთაც ინტუიციონისტები უარყოფენ იმ საბაბით, რომ მათ არა აქვთ ინტუიციური საფუძველი [2, გვ. 236].

[5] მიძღვნილია ინტუიციონიზმის სისტემატური გადმოცემისათვის — მიმართულებისა მათემატიკაში, რომელიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა ბრაუერის, ვეილისა და ჰეიტინგის ნაშრომებზე დაყრდნობით. მართალია, ინტუიციონისტების შეხედულებებს მთლიანად დღესდღეობით ძალიან ცოტა მათემატიკოსი იზიარებს, მაგრამ ღრმად ცდებიან ისინი, რომელნიც ინტუიციონიზმში მხოლოდ რაღაც კურიოზს ხედავენ [6]—[10]. საქმე იმაშია, რომ ბევრი ამ შეხედულებებიდან მიღებული და ათვისებული იქნა კონსტრუქციული მიმართულების მათემატიკოსების მიერ, რომელნიც არ კმაყოფილდებიან არსებულ პერიოდში გაბატონებული „აზროვნების თეორიულ-სიმრავლური მეთოდებით“. კერძოდ ეს მათემატიკოსები იზიარებენ ინტუიციონისტების კრიტიკულ მიდგომას „გამორიცხული მესამისა“ და „საწინააღმდეგოს აუცილებლობის“ კანონებისადმი.

ბოლო წლებში არსებითად გაიზარდა ინტერესი კონსტრუქციულობისადმი მათემატიკაში. ამ სფეროს საკითხთა გამოკვლევაში შეიძლება გამოვიყოთ ორი ძირითადი ტენდენცია. ერთი ბრაუერისა და მისი მიმდევრების მიერ განვითარებული, ცნობილია „ინტუიციონიზმის“ სახელით, მეორე ტენდენცია, სხვადასხვა ფილოსოფიური ორიენტაციის მრავალი მათემატიკოსის მიერ განვითარებული, ინტუიციურ ეფექტიანობას აკავშირებს ალგორითმების ზუსტ კონცეფციებთან [6].

2. საწინააღმდეგოს არსებობის უარყოფა. ინტუიციონისტების აზრით [3, გვ. 139], წინადადებიდან — „მცდარია, რომ ნებისმიერი  $x$ -თვის სამართლიანია  $A(x)$ “

არ გამომდინარეობს:

„არსებობს  $x$  ისეთი, რომ შესრულებულია“ არა  $A(x)$ “ (2.2).

მსჯელობა (2.1) — (2.2) ტოლფასია წინადადების:

„საწინააღმდეგო აუცილებლობით არ არსებობს“. (2.5)

თუ გარკვეულობის „ $A(x)$ “-სა და „არა  $A(x)$ “-ს გარდა განვიხილავთ გაურკვეველობის მომენტსაც, მაშინ ვეუქნება, რომ ზოგიერთი  $x$ -თვის სამართლიანია „გაურკვეველობა“ და (2.1) — (2.2). მსჯელობის განვრცობიდან მივიღებთ (2.3) წინადადების განზოგადებას: „საწინააღმდეგოს აუცილებლობით არ არსებობაში განიხილება გაურკვეველობის მომენტის არსებობაც“ (2.4).

3. „გამორიცხული მეოთხის“ განზოგადებული კანონის დამატება ინტუიციონიზმისათვის. გამორიცხული მესამის კანონი:

„რამე არის „ $A$ “, ან „არა  $A$ “, მესამე გამორიცხულია“ (3.1)

მოითხოვს გარკვეულობას („ $A$ “ ან „არა  $A$ “) და გამორიცხავს გაურკვეველობას („მესამე“), მაგრამ ეს კანონი შეიცავს წინააღმდეგობას [3, გვ. 97], რომელიც ამ კანონს თავადვე უარყოფს. მართლაც — გამორიცხული მესამის კანონი უარყოფითი ხასიათისაა და თავის თავის არსებობისათვის თავად მოითხოვს აზრობრივად საწინააღმდეგო კანონის არსებობას:

„რამე არის გაურკვეველობა“. (3.2)

„გამორიცხული მესამის“ კანონს წერეთელი დებულობს არა, როგორც შინაგანად ჩაკეტილ ლოგიკურ კანონს (როგორც მაგალითად „წინააღმდეგობის ერთიანობისა“), არამედ, როგორც ლოგიკის ახალ აქსიომას.

დამატებით ბრაუერი ამტკიცებს, რომ „გამორიცხული მესამის“ კანონი არ შეიძლება გამოვიყენოთ მათემატიკური, რაოდენობრივი (ე. ი. „ცული“, „აქტიური“) უსასრულობების მიმართ, რადგან უსასრულობა ეს გაურკვეველობაა, ამ კანონს კი ვიყენებთ მხოლოდ გარკვეულობებისთვის.

კიბლერტმა აჩვენა, რომ ყოველთვის შეიძლება არაწინააღმდეგობრივ აქსიომათა სისტემის აგება (წინააღმდეგობრივი აქსიომების შეცვლის საშუალებით).

1931 წელს გიოდელმა დაამტკიცა, რომ აქსიომათა ნებისმიერი სისტემის ტერმინებში შეიძლება ჩამოვყალიბოთ ამ აქსიომათა სისტემაში არადამტკიცებადი წინადადება (ვერ დავამტკიცებთ ვერც მცდარობასა და ვერც ჭეშმარიტებას!), ე. ი. ყოველი აქსიომათა სისტემა არასრულია, რაც ნიშნავს — ნატურალურ რიცხვთა თეორიის ფორმალიზებადი ნებისმიერი არაწინააღმდეგობრივი სისტემა შეიძლება არაწინააღმდეგობრივად შეივსოს სხვადასხვა გზით [5, გვ. 13].

მაგალითი 3.1. ნამდვილ რიცხვთა აქსიომათა სისტემის ტერმინებში ჩამოვყალიბოთ ასეთი წინადადება — „არსებობს  $\alpha_0$  სიმძლავრის სიმრავლე, რომელიც მოთავსებულია თვლადსა ( $N_0$ ) და კონტინუუმის ( $\alpha_1$ ) სიმრავლეთა შორის, ე. ი.

$$\exists \alpha_0 : N_0 < \alpha_0 < \alpha_1, \quad (3.3)$$

სადაც  $N_0$  — თვლადი სიმრავლის სიმძლავრეა, ხოლო  $\alpha_1$  — კონტინუუმის სიმძლავრე.

დამტკიცებულია, რომ ნამდვილ რიცხვთა აქსიომათა სისტემაში არ მივაღწევთ წინააღმდეგობამდე, თუ დავუშვებთ (3.3) წინადადების ჭეშმარიტობას ან მცდარობას, ე. ი. (3.3) წინადადება დამოუკიდებელია საწყის აქსიომათა სისტემისაგან და მისი ფორმულირება შეიძლება, როგორც ახალი აქსიომისა.

„გამორიცხული მესამის“ კანონის შეზღუდულობისა და ძველი ლოგიკის ხარვეზიანობის აღიარებაა „გამორიცხული მესამის“ კანონის შეცვლა „გამორიცხული მეოთხის“ კანონით, რომელიც ასე ჩამოყალიბდება:

„რაიმე გავება ან მიეწერება სხვას, ან არ მიეწერება, ან შეიძლება მიეწეროს, მეოთხე გამორიცხულია.“

(3.4)

ამით ლოგიკაში განხილულია სამი შესაძლებლობა: ჭეშმარიტება, მცდარობა და შესაძლებლობა. ამ გზით შეიქმნა სამწინაშენელიანი ლოგიკა. უფრო შორს მიდის მრავალმნიშვნელოანი ლოგიკა, რომელიც განიხილავს შესაძლებლობის ხარისხთა სიმრავლეს, აფასებს რა მას, როგორც ჭეშმარიტების მნიშვნელობას (დეტუში, რაიხენბახი, ზინოვიევი). ამ მხრივ მხედველობაში უნდა მივიღოთ მოდალური და ალბათური ლოგიკები [3, გვ. 100].

(3.1) მაგალითის განხილვა გვყარნახობს ჩამოვყალიბოთ „გამორიცხული მეოთხის სპეციფიკური კანონი“, რომელიც დაემატება ინტუციონისტურ ლოგიკას უარყოფილი „გამორიცხული მესამის“ კანონის ნაცვლად:

„რაიმე არის „A“, ან „არა A“, ან „გაურკვეველობა“, მეოთხე გამორიცხულია“

(3.5)

შენიშვნა 3.1. დიალექტიკის ძირითადი კანონი „წინააღმდეგობათა ერთიანობა“ შეიცავს გაურკვეველობის მომენტსაც — რაღაც შეიცავს „A“-ც და „არა A“-ც დიალექტიკურ ერთიანობაში (ერთდროულად „A“-ს და „არა A“-ს ჭეშმარიტება წინააღმდეგობა, გაურკვეველობაა). მაგალითად მოძრაობის დიალექტიკა განისაზღვრება წინააღმდეგობათა ერთიანობის საშუალებით.

ჩვენ თუ ინტუციონისტურ ლოგიკას [4] დავუმატებთ „გამორიცხული მეოთხის“ სპეციფიკურ კანონს (3.5), ამით შევიტანთ დიალექტიკის მომენტს — „გაურკვეველობას“ ინტუციონიზმის სხვა „გარკვეულობის“ ნაწილებთან ერთად საარსებოდ.

შენიშვნა 3.2. „გამორიცხული მეოთხის“ სპეციფიკური კანონი (3.5) შინაგან წინააღმდეგობრიობას არ შეიცავს, როგორც „გამორიცხული მესამის“ კანონი. იგი შინაგანად ჩაკეტილია. მართლაც:

ა) თუ (3.5) კანონში ჭეშმარიტია ერთ-ერთი — „A“, ან „არა A“, მაშინ ცხადია (3.5) კანონი ჭეშმარიტია;

ბ) თუ (3.5) კანონში ჭეშმარიტი, ან მცდარია ორივე ერთდროულად „A“-ც და „არა A“-ც, მაშინ გვაქვს გაურკვეველობა ე. ი. (3.5) კანონი მაინც ჭეშმარიტი დარჩა ამ შემთხვევაშიც.

მივიღეთ, რომ „გამორიცხული მეოთხის“ სპეციფიკური (3.5) კანონი შინაგანად ჩაკეტილი, ჭეშმარიტი მსჯელობა ყოფილა და მისი დამატებით ინტუიციონისტური ლოგიკის აქსიომატიკა წინააღმდეგობრივი არ ვახდება.

ლიტერატურა

1. Э. Мендельсон. Введение в математическую логику. М., 1971.
2. С. К. Клини. Математическая логика. М., 1973.
3. С. Б. Церетели. Диалектическая логика. Тбилиси, 1971.
4. М. Вайсберг. Исследования по исчислению высказываний А. Гейтинга. Сборник Института философии АН Грузинской ССР — «Методологические исследования». Тбилиси, 1985.
5. Г. А. Гейтинг. Интуиционизм. М., 1985.
6. С. Клини, Р. Весли. Основания интуиционистской математики. М., 1978.
7. С. Клини. Введение в метаматематику. М., 1957.
8. Петров. Логические проблемы абстракции бесконечности и осуществимости. М., 1967.
9. Г. Вейль. О философии математики. М., 1934.
10. Ю. А. Петров Математическая логика и материалистическая диалектика. МГУ, М., 1974.

**В. В. ПАРДЖАНАДЗЕ**

ЗАМЕЧАНИЕ ОБ ИНТУИЦИОНИСТСКОЙ ЛОГИКЕ

Резюме

В статье к интуиционистской логике добавлен специфический закон «исключенного четвертого».

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

### ბიული მუხადაზვილი

#### ზოგი რამ სამართო და განსხვავებული ჰეგელის და ჰაიდეგერის შემოქმედებაში

ჰაიდეგერის შემოქმედება ფილოსოფიის ახლებური გაშუქებაა და არა-მარტო გაშუქება — ის ფილოსოფიის ახლებური დაბადებაცაა; ამ მომენტთა გარეშე, რა თქმა უნდა, არ არსებობდა ჰეგელის შემოქმედებაც; მაგრამ, ჰეგელის შემოქმედებაში კიდევ არაა დაძლეული განსჯის მომენტი.

ჰეგელის შემოქმედების შუაგულია პირველსაწყისთან კავშირის აღდგენის სურვილის მქონე აზროვნება; ეს მიმართება ამავე დროს კა ეტევა აზროვნების სქემებში; ამ შემთხვევაში ამოსავალი და საბოლოო, „ანი“ და „ჰიი“ არის პირველსაწყისი, ადამიანს კი მასთან აქვს კონტაქტი აზროვნების წყალობით.

ჰეგელის შემოქმედებაში ადამიანი არის არსის მწვედომი; ჰაიდეგერის შემოქმედებაში კი, — მისგან განსხვავებით, — უშუალოდ ადამიანიდან იბადება ეს არსი. ჰეგელი ცდილობს გასაგები გახადოს აზროვნების არსი, რომელსაც თავი ჯერ კიდევ ვერ დაუღწევია განშლის გარეგანი მხარისთვის. ჰაიდეგერის შემოქმედებაში კი ეს გზა იმითავეთვია შინაგანი.

ჰეგელი ცდილობს დაძლიოს უკიდურესობანი, რომელთა შორის ღვთაებრივსა და ამქვეყნიურს შორის აბსოლუტურ ზღუდეთა გადალახვის მისწრაფება მთავარი; ეს საკითხი უძველესია. ჰეგელი ამ საკითხის სხვანაირი გააზრებით ახალ პორიზონტს ხსნის; ეს გახსნა კი, თავის მხრივ, შემეცნების განვითარებითაა მომზადებული.

მოუხდავად იმისა, რომ ჰეგელი უკიდურესობათა გადალახვას ცდილობს, უკიდურესობაში ვარდება თავის მხრივ. ეს უკიდურესობა არის იმდროინდელი ყოფიერების ანარეკლი და ამავე დროს არის მისივე ხედვით შემოტანილიც; ამ ხედვისას აღიარებული მნიშვნელობის მქონე მარადიული.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მიმართების წყალობით ჰეგელის შემოქმედებაში გასათვალისწინებელი ცოდნაა დაგროვილი; ეს ცოდნა გარკვეულად არის ადამიანისკენ „მოსააზრებლის“ შემობრუნების შედეგი, მაგრამ ამაზე ჰეგელის შემოქმედებაში არაა ყურადღება გამახვილებული.

საკითხის ამგვარად დაყენება დამახასიათებელია ჰაიდეგერის შემოქმედებისათვის და ძველ ბერძენთა ფილოსოფიისათვის, მაგრამ, ანტიკურისგან განსხვავებით, ჰაიდეგერის შემოქმედებაში იგი მეტი შინაგანობითაა გახსნილი; რისკენაც მიმართულია ადამიანი, არის მასწივე მოარსე.

მოსააზრებელი (Zu-Denkende), „რასაც მუდამ ფიქრით უნდა უტრიალებდეთ“, — არის ამოუწურავ შესაძლებლობათა შემცველი; მასთან მიმართებაში მყოფ აზროვნებასაც, რა თქმა უნდა, იგივე თვისებები ახასიათებს. აზროვნების ახალი შესაძლებლობის გახსნას ჰქირდება მომზადების პროცესი; ყოველივე, ჰაიდეგერის მიხედვით, გულისხმობს მოსააზრებლისკენ მიმართვას და



ადამიანისკენ მის შემობრუნებას თავის მხრივ. ჰეგელის შემოქმედების მსგავსად, ამ შემთხვევაში ერთმანეთს განმსჭვალავს აზროვნება და თეოლოგიური სიღრმე. ჰაიდეგერი კითხულობს — „იმიტომ არ ვაზროვნებთ, რომ ტკივილს არ განვიცდით, თუ იმიტომ არ განვიცდით ტკივილს, რომ არ ვაზროვნებთ?“ [6, გვ. 13]. ჰაიდეგერის შემოქმედების გულს ქმნის ცნებები: „უყვარს“ და „აზროვნებს“; ამ სიტყვებს ის წინამძღოლ ანუ მახიარებელ ცნებებს უწოდებს.

ჰეგელის შემოქმედებაში ადამიანიდან დაბადებული ლეთაებრივი ლოგიკა მთავარი; ამ ლოგიკის დროს კი ზოგჯერ მეტისმეტად იჩრდილება ადამიანი; ჰაიდეგერის პოზიცია სხვაა ამ მიმართებით — ლეთაებრივი გაუხსნელი რჩება მისკენ ადამიანის მიმართვის გარეშე.

აზროვნება ჰაიდეგერის შემოქმედებაში არაა ერთადერთი გზა, რის წყალობითაც ადამიანი ცდილობს გაკაფოს გზა პირველსაწყისისაკენ; ეს პროცესი შემდეგ აუცილებელ მომენტებს გულისხმობს: ესაა პირველსაწყისი და მის გახსნაში ადამიანის მიერ მიღწეული დონე; ზღვარი ამ შემთხვევაში არაა აბსოლუტურად დადგენილი და არც სამუდამოდ გადალახული; ის არის თანდათანობით განშლადი.

ჰაიდეგერისეული შეფასების მიხედვით, ანტიკურ ფილოსოფიაში აზროვნებას ლოგოსთან აქვს უშუალო კონტაქტი; ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს ის, რომ პერაკლიტე და პარმენიდე უფრო მეტად იყვნენ „ფილოსოფიურნი“, რაც ნიშნავს ლოგოსთან უშუალო შეწყობას; რაც შეეხება ფილოსოფოსობას, პარმენიდე და სოკრატემ გადადგეს ნაბიჯი აქეთ; ისინი ცდილობდნენ ელაპარაკათ ისე, როგორც ლოგოსი მეტყველებს.

ჰეგელის შემოქმედებაში აზროვნება, როგორც ადამიანში მიმდინარე პროცესი არის ობიექტურის გამომხატველი; ამის წვდომის გზა გაშუალებულია მსჯელობათა და დასკვნათა რთული პროცესით; ჰაიდეგერი, მისგან განსხვავებით, უურადლებას ამბეცილებს ლოგოსთან უშუალო მიმართებაზე და ამავდროს აღწევს იმას, რომ გახსნას ადამიანური მეტყველების არსი. მის შემოქმედებაში აზროვნების და მეტყველების არსში შეღწევის, მასში დასადგურების და ახალი მყოფობის დამკვიდრების მომენტია ძირითადი.

მეტყველების დანიშნულება მარტოოდენ გამოსახვასა და მნიშვნელობის მატარებლობაში არ არის, ზუსტად ისევე, როგორც მისი შესატყვისი მოსმენა, უფრო მოხვედრილი ხმაურის და მუღნის დაჭერაში; მოსმენა მიუურადება იმაზე, რაც ჩვენ მოგვმართავს (zuspricht).

„ანატომიური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განხილული ყური, როგორც გრძნობის აქუსტიკური ორგანო, არაა ამ მიუურადების შემძლე; განსაკუთრებით მაშინ, როცა მას ტონების და ხმაურის აღქმად ვიგებთ; შეუძლებელია მიუურადების ფსიქოლოგიური და ანატომიური კონსტანტირება და მისი როგორც სხეულებრივი პროცესის აღწერა. ვიდრე აქუსტიკურის შესახებ მეცნიერებიდან გამოვიდვიართ, სმენაზე ვერაფერს ვიგებთ“ [7, გვ. 10].

მიუურადება ცდილობს ლოგოსს უსმინოს: ამ მხრივ უდავოდ დიდია ჰაიდეგერის ანტიკურ შემოქმედებასთან კავშირი; მაგრამ ანტიკურისგან განსხვავებით, ის ცდილობს ღრმად შინაგანი იყოს ეს კავშირი, როგორც არსისეულად, ასევე გამოხატვის ფორმის მხრივ.



კემპარიტი, ნამდვილი სმენა მაშინ ხორციელდება, როცა მოკვდავური მეტყველება (დალაგება — დაწყობა) იწაფება ლოგოსში; გაწაფულნი მაშინ ვართ, როცა ნამდვილ მოსმენას ვაღწევთ; ოღონდ ეს მოსმენა არაა საკუთრივ გაწაფული.

ამ მიმართებით უნდა აღვნიშნოთ, რომ არსადა იხეთი თანხმობანება ჰეგელის და ჰაიდეგერის შემოქმედებას შორის, როგორც ლოგოსის მოსმენის საკითხში. ჰეგელთან ეს პროცესი არის დრო და სივრცეში მოქცეულის ზედროულთან შეხება; ასევე, ჰაიდეგერის მიხედვით, მეტყველება და აზროვნება არაა მიბაძვა, არამედ გადანაცვლება „გამაერთიანებელ ერთადერთში“.

ჰეგელის, ჰაიდეგერის და ბერძენთა შემოქმედება ერთ ფუძე მიმართულებას ქმნის ლოგოსისადმი აზროვნების მიმართების საკითხში: აზროვნება არაა მხოლოდ საკუთარ თავში არსის მწვედომი და გამხსნელი; ის შემძლეა პირველსაწყისისეული მყოფობის დამკვიდრების.

„მხოლოდ ის არაა სიბრძნე — იმას უსმინო, რასაც ამბობს ლოგოსი, მხედველობაში იჭონიო ნათქვამის აზრი და სულმოუთქმელად იმეორო: ერთია ყველაფერი; მარტო ეს არაა შესაბამისობა ლოგოსისადმი; ეს კიდევ რაღაცას გვეუბნება და იმასაც ადგენს შემდგომ, რასაც გვაუწყებს, იმას სახელდობრ, რომ ყველაფერი იქნება ერთი“ [8, გვ. 11].

ჰაიდეგერის მიხედვით, ყოველი ფილოსოფია ლოგოსს ახლებურად განშლის; დამმარხველ-გამხსნელი ბუნებისა ფილოსოფია, ისევე როგორც ლოგოსი; იგი განშლის, ამავე დროს რაღაცას მალავს განშლილში.

**ღვთისმეტყველებასთან დამოკიდებულების საკითხისათვის.** ჰაიდეგერის შემოქმედებას წარსულიდან გადაეცემა რაღაც მუდმივი, ამავე დროს ეს მუდმივი ახალ ჩარჩოებშია მოქცეული.

ჰეგელზე უდიდესია ღვთისმეტყველთა გავლენა, მაგრამ, მხოლოდ ეს რომ ყოფილიყო ჰეგელის აზროვნება\*, მის ღვაწლს მნიშვნელობა არ ექნებოდა; ჰეგელი შემოქმედებაზე მსგელობისას ბუნებას და საზოგადოების კანონებს, აგრეთვე მონის განმათავისუფლებელ პროცესს ანიჭებენ მნიშვნელობას; ამ შემთხვევაში განზე რჩებათ აზროვნების არსი; აზროვნება და მეთოდთა სისტემა ჰეგელის შემოქმედებას მეცნიერებად წარმოგვიდგენს; ამის გამო ის უდიდესი სირთულით ხასიათდება; შინაარსი კი, რის წვდომასაც აზროვნება ესწრაფვის, მხოლოდ მეთოდთა სისტემით არ იზღუდება.

ჰეგელის მიხედვით, ადამიანი მოაზროვნე არსებაა; აზროვნებას აქვს სხვადასხვა რანგი და ხარისხი; ის შეიძლება იყოს განზოგადება და ამალღებაც; ამალღებას კი სხვა არა უდევს რა, თუ არა სამყაროს არსის წვდომა; ნახტომი ზედროულში აზროვნებაა.

ჰეგელის აზრით, ფილოსოფია და რელიგია მარადიულს სხვადასხვა გზით ემსახურება; ეს კიდევ ქმნის მათ შორის წინააღმდეგობას, რაც ზოგჯერ მტრობაშიც კი გადადის; ისეთმა თავისუფალმა და დემოკრატიულმა ხალხმაც კი ვერ დააღწია თავი ამ მტრობას, როგორც იყვნენ ბერძენები, როცა მათ სოკრატეს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი; მაგრამ ჰეგელის აზრით, უძველესია არამარტო წინააღმდეგობა რელიგიასა და ფილოსოფიას შორის, არამედ

\* „ქრისტიანულ სულიერობასთან და მასში დავანებულ სულიწმიდასთან უსიციოცლო აბსტრაქციებს ხელი არა აქვთ, მაგრამ ფილოსოფია მხოლოდ ამით არ იზღუდება“ [3, გვ. 443].

მათი კავშირიც. ეს კავშირი ვლინდება ეკლესიის მამათა შემოქმედებაში, რომელთა რელიგიურობაშიც გამოსჭვივის სპეკულატური ხასიათი.

დიდა ღვთისმეტყველთა გავლენა ჰეგელზე\*, მაგრამ შეიმჩნევა აგრეთვე პირდაპირი გავლენის ნაკვალიეიც; იგივე შეიძლება ითქვას ჰაიდეგერის შემოქმედებაზეც.

„ერთ-ერთ წერილში (ჰაიდეგერი, „რა არის აზროვნება?“) ყველაზე დამაფიქრებელი მჭმუნვარე ჩვენს ეპოქაში ისაა, რომ არ ვაზროვნებთ ჯერ კიდევ; მაგრამ ჩვენი ბრალი როდია, რომ არ ვაზროვნებთ ჯერ კიდევ; ასე რომ იყოს ეს იქნებოდა დაუდევრობის ბრალი და ყოველივე შესაბამისი შემოქმედებით დაიძლეოდა ადამიანის არსებაზე; მიზეზი იმისა, რომ არ ვაზროვნებთ ჯერ კიდევ, ის კი არაა, რომ ადამიანი არ მიბრუნებია იმას, რაც სააზროვნო უნდა იყოს თავისითვე, არამედ იმიტომ, რომ თავად ეს სააზროვნო ზურგს ვაქცევს; მეტიც, დიდი ხანია, რაც მიქცეულია“ [6].

აზრის განვითარების გრადაციებით, გამოთქმის წესით და სტილით ეს ციტატა დიდადაა საღვთო წერილით დავალებული. „რამეთუ თქმულ არს, ვითარმედ (. . . . .) რომელი მიიქცის, არა მოიქცისა“ (იერ. 8, 4); [2, გვ. 612].

ჰაიდეგერის შემოქმედებაში (ამ შემთხვევაში მისი აღრეული შემოქმედების წერილებია მხედველობაში მისაღები) გვხვდება სახარებისეული სიუჟეტები; თუმცა თავისუფალ აზროვნებას აქვს დათმობილი სარბიელი, მაგრამ ყოველივე „რა ვინდა რას“ დაშვებას არ ნიშნავს.

ჰეგელის შემოქმედება არის კრიტიკული გზით წარმომდგარი ახალი; ამ თვალსაზრისით ჰაიდეგერის შემოქმედება მეტადაა თავისუფალი; ყოველივე აიხსნება აზროვნების ისეთ რანგში აყვანით, რომ ცოცხლად წარმოდგება თაობათა მარადიული კავშირი.

**კონკრეტული ისტორიული პროცესის ანალიზის საკითხისათვის.** ჰეგელის მიხედვით, ფილოსოფია, ეპოსი და დრამა იჩენს ორ არსებით თავისებურებას: მათში გაბატონებული სტატუსის მქონე ტრადიციულ ღმერთთა სამყარო; ამავე დროს მათში იგრძნობა უფრო დიადის, ყოვლისმომცველის დაბადების სამზადისი.

ბერძენთა მიერ დიდ მრავალფეროვანებაშია წარმოდგენილი ფილოსოფიამდელი და საკუთრივ ფილოსოფოსობის ხაზი; ფილოსოფიის განვითარება თუმც ხდება ბერძენთა ყოფის საფუძველზე, მაგრამ ამ მოვლენას „კერძო“ ნიადაგი უკვე აღარ აინტერესებს; ბერძნული კულტურა შორს წავიდა იმით, რომ გარკვეულ ეტაპზე ფილოსოფიურ პრობლემებზე მსჯელობა დაიწყო და აშალდა ისამდე, რასაც ჰქვია საკაცობრიო.

კლასობრივ იერარქიას და ელიტურ სტატუსს, — სხვათა მიმართ რომ ავლენს ბერძნული სამყარო, — აქვს ჯერ კიდევ მასშტაბურად ვიწრო თავისუფლება; ყოველივე ქმნის გარკვეულ ყოფას, რასაც უარყოფითთან ერთად აქვს დადებითი მომენტები; მაგრამ, ცნობიერებასა და ყოფიერებაში მომხდარი ძვრები უკვე ითხოვდა თავისუფლებას ფართო მასშტაბით; ამ დროს შემოდის ბერძნულ დრამაში სოციალურად დათრგუნულთა ცხოვრების ამსახველი სურათები; ისინი სიკეთეს მოითხოვენ ფართო მასშტაბით.

\* იმაშია ჰეგელის და ჰაიდეგერის შემოქმედების მსგავსება, რომ საკუთარ თავში შეიძლება ყველაფერს და ყოველივეს (ფილოსოფია, პოეზია, თეოლოგია) ახლებურად ბადებენ.

ამ მხრივ ბევრი აქვს საერთო ანტიკური პერიოდის დასასრულის და მე-18—19 საუკუნეთა შემოქმედებას; ისტორიული თვალსაზრისით მათში საერთოა რღვევის და ახლის ჩასახვის პროცესი, რაც თავისუფლებას მოითხოვს შემეცნებითი, ზნეობრივი და ფილოსოფიური გაგებით; ამ დროს კრიტიკის საგანია როგორც „კერძო“ — შეზღუდული, ვიწრო გაგებით, ასევე „განუზრებული ზოგადი“; ეს საკითხები ამ დროში ვრცელადაა განხილული ამა თუ იმ დეტალის დამუშავების თვალსაზრისით.

„დაპირისპირების დროს განსხვავებულს უპირისპირდება არა გარეგანი სხვა რაღაც, არამედ თავისი სხვა; ჩვეულებრივი ცნობიერება განსხვავებულთ ერთმანეთის მიმართ განიხილავს როგორც ვულგარილებს; ასე ამბობენ: „მე ადამიანი ვარ; სხვა ყველაფერი — ცეცხლი, მიწა, წყალი, მცენარეები, ცხოველები ჩემს ირგვლივა; გათიშულია აქ ყველაფერი; ფილოსოფიის მიზანია დაძლიოს ეს ვულგარილობა და შეიცნოს ნივთთა აუცლებლობა ისე, რომ ყოველი ვლინდებოდეს სხვასთან მიმართებაში“ [1, გვ. 150].

ყოველი პოზიცია, როცა მხოლოდ კერძო, ან მხოლოდ ზოგადი დგას ყურადღების ველში, ადამიანზე ახდენს გავლენას; ამ პოზიციიდან გამომდინარე შედეგები კი მას უბიძგებს მეტისმეტად დახშული „კერძოს“ და უზომოდ გახსნილი ზოგადის გადასალახად. ჰეგელის მიხედვით, ზოგადი ერთია ყველა განსხვავებულში — ისაა უპირველესი; ზოგადის და კერძოს ურთიერთგანმსჭვალვა აქვს შლივგლსაც მხედველობაში, როცა აღნიშნავს, რომ დაუნაწევრებელი მთლიანობა და ცოცხალი შინაგანი კავშირი მაშინ არსებობს, მარადიულამდე როცა ვმალდებით.

ზოგადის და კერძოს ერთმანეთისადმი დახშულობაა ჰეგელის კრიტიკის საგანი; კრიტიკა ფილოსოფიის საზღვრებს შორდება და ადამიანურ ურთიერთობებსაც მოიცავს; ჰეგელის შემოქმედებაში ფართო მნიშვნელობის მქონეა მონისა და ბატონის ურთიერთობა; გარდა სოციალური ასპექტისა, ის გულისხმობს სამყაროს კანონზომიერებათა შეცნობას; ადამიანი გაურკვეველობითაა მოსილი, როცა მას ბუნების კანონები შეცნობილი არა აქვს.

პროტესტის გრძნობას იწვევს საკუთრება ვიწრო გაგებით; ჰეგელი ამ ეპოქის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ერთად არაა გამორჩეულობის და სიმდიდრის უარყოფელი; მას არ მოსწონს, როცა „ნივთი“ ჩაგვირის საშუალებადაა ქცეული.

შეუძლებელია იმ თვალსაზრისის მიღება, რომ ნიშნები, რომელთა მიხედვითაც რევოლუციას წინასწარმეტყველებდნენ ისტორიკოსები, შემთხვევითაა მოხვედრილი მათ თვალში; მაგრამ განა იმდროინდელ ვითარებას სხვა სარჩულს დაუღებდა რომელიმე ისტორიკოსი?

ჰეგელი უარყოფს ინდივიდუალობას მოკლებულ ზოგადს; გარდა ამისა, მისთვის მიუღებელია აგრეთვე „კერძო“ ვიწრო გაგებით; მისი შემოქმედების საგანია სიცოცხლე (ამოუწურავი ტოტალიზმის), სიყვარული (უნაკლო მთლიანობის თვალსაზრისით) და სინათლე ნეოპლატონური მნიშვნელობით.

ჰეგელის მიერ დამუშავებული მასალა ვრცელია; მისმა შემოქმედებამ განიცადა არამარტო ანტიკური კულტურის გავლენა (რაც ნათლად აისახა მის შემოქმედებაში), არამედ იმ მოღვაწეთა გავლენაც, ვინც იყვნენ მისი თანამედროვენი; ყველა მათგანი შემოჭრილი პრობლემებით და მათი გადაჭრის მცდელობით ჰეგელის შემოქმედებაში ახლებურად აგრძელებს სიცოცხლეს; ზოგიერთს მეტი კონკრეტულობა ემატება, ზოგი კი განხილულია ფართო მასშტაბ-

ბით. ჰეგელის შემოქმედება ყოვლისმომცველი კოსმოპოლიტიზმით ხასიათდება; იგი მოიცავს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ყველა შემეცნებით უნარს და ყველა ქვეყანას.

გავლენა, რასაც ერთმანეთზე ახდენენ შემოქმედები, ერთმანეთის თხზულებათა კითხვით, ან აზრთა გაზიარებით არ აიხსნება; მსგავსებას იწვევს ადეკვატური წვდომა; ამავე დროს ამ პროცესს თითოეულმა რაღაც შემატა საკუთრივ.

დ'ონდის მიხედვით, ჰეგელის „ისტორიის ფილოსოფია“, — როცა ის რევოლუციის მოსამზადებელ ეტაპს ასახავს, დიდადაა ფრანგ ფილოსოფოსთაგან დავალებული; მათი ერთ-ერთი წარმომადგენელია რაბაუ დე სან ეტიენე; „მინერვაში“ დაიბეჭდა მისი ერთ-ერთი შრომის („საფრანგეთის რევოლუციის ისტორია“) თარგმანი; ჰეგელის და ეტიენეს მიხედვით გამოუთქმელი კატასტროფა და თვითნებური თამაში არაა საფრანგეთის რევოლუცია; ის ამალღებულად და სატანურად არ უნდა მივიღოთ იმის გამო, რომ მავანის და მავანის თვალში მოწონება, ან სიძულელი დაიმსახურა. მათი მიხედვით, ლეაწლს და ცხოვრებას სხვა რანგში გვიჩვენებს რევოლუცია; ჩვენს წინაშეა არარად ქცევა და წარმოდგომა. უდიდესია ჰეგელზე ეტიენეს გავლენა, როცა ამტკიცებს, რომ ბრძოლის გარეშეც შეიძლება დაიბადოს ახალი, თუ კი ძველი პროგრესულია.

ურიცხვი ცოდვა საფრანგეთს რევოლუციას უახლოებდა, მაგრამ, მმარბთვე კლასებს ცვლილებათა გატარების აუცილებლობა გაცნობიერებული მაინც არ ჰქონდათ; მათ სასაცილოდ არ ყოფნდათ ხალხის ინტერესები; სწვა ვითარება იყო გერმანიაში — რელიგიურ და პოლიტიკურ ჩაგვრას აქ ამგვარი შემამარწუნებელი სახე არ ჰქონდა; საინტერესო ფაქტებს თავაზობს ჰეგელს ეპოქა; აქა ისტორიული გამოცდილება, რასაც არა მარტო კამიტალიზმი, არამედ ფეოდალიზმიც გვასწავლის; მოსახლეობის ჭრელი სოციალური სტრუქტურა, მრავალფეროვანი დაჯგუფებანი ჰეგელს აფიქრებს და იქით უბიძგებს, რომ მისი კრიტიკის საგანი არ იყოს მხოლოდ აწმყო, ან მხოლოდ წარსული.

დ'ონდის მიხედვით, როცა წარსულისკენ აქვს ფიქრი მიმართული, ჰეგელი შთაგონებულია ფრანგი ისტორიკოსის ვოლნეს თხზულებით; გვხვდება აგრეთვე პირდაპირი გავლენის ნაკვალევიც; ყოველივეს დადასტურებას წარმოადგენს გამოთქმები, რომელთა შემწეობით წარმავლობის მიმართ სევდაა გამოხატული; რა მიზეზით ხდება იმპერიათა დამხობა, ან აღზევება? საიდან იბადება სიკეთე, ან ბოროტება? — ჰკითხეთ არსთა გამრიგეს. ვოლნე გოდებს, თან მოსასხამით იბურავს სახეს; ჰეგელიც ამგვარადვე აყენებს საკითხს, თან იგივე პოზას იმეორებს.

ჰეგელის და ვოლნეს მიხედვით, დაცემას ეგოიზმი, პატივმოყვარეობა და სიბნელე განაპირობებს. პრობლემები, — ვოლნეს რომ აწუხებს, — ჰეგელსაც აფორიაქებს, მაგრამ სხვაა ჰეგელისეული გადაჭრის გზები; აქ უსასრულო ამალღებაა გრძნობად რეფლექსიაზე; სიკვდილი არ უნდა გავიგოთ აბსოლუტური გაგებით; სიცოცხლე მოითხოვს შემოქმედებას — ამ ნაპირიდან კი მოწყენილი ნანგრევები აღარც კი გვახსოვს.

**თავისუფლება ზოგადი და კონკრეტული გაგებით.** მე-18—19 საუკუნეთა მიჯნა გარდატეხის პერიოდი კონკრეტული და ფართო მასშტაბით; ამ პერიოდისთვის აუცილებელია ტრადიციული და რევოლუციური მომენტები; ამ

პროცესში ტრადიციული ყურადსაღებია ღირებულებათა თვალსაზრისით; რევოლუციური მომენტი კ — ამ ღირებულებისათვის მასშტაბური ხასიათის მიცემით; შლეგელს ფართო თავისუფლება აქვს მხედველობაში, როცა გვიჩვენებს: ნუ ეძებთ თავისუფლებასო წარსულში, იგი წინ გელით.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში კაპიტალიზმი ადრე მომწიფდა და სამამულო ნიადაგზე გაიარა ყველა ეტაპი, ამას თავისუფლების სრულ გამოვლენად არ მიიჩნევენ იმ დროის შემოქმედები; მათი გაგებით თავისუფლებას კიდევ სხვა რაღაც სჭირდება — სოციალური, მორალური, შემეცნებითი და საკაცობრიო მასშტაბით.

ფართო მნიშვნელობის ცნებაა თავისუფლება, მაგრამ, ამავე დროს მას აქვს კერძო ასპექტები; ყოველივეს განაპირობებს ამა თუ იმ ქვეყნისთვის დამახასიათებელი კონკრეტული ისტორიული პირობები, რეალური ბაზისი.

თავისუფლებისაკენ სწრაფვის გამოვლენას წარმოადგენს იდეა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე; ეს იდეა არსებითი იყო იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც იყო უცხო კაპიტალის მეტოქეობის ასპარეზი.

ყოველსომომცველი, პირველსაწყისთან ახლო მდგომი თავისუფლება აქვს შლეგელს მხედველობაში, როცა აღნიშნავს: „სიყვარული ნიშნავს სხვაში ცხოვრობდ და საკუთარ თავს მასში ხედავდ“ [4, გვ. 369]. ადამიანს შეუძლია გაიხსნას სამყაროში და პირიქით — საკუთარ თავში დაიტოვოს სამყარო. მაგრამ, თავისუფლებას აქვს კონკრეტული საკითხები, საკუთრივ ამა თუ იმ ქვეყნისთვის დამახასიათებელი; გერმანულ ფილოსოფიაში თეორიულ საფუძველზეა გადაწყვეტილი თავისუფლების საკითხი; საფრანგეთსა და ინგლისში ეს პრობლემა დგას სოციალურ და ეკონომიურ საკითხთა გადაწყვეტის კუთხით; რატომღაც ფიქრობენ, რომ ეს პრობლემები ჩრდილავენ არსებისეულ საკითხებს, მაგრამ, ამგვარი ფიქრი სწორი არ არის — კონკრეტულ საკითხთა უგულვებელყოფა თეორიულ საკითხთა უგულვებელყოფაც არის.

დონდის მიხედვით, ბევრის მთქმელია ჰეგელის ლექსი („Eleusis“). იგი 1796 წელს შვეიცარიიდან წამოსვლის წინაა დაწერილი: ლექსი ზელნაწერის სახითაა მოსული; თუმც აუწყობელია და გაუმართავი, მაგრამ მაინც უამრავ საინტერესო მასალას გვთავაზობს ისტორიული თვალსაზრისით; მასში წარსულია დაუნჯებული, ამავე დროს გავლენას ახდენს ეპოქის რიტმი\*. დონდის ნაშრომის მიხედვით [8], ბევრი რამ გეცნაურებათ, თუ შტაიგერების სახლს, სადაც ჰეგელი ასრულებდა შინა მასწავლებლის მოვალეობას, ახლოს იხილავთ. შტაიგერების სასახლე ორ ზღვას შუაა გადაჭიმული; ამ ზღვასთან და მთებთან, რომლებიც სასახლეს დაჰყურებენ, დაკავშირებული იყო რუსოს ცხოვრება; განსაცდელის და დევნის; დროს რუსომ აქ ჰპოვა თავშესაფარი; რუსოს პატივისცემა ჰეგელმა მთელი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა; 1827 წელს

\* „შვების მომგვრელი ღამე მაძლევს თავისუფლებას, შორს სივრცეში, მთებს შიღმა მიკურავს. ცისფერი ნისლით მოსალტული, ყვითელი მთვარე, აურაცხელ აღმასთა დარად კრთის ზღვა და მდინარე.“

ამგვარ ყოფნაში მოგონება ცოცხლდება ჩემში — დღის ხმაური და სახრუნავი, რომ მივიწყებს ზოგჯერ, წარსულთან ერთად, მეგობარო, შენი სახე ცოცხლდება ჩემში და კვლავ შეხვედრის იმედს მიღვიძებს“.



მან ისარგებლა შემთხვევით და პარიზში ყოფნისას, — სადამდეც კი ხელი მიუწვდა, — რუსოს მიმდევრები მოინახულა.

ჰეგელის ლექსი არის მეგობრობისადმი მიძღვნილი სადიდებელი; იგი შილერის „მეგობრობისადმი“ მიძღვნილი ოდის და კოსმოპოლიტა ჰიმნების გავლენას განიცდის; შეუძლებელია მისი წაკითხვა სხვა თვალსაზრისით; აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთობის წევრობას ლექსი ნაკლებად ითხოვს; მისთვის სრულყოფილებისკენ სწრაფვაა მოაყარი; შინაარსის საიდუმლოდ დატოვების მცდელობაცაა ლექსის მთლიანობას მოკლებულობის მიზეზი; ჰეგელი საიდუმლოს ნახევრად ამბობს; რომანტიკული ღამის წყვილადში ჩაფლულ შევიცარიის მთებს გვაგონებს იდუმალებით მოსილი მისი აზრები.

კოსმოპოლიტური იდეებით შთაგონებული ჰეგელი გვიან ეროვნული თემითაა გატაცებული; მისი შემოქმედების სახით ჩვენს წინაშეა გერმანელი ერის, მასთან ერთად კაცობრიობის თვითცნობიერების ჩამოყალიბების პროცესი.

**აზროვნების და რწმენის მიმართების საკითხისათვის.** მე-18—19 საუკუნეთა შემოქმედებისათვის დამახასიათებელია კრიტიკა; კრიტიკა დასაწყისში წარმოების ფოდალურ წესს ეხება, შემდეგ კი იმ არასასურველ შედეგებსაც აგრეთვე, რაც ახალში ჩაისახა; ამ დროს უამრავი შემოქმედი სინანულით იმას დასძენს, რომ თავისუფლება სრულად არც ერთ სისტემაში არ ეტევა.

აზრთა მრავალფეროვანების მიუხედავად ძირითად თემად გვევლინება აზროვნების და რწმენის მიმართების საკითხი.

ფილოსოფიას, რელიგიას და ხელოვნებას ერთი საფუძველი აქვს ჰეგელის მიხედვით; მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ შორის არის განსხვავებაც; რელიგია არის „უშუალო ცოდნა ანუ რწმენა“, აზროვნებით გაშუალებული რწმენა კი არის ფილოსოფია; ფილოსოფია ახალ შინაარსს არ ნერგავს ადამიანის სუბსტანციაში; აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანში რელიგიურ გრძნობას ნერგავს ფილოსოფია, გავს იმას, რომ ძაღლმა წიგნის ღრღნით იპოვოს სული.

გატაცებით ლაპარაკობს ამაზე შლეგელიც; მის შემოქმედებაში შერწყმულია რელიგიურობა, მხატვრულობა და აზროვნების მეცნიერული დონე; ზუსტად ასევე შლაიერმახერის მიხედვით რელიგიის, ფილოსოფიის და ხელოვნების საფუძველი ერთია: „ხელოვნება პრაქტიკაა, მეცნიერება — სპეკულაცია, რელიგია კი მარადიულის წვდომა, შეცნობა; მარადიულის გარეშე ჩონჩხი იქნებოდა მეცნიერება და ხელოვნება“ [5, გვ. 139].

ჰეგელს კვლევის გარეშე არ დაუტოვებია არც ერთი სფერო, მათ შორის რილიგია; სხვადასხვა მიმდინარეობებზე (ქრისტიანობა, ბუდიზმი, იუდაიზმი, მუსულმანობა) მსჯელობისას არც ერთი მათგანით არ იზღუდება; მისთვის ამოსავალია გონის სამყარო; ეპოქის რიტმს ადგენს მისწრაფება მაღალი მყოფობის დამკვიდრებისკენ; ყოველივე თავის წანამძღვრად გულისხმობს აზროვნების შინაგანი სტრუქტურის გახსნას.

ჰეგელი ყველაფერზე მაღლა აყენებს ღვთაებრივს („ზოგადს“) ამავე დროს კონკრეტულში ხედავს ღვთაებრივის ნაპერწყალს. ჰეგელი შეძლებისდაგვარად ცდილობს გასაგები გახადოს ორიენტაციის საკითხი; ორიენტაცია გარეთ — ღვთაებრივი მიღმურობისკენ დამახასიათებელია ბერძენთა შემოქმედებისათვის — ღვთაებრივი, ბერძენების აზრით, არის უხრწნელი და მარადიული; მიწიერი კი ამაო და წარმავალია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ღმერთები არ არიან მედიდურად ზემოდან გადმოხედნი; ადამიანებს განსაცდელის უამს ეცხადე-

ბიან და თანაგრძნობას უწევენ ისინი; რითაა ძველ ბერძენთა შემოქმედებაში მაღალი მყოფობის გამოცხადება აღბეჭდილი? — დიდშემწეიერებით, სიკეთით, შემწეობით და არა ქიმიერული დახლართულობით და შემაძრწუნებელი სასწაულებით.

ჰეგელი თავისი შემოქმედების შუაგულში აყენებს ბუნებას, ადამიანს, მაგრამ, მხოლოდ ამას არ სჯერდება; მან იცის, რომ სიღრმის გარეშე ცარიელია სიცოცხლე, რომ უამისოდ ის იაფფასიან ძველმანად გადაიქცევა; სიყვარულითა განათებული ჰეგელის მოძღვრება; ყოველივე ცალკეულ ფრაგმენტებში როდი ვლინდება, არამედ ცნობიერი, შეგნებული შემოქმედებით მთელს განმსჭვალავს; ამიტომ სწორუბოვარი სიღრმით დგას ჩვენს წინაშე ყველა ფრაგმენტი.

ჰეგელის შემოქმედების შუაგული აზროვნებაა; ჩვენს წინაშეა მეთოდთა სისტემა, რთული სქემები, მაგრამ მხოლოდ ეს რომ ყოფილიყო აზროვნება, მაშინ მის ღვაწლს მნიშვნელობა არ ექნებოდა; ჰეგელის შემოქმედებაზე მსჯელობისას ყურადღებას აქცევენ ბუნებას და აზროვნების კანონებს, მაგრამ განზე რჩებათ გონი; ჰეგელი ესალმება ჯანსაღი გონის განთიადს, ფილოსოფიის გაახალგაზრდავებას, რაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოვლინდა და გამოვლენას ჰპოვებს ზნეობრივ სრულყოფილებაში. ფილოსოფია და სალი ადამიანური განსჯა არასოდეს დათანხმდებიან იმას, რომ მათ წაართვან უფლება სამყაროს ემპირიულ ჰერეტიკზე ამოღებისა.

მე-18—19 საუკუნეთა მიჯნაზე იხადება აზრი, რომელიც გვაუწყებს, რომ ამიერიდან გაბატონებული სტატუსი უნდა მოიბოვოს რეალიზმმა; მაგრამ ეს არ იქნება მოვლენა, რასაც აბსოლუტურად ექნება კავშირი გაწყვეტილი წარსულთან; რეალიზმი უნდა აღმოცენდეს იდეალიზმის ფესვიდან და უნდა იყოს იმის სინამდვილედ ქცევა, რაც მანამდე აზრის სამყაროში არსებობდა.

**ახალი მყოფობის დამკვიდრება.** ჰეგელის შემოქმედებაში თავისუფლების საკითხი დგას ფართო მასშტაბით; ამ გაგებას საუკუნეთა მანძილზე მიმდინარე ღვაწლი უმზადებს საფუძველს; ამ დროს უარსებითი მნიშვნელობა ენიჭება ახალი მყოფობის შექმნას, რასაც მეტი თავისუფლება ახასიათებს.

მაღალი მყოფობის დამკვიდრება არაა აბსტრაქტული პროცესი, მასში მონაწილეობს ყველა ერი განუმეორებელი კულტურით; გასათვალისწინებელი მომენტი, რაც დგას იმდროინდელი აზროვნების ცენტრში, ესაა გათიშულობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი; აბსოლუტური დაპირისპირების ნაკლი იმ ეპოქაშივე გამოიხატა ძველსა და ახალს შორის წინააღმდეგობისა და კლასებს შორის ბრძოლის სახით.

მე-18—19 საუკუნეთა მიჯნა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი საპირისპიროთა ბრძოლას ვითავაზობს; ბრძოლა. — რაც მწიფდება ისტორიული აუცილებლობით, — მაღალი მყოფობის დამკვიდრების მიზნით არსებობს.

გათიშვის დამხობის სიმბოლო იყო საფრანგეთის რევოლუცია; მიუხედავად იმისა, რომ ის იმ ეპოქისთვის დამახასიათებელ საკითხებს წყვეტდა საკუთრივ, მასში ამალღებული სულისკვეთება იყო წარსულიდან გადმოსული.

მაგრამ, მას შემდეგ რაც გაცვეთილი მისცა რევოლუციამ, ჰეგელი კითხულობს: მიაღწია თუ არა სიყვარულმა მიზანს, დააფუძნა თუ არა მან „ძმათა

ერთობა? საკონტრულში ჩაეარდნილი ჰეგელის მწუხარება იმდროინდელმა ვითარებამ გამოიწვია.

ჰეგელისათვის მისადებია ჭეშმარიტი დემოკრატია, რომლის განხორციელების თავისებური მცდელობაც იყო საფრანგეთის რევოლუცია; მაგრამ ამაზე ჰეგელი პირდაპირ არ ლაპარაკობს; დემოკრატიაზე ფიქრისას საბერძნეთის ხსენება ცენტრის თვალის ასახვევად სჭირდება; მაგრამ, ჰეგელმა უფრო მეტი შეძლო — ბერძენთა ღვაწლს მან საყოველთაო მნიშვნელობა მიანიჭა.

დონდის მიხედვით, გუეროულტის პიესითაა ჰეგელი ამ დროს შთაგონებული, პიესა 1792 წლის ნოემბერში იყო „მინერვაში“ დაბეჭდილი.

„ფილოსოფიის ისტორიაში“ (ლასონისეული გამოცემა) იმ ნიშან-თვისებებზე მიუთითებს ჰეგელი — ნამდვილ დემოკრატიაში რომ ახასიათებს; დაძაბულობას მოკლებული, თავისუფალი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ ერთმანეთს შორის მოქალაქეებს; მათში ერთუზიანობა უნდა სუფევდეს [8].

„მინერვაში“ გუეროულტის პიესის მხატვრულ ღირსებაზეა ლაპარაკი, მაგრამ პიესა მსჯელობის საგნად სხვა მიზეზის გამოა გადაქცეული; ანტიკური სამყაროდან გაცოცხლებულ სცენებში საფრანგეთის რევოლუცია იგულისხმება.

საფრანგეთის რევოლუცია აქვს ჰეგელსაც მხედველობაში, როდესაც ბერძენთა შეუღრეველ ბრძოლებს აგვიწერს — სიკვდილისა არ ეშინოდით მამაც მეომრებს, იკოდნენ, რომ სამშობლოს ემსახურებოდნენ — ამაშია მათი მითითობა; მათში სუფევდა დისციპლინა, ერთსულოვნება, სამართლიანობის ცნობიერება და თავისუფალი ინდივიდუალობის პრინციპი.

ჰეგელს დადებითი წარმოდგენა არა აქვს ისეთ სახელმწიფოზე, სადაც მთელის სუბსტანციას ადგენს „ზოგიერთის მოთხოვნები, სიმშვიდე და სამართალი“. როცა ერთეულთა ინტერესების დამცველია ქვეყანა, არსადაა პატრიოტიზმისთვის ადგილი.

გუეროულტის პიესაში ჰეგელმა დაინახა ბრძოლა დაპირისპირებულ პრინციპებს შორის: ყოველივემ კაცობრიობის ჩამოყალიბების საქმეში დაიმკვიდრა ადგილი; გუეროულტმა ჰეგელს შეუძრა გული აგრეთვე ეროვნული მოტივით; ამ მხრივ იგი კვლავ კოსმოპოლიტებს უკავშირდება.

ჰეგელს სურს შეიცნოს ისტორიის არსი საკუთრივ; მაგრამ ამ არსს შორდება, როცა იწყებს მოვლენათა დეტალურ ანალიზს; ყველაფერში მსუფვე „მეტის“ შეცნობა მოითხოვს აზროვნების განსაკუთრებულ რეგისტრს; ისტორიულ ხდომილებათა დეტალიზაციის პროცესში კი ხდება „ჩაყოლა“ სივრცით და დროით შეზღუდულ მოვლენებში.

მაგრამ, იმაზეც უნდა მივუთითოთ, რომ საინტერესო მასალას გვაწვდის ისტორიულ ხდომილებათა ჰეგელისეული ანალიზი.

ჰეგელთან, ისევე როგორც ჰაიდეგერთან, ყველაფერზე მაღლა მდგომია ზედროული. ჰაიდეგერი ყოველივეს გამოხატავს არსობრივად ღრმა შინაგანი ფორმით; ჰეგელთან გარეგანი მიმართება ჯერ კიდევ არაა დაძლეული როგორც არსობრივად, ასევე გამოხატვის მხრივ. ჰეგელის მიხედვით, მყოფის არსის გაცნობიერება არის დრო და სივრცეში გაჭიმული პროცესი; ჰაიდეგერთან კი „მყოფს“ წინ არ ეფარება არაფერი.

\* ერთ-ერთი ტერმინი, რასაც ჰაიდეგერი იყენებს ზშირად („რა არის აზროვნება“, „მოთა“, „ლოგოსი“).

ჰეგელი ცდილობს შეიცნოს ისტორიის კანონები და ამ კანონთა არსი; გარდა ამისა, მას სურს ყოველივე რაღაცნაირად ზედაპირზე ამოიტანოს და ცხადი გახადოს; ჰაიდეგერისთვის კი იმთავითვე ისაა ძირითადი, რაც იხსნება, ამავე დროს რჩება დაფარული.

ჰეგელის არსის და არარსის დიალექტიკისათვის უცხო როდია გახსნა-დაფარვის მომენტი; ქმნადობის ცნების თანახმად, ახალი შესაძლებლობის სახით უნდა გაიხსნას დაფარული; მაგრამ, ჰეგელთან ძირითადია დაფარულის გახსნის მომენტი, ჰაიდეგერთან კი ის, რაც დაფარული რჩება გახსნილში.

#### ლიტერატურა

1. ჰეგელი, ფილოსოფ. მეც. ენციკლ. „ლოგიკის მეცნიერება“. თბილისი, 1962.
2. „ეპისტოლენი წმინდა ეგნატი დმეტრშენოსილისა“, შეათვრთმეტე ეპისტოლუ ევესელთა მიმართ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1988.
3. ჰაიდეგერი, რა არის ფილოსოფია, თსუ სამეც. ბიბლიოგრაფ. კრებულები, 1972, № 6—9.
4. А. А. Ж. де Сталь, О поэзии, Литературные манифесты западноевропейских романтиков, МГУ, 1980.
5. Ф. Шлейермахер, О религии. — Там же.
6. Heidegger, Was heisst Denken, Vorträge und Aufsätze, t. 2, Neske, 1967.
7. Heidegger, Logos, Vorträge und Aufsätze, t. 1, Neske, 1967.
8. D' h o n d t, Verborgene Quellen des Hegelschen Denkens, Berlin, 1966.

#### Г. П. МУРАДАШВИЛИ

### О РАЗЛИЧНЫХ И СХОДНЫХ МОМЕНТАХ ФИЛОСОФИИ ГЕГЕЛЯ И ХАЙДЕГЕРА

Философия Хайдегера — рождение философии в новой форме; этот момент является для него совместно с Гегелем общим.

Основной чертой мышления Гегеля — стремление контакта с первоосновой («Sein»); в философии Гегеля человек изображается как познающий сущность; в творчестве Хайдегера, в отличие от него, эта сущность выявляется из глубины человеческого мышления. Гегель еще не свободен от формы внешнего изложения этого процесса, в творчестве Хайдегера же этот процесс открывается из внутренней структуры самого мышления.

Для Гегеля важен конкретный анализ исторического процесса.

Объектом критики является не только конкретное — в узком смысле, — а также абстрактное всеобщее. Гегель, как и передовые представители 18—19 веков не возражает против изобилия и изысканности; он не терпит, когда собственность является средством эксплуатации.

Свобода является всеобщим понятием; в то же время она имеет конкретные аспекты, присущие отдельным странам в различные исторические эпохи. Проблема свободы в Германии представлена в теоретическом плане; во Франции и в Англии — с точки зрения социальных и экономических отношений.

Гегель стремится к познанию сущности истории; но процесс детального ее анализа иногда теряет.

Познание сущности по Гегелю представляется как продолжительный процесс во времени и в пространстве.

Философия Гегеля — своеобразное стремление к открытию тайны; а для Хайдегера — это процесс выявления и в это же время — замыкание.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილო-  
სოფიის ინსტიტუტმა

В. О. ВАГАНЯН

## РЕШЕНИЕ ПАРАДОКСОВ

**1. Парадокс Рассела.** Пусть  $A$  — множество всех тех и только тех множеств, которые не являются элементами самих себя. Если  $A$  не является элементом самого себя, то  $A$  является элементом самого себя. Если  $A$  является элементом самого себя, то  $A$  не является элементом самого себя.

Решение.  $A$  — множество всех тех и только тех множеств  $X$ , которые не являются элементами самих себя:

$$(X \in A) \iff (X \notin X) \quad (1)$$

В (1) вместо  $X$  подставив  $A$ , приходим к противоречию:

$$(A \in A) \iff (A \notin A) \quad (2)$$

Согласно бинарному правилу (см. 1) в динамически корректной теории множеств  $X \notin X$ ,  $A \in A$ ,  $A \notin A$ , не ппф. следовательно, формулы (1) и (2) не ппф (бессмыслица).

**2. Парадокс парикмахера.** Совет одной деревни издал указ, что деревенский парикмахер (предполагается, что он единственный парикмахер в этой деревне) должен брить всех тех и только тех мужчин деревни, которые не бреются сами. Если парикмахер не бреется сам, то он должен брить себя согласно указу. Если парикмахер бреется сам, то, согласно указу, он не должен брить себя.

Решение:  $B$  — деревенский парикмахер, бреющий всех тех и только тех мужчин деревни, которые не бреются сами:

$$(X \alpha B) \iff (X \beta X) \quad (3)$$

$X \alpha Y$  читается: „ $Y$  бреет  $X$ “.

$X \beta Y$  читается: „ $Y$  не бреет  $X$ “.

В (3) вместо  $X$  подставив  $B$ , приходим к противоречию:

$$(B \alpha B) \iff (B \beta B) \quad (4)$$

Согласно бинарному правилу, в динамически корректном языке  $X \beta X$ ,  $B \alpha B$ ,  $B \beta B$  не ппф. Следовательно, формулы (3) и (4) не ппф (бессмыслица).

**3. Парадокс Гонсета (парадокс каталогā).** Библиотека решила составить библиографический каталог  $C$ , в который должны входить все те и только те библиографические каталоги, которые не включают себя. Включает ли каталог  $C$  себя?

Решение.  $C$  — библиографический каталог, в который входят все те и только те библиографические каталоги, которые не включают себя:

$$(X \in C) \iff (X \notin X) \quad (5)$$





В (5) вместо  $X$  подставив  $C$ , приходим к противоречию:

$$(C \in C) \iff (C \bar{\in} C) \quad (6)$$

Согласно бинарному правилу в динамически корректном языке  $X \bar{\in} X$ ,  $C \in C$ ,  $C \bar{\in} C$  не ппф. Следовательно, формулы (5) и (6) не ппф. (бессмыслица).

**4. Парадокс любовника.** Пьер любит всех тех и только тех женщин, которых свои мужья не любят. Любит ли Пьер (предположим, что он женат) свою жену?

Решение. П — Пьер:

$$(X \alpha P) \iff (X \beta X) \quad (7)$$

$X \alpha Y$  читается: « $Y$  любит жену  $X$ »,

$X \beta Y$  читается: « $Y$  не любит жену  $X$ ».

В (7) вместо  $X$ , подставив  $P$ , приходим к противоречию:

$$(P \alpha P) \iff (P \beta P) \quad (8)$$

Согласно бинарному правилу в динамически корректном языке  $X \beta X$ ,  $P \alpha P$ ,  $P \beta P$  не ппф. Следовательно, формулы (7) и (8) не ппф. (бессмыслица).

**5. Парадокс Маннури.** Каждый муниципалитет в Голландии должен иметь мэра, и два разных муниципалитета не могут иметь одного и того же мэра. Иногда оказывается, что мэр не проживает в своем муниципалитете. Допустим, что издан указ, по которому некоторая территория  $S$  выделяется исключительно для таких мэров, которые не живут в своих муниципалитетах и предписывает всем этим мэрам поселиться на этой территории. Допустим, что этих мэров оказалось столько, что  $S$  образует муниципалитет. Где должен проживать мэр  $S$ ?

Решение.  $Y$  — мэр муниципалитета  $S$ :

$$(X \alpha Y) \iff (X \beta X) \quad (9)$$

$X \alpha Y$  читается: «Мэр  $X$  проживает в муниципалитете мэра  $Y$ ».

$X \beta Y$  читается: «Мэр  $X$  не проживает в муниципалитете мэра  $Y$ ».

В (9) вместо  $X$  подставив  $Y$ , приходим к противоречию:

$$(Y \alpha Y) \iff (Y \beta Y) \quad (10)$$

Согласно бинарному правилу, в динамически корректном языке  $X \beta X$ ,  $Y \alpha Y$ ,  $Y \beta Y$  не ппф. Следовательно, формулы (9) и (10) не ппф. (бессмыслица).

**6. Парадокс Эпименида.** Критянин Эпименид говорит, что все утверждения, сделанные критянами, ложны: если он лжет, то он говорит правду, и наоборот.

Решение.  $Y$  — Эпименид:

$$(X \alpha Y) \Rightarrow (Y \alpha Y) \quad (11)$$

$X \alpha Y$  читается: «критянин  $Y$  говорит, что все утверждения, сделанные (любим) критянином  $X$ , ложны».

Согласно бинарному правилу, в динамически корректном языке  $Y \alpha Y$  не ппф. Следовательно, формула (11) и вытекающий из нее парадокс Эпименида не ппф. (бессмыслица).

7. **Парадокс Эвбулида (парадокс лжеца).** Человек говорит: «Я лгу». Если он лжет, то он говорит правду, и наоборот.

Решение.  $X\beta Y$

(12)

$X\beta Y$  читается: « $Y$  говорит, что  $X$  лжет».

$B$  (12) вместо  $X$  подставив  $Y$ , получим  $Y\beta Y$ .

Согласно бинарному правилу, в динамически корректном языке  $Y\beta Y$  не ппф. Следовательно, вытекающий из нее парадокс Эвбулида не ппф (бессмыслица).

8. **Парадокс Ришара.** С помощью некоторых фраз русского языка могут быть охарактеризованы те или иные вещественные числа.

Например, фраза «отношение длины окружности к длине диаметра» характеризует число  $\pi$ . Все фразы русского языка могут быть представлены некоторым стандартным способом, а именно: упорядочим сперва лексико-графически (т. е. как в словаре) все фразы, содержащиеся в точности  $K$  букв, а затем поместим все фразы из  $K$  букв впереди всех фраз с большим числом букв. Теперь можно перенумеровать все фразы русского языка, которые характеризуют то или иное вещественное число.

Для этого достаточно в стандартной нумерации всех фраз опустить все остальные фразы. Число, получающее при такой нумерации номер  $n$ , назовем  $n$ -числом Ришара. Рассмотрим такую фразу: «Вещественное число, у которого  $n$ -й десятичный знак равен 1, если у  $n$ -го числа Ришара  $n$ -й десятичный знак не равен 1 и  $n$ -й десятичный знак равен 2, если у  $n$ -го числа Ришара  $n$ -й десятичный знак равен 1». Эта фраза определяет некоторое число Ришара, допустим,  $K=e$ , однако, согласно определению, оно отличается от  $K$ -го числа Ришара в  $K$ -м десятичном знаке.

Решение.  $Y$   $n$ -е число Ришара:

$$i(X\alpha Y) \Rightarrow (Y\alpha Y) \quad (13)$$

$X\alpha Y$  читается: «фраза» вещественное число, у которого  $n$ -й десятичный знак равен 1, если у  $n$ -й десятичный знак не равен 1 и  $n$ -й десятичный знак равен 2, если у  $n$ -й десятичный знак равен 1» определяет  $X$ ».

Согласно бинарному правилу, в динамически корректной теории чисел  $Y\alpha Y$  не ппф. Следовательно, формула (13) и вытекающий из нее парадокс Ришара не ппф. (бессмыслица).

9. **Парадокс Грелинга.** Некоторые прилагательные («правильный», «многосложный»...) обозначают свойство, которым они сами обладают.

Назовем их автологичными, а все остальные прилагательные — гетерологичными. Прилагательные «односложный», «зеленый»... гетерологичные.

Если прилагательное «гетерологично» гетерологично, то оно автологично, и наоборот.

Решение.  $X$  — прилагательное «автологично»,  $Y$  — прилагательное «гетерологично».

$$(Y\beta Y) \Leftrightarrow (Y\alpha X) \quad (14)$$

$Z\alpha X$  читается: „  $Z$  является  $X$ .“

$Z\beta Y$  читается: „  $Z$  является  $Y$ .“

( $Z$  — произвольное прилагательное).

Согласно бинарному правилу в динамически корректном языке  $Y\beta Y$  не ппф. Следовательно, формула (14) не ппф (бессмыслица).

**10. Парадокс «Крокодила».** В древней «дилемме крокодила» крокодил украл ребенка. Крокодил обещал отцу вернуть ребенка, если отец угадает, вернет ему крокодил ребенка или нет. Что должен сделать крокодил, если отец скажет, что крокодил не вернет ему ребенка?

Решение.  $X$  означает «не вернет»,  $Y$  — «вернет»:

$$(X\alpha Y) \vee (X\alpha X) \quad (15)$$

$U\alpha V$  читается: «отец скажет  $U$  и крокодил  $V$ ».

Согласно бинарному правилу, в динамически корректном языке  $X\alpha X$  не ппф. Следовательно, формула (15) не ппф (бессмыслица).

**11. Парадокс путешественника.** Путешественник попал к людоедам. Они разрешают делать ему какое-нибудь высказывание и ставят условие, что если его высказывание будет истинным, то его сварят, а если ложным, то зажарят. Получаем парадокс, если путешественник скажет, что его зажарят.

Решение.  $X$  означает «зажарят»,  $Y$  — «сварят».

$$(X\alpha Y) \vee (X\alpha X) \quad (16)$$

$U\alpha V$  читается: «путешественник скажет  $U$  и людоеды  $V$ ».

Согласно бинарному правилу, в динамически корректном языке  $X\alpha X$  не ппф. Следовательно, формула (16) не ппф (бессмыслица).

**12. Парадокс Кантора.** Множество всех подмножеств множества  $M$  имеет кардинальное число, больше кардинального числа множества  $M'$ . Это приводит к противоречию, если в качестве  $M$  взять множество всех множеств.

Решение.

$$(i(M) < i(M')) \& (i(M') \leq i(M)) \Rightarrow (i(M) < i(M)) \quad (17)$$

$M$  — множество всех множеств.

$M'$  — множество всех подмножеств множества  $M$ .

$i(X)$  — кардинальное число множества  $X$ .

Согласно бинарному правилу, в динамически корректной теории множеств  $i(M) < i(M')$  не ппф. Следовательно, формула (17) не ппф (бессмыслица).

**13. Парадокс Бурэли-Форти.** В теории трансфинитных порядковых чисел показано, что (1) каждое вполне упорядоченное множество имеет (единственное) порядковое число; (2) каждый отрезок множества порядковых чисел (т. е. любое подмножество этого множества, упорядоченное естественным образом, которое вместе с каждым порядковым числом содержит все предшествующие ему) имеет порядковое число, большее, чем все порядковые числа этого отрезка; (3) множество  $B$  всех порядковых чисел, расположенных в естественном порядке, вполне упорядочено. Тогда в силу утверждений (1) и (3)  $B$  имеет некоторое порядковое число  $\beta$ , а т. к.  $\beta$  содержится в  $B$ , то в силу утверждения (2)  $\beta < \beta$ .

Решение.

$$(i(X) \subset B) \Rightarrow (i(X) < i(B)) \Rightarrow (i(B) \subset B) \Rightarrow (i(B) < i(B)) \quad (18)$$

$V$  — множество всех порядковых чисел, расположенных в естественном порядке.

$f(X)$  читается: «порядковое число вполне упорядоченного множества  $X$ ».

Согласно бинарному правилу, в динамически корректной теории трансфинитных порядковых чисел  $f(\beta) < f(\beta)$  не ппф. Следовательно, формула (18) не ппф (бессмыслица).

**14. Парадокс Диксена.** Допустим, что существует некоторый пересчет множества всех арифметических функций: пусть  $f_n(K)$  — значение  $n$ -й функций в этом пересчете для аргумента  $K$ . Образует такую функцию  $g$ , что для любого  $n$   $g(n) = f_n(n) + 1$ . Пусть  $P$  — номер  $g$  в этом пересчете, так что  $g(n) = f_P(n)$ . Тогда  $f_P(P) = g(P) = f_P(P) + 1$ .

Получили противоречие. Следовательно, множество всех числовых функций несчетно. Приведенное доказательство назовем доказательством Д. Предположим, что рассматриваем не множество всех числовых функций, а множество всех определимых функций. Под «определимым» подразумевается определимое средствами некоторого фиксированного языка, например (математического) русского языка с фиксированным словарем и грамматикой. Т. к. число слов в языке конечно, то множество возможных его выражений счетно, следовательно, и множество выражений, дающих определения числовых функций, а потому и множество самых определимых функций должны быть счетны. Но язык можно построить так, что доказательство Д можно было провести в этом языке, так что приходим к противоречию.

Решение.

$$((\kappa\kappa) = ((\kappa\kappa) + 1)) \Rightarrow ((|\alpha|) = ((|\alpha|) + 1)) \quad (19)$$

$\kappa\kappa$  читается: « $f_\kappa(\kappa)$  (значение  $\kappa$ -й функции в некотором пересчете множества всех арифметических функций для аргумента  $\kappa$ )».

Согласно бинарному правилу, в динамически корректной теории множеств  $\kappa\kappa$ ,  $|\alpha|$  не ппф. Следовательно, формула (19) не ппф (бессмыслица).

**15. Парадокс Берри.** Множество всех целых чисел, которые могут быть названы по-русски посредством числа слогов (или букв) меньшего некоторого конечного числа, конечно: следовательно, должно существовать наименьшее из тех чисел, которые не могут быть так названы. Но «наименьшее целое число, которое не может быть названо по-русски меньше, чем в пятьдесят слогов», есть выражение русского языка, содержащее менее пятидесяти слогов.

Решение.

$$(50 \leq \varphi(X)) \& (\varphi(X) < 50) \Rightarrow (50 < 50) \quad (20)$$

$X$  — «наименьшее целое число, которое не может быть названо по-русски меньше, чем в пятьдесят слогов».

$f(Y)$  — количество слогов предложения  $Y$ .

Согласно бинарному правилу, в динамически корректном языке  $50 < 50$  не ппф. Следовательно, формула (20) не ппф (бессмыслица).

#### ЛИТЕРАТУРА

1. Ваганян В. О. О математике с параметром времени. Тб., «Мацне», 1990, № 2.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

## ფსიქოლოგია

ლია შვაპილაშვილი

ბანზრახვა, ბანწყობა და ნებელობითი ქცევა

### შესავალი

თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანებს ძალიან ხშირად უხდებათ სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღება, ამ გადაწყვეტილებების საფუძველზე აღმოცენებული განზრახვების დროული გახსენება და, ბოლოს, განზრახული ქცევების შესრულება. სამწუხაროდ, ადამიანები ყოველთვის ვერ ახერხებენ წინათ მიღებული განზრახვების დროულ გახსენებას<sup>1</sup>. უმეტეს შემთხვევაში, განზრახვის დავიწყება არ იწვევს რაიმე ძირეულ ცვლილებას ობიექტურ სამყაროში, თუმცა სუბიექტურად შეიძლება საკმაოდ მტკივნეულადაც კი განიცდებოდეს. მაგრამ ზოგჯერ განზრახვის დროულ შეუსრულებლობას შეიძლება საკმაოდ ტრაგიკული შედეგებიც კი მოჰყვეს საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ სფეროებში, როგორცაა წარმოება, ტრანსპორტი, მედიცინა და სხვა [42]. ყოველივე ეს ფსიქოლოგიაში განზრახვის ფენომენის შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითებს.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტში იმთავითვე ადგილი აქვს ინსტრუქციის მეშვეობით ცდისპირებში გარკვეული განზრახვების ფორმირებას, რომლებიც შემდეგ საფუძვლად ედებიან და განაპირობებენ ცდის ნორმალურ მსვლელობას. მაგრამ მიუხედავად ამისა (თუ სწორედ ამის გამო) საკუთრივ განზრახვის ექსპერიმენტული შესწავლა, ზოგიერთი გამოცდის გარდა (ჩვენ მხედველობაში გვაქვს კურტ ლევისისა და მისი მოწაფეების — ზეიგარნიკის, ოვსიანკინასა და ბირენაუმის შრომები)<sup>2</sup>, თითქმის ყოველთვის ფსიქოლოგთა მეცნიერული ინტერესების ფარგლებს გარეთ რჩებოდა. ეს ალბათ ნაწილობრივ საკვლევი ფენომენის სირთულითა და მისი ორმაგი ბუნებითაც იყო განპირობებული. მართლაც, განზრახვის განხილვისას შეიძლება ერთმანეთისაგან გამოვყოთ მისი დინამიური და სტრუქტურული ასპექტები [35]. დინამიური ასპექტის ქვეშ იგულისხმება განზრახვის ქცევის აღმძვრელობითი ფუნქცია, მისი არსებითი კავშირი გადაწყვეტილების მიღების აქტთან და საერთოდ მოტივაციურ-ნებელობით პროცესებთან. ამდენად, განზრახვის შესწავლა და ანალიზი აუცილებლად ნებელობითი ქცევის კონტექსტში უნდა ხდებოდეს. მეორეს მხრივ, განზრახვის სტრუქტურული ასპექტი გულისხმობს იმას, თუ რა, სად და როდის უნდა გაკეთდეს ე. ი. განზრახვის მხოლოდ შინაარსობრივ მხარეს, რომელიც გარკვეულწილად ჩვენი მხსიერების ფუნქციობასთანაც უნდა იყოს დაკავშირებული (როდესაც ვლაპა-

<sup>1</sup> ზოგიერთი გამოკვლევის მიხედვით, ყოველდღიურ ცხოვრებაში აღნუსხულ დავიწყების შემთხვევათა უმეტესი ნაწილი მოდის სწორედ განზრახვების და არა ინფორმაციის დავიწყებაზე. მაგ. იხ. [45].

<sup>2</sup> იხ. ლევისის შემაჯამებელი შრომა [39].



რაკობთ განზრახვის გახსენება-დაეიწყებაზე). ამდენად, განზრახვის შესწავლა მეხსიერების ფსიქოლოგიის კონტექსტშიც უნდა იყოს შესაძლებელი. მაგრამ თუ მეცნიერული ფსიქოლოგიის ისტორიის მსვლელობას ვავედევნებთ თვალს, ვნახავთ, რომ განზრახვის ამ ორივე ასპექტის შესწავლა უმეტესწილად სრულიად შეუთავსებელი იყო ფსიქოლოგიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გამეფებულ პარადიგმებთან. მართლაც, ბიჰევიორიზმის გავლენით ნებელობის კვლევა თითქმის საერთოდ შეწყდა, ხოლო მეხსიერების ფსიქოლოგიაში 60-იან წლებამდე ებინჰაუსისეული მიდგომის გამო, განზრახვის დროული გახსენების კვლევის საკითხი ცხადია, ვერც დადგებოდა იმ ფსიქოლოგიების წინაშე, რომელთა ინტერესების სფერო მთლიანად ამოიწურებოდა სხვადასხვა ხელოვნური მასალის (უპარო მარცვლების, ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვებისა თუ ციფრების) დასწავლისა და აღდგენის კანონზომიერებათა შესწავლით. ამრიგად, 1926 წელს კ. ლევინის საეტაპო ხასიათის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ ფსიქოლოგიაში თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში აღვილი არ ჰქონია განზრახვის არც თეორიულ ანალიზს და არც ექსპერიმენტულ შესწავლას. ამიტომ მეტად საყურადღებო უნდა იყოს ის ფაქტი, რომ 1960 წელს გამოსული ცნობილი წიგნის „ქცევის გეგმებისა და სტრუქტურის“ მეოთხე თავი მთლიანად განზრახვის პრობლემას ეძღვნება [17]. ფაქტობრივად, ამით ჯ. მილერმა, ი. ვალანტერმა და კ. პრიბრამმა ერთგვარად ხელი შეუწყვეს ფსიქოლოგიაში განზრახვის დაკარგული სტატუსის აღდგენის საქმეს და ნიადაგი მოუმზადეს ამ ფენომენის ექსპერიმენტულ შესწავლას თანამედროვე კოგნიტურ ფსიქოლოგიაში, სადაც 70-იანი წლებიდან მართლაც იწყება ერთგვარი ინტერესის გაღვიძება ამ მივიწყებული ფენომენის მიმართ.

თანამედროვე ეტაპზე ჩატარებული გამოკვლევები, გამომდინარე განზრახვის ორმაგი ბუნებიდან, შეიძლება დავეთოთ ორ კლასად იმისდა მიხედვით, თუ განზრახვის რომელ ასპექტზეა ყურადღება გამახვილებული. პირველ კლასში შევა ყველა ის გამოკვლევა, რომლებშიც განზრახვა განხილულია როგორც მეხსიერების ფსიქოლოგიის პრობლემა და ამიტომ შესწავლება განზრახვის გახსენების ან დაეიწყების პროცესი და მასზე მოქმედი ფაქტორები<sup>3</sup>. მეორე კლასში შეიძლება ვავაერთიანოთ ის გამოკვლევები, რომლებშიც განზრახვა განხილულია როგორც ადამიანის ნებელობითი ქცევის აუცილებელი კომპონენტი. კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბოლო რამოდენიმე წლის მანძილზე ჩამოყალიბებული მიმართულება კოგნიტურ, განსაკუთრებით კი თანამედროვე გერმანულ ფსიქოლოგიაში, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის ქცევის მაკონტროლებელი და ვოლუტატური მექანიზმების შესწავლას [28: 37]. უკვე ნაცნია ქცევის ცნობიერი რეგულაციის ამხსნელი სხვადასხვა თეორიული მოდელების შემუშავება, რომლებშიც განზრახვის კატეგორია საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს (მაგ. იხ. [30].) გამოკვლევების ამ მეორე კლასს შეიძლება ავრეთვე მივაკუთვნოთ ერთ-ერთი მიმდინარეობა თანამედროვე სოციალურ ფსიქოლოგიაში, რომელიც სათავეს იღებს ფიშბენისა და აიზენის შრომებიდან [22; 23; 25]. თეორიული დასაბუთების (ჩვენ მხედველობაში გვაქვს ე. წ. გონიერი ქცევის თეორია—The Theory of Reasoned Action) მიუხედავად, ეს მიმდინარეობა ძირითადად მაინც უფრო პრაქტიკულ ხასიათს ატარებს და გულისხმობს ადამიანთა რეალური ქცევის წინასწარმეტყ-

<sup>3</sup> ეს გამოკვლევები მიმოხილულია ჩვენს ნაშრომში [15].

ველებას მათი განზრახვების გაზომვის საშუალებით. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა აუცილებელი სოციალურ ფსიქოლოგიაში, რაც ატიტუდებისა და ქცევების შეუსატყვისობის (Attitude—Behavior Discrepancy) მრავალი ფაქტი იქნა ექსპერიმენტულად დასაბუთებული.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ განზრახვის კვლევის ეს მიმართულებები ერთმანეთისაგან თითქმის სრულიად დამოუკიდებლად არსებობენ და არაერთარ გავლენას არ ახდენენ ერთმანეთზე. ინფორმაციის ასეთი გაფანტულობა და სიმცირე, ცხადია, ძალზე აძნელებს განზრახვის ფენომენის ანალიზსა და მის შესახებ რაიმე შემაჯამებელი შრომის დაწერას. მიუხედავად იმისა, რომ განზრახვის ანალიზი ორი ასპექტით შეგვიძლია ვაწარმოოთ, ჩვენი აზრით, იგი უპირველეს ყოვლისა, მაინც ნებელობის სფეროს განეკუთვნება და ამდენად, ქცევის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს, ხოლო რაც შეეხება განზრახვების დროული გახსენების საკითხს, იგი ამ თეორიის მხოლოდ იმ კერძო ასპექტს უნდა წარმოადგენდეს, რომლის შესწავლა და განხილვაც მეხსიერების ფუნქციობასთან კავშირში უნდა იყოს შესაძლებელი.

### I. რა არის განზრახვა?

ვინაიდან განზრახვა ფსიქოლოგიაში ნაკლებად შესწავლილ მოვლენათა რიცხვს განეკუთვნება, ამიტომ საესეებით გამართლებული უნდა იყოს წინამდებარე ნაშრომის დაწყება შემდეგი საკითხების გარკვევით: რა არის განზრახვა? როგორ არის ის დაკავშირებული სხვა ფსიქიკურ ფენომენებთან? რა როლს თამაშობს იგი ადამიანის ქცევაში? და სხვა.

უდავოა, რომ განზრახვები მჭიდრო კავშირშია ადამიანის ნებელობით ქცევასთან. ფილოსოფოს მ. ბრანდს ეს კავშირი იმდენად არსებითად მიაჩნია, რომ მისი აზრით, თვით ადამიანის ქცევის გაგება ბევრადაა დამოკიდებული განზრახვის მეცნიერულ შესწავლაზე. ალბათ ამიტომ არის, რომ მ. ბრანდი ქცევას განსაზღვრავს, როგორც განზრახვით გამოწვეულ მოვლენას [24], ხოლო რ. ჰარე აღნიშნავს, რომ მოვლენა შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც ქცევა, თუკი შეიძლება მიუერთოთ განზრახვის არსებობაზე [29]. საერთოდ მ. ბრანდი, ზოგიერთი სხვა ფილოსოფოსის მსგავსად, განზრახვას განიხილავს, როგორც ქცევის საბოლოო და უშუალო მიზეზს.

ვინაიდან საკუთრივ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში განზრახვის ცნების სულ რამოდენიმე დეფინიცია არსებობს, ამიტომ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ყველა მათგანის ჩამოთვლა<sup>4</sup>.

I. განზრახვა — ეს არის გადაწყვეტილების საფუძველზე აღმოცენებული დაძაბულობა, რომელიც განტვირთვისაკენ მიისწრაფვის (კ. ლევინი [39]).

<sup>4</sup> ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ა. გოლდისა და ჯ. შოტერას შეხედულება, რომ შეუძლებელია განზრახვის ერთიანი ყოვლისმომცველი განმარტების მოცემა განზრახვათა იმ მრავალფეროვნების გამო, რაც სინამდვილეში არსებობს. მართლაც, განზრახვა დავლიო ჭიკაუავა და განზრახვა გავზღე ამერიკის პრეზიდენტი იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ სრულიად შეუძლებელი ხდება მათთვის რაიმე საერთო დეფინიციის გამოქვეყნება [26, გვ. 146]. თუმცა, ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი (ე. ი. ამერიკის პრეზიდენტად გახდომა) განზრახვას კი არ წარმოადგენს, არამედ მიზანს, მაგრამ ამის შესახებ უფრო დაწერილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

II. განზრახვა — ეს არის გადაწყვეტილებით გაფიქსირებული მომართულობა (направленность) მიზნის მისაღწევად. განზრახვა — ეს არის გადავადებული ან გაძნელებული ქცევის შესრულების შინაგანი მზაობა (რუბინშტეინი [18]).

III. განზრახვაში გაფიქსირებულია არა მხოლოდ გადაწყვეტილება მიზნის მიღწევის შესახებ, არამედ შესასრულებელ მოქმედებათა სტრატეგიის კომპონენტიც (ბოეოვიჩი და სხვ. [12]).

IV. განზრახვა წარმოადგენს იმ გეგმის განუხორციელებელ ნაწილს, რომლის (ე. ი. გეგმის) შესრულება უკვე დაწყებულია (მილერი და სხვ. [17]).

V. განზრახვა არის აქტივაციაში მოსული გეგმა, რომლის მიმართაც სუბიექტი გრძნობს ვალდებულებას (კული [35]).

მიუხედავად გარეგნული სხვაობისა (ე. ი. განსხვავებული კონცეპტუალური აპარატის გამოყენებისა) ეს დეფინიციები საკმაოდ ჰომოგენურია და ფაქტობრივად მხოლოდ იმით განსხვავდებიან, თუ განზრახვის რომელ (დინამიურ თუ სტრუქტურულ) ასპექტზეა გაკეთებული აქცენტი. მაშინ როცა კ. ლევინისა და ს. რუბინშტეინის განსაზღვრებებში განზრახვის მხოლოდ დინამიური ასპექტია წინ წამოწეული, ჯ. მილერის, ი. გალანტერისა და კ. პრიბრამის განსაზღვრებებში ეს უკანასკნელი მთლიანად უგულვებელყოფილია<sup>5</sup>, ხოლო ი. კულისა და ლ. ბოეოვიჩის, ლ. სლავინასა და ტ. ენდოვიცკაიას დეფინიციებში ფიგურირებს განზრახვის როგორც დინამიური, ასევე სტრუქტურული მხარეები. ამრიგად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჯ. მილერისა და მისი თანაგეტორების დეფინიციას, რომელიც საერთოდ განზე დგას ზემოთჩამოთვლილი განსაზღვრებებიდან, შეიძლება შევაჯამოთ ეს უკანასკნელი და ვთქვათ, რომ განზრახვა არის გადაწყვეტილების შედეგად აღდამიანში აღმოცენებული ცნობიერი მზაობა, რომელშიც უკვე წინასწარ არის განსაზღვრული მეტ-ნაკლები სიიქხადით, თუ რა, სად და როდის უნდა გაკეთდეს.

## II. განზრახვა და მოთხოვნობა

ამრიგად, ავტორთა უმრავლესობა ერთმანეთს ეთანხმება ქცევაში განზრახვის როლის განხილვისას, მიაწერს რა განზრახვას ქცევის აღმძვრელ და წარმმართველ ფუნქციას. აზრთა სხვადასხვაობა ძირითადად ეხება იმას, თუ როგორია განზრახვის შინაგანი ბუნება, შეიძლება თუ არა იგი დაყვანილ იქ-

<sup>5</sup> აღსანიშნავია, რომ ჯ. მილერის, ი. გალანტერისა და კ. პრიბრამის აზრით, აღდამიანის ნებისმიერი ქცევის ასხნა სულაც არ საჭიროებს განზრახვისათვის რაიმე დინამიური თვისებების მიწერას, ანდა, კ. ლევინის მსგავსად, ფსიქოლოგიაში რაღაც დამატებითი ძალების, მაგალითად დამაბუღობათა სისტემის შემოტანას. ქცევის შესრულებას განზრახვის ეს დინამიური თვისებები კი არ განსაზღვრავს, არამედ ის უბრალო ფაქტი, რომ აღდამიანს წარმოადგენს ცოცხალ არსებას, რომლისთვისაც გამუდმებული აქტივობა არსებობის აუცილებელი ფორმაა. ამიტომ, მათი აზრით, საკითხი ისე კა არ უნდა დავსვათ, თუ რატომ აღძრავს განზრახვა ქცევას (რაც ქცევის სტატეკური თეორიებისთვისაა დამახასიათებელი), არამედ თუ რომელი განზრახვა სრულდება დროის გარკვეულ მომენტში (ამდენად ეს ავტორები ქცევის დინამიური თეორიის მომხრეებს შეიძლება მივაკუთვნოთ), რაც თავის მხრივ მთლიანად ე. წ. მუშა-მეხსიერების ფუნქციას წარმოადგენს. საკითხის ამგვარი გადაჭრა და განზრახვის ლევინიესული დინამიური ინტერპრეტაციის კრიტიკა ი. კულისა და ი. ბეკმანის აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ ლევინის მიერ წამოყენებული პრობლემა ამ ავტორებს საერთოდ მკდარად ავტო გაგებული. ამის შესახებ იხ. [36].

ნეს სხვა ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ მოვლენებზე. მაგალითად, ზოგიერთი ფილოსოფოსის აზრით, განზრახვა არ წარმოადგენს რაიმე ახალ თვითმოხედვად მოვლენას, ვინაიდან იგი უბრალოდ მოთხოვნილებებისა (მათი ტერმინოლოგიით სურვილის) და რწმენის ჯამია. მართლაც თუ სუბიექტს აქვს სურვილი შეასრულოს გარკვეული ქცევა და ამავე დროს მას სჯერა (სწამს) რომ შეუძლია ამ ქცევის განხორციელება, ეს ნიშნავს რომ მას აქვს ამ ქცევის შესრულების განზრახვა [24, გვ. 121]. რაც შეეხება მ. ფიშბენისა და ა. აიზენს, მათ განზრახვა მხოლოდ რწმენაზე დაჰყავთ. მათი განმარტების მიხედვით, განზრახვა რწმენების კერძო შემთხვევას წარმოადგენს: განზრახვა — ეს არის რწმენა, რომლის ობიექტია საკუთარი პიროვნება, ხოლო ატრიბუტი კი — მისი ქცევა. ამასთან განზრახვის სიძლიერე შეიძლება გაიზომოს პიროვნების იმ სუბიექტურ ალბათობით, რომელიც მას გააჩნია ამ ქცევასთან მიმართებაში [25]. მაგრამ მ. ბრანდის მიხედვით, ამგვარი რედუქცია მოკლებულია რაიმე რეალურ საფუძველს. მისი აზრით, რწმენა არ წარმოადგენს განზრახვის აუცილებელ კომპონენტს. ამის ნათელსაყოფად მას შემდეგი მაგალითი მოაქვს: ვთქვათ, მთამსვლელმა განიზრახა გადაახტეს უფსკრულს. მას სრულიად არ სწამს, რომ შეძლებს ამის გაკეთებას, მაგრამ ვინაიდან გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფება, იგი იძულებულია შეასრულოს განზრახული ქცევა ყოველგვარი რწმენის გარეშე. მეორეს მხრივ, იგივე მ. ბრანდის მიხედვით, სრულიად გაუმართლებელია აგრეთვე შებრუნებული სახის რედუქციონიზმი, როცა ზოგიერთი ავტორი (მაგ. სელარსი) ცდილობს სურვილი ანუ მოთხოვნილება დაიყვანოს ხანგრძლივ დისპოზიციურ განზრახვებზე მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ განზრახვისა და მოთხოვნილების ობიექტთა სემანტიკური მნიშვნელობა ერთმანეთს ემთხვევა.

მიუხედავად იმისა, რომ განზრახვა არ წარმოადგენს რწმენის და მოთხოვნილების ჯამს, არც იმის თქმა შეიძლება, რომ მას ამ უკანასკნელთან არაერთი კავშირი არა აქვს. აღსანიშნავია, რომ განზრახვებსა და მოთხოვნილებებს შორის არსებულ მსგავსებებზე ჭერ კიდევ ლეივნი მიუთითებდა. მისი აზრით, მოთხოვნილება და განზრახვა იმდენად გვერდითი ერთმანეთს თავიანთი შინაგანი ბუნებით (ორივე დამატულობაა, რომელიც მისწრაფვის განტყირთვისაკენ) და ფუნქციით (აღრძავენ ქცევას), რომ მან ამ უკანასკნელს ე. ი. განზრახვას ქვაზი-მოთხოვნილებაც კი უწოდა. მიუხედავად ამისა, კ. ლეივნი, ჩვენი აზრით, მაინც არ აიგივებდა ამ ორ ცნებას, ვინაიდან მისთვის ნამდვილი მოთხოვნილება განზრახვის ანუ ქვაზი მოთხოვნილების ფორმირების მხოლოდ ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს<sup>6</sup>.

მ. ბრანდის აზრით, მოთხოვნილება და განზრახვა შემდეგი ხუთი ასპექტით განსხვავდება ერთმანეთისაგან:

1. მოთხოვნილების ან სურვილის სიძლიერე დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს: გაძლიერდეს ან შემცირდეს. მაგრამ განზრახვას არ შეუძლია შესუსტება ან გაძლიერება, ადამიანი ან განიზრახავს რაიმეს გაკეთებას, ანდა მას საერთოდ არა აქვს ეს განზრახვა.

<sup>6</sup> საინტერესოა, რომ ი. კული და ბეკმანი სწორედ ამგვარ რედუქციონიზმში დებენ ბრალს კ. ლეივნი, როცა აღნიშნავენ, რომ განზრახვისა და მოთხოვნილების ცნებათა გაიგივებით, მან ფსიქოლოგიაში თითქმის ზიძგი მისცა ნებელობითი პროცესების მოტივაციურ პროცესებზე დაყვანას. იხ. [36].

II. გამომდინარეობს I-დან და იმაში მდგომარეობს, რომ განზრახვის სკალირება და გაზომვა შეუძლებელია ატიტუდებისა და მოთხოვნილებების მსგავსად.

III. ადამიანს შეიძლება ერთდროულად ჰქონდეს შეუთავსებელი სურვილები (მაგ. მსურს შევეჯამო ნამცხვარი, მაგრამ ამავე დროს მსურს თავი შევიკავო, რათა არ გავსუქდე), მაგრამ არ შეიძლება ჰქონდეს შეუთავსებელი განზრახვები.

IV. როცა ადამიანს განზრახული აქვს A და იცის, რომ A-თვის საჭიროა B მაშინ, ის განიზრახავს B-საც. მოთხოვნილების შემთხვევაში კი შეიძლება ასე არ იყოს. მართლაც, შეიძლება მსურდეს A (მაგ. კბილის ტკივილის თავიდან მოშორება), მაგრამ არ მსურდეს B (კბილის ექიმთან წასვლა).

V. და ბოლოს, მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეიძლება მოხდეს შემთხვევით ან სხვა ადამიანთა დახმარებით, მაშინ როცა განზრახვის შესრულება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სუბიექტის საკუთარი ძალისხმევით. შედეგად ჩვენ სავსებით ვეთანხმებით მესამე, მეოთხე და მეხუთე პუნქტში გამოთქმულ მოსაზრებებს, ხოლო რაც შეეხება პირველ და მეორე პუნქტს, ჩვენი აზრით მათში გამოთქმული მოსაზრებანი ვერ ასახევენ საკმის რეალურ ვითარებას. მართლაც შეუძლებელია, რომ უმნიშვნელო და მნიშვნელოვანი განზრახვები სიძლიერის მიხედვით არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ამაზე მეტყველებს ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტებიც. (იხ. [16; 33]), სადაც განზრახვის სისუსტე-სიძლიერე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ცდისპირთა მიერ განზრახვის გახსენების ალბათობაზე და მ. ფიშბენისა და ა. აიზენის მეთოდიკაც, რომელიც საშუალებას იძლევა ატიტუდების მსგავსად თვით განზრახვათა სკალირებაც მოვახდინოთ [25].

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ განზრახვა არ დაიყვანება არც რწმენაზე, არც მოთხოვნილებაზე და არც მათ ჯამზე. მიუხედავად ამისა, არც იმის თქმა შეიძლება, რომ განზრახვას არავითარი კავშირი არა აქვს მოთხოვნილებასთან. საქმე ისაა, რომ განზრახვასთან მიმართებაში მოთხოვნილება პირველადია, ე. ი. შეიძლება არსებობდეს მოთხოვნილება განზრახვის გარეშე, მაგრამ შეუძლებელია ადამიანს ჰქონდეს განზრახვა, რომელსაც საფუძვლად არ უდევს რაიმე მოთხოვნილება. მართლაც, მოთხოვნილება არის ადამიანის შინაგანი მდგომარეობა, ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის განცდა, რომელიც ასეთად (ე. ი. ინაქტურ მდგომარეობად) რჩება იქამდე, სანამ ადამიანი გადაწყვეტილების აქტის საფუძველზე არ განიზრახავს ამ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი რაიმე ქცევის შესრულებას. სწორედ ამიტომ მ. ბრანდის აზრით, განზრახვა უფრო პირდაპირ და უშუალოდ (ასე ვთქვათ ინტიმურად)

7 რ. ტუმელა სავესებით სამართლიანად შენიშნავს, რომ განზრახვას საფუძვლად შეიძლება დაედოს მოთხოვნილებათა საკმაოდ ფართო სპექტრი. კერძოდ, როგორც შინაგანი (intrinsic), ასევე გარეგანი (extrinsic) მოთხოვნილებები. შინაგანის ქვეშ რ. ტუმელა გულისხმობს როგორც პირველად ანუ ბიოლოგიურ, ასევე მეორად ანუ მაღალ მოთხოვნილებებს. ხოლო გარეგანი მოთხოვნილებების ქვეშ კი ვალდებულებებს, მოვალეობებს ნორმებს და ა. შ. [46]. როგორც ჩანს, მოთხოვნილებათა ამგვარ დაყოფას იზიარებს ს. რუბინშტეინიც, როცა ის ამბობს: „Если человек переживает что-нибудь как должное (а не только знает, что оно считается таковым), он уже какой-то стороной своего существа хочет этого, даже если при этом ему—непроизвольно—хочется чего-то другого.“ [18, გვ. 509]. (ბაზვასმა ჩემია—ლ. ყ.). იგივე მოსაზრებას ვხვდებით ი. იმედიას ნაშრომშიც [13].



არის ქცევასთან დაკავშირებული, ვიდრე მოთხოვნილება. ეს უკანასკნელი განზრახვის ფორმირების მხოლოდ ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს. ამრიგად, თუ მოთხოვნილება წინ უსწრებს გადაწყვეტილების აქტს, განზრახვა გადაწყვეტილების აქტის (თუნდაც სულ მარტივის) შედეგად ჩნდება. მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ მარტივი გადაწყვეტილების აქტი?

### III. განზრახვა და გადაწყვეტილების აქტი

განზრახვასა და გადაწყვეტილების აქტს შორის მეტად არსებითი კავშირი არსებობს. ამ მოსაზრებას იზიარებს თითქმის ყველა ავტორი, რომელთა შრომებშიც მოცემულია განზრახვებისა და საერთოდ ადამიანის ნებულობითი ქცევების ანალიზი (მაგ. იხ. [24; 30; 39; 41]). როგორც ჩანს, ეს კავშირი იმდენად არსებით ხასიათს ატარებს, რომ მაგალითად მ. ბრანდისათვის გადაწყვეტილება ეს არის ადამიანის განზრახვა შესრულოს გარკვეული ქცევა [24, გვ. 37], ხოლო დ. უზნაძისათვის კი განზრახვა — სტაბილიზირებული გადაწყვეტილებაა [4], ე. ი. ნაყალია ამ ცნებათა განმარტება ერთიმეორის მეშვეობით. მართლაც, შეუძლებელია გვექონდეს განზრახვა, რომელსაც წინ არ უსწრებდეს მოთხოვნილება და გადაწყვეტილების აქტი, მაგრამ მოთხოვნილებისაგან განსხვავებით (რომელსაც შეუძლია არსებობდეს განზრახვის გარეშე), უახრობა იქნებოდა ისეთ გადაწყვეტილების აქტზე ლაპარაკი, რომელსაც არ მოჰყვება განზრახვის ფორმირება. მართლაც გადაწყვეტილების აქტი მყისიერია და გულისხმობს ქცევის მიღება-შეწყნარებას, მაგრამ იმისათვის რომ შემდგომში რეალურად განხორციელდეს ქცევა, საჭიროა შესატყვისი განზრახვის ან მზაობის აღმოცენება. ხშირ შემთხვევაში ეს მზაობა ადამიანის ცნობიერებაში მოკლე ვერბალური ბრძანების სახით არსებობს. მაგალითად, როცა ვამბობთ, რომ ახლა მეზობელთან უნდა წავიდე ან საღამოს ამხანაგს უნდა დავურეკო, მაშინ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ გადაწყვეტილების მიღების შედეგად მეზობელთან წასვლის ან ამხანაგთან დარეკვის განზრახვა გავიჩინა, რომელიც შეიძლება უშუალოდ გადავიდეს ქცევაში (ე. ი. ადამიანმა შეიძლება მაშინვე დაიწყოს ამ განზრახვის განხორციელება), ან დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ.

მაგრამ, მეორეს მხრივ, ცნობილია, რომ გადაწყვეტილების აქტი ნებისყოფის ერთ-ერთ პერიოდს წარმოადგენს, რომელსაც თავის მხრივ საკმაოდ ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი უსწრებს წინ. ამ მოსამზადებელი პერიოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი გარკვეული საკმაოდ ძნელად გადასაწყვეტი ამოცანის თუ ალტერნატივის წინაშე დგას. მაგალითად, წავიდეს თეატრში მისთვის საინტერესო სპექტაკლს სანახავად, თუ დარჩეს სახლში და იმუშაოს [4]. არჩევანის გაკეთებას სხვადასხვა სააზროვნო და მოტივაციური პროცესები წარმართავენ იქამდე, სანამ ბოლოს, ადამიანი გადაწყვეტილებას მიიღებს შესრულოს ამ ორი ქცევიდან ერთ-ერთი. ამგვარი წმინდა ნებულობითი აქტის განხორციელება შეიძლება მაშინვე დაიწყოს ან დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ. მაგრამ განა ადამიანს თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად უხდება ასეთი სახის გადაწყვეტილებების მიღება? განა ასე ხშირად დგას იგი ძნელად გადასაწყვეტი ალტერნატივების

წინაშე. მეორეს მხრივ, ცნობიერებისა და მეტყველების მქონე ადამიანის ქცევის რეპერტუარში წმინდა იმპულსური და არაკონტროლირებული მოქმედებებით ხომ მინიმალურადაა წარმოდგენილი. ეს აზრი საკვებით ცხადად იკვეთება დ. უზნაძის „შენიშვნების რეგულაში“, სადაც მას იმპულსური ქცევის მაგალითად მოჰყავს ადამიანის უნებლიე ემოციური რეაქციები (შიში, რისხვა) და რამოდენიმეჯერ აცხადებს, რომ იმპულსური ქცევა ემოციებით წარმართული ქცევაა [7]. მართლაც დ. უზნაძე წერს „უნდა განვასხვაოთ იმპულსური და ნებისმიერი ქცევა. იმპულსური ქცევის იმპულსები ემოციებიდან მომდინარეობს. შიშის ემოცია შეიცავს ხომ ლტოლვის ან გაცლის ტენდენციას და როდესაც სუბიექტი ამ ტენდენციის იმპულსს ემორჩილება და გარბის, იგი არა ნებისმიერად, არამედ იმპულსურად იქცევა. იგივე ითქმის ვთქვათ, რისხვის ემოციის შესახებაც“ (გვ. 53—54) და კიდევ „ჩვენს აქტივობას საფუძვლად უდევს განწყობა, რომელიც ყოველთვის როდი გადადის პირდაპირ აქტივობაში, ქცევაში, არამედ აღძრავს ემოციურ განცდას, ემოციას (შიშს...), რომელიც გარკვეული ქცევის იმპულსად განიცდება. **ახე ჩნდება ყოველი იმპულსური ქცევა** (ხაზგასმა ჩემია — ლ. ყ.) (გვ. 64)<sup>9</sup>. თუ ამ მოსაზრებებს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ იმპულსური ქცევასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როცა ადამიანი ცნობიერი კონტროლის გარეშე თითქოს ძალაუვნებურად იწყებს რაიმე ქცევის განხორციელებას და მხოლოდ რამოდენიმე ხნის შემდეგ აღმოაჩენს, რომ ამ ქცევის განხორციელება დაუწყია. ცხადია, ამგვარ ქცევებს საკმაოდ იშვიათად აქვთ ადგილი ადამიანის ცხოვრებაში. მსგავსი მოსაზრებები გამოთქმულია სხვა მკვლევარების მიერაც (მაგ. იხ. [14; 18, გვ. 514—515]. ე. ნიუტენის აზრით, „მოქმედებათა უმრავლესობა ნებელობითია თავისი წარმოშობის ანუ მიზეზის თვალსაზრისით“ [3, გვ. 283] და სწორედ ამიტომ „მხოლოდ ემოციური აფეთქებისა და რეფლექსის სახით გამოხატულ მოქმედებაში არ უნდა პქონდეს ადგილი საკმარის კოგნიტურ დამუშავებას. იშვიათად მოიძებნება ადამიანური ქცევა, რომელშიც არ მონაწილეობს ადამიანის ფუნქციონის ყველაზე მოქნილი პროცესები — კოგნიციები“ [3, გვ. 266].

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ უმეტეს შემთხვევაში ადამიანის ქცევა არც წმინდა ნებელობით ხასიათს ატარებს და არც წმინდა იმპულსურია. მაშ, როგორ შეიძლება დავახასიათოთ ადამიანის ყოველდღიური ქცევები? მარტივი დაკვირვებაც კი საკმარისი უნდა იყოს იმის დასადგენად, რომ ყველაზე უფრო ხშირად ადამიანთა ქცევა წარმართება მარტივი გადაწყვეტილების აქტების საფუძველზე, რომლებსაც სულაც არ უსწრებს წინ მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი. ადამიანი მყისიერად, ყოველგვარი აწონ-დაწონისა და ხანგრძლივი მოფიქრების გარეშე იღებს გადაწყვეტილებას შეასრულოს რაიმე ქცევა ან მაშინვე ან დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ. მაგალითად, დიასახლისი, რომელიც დილით აღ-

<sup>8</sup> მართლაც, ი. კულის თვალსაზრისით, განზრახვის არსებობა შეიძლება დავეშვათ ისეთი მარტივი ქცევების შემთხვევაშიც, როგორცაა წერილის წაიკითხვა ან ფანჯრის დახურვა [34]. თუ კი ეს ასეა, მაშინ უმეტეს შემთხვევაში ადამიანები მყისიერად (ყოველგვარი ყოყმანის გარეშე) იღებენ გადაწყვეტილებას შეასრულოს ეს მოქმედებები.

<sup>9</sup> უზნაძის ამ შენიშვნებზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ ყოველი ცალკეული იმპულსური ქცევა უეცარი ემოციების შედეგად გაშლილი ქცევაა, მაგრამ ყველა ემოციური ქცევა არ არის იმპულსური.

მოაჩენს, რომ რომელიდაც პროდუქტი აკლია, მაშინვე იღებს გადაწყვეტილებას წავიდეს მღაზიაში. ვთქვათ, სახლიდან გავსდის წინ მას ურეკავს მეგობარი ქალი და საღამოს კინოთეატრში წასვლას სთავაზობს. ვინაიდან საღამო თავისუფალი აქვს, დისახლისი აქაც ყოველგვარი ყოყმანისა და წინასწარი მოფიქრების გარეშე, იღებს გადაწყვეტილებას წავიდეს კინოში. შეიძლება კიდევ უამრავი მაგალითის მოყვანა, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისი უნდა იყოს იმის ნათელსაყოფად, თუ რა იგულისხმება მარტივი გადაწყვეტილების აქტის ქვეშ. აღსანიშნავია, რომ მარტივი გადაწყვეტილების აქტის არსებობაზე მიუთითებს ს. რუბინშტეინიც [18].

#### IV. განზრახვათა კლასიფიკაცია

მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში განზრახვათა დიდ მრავალფეროვნებასთან გვაქვს საქმე, ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ განზრახვათა კლასიფიკაცია მათი ფორმალური ნიშნების გათვალისწინებით საესებით შესაძლებელი უნდა იყოს. წინა თვეში გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე შესაძლებელი უნდა იყოს განზრახვათა ორი უზოგადესი კლასის გამოყოფა იმის მიხედვით თუ როგორი გადაწყვეტილების აქტი უდევს საფუძველად განზრახვას: მარტივი თუ რთული. განსხვავება განზრახვათა ამ ორ კლასს შორის მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ პირველს წინ უსწრებს თითქმის მომენტური, ხოლო მეორეს — მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი გადაწყვეტილების პროცესი. შეიძლება ითქვას, რომ პირველი უფრო ნაკლები ძალისხმევით შედეგია, ვიდრე მეორე, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირველს თითქმის უფრო ნაკლები ნებისყოფა სჭირდება ვიდრე მეორეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათ შორის არსებული ეს ხარისხობრივი სხვაობა იმდენად დიდია, რომ იგი თვისობრივშიც კი გადადის. სწორედ ამიტომ ვთვლით შესაძლებლად განზრახვათა ამ ორი კლასის გამოყოფას. თავის მხრივ, განზრახვის თითოეული ეს კლასი შეიძლება დაიყოს ორ ქვესახედ იმისდა მიხედვით, თუ როდის იწყება განზრახვის შესრულება. უშუალო განზრახვა ეს ისეთი განზრახვაა, რომელიც გადაწყვეტილების აქტის მიღებისთანავე გადადის ქცევაში, ხოლო გადავადებული ანუ პროსპექტული განზრახვის შემთხვევაში გადაწყვეტილების აქტსა და ქცევის რეალურ განხორციელებას შორის შეიძლება დროის მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდი არსებობდეს. ამ დროის განმავლობაში ადამიანი ხშირად სრულდობს სხვა, ამ განზრახვასთან დაუკავშირებელი აქტივობითა დაკავებული, მაგრამ დადგება თუ არა დრო, როცა უწინ განზრახული ქცევა შეიძლება რეალურად განხორციელდეს, ადამიანს უმეტეს შემთხვევაში მაშინვე ახსენდება წინათ მიღებული განზრახვა და მისი შესატყვისი ქცევის განხორციელებას იწყებს<sup>10</sup>. აღსანიშნავია, რომ უშუალო

<sup>10</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მეხსიერების პრობლემა სწორედ პროსპექტული განზრახვების შემთხვევაში იჩენს მკვეთრად თავს, ხოლო უშუალო განზრახვის შემთხვევაში ამ განზრახვის მეხსიერებასთან დამოკიდებულების საკითხი თითქმის არც დგას. მართლაც, ადამიანმა განზრახვა მეზობელთან წასვლა და მაშინვე იწყებს ამ ქცევის განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში მეხსიერებაზე მინიმალური დატვირთვა მოდის, იმის თქმაც არ შეიძლება, რომ უშუალო განზრახვის განხორციელებაში მეხსიერება საერთოდ არაერთგვაროვანად არ მონაწილეობს. შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება ხოლმე, რომ ქცევაში უშუალოდ გადასული განზრახვის დაიწყებას აქვს ადგილი. მაგალითად, საესებით შესაძლებელია,

და პროსპექტიული განზრახვების შესახებ მსჯელობენ ა. გოლდი და ჯ. შოტერიც, როცა აღნიშნავენ ხანმოკლე და ხანგრძლივი განზრახვების არსებობას [26]. იგივე დაყოფას ვხვდებით ტ. რიანის შრომაშიც [44]. რაც შეეხება მ. ბრანდს და ზოგიერთ სხვა ფილოსოფოსს, ისინი, ყოფენ რა განზრახვებს პროსპექტულ და უშუალო განზრახვებად, ამ უკანასკნელში ჩვენგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ შინაარსს დებენ [24].

და ბოლოს, როგორც უშუალო ისე პროსპექტიული განზრახვები შეიძლება დაიყოს კიდევ ორ ტიპად იმისდა მიხედვით, თუ როგორი ქცევა აქვს შესასრულებელი ადამიანს. მართლაც, ზოგიერთი განზრახვის შესრულება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. საკმარისია ადამიანმა მიიღოს გადაწყვეტილება (როგორც მარტივი ისე რთული) ე. ი. განიზრახოს ამ ქცევის შესრულება, რომ იგი (ეს ქცევა) თითქოს ავტომატურად წარიმართოს. ეს ისეთი განზრახვებია, რომელთა შესრულება ცნობიერების მინიმალურ კონტროლს მოითხოვს, ვინაიდან განზრახული ქცევა ისეთი მოქმედებებისაგან შედგება, რომლებიც უკვე გარკვეული ჩვევების სახით არიან ჩამოყალიბებულნი და ამასთანავე არ აღმატებიან ადამიანის ფსიქოფიზიკურ შესაძლებლობათა დონეს. ამიტომ ამ განზრახვებს ადვილი განზრახვები შეიძლება ვუწოდოთ. მართლაც პურის ყიდვა, დეპეშის გაგზავნა, თეატრში წასვლა ისეთი განზრახვებია, რომელთა შესრულება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს და არ მოითხოვს გამუდმებულ კონტროლს ცნობიერების მხრიდან. მაგრამ არის აგრეთვე ისეთი განზრახვები, რომელთა შესრულებაც ადამიანისათვის საკმაოდ ძნელია და ყურადღების გამუდმებულ დაძაბვას მოითხოვს, ჩვეულებრივ ასეთი ქცევები ადამიანის ფსიქოფიზიკურ შესაძლებლობათა ზღვარზე მიმდინარეობს. მაგალითად, მოუქნელი ადამიანისათვის ხეზე აძრომის განზრახვა, ოროსანისათვის რომელიმე სასკოლო დავალების შესრულების განზრახვა შეიძლება იმდენად ძნელი განსახორციელებელი აღმოჩნდეს, რომ გამუდმებულ ცნობიერ კონტროლსა და ძალისხმევას მოითხოვდეს. ამიტომ ასეთ განზრახვებს ძნელი განზრახვები შეიძლება ვუწოდოთ.


აღსანიშნავია, რომ განზრახვის ეს სახეები ერთმანეთის ურთიერთგამომრიცხავი სულაც არ არის. მაგალითად, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ მარტივი გადაწყვეტილების აქტის საფუძველზე აღმოცენებული განზრახვა ამავე დროს მხოლოდ ადვილად შესასრულებელი უნდა იყოს. ვთქვათ, ორი ამხანაგი სკოლიდან ბრუნდება. ერთი დასცინის მეორეს და ეუბნება, რომ იგი ვერაფრით ვერ აძვრება იმ ხეზე. მეორე მოწაფე თავს დამცირებულად გრძნობს და მიუხედავად იმისა, რომ ხეზე აძრომა არ ეხერხება (მოუქნელია), მეგობრის ჯიბრზე მომენტურად იღებს გადაწყვეტილებას აძვრეს ხეზე. ანალოგი-

რომ მეზობელთან წასვლის განზრახვის მქონე ადამიანს ბინიდან გამოსვლისას დაეიწყედეს, თუ რატომ გამოვიდა გარეთ. ანალოგიურ ვითარებასთან ვეჯდეს საქმე მაშინაც, როცა ოთახში შეხვლისას უთქვამს ალმოვანენ, რომ აღარ გვახსოვს თუ რისთვის შემოვედი ოთახში. რაც შეეხება პროსპექტულ განზრახვას, აქ მესხიერების აქტივობა თავიდანვე, გადაწყვეტილების მიღებისთანავე იჩენს თავს. მართლაც, თუ უშუალო განზრახვის დროს გადაწყვეტილების აქტს მაშინვე მოსდევს შესაბამისი ქცევა, პროსპექტული განზრახვის შემთხვევაში ადამიანმა უნდა დაიხსომოს თავისი განზრახვა. მას კიდევ დამატებითი აქტივობას გამოჩენა უხდება იმისათვის, რომ მომავალში დროულად გაახსენდეს თავისი განზრახვა, რომ მასი განხორციელების მომენტი არ გამოეპაროს. სწორედ ეს არის ალბათ იმის მიზეზი, რომ ზოგიერთ მკვლევარს განზრახვის შესრულება ადამიანის ნებელობის სფეროდან კი არ გამოჰყავს, არამედ მთლიანად ჩვენი მესხიერების ფუნქციონაზე დაყავს [17].

4. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1992, № 1



ურად, არც რთული გადაწყვეტილების აქტის საფუძვლად აღმოცნებულ განზრახვა უნდა იყოს მხოლოდ ძნელად შესასრულებელი. მართლაც, ვთქვათ დიასახლისმა კინოში წასვლის მაგიერ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ სახლში დარჩენა და სარეცხის გარეცხვა. განიზრახა, რომლის შესრულებაც მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს განზრახვათა ამ სამი კლასის ქვესახეთა შორის არსებული დამოკიდებულება, ჩვენ შევადგინეთ კლასიფიკატორული სქემა, რომელშიც ილუსტრაციის მიზნით განზრახვების კონკრეტული შემთხვევებიცაა მოყვანილი (იხ. ნახ. 1).



1. A-მ განიზრახა მალაზიაში წასვლა პურის საყიდლად.
2. A ენაძლავება B-ს, რომ შეუძლია ხეზე აპრომა და მაშინვე იწყებს ამ განზრახვის შესრულებას.
3. A-მ განიზრახა მალაზიაში წასვლა სტადიონზე ვარჯიშის დამთავრების შემდეგ.
4. გაკვეთილის დროს A ენაძლავება B-ს, რომ შეძლებს ამა და ამ ხეზე აპრომას. გაკვეთილის შემდეგ ის მართლაც იწყებს ამ განზრახვის შესრულებას.
5. თეატრში წასვლის მაგიერ A დარჩა სახლში სარეცხის გასარეცხად და მაშინვე იწყებს ამ განზრახვის შესრულებას.
6. თეატრში წასვლის მაგიერ A რჩება სახლში წლიური თემის დასაწერად და მაშინვე იწყებს მუშაობას.
7. A-მ დილით მიიღო გადაწყვეტილება (ე. ი. განიზრახა), რომ საღამოს თეატრში წასვლის მაგიერ დარჩება სახლში სარეცხის გასარეცხად.
8. A-მ დილით მიიღო გადაწყვეტილება, რომ თეატრში წასვლის მაგიერ დარჩება სახლში წლიური თემის დასაწერად.

ნახ. 1. მოცემული კლასიფიკატორული სქემა შემდეგი მომენტების გათვალისწინებით არის შემუშავებული: I. როგორი გადაწყვეტილების აქტი უსწრებს წინ განზრახვის მიღებას; II. როდის ვადადის განზრახვა ქცევაში: მაშინვე, თუ დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ და III. რამდენად ადვილი ან ძნელი შესასრულებელია განზრახვა.

**V. განზრახვა და მიზანი**

ჩვენ განვიხილეთ განზრახვის დამოკიდებულება მოთხოვნილებასთან, გადაწყვეტილების აქტთან, საყუთრივ ქცევასთან. ამ თავში გვინდა განვიხილოთ ის რთული დამოკიდებულება, რომელიც არსებობს ადამიანის განზრახვებსა და მიზნებს შორის. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში (ზოგიერთი გამოწინასწარმეტყველების გარდა) მიზნისა და განზრახვის კატეგორიები კარგად არ არის ერთმანეთისაგან გამოდინფერენცირებული. მართლაც, ზოგჯერ მიზანი დაჰყავთ განზრახვაზე (მაგალითად მ. ბრანდის მიხედვით მიზანი — ეს არის რაიმე ქცევის შესრულების განზრახვა [24, გვ. 214]). ზოგჯერ განზრახვა დაჰყავთ მიზანზე, ზოგჯერ კი ამ ცნებებს ხმარობენ როგორც სინონიმებს (მაგ. [43, გვ. 9; 27]). ჩვენი აზრით, ამ ცნებებს შორის არსე-



ბული დიდი მსგავსების მიუხედავად, მათ შორის სადემარკაციო ხაზის გავლება მაინც აუცილებელია.

სანამ ამ საკითხის უფრო დეტალურ განხილვაზე გადავიდოდეთ, მკითხველს გვინდა შევასხენოთ, რომ ბიჰევიორიზმის ზეგავლენით ადამიანის მიზნები და განზრახვები, მათი თითქოსდა ტელეოლოგიური ბუნების გამო, რამოდენიმე ათეული წლის მანძილზე თითქმის განდევნილი იყო ფსიქოლოგიიდან. ისეთი ცნებები, როგორცაა ქცევის რეზულტატი და შედეგი მეცნიერულად უფრო მისაღებად ითვლებოდა, ვიდრე მომავალთან დაკავშირებულ მიზნისა და განზრახვის კატეგორიები [41, გვ. 312]. მაგრამ როგორც სამართლიანად შენიშნავს ტ. რიანი, დაშვება იმის შესახებ, რომ ადამიანის მიზნები აკონტროლებენ ქცევას, არ ნიშნავს იმის აღიარებას, რომ მომავალი მოქმედებს წარსულზე. მიზნები აწმყოში არსებობენ და გავლენას ახდენენ ადამიანის მომდევნო ქცევაზე. ასე რომ მიზეზობრივი კავშირი მიემართება აწმყოდან მომავლისაკენ ზუსტად ისევე, როგორც ეს ხდება სტიმულთა ზემოქმედებისა და ნეირონული აქტივობის შედეგად [44, გვ. 18]. გარდა ამისა, საკუთრივ მიზნებიც მიზეზობრივად არის დეტერმინირებული ადამიანის მოთხოვნილებებითა და მოტივებით [18, გვ. 508].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მკვლევართა ნაწილი (განსაკუთრებით ეს ითქმის ფილოსოფოსებზე) განზრახვას ქცევის აღმძვრელი მექანიზმის ფუნქციას მიაწერს. სამწუხაროდ, ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში თითქმის არ არსებობს ამ საკითხის შემსწავლელი ექსპერიმენტული გამოკვლევები. სამაგიეროდ, როგორც თანამედროვე საზღვარგარეთულ, ასევე საბჭოთა ფსიქოლოგიაში გაჩნდა საკმაოდ მძლავრი მიმართულება, რომლის წარმომადგენლებიც ექსპერიმენტულად შეისწავლიან მიზნის მიღების პროცესს (goal-setting, целеобстановка) და მის გავლენას ქცევაზე (იხ. მაგ. [21; 31; 40]), საინტერესოა, რომ ამ გამოკვლევებში განზრახვა თითქმის მთლიანად უგულებლყოფილ ცნებას წარმოადგენს. რაც შეეხება საკუთრივ მიზანს, იგი გაგებულია, როგორც რომელიმე მომავალ მდგომარეობაზე ფოკუსირებული კოგნიტური წარმონაქმნი, რომელსაც შესწევს ქცევის აღძვრისა და რეგულაციის უნარი [48].

ჩვენი აზრით, მიზნის ამგვარი გაგება სწორად ვერ ასახავს რეალურ ვითარებას. საქმე იმაშია, რომ მიზანი — ეს არის რაიმე სასურველი მდგომარეობის ნათელი წარმოდგენა (მაგალითად, ექიმად გახდომა, წონაში დაკლება, სამეცნიერო ხარისხის დაცვა და სხვა) პლუს ერთგვარი სწრაფვა (და არა მზაობა), ხოლო განზრახვა — ეს არის გარკვეული წარმოდგენა (ის თუ რა, სად და როდის უნდა გავეთდეს) პლუს მზაობა. ცალკე აღებულ მიზანს ასეთი მზაობის ანუ ქცევაში უშუალოდ გადასვლის უნარი არ ახასიათებს, მაგრამ იმის გამო, რომ მიზნის დასახვას უმეტეს შემთხვევაში მაშინვე მოსდევს მისი შესატყვისი განზრახვის ფორმირებაც, ე. ი. იმის გამო რომ ისინი დროში ხშირად ერთად არსებობენ, მკვლევართა ზემოაღნიშნულმა ჩგუფმა განზრახვისათვის ნიშანდობლივი მზაობა მიზნის ფუნქციად მიიჩნია. ამრიგად, ცალკე აღებულ მიზანს ქცევის უშუალო აღძვრა არ შეუძლია. იგი წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს მოთხოვნილების განზრახვად გარდაქმნის გზაზე. იგი მხოლოდ აღძვრავს და წარმართავს ადამიანის ფიქრებსა და ხშირად საკმაოდ რთულ მოტივაციურ-კოგნიტურ პროცესებს, რომლებიც მიმართულია იმ კონკრეტულ



ტული ქცევითი ვზების გამოსანახავად, რომელთაც ადამიანი მიჰყავს მიზნის მიღწევამდე.

ნათქვამის ნათელსაყოფად შეიძლება კონკრეტული ცხოვრებისეული მაგალითების მოყვანა. ვთქვათ, ახალგაზრდას აქვს სურვილი გამოვიდეს ექიმი, მაგრამ თავის თავში დაურწმუნებლობის გამო მისი ეს სურვილი სურვილად რჩება იქამდე, სანამ არსებულ ვითარებაში რაიმე ცვლილება არ მოხდება, როგორცაა მაგალითად გამოსაშვები გამოცდების წარმატებით ჩაბარება ანდა ავტორიტეტული პიროვნების რჩევა-დარიგება, რის შემდეგაც ახალგაზრდა ბოლოს და ბოლოს იღებს გადაწყვეტილებას გამოვიდეს ექიმი, ე. ი. შეიძლება დაეუშვათ, რომ მას აქვს მიზანი გახდეს ექიმი. ამ შემთხვევაში ალბათ გაუმართლებელია პ. გოლიტერის დაშვება იმის შესახებ, რომ მას აქვს განზრახვა იყოს (გახდეს) ექიმი [27], ვინაიდან განზრახვა, რომელშიც არ არის განსაზღვრული, თუ კონკრეტულად რა, სად და როდის უნდა გაკეთდეს — არ არის განზრახვა. ზემოთმოყვანილი შემთხვევის ანალოგიურად ხანშიშესულ ქალს შეიძლება ჰქონდეს წონაში დაკლების სურვილი, მაგრამ იგი შეიძლება მხოლოდ სურვილად დარჩეს იქამდე, სანამ მკურნალი ექიმი არ გააფრთხილებს, რომ მის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე ემუქრება. მხოლოდ ამის შემდეგ ლებულობს ეს ქალი გადაწყვეტილებას, რომ წონაში დაიკლოს, ამდენად, მას უჩნდება წონაში დაკლების მიზანი და არა განზრახვა.

როგორც ვხედავთ, მიზანი ჩნდება გადაწყვეტილების აქტის შედეგად და მას ახასიათებს ერთგვარი სწრაფვის მომენტი, მაგრამ მას (ამ სწრაფვას) მაინც არა აქვს ქცევაში უშუალოდ გადასვლის ძალა. იმისათვის რომ ასეთი მიზანი ქცევაში გადავიდეს; საჭიროა კიდევ გადაწყვეტილების აქტი, რომლის შედეგად გაჩნდება იმ ქცევის შესრულების განზრახვა, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას. ნებელობითი ქცევის ამგვარი ორფაზოვანი მოდელი შემოთავაზებულა პ. ჰექჰაუზენის მიერ (ამის შესახებ იხ. [27]). ვინაიდან პ. ჰექჰაუზენისათვის გადაწყვეტილების პირველ ფაზაზე მიღებული მიზანი ერთგვარად მაინც განზრახვის დინამიური თვისებების მატარებელია, ამიტომ იგი გვთავაზობს ტერმინს მიზან-განზრახვა (goal intention — Absicht), ხოლო მეორე ფაზაზე მიღებულ განზრახვას იგი უწოდებს ქცევით განზრახვას (implemental intention — Vorsatz). პ. ჰექჰაუზენის აზრით, უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს მიზნისა (ანუ მიზან-განზრახვისა) და ქცევითი განზრახვების ერთდროულ ფორმირებას, რაც ზოგჯერ საკმაოდ აძნელებს მათ ურთიერთგამოდიფერენცირებას, მიუხედავად იმისა რომ ისინი თვისობრივად განსხვავებულ ფენომენებს წარმოადგენენ და მათ მოქმედებას განსხვავებული მექანიზმები უდევს საფუძვლად. მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიზანი არის ერთგვარი პერმანენტული მდგომარეობა, რომელიც ეხმარება ადამიანს გადაწყვეტილების აქტის მეშვეობით იმ ახალი განზრახვების მიღებაში რომლებსაც სწორედ ამ მიზნის მიღწევამდე მიყვავართ.


## VI. განზრახვა და გეგმა

არანაკლებ მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს განზრახვისა და გეგმის ფენომენებს შორის, რაც ხშირად მათი ურთიერთალრევის მიზეზი ჩნდება. მართლაც, ხშირად განზრახვებსა და გეგმებს ხმარობენ როგორც სინონიმებს [24], ანდა განზრახვას განსაზღვრავენ გეგმის მეშვეობით (იხ. ნ. მილერის,

ი. გალანტერისა და კ. პრიბრამის [17], აგრეთვე ი. კულის [35] დეფინიციები). საკმაოდ მრავალრიცხოვანია აგრეთვე იმ გამოკვლევების რიცხვი, რომლებშიც შეისწავლება ადამიანის მიერ გეგმის მიღებისა და მისი შესრულების პროცესი ისე, რომ განზრახვის ცნება საერთოდ ნახსენებაც კი არ არის (იხ. მაგ. [32]). საუკეთესო შემთხვევაში აღნიშნავენ თითქოსდა მიზანსა და გეგმას შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას, მიუთითებენ რა იმაზე, რომ მიზანი წარმართავს ქცევას, ხოლო გეგმა კი არის ქცევის მონახაზი ანუ მიზნის მიღწევის საშუალებათა ანტიციბირებული წარმოდგენა [47]. რაც შეეხება ე. ნიუტენის უაღრესად საინტერესო მონოგრაფიას [2], რომლის მეხუთე თავი მთლიანად ეძღვნება მიზნისა და გეგმის კატეგორიების ანალიზსა და ქცევაში მათი როლის გარკვევას, მასში განზრახვის ცნება სულ რამოდენიმე ადგილას არის ნახმარი. ასეთი ვითარება ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ უმეტეს შემთხვევაში განზრახვა გაიგეგმულია გეგმასთან, ე. ი. განზრახვის სტრუქტურული კომპონენტი (რა, სად და როდის უნდა გაკეთდეს) მიჩნეულია მხოლოდ გეგმისათვის დამახასიათებელ თვისებად და ამდენად, იქ, სადაც სინამდვილეში ადგილი აქვს მხოლოდ ქცევის განზრახვას, ლაპარაკობენ გეგმის შესახებ. ამრიგად, თუ მკვლევართა ერთმა ჯგუფმა განზრახვის დინამიური ასპექტი (მისი ქცევის აღმძვრელობითი ფუნქცია) მთლიანად მიზანს მიაკუთვნა, მკვლევართა მეორე ჯგუფმა განზრახვის სტრუქტურული კომპონენტი მხოლოდ გეგმისათვის დამახასიათებელ თვისებად მიიჩნია. მაგალითად, ჯ. რიზონი და კ. მიციელსკა გეგმის მაგალითად ასახელებენ ადამიანის გადაწყვეტილებას შესვენებაზე მიირთვას სპაგეტი ლუიჯის რესტორანში [43, 9]. ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს არა გეგმასთან არამედ ტიპურ განზრახვასთან, ვინაიდან მასში სწორედ ისაა გარკვეული თუ რა (სპაგეტის ჭამა), სად (ლუიჯის რესტორანში) და როდის (შესვენებაზე) უნდა გაკეთდეს. უმეტეს შემთხვევაში ამგვარი განზრახვები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ქცევა დაიწყოს და შეუფერხებელი წარიმართოს. ე. ი. შეიძლება ვთქვათ, რომ ასეთ განზრახვებში იმპლიციტურად უკვე მოცემულია ერთგვარი სამოქმედო გეგმა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი განზრახვა წარმოადგენს გეგმას. გეგმასთან მხოლოდ იმ შემთხვევაში გვაქვს საქმე, როდესაც რომელიმე კონკრეტული განზრახვის განხორციელებას რაიმე დაბრკოლება ან შეფერხება ხვდება. ასეთ შემთხვევაში განზრახვის არსებობა აღარ არის საკმარისი იმისათვის, რომ ადამიანი შეძლოს ქცევის განხორციელება და აუცილებელი ხდება განზრახვის ამ სამი კომპონენტის (იმის თუ რა, სად, და როდის უნდა გაკეთდეს) ცალ-ცალკე კიდევ უფრო გაშლა და დაკონკრეტება. ვთქვათ, ადამიანი, რომელიც მანქანით გაემართა ლუიჯის რესტორნისაკენ, აღმოაჩინეს რომ მთავარი ქუჩა გადათხრილია. თუ ის ცუდად ერკვევა ახლომდებარე ქუჩების განლაგებაში, მაშინ ის იძულებული გახდება გონებაში ან რუქის მეშვეობით ამოიჩიოს შესაძლო მარშრუტებიდან მისთვის ყველაზე უფრო მოსახერხებელი მარშრუტი, რაც ფაქტურად ნიშნავს იმ სამოქმედო გეგმის მიღებას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის განზრახვის განხორციელებას. გარდა ამისა, გეგმასთან კიდევ იმ შემთხვევაშიც გვაქვს საქმე, როდესაც ადამიანს მიღებული აქვს შორეული მიზანი, რომლის მიღწევაც მხოლოდ ერთი განზრახვის მეშვეობით სრულიად შეუძლებელია, ე. ი. ხშირად მიზნის მისაღწევად აუცილებელი ხდება რამოდენიმე განზრახვის ერთდროულად მიღება, რაც ფაქტურად სამოქმედო გეგმის შემუშავებას ნიშნავს. მართლაც, ვთქვათ ახლაგვარდამ რომელსაც ექიმად გახ-

დომის მიზანი (პეკაუშენის ტერმინოლოგიით მიზან-განზრახვა) ჰქონდა, სამედიცინო ინსტიტუტში განიზრახა გამოცდების ჩაბარება. მაგრამ იმისათვის რომ მან ეს გამზრახვა განხორციელოს მას სჭირდება მოქმედების მეტად თუ ნაკლებად რთული გეგმის შემუშავება და მიღება. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ დამაკმაყოფილებელი გეგმის შემუშავება საკმაოდ ძნელია და შეიძლება რამოდენიმე თვესაც კი გაგრძელდეს. იმისათვის, რომ ინსტიტუტში ჩაბარების ეს განზრახვა ბოლს და ბოლოს განხორციელდეს, საჭიროა ადამიანმა გადაწყვიტოს (აქ საქმე გვაქვს უკვე მესამე გადაწყვეტილების აქტთან) შესაძლო სამოქმედო გეგმათაგან რომელია ყველაზე უფრო ადეკვატური მისი მიზნისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შესაძლებელი წინა გადაწყვეტილების აქტის შედეგად მიღებული განზრახვის რეალურ ქცევად გაშლა. გეგმის მისაღებად რომ კიდევ გადაწყვეტილების დამატებითი აქტია საჭირო, ამაზე ნათლად მეტყველებს შ. ჩხარტიშვილის შემდეგი მოსაზრება: „გეგმა, რომელიც მხოლოდ ცნობიერებაში არსებობს, ან კიდევ მეხსიერებაშია შემონახული „მკვდარი“ ცოდნის სახით, მოქმედების ყოველგვარ ტენდენციას მოკლებულია და აქტივობაში არ გადადის, იგი არის იდეა იმისა, რა და როგორ უნდა გაკეთდეს და ამიტომ თავისთავში რეალური მოვლენებისათვის დამახსიათებელ ძალას და ენერგიას, რაც აქტივობის განვითარებისათვისაა საჭირო, არ შეიცავს“ [11, გვ. 89]. მაშასადამე, გეგმა რომელიც ცნობიერებაში მხოლოდ „მკვდარი“ ცოდნის სახით არსებობს, ჯერ არ არის ნამდვილი გეგმა, ასეთად იგი მხოლოდ გადაწყვეტილების აქტის შედეგად იქცევა. მაშასადამე, გადაწყვეტილების ეს დამატებითი აქტი გვევლინება იმ შემთხვევებში როგორც, რომელიც წინა აქტში მიღებული განზრახვის სტრუქტურაში ჩართულს ამ გეგმას.

ყოველივე ზემოთქმული შეიძლება შემდეგი სქემის სახით შევაჯამოთ:



ამ სქემაში მიზნის, განზრახვისა და გეგმის კატეგორიების ურთიერთგადამკვეთი წრეების სახით მოცემა მათ შორის არსებული შემდეგი დამოკიდებულებით არის ნაკარნახევი: ისევე როგორც მიზანი შეიცავს განზრახვის დინამიური ასპექტისმაგვარ კომპონენტს, ასევე განზრახვაც თავის თავში შეიცავს გეგმის ელემენტებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მიზანი — ეს ჯერ კიდევ არ არის განზრახვა, ხოლ ეს უკანასკნელი — გეგმა. საჭიროა კიდევ გადაწყვეტილების სპეციფიური აქტები, რათა მიზანი დაკონკრეტდეს განზრახვად, ხოლო განზრახვა — გეგმად.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ სამუშაოვან ნებელობით ქცევასთან, რომელშიც აღნიშნული თანამიმდევრობით ასე მკაფიოდ შეიძლება

გამიჯნოს ქცევის მიზანი, განზრახვა და გეგმა, შედარებით უფრო იშვიათად ვეხვდება ადამიანის ქცევის რეპერტუარში (წმინდა იმპულსური ქცევების მსგავსად). ბოლოს და ბოლოს ადამიანს თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში ზომ შედარებით იშვიათად უწევს ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, როგორც ეჭიმად გახდომა. უმეტეს შემთხვევაში ადამიანი მოქმედებს ისე, რომ მისი ქცევის განხორციელებისათვის სრულიად საკმარისია გადაწყვეტილების მხოლოდ ერთი აქტი, რომლითაც მოთხოვნილება შეიძლება პირდაპირ (ე. ი. მიზნის მიღების გარეშე) გადავიდეს განზრახვაში, ხოლო ეს უკანასკნელი კი ქცევაში ისე, რომ საჭირო არ შეიქმნეს მისი შემდგომი დაკონკრეტება ანუ გეგმის მიღება.

### VII. განზრახვა, განწყობა და ადამიანის ნებელობითი ქცევის სახეები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განზრახვის ცნების ქვეშ იგულისხმება სუბიექტის მზაობა განახორციელოს გარკვეული ქცევა. ადვილი შესამჩნევია, რომ განზრახვისა და განწყობის ცნების განსაზღვრებებს შორის ძალიან დიდი მსგავსებაა. ამიტომაც მეტად საინტერესო უნდა იყოს იმის გარკვევა, თუ რა ადგილი უჭირავს განზრახვის ცნებას განწყობის ფსიქოლოგიაში. თუ ამ თვალსაზრისით გადავალებთ თვალს დ. უხნაძის ძირითად შრომებს, აღმოვაჩინებთ, რომ განზრახვის შესახებ მეტად ფრაგმენტული და ზოგჯერ წინააღმდეგობრივი ცნობებიც კი მოგვეპოვება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის ადგილი დ. უხნაძის „ზოგადი ფსიქოლოგიიდან“ [4], როცა იგი განწყობის არასწორ გამოყენების შესახებ მსჯელობს რადოსლავლევიჩის ცნობილ ცდასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში დ. უხნაძე განზრახვას აიგივებს განწყობის სუბიექტურ ფაქტორთან — მოთხოვნილებასთან. ის წერს: „შეცდომაა, როდესაც ფიქრობენ, თითქოს დამახსოვრების განზრახვა დამახსოვრების განწყობას წარმოადგენდეს. იგი მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია, რომელსაც მეორე უნდა დაემატოს, რათა სუბიექტს მართლა ნამდვილი განწყობა გაუჩნდეს“ (გვ. 76)<sup>11</sup>. მეორეს მხრივ, ნებელობის თავში გადაწყვეტილების აქტის დახასიათების დროს, დ. უხნაძე განზრახვას უკავშირებს ნებელობასა და ადამიანის ნებისმიერ ქცევას. აქ იგი განზრახვის შემდეგნაირ განმარტებას იძლევა: „გადაწყვეტის აქტი თავისთავად მომენტურია. მაგრამ იმისათვის, რომ რაც გადაწყვეტილია შესრულდეს, აუცილებელია გადაწყვეტილება შეურყეველი დარჩეს, რათა ქცევა ბოლომდე თავისდა შესაფერისად წარმართოს. ასეთს სტაბილიზირებულ გადაწყვეტილებას განზრახვა ეწოდება. როგორც დავრწმუნდით მას ნებელობის აქტში შექმნილი განწყობა უდევს საფუძვლად და რაც უფრო შეურყეველია იგი, მით უფრო მიმდინარეობაში ეს საფუძველი, რაც უფრო შეურყეველია იგი, მით უფრო მტკიცედ განიცდება განზრახვა და მით უფრო მტკიცეა ნებისყოფა“ (გვ. 158—159). გარდა ამისა „ნებისმიერი ქცევის, ე. ი. გადაწყვეტილის, განზრახული ქცევის მიმდინარეობა ისეთივეა, როგორც იმპულსური ქცევის მიმდინარეობა. ვიდრე ქცევის სისრულეში მოყვანის გადაწყვეტილება ძალაში რჩება, იგი ისე მიმდინარეობს, როგორც იმპულსური ქცევის შემთხვევაში“ (გვ. 149) (ხაზ-

<sup>11</sup> აღსანიშნავია, რომ განზრახვის, როგორც განწყობის სუბიექტური ფაქტორის შესახებ დ. უხნაძე მსჯელობს აგრეთვე თავის „შენიშვნების რეგულში“ [6, გვ. 84].



გასმა ჩემია — ლ. ყ.), როგორც ამ ციტატებიდან ჩანს, დ. უზნაძე განზრახვას უკავშირებს ადამიანის წმინდა ნებელობით ქცევას, კერძოდ გადაწყვეტილების აქტს, რომელსაც აზროვნებისა და მოტივაციის საკმაოდ რთული და ხშირ შემთხვევაში საკმაოდ ხანგრძლივი პროცესები უსწრებს წინ, და ბოლოს, ნებელობის პათოლოგიის აღწერის დროს დ. უზნაძე წერს: „პირველად ჰუგო ლიპმანის მიერ აღწერილი დაავადება, რომელსაც მან აპარაქსია უწოდა, სწორედ ნებისმიერი ქცევის უნარის დაშლაში იჩენს თავს: სუბიექტს სრულიად არ შეუძლია თუნდ უბრალო განზრახული აქტების შესრულება, მაშინ როცა იმპულსურად იგი სულ ადვილად ასრულებს ამავე აქტებს, მაგალითად, იგი ვერ ახერხებს ღილის გახსნას ან შეკვრას, როდესაც ავალზე მას ამის გაკეთებას. მაგრამ როდესაც თვითონ ჰირდება ღილის გახსნა თუ შეკვრა, როდესაც მას ამისი აქტუალური მოთხოვნილება აქვს, მაშინ ამ აქტის შესრულება მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს“ (გვ. 146) (ხაზგასმა ჩემია — ლ. ყ.).

ჩვენს მიერ მოყვანილ თითოეულ ამ ციტატაში განზრახვის ცნებაში სხვადასხვა შინაარსებია ჩადებული. პირველ ციტატაში განზრახვა გაიგივებულია მოთხოვნილებასთან, მეორესა და მესამეში — განზრახვა გაგებულია, როგორც ფენომენი, რომელიც გადაწყვეტილების აქტის შედეგად ჩნდება და ამდენად ჩვენს ნებელობით სფეროს განეკუთვნება, ხოლო მეოთხეში ლაპარაკია ისეთი უბრალო განზრახული აქტების შესახებ, როგორცაა ღილის შეკვრა ან გახსნა.

ამრიგად, სავსებით ნათელია, რომ განწყობის ფსიქოლოგიაში განზრახვის ცნება აუცილებლად შემდგომ ანალიზსა და შესწავლას მოითხოვს. თუ ისევ ზემოთ მოყვანილ ციტატებს დავუბრუნდებით, ვნახავთ, რომ პირველ და მეორე ციტატას შორის სრული ლოგიკური წინააღმდეგობა არსებობს. მართლაც, თუ განზრახვა წარმოადგენს განწყობის მხოლოდ სუბიექტურ ფაქტორს — მოთხოვნილებას, მაშინ როგორ არის შესაძლებელი, რომ იგი გადაწყვეტილების აქტის შედეგად ჩნდებოდეს. ვინაიდან დ. უზნაძე მინც ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რომ განზრახვა სტაბილიზირებული გადაწყვეტილებაა, ამდენად უნდა დავუშვათ, რომ პირველ შემთხვევაში გამოთქმული მოსაზრება გარკვეული გაუგებრობის ან შეცდომის ნიშანზე არის აღმოცენებული. ამიტომ, განზრახვაზე მსჯელობის დროს იგი შეგვიძლია არ მივიღოთ მხედველობაში. მაშასადამე, გამოყოფს რა ქცევის ორ უზოგადეს კლასს, — იმპულსურსა და ნებისმიერს, დ. უზნაძე თვლის, რომ განზრახვა თავს იჩენს სწორედ ნებისმიერი ქცევის დროს. ე. ი. განზრახვა დ. უზნაძესთან მხოლოდ ნებისმიერი ქცევის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს<sup>12</sup>. მაგრამ როგორ აქვს დ. უზნაძეს გაგებული იმპულსური და ნებისმიერი ქცევა? დ. უზნაძის მიხედვით, „იმპულსური ქცევისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ ჯერ ერთი, იგი აქტუალური მოთხოვნილების წყაროდან მომდინარეობს და მეორე — მას ის განწყობა განსაზღვრავს რომელსაც აქტუალური სიტუაცია ქმნის“ (გვ. 140). მაშასადამე, წმინდა იმპულსური ქცევა წარიმართება იმ განწყობის საფუძველზე,


<sup>12</sup> განწყობის ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა შრომებშიც განზრახვის ცნება აქა-იქ სწორედ ამგვარი მნიშვნელობით იხმარება, მაგრამ იგი არსად არ გამხდარა საგანგებო რეფლექციის საგანი. ამრიგად, თუკი განწყობის თეორიას მოტივაციურ თეორიებს მივაკუთვნებთ (ამის შესახებ იხ. [10]), მაშინ ტ. რიანის მიერ გამოთქმული სამართლიანი შენიშვნების თაობაზე რომ განზრახვის ცნება მოტივაციურ თეორიათა უმრავლესობაში უგულებელყოფილ ცნებას წარმოადგენს [44], ძალაში რჩება განწყობის თეორიის მიმართაც.

რომელიც იქმნება აქტუალური მოთხოვნილებებისა და აქტუალური სიტუაციის თანხვედრის შედეგად და ამიტომაც, რომ იგი „გაცნობიერების გარეშეც მიზანშეწონილია“. ხოლო ნებისმიერი ქცევის შემთხვევაში დ. უზნაძის მხედვით, სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე: „რა იწვევს აქ განწყობას? არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას, რომ ამას აქტუალური სიტუაცია შევება. როგორც ვიცით, აქტუალურ სიტუაციას ე. ი. იმ კონკრეტულ სიტუაციას, რომელშიც გარკვეულ მომენტში იმყოფება სუბიექტი, ნებელობის შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. საქმე ისაა, რომ სუბიექტი აქ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე როდი ზრუნავს, რომელსაც ამჟამად განიცდის. ნებელობა აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით როდი ხელმძღვანელობს... იგი ასე ვთქვათ „განყენებულ“ მოთხოვნილების, მე-ს მოთხოვნილების — დაკმაყოფილებას ესწრაფის და გასაგებია, რომ აქტუალურ სიტუაციას, რომელშიც ამ მომენტში იმყოფება სუბიექტი, მისთვის მნიშვნელობა არა აქვს“ (გვ. 173) და იქვე: „ნებელობის შემთხვევაში ის ქცევა, რომელიც გადაწყვეტილების საგნად უნდა შეიქმნას, მომავალში უნდა მოხდეს. მაშასადამე არც მისი სიტუაცია შეიძლება აწყოში იყოს მთლიანად მოცემული: იგი შეიძლება მხოლოდ წარმოსახული და გააზრებული იყოს. ამიტომ საკვირველი არაა, რომ განწყობას, რომელიც გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში ჩნდება და რომელიც ნებისმიერი ქცევის პროცესს ედება საფუძვლად, წარმოსახული ან აზრითი სიტუაცია ქმნის“ (გვ. 174).

მაშასადამე, იმპულსური ქცევის განწყობა ჩნდება აქტუალური მოთხოვნილებისა და აქტუალური სიტუაციის, ხოლო ნებისმიერი ქცევის განწყობა კი — განყენებული მოთხოვნილებისა და წარმოსახული სიტუაციის ურთიერთშეხვედრის საფუძველზე. ერთის მხრივ, ადამიანი, მოთხოვნილების აღმოცენებისთანავე, თითქმის ავტომატურად იწყებს მოქმედებას, რაც ცნობიერების მინიმალურ კონტროლს მოითხოვს, ხოლო მეორეს მხრივ, მის ქცევას წინ უსწრებს საკმაოდ ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი როცა ადგილი აქვს მოფიქრებას, განსჯას, ყოყმანს, მოტივთა ბრძოლასა და სხვა მსგავს პროცესებს.

მაგრამ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მიღებული განზრახვებისა და და მათი შესატყვისი ქცევების ანალიზი გვიჩვენებს, რომ კიდევ უნდა არსებობდეს ისეთ მრავალრიცხოვან ქცევათა კლასი, რომელიც არც წმინდა იმპულსურია და არც წმინდა ნებელობითი. იგი თითქოს ქცევის ამ ორ უკიდურეს ტიპს შორის არსებულ გარდამავალ საფეხურს უნდა წარმოადგენდეს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ე. წ. მარტივი გადაწყვეტილების აქტის საფუძველზე აღმოცენებული განზრახვები და მათი შესატყვისი ქცევები, რომელთა შესახებაც უკვე გვქონდა ლაპარაკი წინამდებარე შრომის III თავში. მარტივი გადაწყვეტილების აქტის საფუძველზე ფორმირებული განწყობა იმპულსური ქცევის განწყობას ჰგავს იმით, რომ მასაც აქტუალური მოთხოვნილება უდევს საფუძვლად, ხოლო წმინდა ნებელობითი ქცევის განწყობას კი იმით, რომ მასაც წარმოსახული სიტუაცია განსაზღვრავს. მართლაც, როცა დიასახლისი საღამოს კინოში წასვლას განიზრახავს, მას აქვს აქტუალური მოთხოვნილება, მაგრამ ვინაიდან ამ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი სიტუაცია აქტუალურად არ არის მოცემული, ამიტომ ამ ქცევის შესატყვისი განწყობა ფორმირდება აქტუალური მოთხოვნილებისა და წარმოსახული სიტუაციის საფუძ-

ველზე<sup>13</sup>. მაშასადამე შეიძლება გამოვყოთ მარტივი ნებელობითი ქცევების კლასი, რომელთა მიმდინარეობაც წარიმართება იმ განწყობით, რომელიც ფორმირდება აქტუალური მოთხოვნილებისა და წარმოსახული სიტუაციის თანხვედრის ნიადაგზე. ალბათ, დ. უზნაძესაც იგივე რამ ჰქონდა მხედველობაში, როცა ჰუგო ლიჰმანის მიერ აღწერილი ავადმყოფის მაგალითზე ასკენის, რომ მას (ამ ავადმყოფს) არ შეეძლო თუნდ ისეთი უბრალო განზრახული აქტების შესრულება, როგორცაა ღილების შეკვრა ან გახსნა. ყოველივე ზემოთქმულ სქემის სახით წარმოდგენილია ნახ. 2-ზე.



ნახ. 2. იმპულსური და ნებისმიერი ქცევის კლასიფიკაცია მათ საფუძვლად მდებარე განწყობის ფორმირების თვისებებზეათა გათვალისწინებით

ამრიგად, იმპულსური ქცევების შემთხვევაში განზრახვებზე ლაბარაკი საერთოდ შეუძლებელია, ვინაიდან ადგილი არა აქვს გადაწყვეტილების აქტს: აქტუალური მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი აქტუალური სიტუაციის თანხვედრის შედეგად წარმოშობილი განწყობა უშუალოდ გადადის ქცევაში. რაც შეეხება ნებელობით ქცევას (როგორც მარტივს, ისე რთულს), ორივე შემთხვევაში განწყობის შექმნას წინ უსწრებს გადაწყვეტილების აქტი,

<sup>13</sup> ისეთი განწყობის არსებობის შესაძლებლობაზე, რომელიც აქტუალური მოთხოვნილებისა და წარმოსახული სიტუაციის ნიადაგზე იქმნება მიუთითებს აგრეთვე ი. იმედაძე [13]. ვ. კაკაბაძის აზრით კი, ასეთი განწყობა წარმოადგენს არა ნებისმიერი, არამედ იმპულსური ქცევის განწყობას [1]. მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ვ. კაკაბაძის ამ მოსაზრებას. მართლაც, ძნელია იმის დაშვება, რომ ზემოთყვანილ მაგალითში ღიასხლისის კინოში წასვლას იმპულსური ქცევის განწყობა უღვეს საფუძვლად. მართლაც, შეუძლებელია, რომ იმპულსური ქცევას წინ უსწრებდეს გადაწყვეტილების აქტი და ხდებოდეს მისი (ვ. კაკაბაძის) გადავადება. აღნიშნულ მაგალითში კი ღიასხლისი იღებს გადაწყვეტილებას საღამოს წვიმდეს კინოში.

რაც იწვევს განზრახვის აღმოცენებას და ბოლოს, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ქცევის გადავადებას, რაც სრულიად შეუძლებელია იმპულსური ქცევის შემთხვევაში [14, გვ. 67].

ასანინშნავია, რომ ქცევის ამგვარი ფორმების არსებობა ნაგულისხმევია სხვა მკვლევართა შრომებშიც (მაგ. [12; 18]), მაგრამ ჩვენთვის ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო საყურადღებოა ლევინისეული კლასიფიკაცია, რომელიც ზოგად მონახაზებში თითქმის აქ წარმოდგენილი სქემის იდენტურია. ამიტომ სანამ გადავიდოდეთ განზრახვასა და განწყობას შორის არსებული დამოკიდებულების განხილვაზე, ჯერ მიინც საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შეეჩერდეთ ლევინის თეორიულ მოსაზრებებზე, ვინაიდან ისინი, როგორც ვთქვით, უშუალო კავშირშია აქ განხილულ საკითხებთან.

თავის ცნობილ ნაშრომში „განზრახვა, ნებელობა და მოთხოვნილება“ [39] კ. ლევინი ერთმანეთისაგან გამოყოფს სამი სახის ქცევას, ესენია: დრაივ-ქცევა (drive action), განზრახვითი ქცევა (intentional action) და კონტროლირებული ქცევა (controlled action). მაშინ როცა პირველი ფაქტურად იმპულსური ქცევაა, დანარჩენი ორი ნებელობითი ქცევის ორ ქვესახეს წარმოადგენს. მაგრამ რით განსხვავდებიან ისინი დრაივ-ქცევისაგან?

დრაივ-ქცევის ქვეშ კ. ლევინი გულისხმობს იმპულსურ (უნებლიე) ქცევას, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს და რომელსაც საფუძვლად არ უდევს განზრახვის მიღების სპეციფიკური აქტი. რაც შეეხება განზრახვით და კონტროლირებულ ქცევებს, მათ აუცილებლად უსწრებს წინ განზრახვის აქტი. მაგრამ მათ შორის ის სხვაობაა, რომ განზრახვითი ქცევის მიმდინარეობა ჰგავს არაკონტროლირებული ანუ დრაივ-ქცევის მიმდინარეობას: განზრახვის აქტის შემდეგ ქცევა თითქმის თავისით, უკვე ცნობიერი კონტროლის გარეშე მიმდინარეობს. ხოლო კონტროლირებული ქცევის შემთხვევაში კი განზრახვის აქტის საფუძველზე მიმდინარე ქცევა ადამიანისაგან მუდმივ კონტროლსა და ძალისხმევას მოითხოვს. მაგალითად როცა ადამიანს ეშინია გზაზე გაწოლილ ძაღლის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც იღებს გადაწყვეტილებას ჩაუაროს მას გვერდზე, ასეთ შემთხვევაში, ადამიანს მუდმივად უხდება თავისი თავის შემოწმება იმ მიზნით, რომ ბოლომდე მიიყვანოს თავისი გადაწყვეტილება — მშვიდად ჩაუაროს ძაღლს, შიშის პანიკური რეაქციის — გაქცევის გარეშე. ამრიგად ნათელი ხდება, რომ კ. ლევინის მიხედვით, განზრახვითი ქცევა იმპულსურსა და კონტროლირებულ ქცევებს შორის არსებულ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს. მართლაც, იმპულსურ ქცევას ის თავისი მიმდინარეობით წაავას, ხოლო კონტროლირებულს კი იმით, რომ მასაც საფუძვლად განზრახვის სპეციფიკური აქტი უდევს.

ამრიგად, ჩვენ გამოვყავით იმპულსური, მარტივი და რთული ნებელობითი ქცევები, ხოლო ლევინი გამოყოფს დრაივ, განზრახვით და კონტროლირებულ ქცევებს. რაც შეეხება იმპულსურ და დრაივ-ქცევას, ისინი როგორც ჩანს ერთი და იგივე ქცევითი რეალობის აღმნიშვნელად გვევლინებიან. მართლაც, ორივე შემთხვევაში ნაგულისხმევია (როგორც ლევინთან, ისე ჩვენთან) რომ ეს ისეთი უნებლიე ქცევებია, რომელთაც წინ არ უწრებთ გადაწყვეტილების აქტი. მაგრამ ჩვენს მიერ გამოყოფილი მარტივი და რთული ნებელობითი ქცევები და ლევინისეული განზრახვითი და კონტროლირებული ქცევები არ არიან ერთმანეთის იდენტურნი, ვინაიდან მათი კლასიფიკაცია განსხვავებულ პრინციპებზე დაყრდნობით მოხდა. მართლაც, ლევინისთვის მნიშვნელობა

არა აქვს გადაწყვეტილების აქტის რაგვარობას, მისთვის მთავარია, თუ როგორ გაიშლება ქცევა გადაწყვეტილების, ანუ როგორც ის ამბობს განზრახვის აქტის შემდეგ: იმპულსურად, მსგავსად დრავ ქცევისა (რაც საერთოდ არ მოითხოვს ცნობიერ კონტროლს, ანდა მოითხოვს მხოლოდ მინიმალური ოდენობით), თუ გამუდმებული ცნობიერი კონტროლის მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სქემაში ქცევის მიმდინარეობის ეს ასპექტიც არის გათვალისწინებული (აღვილი და ძნელი განზრახვების სახით), ამოსავალ პრინციპად მაინც მიჩნეულია საკუთრად გადაწყვეტილების აქტისა და არა ქცევის შემდგომი მიმდინარეობის რაგვარობა.

### VIII განზრახვა და განწყობა

ნახ. 2-დან ჩანს, რომ გადაწყვეტილების აქტი საფუძვლად უდევს განწყობასაც და განზრახვასაც. ვამბობთ აგრეთვე, რომ განზრახვა არის ონდვილის მზაობა განახორციელოს გარკვეული ქცევა. ანალოგიური განსაზღვრება იხმარება განწყობის მიმართაც. განწყობის მსგავსად, განზრახვასაც მიაწერენ ქცევის აღმძვრელ და წარმმართველ ფუნქციას<sup>14</sup>. და ბოლოს, განზრახვის მსგავსად, განწყობაც შემდეგი ნიშნებით განსხვავდება მოთხოვნილებებისაგან:

1. აღამიანს შეიძლება ერთდროულად ჰქონდეს ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნილებები, მაგრამ არ შეიძლება ჰქონდეს ორი ერთმანეთის გამომრიცხავი ქცევის განწყობა<sup>15</sup>.

2. თუ აღამიანს აქვს A ქცევის შესრულების განწყობა, მაგრამ A როგორც წინაპირობას, მოითხოვს B-ს, მაშინ უნდა გაჩნდეს B ქცევის განწყობაც.

3. მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეიძლება მოხდეს სხვა აღამიანების ძალისხმევით. დახმარების შედეგად, ხოლო განწყობის რეალიზაცია მხოლოდ აღამიანის საკუთარი აქტივობის შედეგად შეიძლება მოხდეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავსებით კანონზომიერია შემდეგი საკითხების დასმა: რა დამოკიდებულება არსებობს განზრახვასა და განწყობას შორის? ხომ არ წარმოადგენენ ისინი იდენტურ ცნებებს? შეიძლება თუ არა განზრახვას ვუწოდოთ ცნობიერი განწყობა? ასეთ შემთხვევაში ზედმეტი ხომ არ არის არაცნობიერი განწყობის ცნება?

მიუხედავად ასეთი მსგავსებისა, ჩვენი აზრით, ამ ორ ცნებას შორის არსებული სხვაობა ორი მნიშვნელოვანი მომენტით განისაზღვრება. პირველი, განწყობა არაცნობიერია, ხოლო განზრახვა აუცილებლად ცნობიერების ფენომენთა ატრეგორიას განეკუთვნება. მეორე ის, რომ განწყობა განზრახვასთან მიმართებაში პირველადი. მართლაც უშუალოდ გადაწყვეტილების აქტში მომავალი განწყობის აღმოცენებასთან გვაქვს საქმე, ხოლო განზრახვა კი მხოლოდ ამ აქტის შემდეგ შეიძლება გაჩნდეს.

<sup>14</sup> საინტერესოა ისიც, რომ ამ ორი ცნების აღმნიშვნელი სიტყვებიც თითქმის ერთმანეთის მსგავსია. მართლაც განწყობა და განზრახვა. პირველში ივლისსმება თითქმის რალაცისადმი წყობა, აწყობა, ხოლო მეორეში — რალაცისადმი ზრახვის მომენტით.

<sup>15</sup> ამგვარი სხვაობის არსებობაზე დ. უზნაძეც მიუთითებს „შენაშენებას რვეულში“ [6, გვ. 86—87].



აღსანიშნავია, რომ კითხვას, თუ რა როლს თამაშობენ ქცევის აღძვრასა და წარმართვაში განწყობისა და განზრახვის კატეგორიები, შეიძლება 4 ალტერნატიული პასუხი გაეცეს რაც სქემის სახით ნახ. 3-ზეა წარმოდგენილი.

პირველი შესაძლო ვარიანტის მიხედვით, ქცევის აღმძვრელ და წარმართველ ძალად არც განწყობა გვევლინება და არც განზრახვა. ალბათ ამ პოზიციაზე დგას ყველა ის მკვლევარი, რომელიც ქცევის აღძვრისა და წარმართველ ფუნქციას განწყობისაგან და განზრახვისაგან განსხვავებულ ისეთ მოვლენებს მიაწერს, როგორცაა მაგალითად მიზანი, გეგმა და სხვ. ვინაიდან ამ ვარიანტის გარჩევა ვერ დაგვეხმარება ამ თავის დასაწყისში წამოჭრილი საკითხების გარკვევაში, ამიტომ ჩვენ მის განხილვას აქ აღარ შევუდგებით.

მეორე შესაძლო ვარიანტი იმ პოზიციის გამომახტველია, რომ ქცევის ერთადერთ აღმძვრელ და წარმართველ ძალას წარმოადგენს განწყობა. თავის მხრივ, ამ საერთო ამოსავალი პრინციპიდან კიდევ ორი შესაძლო ქვევარიანტი შეიძლება გამოვყოთ. I ქვევარიანტის მიხედვით, ქცევას წარმართავს მხოლოდ განწყობა, ხოლო განზრახვის ცნება არა თუ ზედმეტია, არამედ იგი, როგორც ფენომენი არც არსებობს. II ქვევარიანტის მიხედვით, მართალია განზრახვა ეპიფენომენი არ არის, იგი როგორც ცნობიერების ფენომენი შეიძლება წინ უსწრებდეს ან თან სდევდეს ქცევას, მაგრამ მას განწყობის მსგავსად სრულიად არ ძალუძს ქცევის აღძვრა და მასზე რაიმე ზემოქმედების მოხდენა. ამიტომ განზრახვის ცნება, როგორც ამხსნელი ცნება სრულიად ზედმეტია

გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ა

		-	+
კატეგორია	-	არც განწყობა არც განზრახვა I	მხოლოდ განზრახვა განწყობა ზედმეტია III
	+	მხოლოდ განწყობა განზრახვა ზედმეტია II	განწყობაც და განზრახვაც IV

ნახ. 3. აქ წარმოდგენილია შესაძლო პასუხთა ვარიანტები იმ შეკითხვაზე, თუ რა როლს თამაშობენ განწყობისა და განზრახვის კატეგორიები ქცევის აღძვრასა და წარმართვაში.

ფსიქოლოგიაში. ვინაიდან ორივე ეს ქვევარიანტი პიპოთეტური ხასიათისაა, ამიტომ შეუძლებელია მოვინახოთ ისეთი მკვლევარები, აღნიშნულ პოზიციებზე რომ იდგნენ. საქმე ისაა, რომ თითოეული ეს ქვევარიანტი ერთგვარ ლოგიკურ წინააღმდეგობას შეიცავს. მართლაც განწყობის თეორიის პოზიციაზე მდგომი ფსიქოლოგები, განწყობის თანმხლებ ფსიქიკურ პროცესებს, ბიპეიორისტების მსგავსად, არ უარყოფენ. ამიტომ ჩვენს მიერ მოყვანილი I ქვევარიანტი მართებულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ცხოველთა ქცევების შემთხვევაში. მართლაც ამ შემთხვევაში სრულიად საკმარისია მხოლოდ განწყობის, როგორც ქცევის ამხსნელი კატეგორიის შემოტანა. რაც შეეხება განზრახვის ცნებას, იგი სრულიად ზედმეტი ხდება, რადგან შეუძლებელია ცხოველთა ფსიქიკაში დავადასტუროთ ისეთი ცნობიერი ფენომენის არსებო-

ბა, როგორცაა გადაწყვეტილების აქტის საფუძველზე აღმოცენებული განზრახვა.

II ქვევარიანტიც ერთგვარი წინააღმდეგობის შემცველია. მართლაც, შეუძლებელია განწყობის თეორიულ პოზიციებზე მდგომი მკვლევარისათვის იმის დაშვება, რომ ცნობიერების ფენომენი (ამ შემთხვევაში განზრახვა) არავითარ გავლენას არ ახდენდეს ჩვენს ქცევაზე. ბუნებრივია, რომ ასეთ დაშვებას მიყვავართ ფსიქოფიზიკურ პარალერლიზმამდე (უშუალობის პოსტამდე), რომლის დასაძლევად იქნა ფაქტიურად შემუშავებული განწყობის თეორია [5].

როგორც ნახ. 3-დან ჩანს, მესამე შესაძლო ვარიანტის მიხედვით განზრახვა, როგორც ცნობიერი მოვლენა გვევლინება ერთადერთ ძალად, რომელსაც ქცევის აღძვრისა და წარმართვის უნარი შესწევს და ამდენად, სრულიად ზედმეტია ქცევის ასახსნელად რაღაც დამატებითი ფაქტორების (მაგ. განწყობის) შემოტანა. მეორე ვარიანტისაგან განსხვავებით, ეს ვარიანტი ჰიპოთეტურ ხასიათს აღარ ატარებს, ვინაიდან ამგვარ შეხედულებას ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული ზოგიერთი მკვლევარიც იზიარებს (მაგ. ვ. ბრანდი, ი. კული, პ. ჰექჰაუზენი, გოლიტსერი, ფიშბეინი და აიზენი და სხვ.). ასეთი პოზიცია იმ ზოგადი კოგნიტივისტური მიდგომით არის განპირობებული, რომელიც ამჟამად ფართოდ არის გავრცელებული თანამედროვე საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში და რომელიც ზოგადად იმ დაშვებაში მდგომარეობს, რომ კოგნიტური მოვლენები პირდაპირ, რაიმე შუამავალი რგოლის გარეშე აღრძავენ და განსაზღვრავენ ქცევას. მაგალითად მ. ვონ კრანახი [48] მიზანმიმართული ქცევის თეორიის (The theory of goal-directed action) ერთ-ერთ ამოსავალ პრინციპად შემდეგ დებულებას მიიჩნევს. „ცნობიერი კოგნიტური პროცესი (cognition) მიმართავს და არეგულირებს ქცევას“ (გვ. 61).

ჩვენი აზრით, ამგვარ პოზიციებზე მდგომ მკვლევარებს, განწყობის თეორიის გაცნობის შემდეგ შეიძლება შემდეგი ხასიათის მოსაზრება გაუჩნდეთ: განზრახვა ცნობიერების ფენომენია, რომელიც, ერთის მხრივ, სათავეს ლებულობს გადაწყვეტილების აქტიდან, ზოლო მეორეს მხრივ, განსაზღვრავს მომავალ ქცევას. ამიტომ არის თუ არა კიდევ საჭირო განწყობის ცნების შემოტანა, რომელიც არაცნობიერია და ამდენად, მაინც ჰიპოთეტურ ცვლადთა რიცხვს განეკუთვნება<sup>16</sup>. ასეთი მსჯელობა თითქოს განსაკუთრებით დამაჯერებელია იმ შემთხვევების ანალიზისას, როცა გადაწყვეტილების შედეგად მიღებული განზრახვა უშუალოდ გადადის ქცევაში. თუ მეგობართან წასვლა განვიზრახვ და მაშინვე შევუდექი მის განხორციელებას, მაშინ ხომ არ არის ზედმეტი განწყობის ცნება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს განზრახვა რომელიც ცნობიერ ხასიათს ატარებს, უშუალოდ თვითონვე განსაზღვრავდეს ქცევას. ჩვენ ვფიქრობთ აღნიშნული მოსაზრების უმართებულობა (რომ აღარაფერი ვთქვათ მის საფუძველად მდებარე ფილოსოფიურ პრინციპებზე) შეიძლება დავასაბუთოთ იმ შემთხვევების მაგალითზე, როცა განზრახვა უშუალოდ ვერ გადადის ქცევაში, როცა ადგილი აქვს განზრახვის გადავადებას. თუ განვიზრახვ მეგობართან წასვლა სადილის შემდეგ, მაშინ სადილობისას ეს განზრახვა შეიძლება სრულიად აღარ იყოს ჩემი ცნობიერების.

<sup>16</sup> განწყობის, როგორც ჰიპოთეტური კონსტრუქციის შესახებ იხ. [10].

შინაარსებს შორის. მიუხედავად ამისა, არაცნობიერ დონეზე ჩემში მაინც განვგრძობს არსებობას ისეთი მზაობა, რომელიც სადილის დამთავრებისას აქ განზრახვას დროულად ამოტივტივებს ჩემს ცნობიერებაში. აქ შეიძლება ისევ შეგვეკამათონ და გვითხრან, რომ ეს მზაობა კი არ ამოტივტივებს ამ განზრახვის შინაარსს (ე. ი. მის სტრუქტურულ ასპექტებს) ჩვენს ცნობიერებაში, არამედ თვითონ ეს განზრახვა განაგრძობს ჩვენში არსებობას მეხსიერების კვალის სახით და სათანადო მომენტში ზღბდა მისი გახსენება (მაგ. ჯ. მაღერი, ი. გალანტერი და კ. პრიბრამი). მაგრამ სირთულე აქ იმაშია, რომ მეხსიერების კვალი (როგორც შექმნილი ინფორმაცია) უმეტეს წილად პასიურია, მას არ გაჩნია თვითაქტუალის სახის უნარი [38]. ამიტომ თუ პროსპექტულ განზრახვას განვიხილავთ მხოლოდ როგორც მეხსიერების კვალს, მაშინ გაუგებარი რჩება, თუ რა უზრუნველყოფს ამ განზრახვის შინაარსის ამოტივტივებას. როგორც ჩანს, თავის დროზე თვით ჯ. მიღერი, ი. გალანტერი და კ. პრიბრამიც სწორედ ასეთი სახის სიძნელეს წააწყდნენ, როცა განზრახვის გახსენების ასახსნელად იძულებულნი გახდნენ მეხსიერების ახალი სახე, ე. წ. მუშა-მეხსიერების ცნება შემოეტანათ ფსიქოლოგიაში [17, გვ. 82]. საინტერესოა ისიც, რომ სწორედ ამავე მიზეზის გამო დაჰკირდა ტ. რიანს ნ. ახისაგან ნასესხები დეტერმინაციის ტენდენციის, როგორც ცნობიერი განზრახვისა და ქცევის შემავარდნის დამატებითი რგოლის შემოტანა. ტ. რიანის აზრით, ამ ცნების (ე. ი. არაცნობიერი დეტერმინაციის ტენდენციის) დახმარებით შეიძლება გავიგოთ არა მარტო ის, თუ რა სახით განაგრძობს არსებობას განზრახვა გადავადებულ ქცევების შემთხვევაში, არამედ ისიც, თუ რატომაა, რომ ხშირად აღამიანის ავტომატური ქცევა, რომლის შესატყვისი განზრახვა აღარც კი არის ცნობიერებაში წარმოდგენილი მაინც ამ განზრახვის შესატყვისად მიმდინარეობს [44, გვ. 26].

საყურადღებოა ისიც, რომ განწყობის თეორიისათვის ამგვარი სიძნელის არსებობა იმთავითვე გამორიცხულია. მართლაც, თუკი დავუშვებთ, რომ პროსპექტული განზრახვა სწორედ განწყობის სახით განაგრძობს არსებობას, მაშინ ვასაგები უნდა გახდეს, როგორც ქცევის მიზანშეწონილების ფაქტი ცნობიერებაში განზრახვის პერმანენტული არსებობის აუცილებლობის გარეშე, ასევე განზრახვათა გადავადებისა და მათი დროული გახსენების ფაქტებიც<sup>17</sup>.

ამრიგად ქცევის ასხნა მხოლოდ ცნობიერი განზრახვის ცნების ან მხოლოდ განწყობის ცნების გამოყენებით მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდება ან ერთგვარ ლოგიკურ წინააღმდეგობებს შეიცავს.

17 ვინაიდან განწყობის ფსიქოლოგიაში არის გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზოგჯერ აღამიანს შეუძლია თავის ქცევის საფუძვლად მდებარე განწყობის განცნობიერება (იხ. [2]), ამიტომ შეიძლება გაჩნდეს მოსაზრება იმის შესახებ, რომ განცნობიერებული განწყობის არსებობის მოდუსს სწორედ განზრახვა წარმოადგენს. მაგრამ ამგვარი დაშვება განწყობის ცნებას უკარგავს იმ ამხსნელ ძალას, რისთვისაც იგი ფაქტურად ფსიქოლოგიაში შემოტანილი იყო უზნაძის მიერ. უფრო მეტიც, მას (ამ დაშვებას) ყველა იმ ამოსავალი თეორიული პრინციპის უარყოფამდე მივყავართ, რომელსაც ეფუძნება განწყობის ფსიქოლოგია. ამდენად განზრახვის, როგორც ცნობიერი განწყობის არსებობა, ჩვენ პრინციპულად შეუძლებლად მიგვაჩნია. ვინაიდან განწყობის ფსიქოლოგიაში სხვადასხვა მკვლევარის მიერ კარგად არის დასაბუთებული განწყობის არამარტო როგორც ცნობიერ ფენომენად, არამედ საერთოდ ფსიქიკურად განხილვის უმართებულობა, ამიტომ ამ მოსაზრების დასაბუთებას აქ აღარ შეუძლებით. ამ პრობლემასთან დაკავშირებით იხ. [11], აგრეთვე [9; 19; 20].

როგორც ნახ. 4-დან ჩანს ოთხი შესაძლო ალტერნატიული პასუხიდან (რომლებიც მოწოდებული არიან უპასუხონ კითხვას თუ რა დამოკიდებულება არსებობს განწყობისა და განზრახვის კატეგორიებს შორის) განსახილველი დავერჩა ბოლო მეოთხე ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ადამიანის ნებელობითი ქცევის ასახსნელად საჭიროა როგორც არაცნობიერი განწყობის, ასევე ცნობიერი განზრახვის კატეგორიები.

მიუხედავად იმისა, რომ თვითონ დ. უზნაძეს საგანგებოდ არსად არ განუხილავს ქცევაში განწყობისა და განზრახვის ულოთერომიმართების საკითხი, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მისი თეორიული პრინციპების ლოგიკურ განვითარებას სწორედ ამ უკანასკნელი მეოთხე ვარიანტის მართებულობის აღიარებამდე მივყავართ. ამ საკითხის გასარკვევად ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დ. უზნაძის „შენიშვნების რვეულში“ გამოთქმული მოსაზრებები აღმოჩნდა (იხ. [6; 7; 8]).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, „შენიშვნების რვეულში“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ემოციების როლის გარკვევას ქცევაში. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში უზნაძე ემოციურ ქცევას იმპულსური ქცევის კონტექსტში განიხილავს. მაშასადამე უზნაძესთვის საკითხი იდგა იმის შესახებ, თუ რა როლს თამაშობს, ერთის მხრივ, განწყობა და, მეორეს მხრივ, ემოცია იმპულსური ქცევის აღძვრასა და წარმართვაში. საკითხის ამგვარი დაყენება მას დაჭირდა იმ მსგავსების გამო, რომელიც მისი აზრით, არსებობს განწყობასა და ემოციას შორის. მართლაც, „შეიძლება ითქვას, ემოცია არც წმინდა ფსიქიკური განცდაა და არც სხეულმებრივი მოვლენა. იგი თითქოს ორივეა ერთად — ჯერ კიდევ გაუნაწევრებელი მთლიანია და ესაა, რომ ამტკიცებს, რომ განწყობის უახლოესი წარმომადგენელია, თუ თვითონ განწყობა არაა“ [8, გვ. 87]. მაგრამ უზნაძე, ცხადია, არ აიგივებს ამ ორ მოვლენას. მისი აზრით, განწყობა ყოველთვის პირველადია, ხოლო ემოცია მის არეკვლას, ასახვას წარმოადგენს ფსიქიკაში.

მაგრამ რა ფუნქციას ასრულებს განწყობის ამგვარი არეკვლა ზოგადად ქცევასა და კერძოდ, იმპულსურ ქცევაში? დ. უზნაძის აზრით, ემოციური განცდა, როგორც განწყობის ფსიქიკური კორელატი არ წარმოადგენს განწყობის უბრალო, მნიშვნელობას მოკლებულ თანმხლებ მოვლენას — მას სრულიად გარკვეული როლი აქვს მინიჭებული ქცევაში [8, გვ. 84]. მართლაც „ეს ფსიქიკური შინაარსები განწყობას ახლავს თან და მის მიმდინარეობას ეხმარებიან, როგორც ქცევის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორს“ [8, გვ. 90]. მაგალითად, სახიფათო სიტუაცია ლტოლვის, გაქცევის განწყობას ქმნის. მაგრამ ჩვეულებრივ ეს განწყობა მაშინვე კი არ გადადის ქცევაში, არამედ ჯერ ცნობიერებაში აირეკლება შიშის ემოციის სახით. ამ უკანასკნელში კი მოცემულია იმპულსი (ბოიგი, ტენდენცია, ლტოლვისაკენ) და შიშის გამომწვევი ობიექტის ასახვა (წარმოდგენა). „ორივე ეს ცნობიერი ელემენტი, რომელიც შიშშია გაერთიანებული, ხელს უწყობს ქცევის განხორციელებას — გაქცევას გარკვეული მიმართულებით“ [6, გვ. 75]. მაშასადამე, იმპულსური ქცევაში ემოციას ძირითადად ორი ფუნქცია აქვს დაკისრებული. „პირველად ის თავს იჩენს როგორც სტიმული, რომელიც ფსიქიკურად გვეძლევა, როგორც სტიმული განწყობის შესატყვისი ქცევის გაშლისა. იგი წინ უსწრებს ქცევას. მეორეჯერ ის თან ახლავს ქცევას იმის საჩვენებლად, როგორ მიდის ეს ქცევა, რას გვაძლევს იგი ხელსაყრელია თუ არა ინდივიდისათვის“ [8, გვ. 93].

საინტერესოა, რომ დ. უზნაძე, როგორც ჩანს, ემოციას ქცევის აღმძვრელ და წარმმართველ ფუნქციებს მიაწერს არა მხოლოდ იმპულსური ქცევის შემთხვევაში. ეს ცხადი ხდება მისი შემდეგი გამონათქვამიდან: „როდესაც სუბიექტი რაიმე ამოცანის წინაშე დგას, მასში გარკვეული ქცევის განწყობა ჩნდება, რომელიც, პირველ რიგში, ცნობიერებაში პოულობს თავის ანარეკლს, იწვევს გარკვეულ ემოციონალურ განცდას, რომელშიც გაერთიანებულია იმპულსი და გარკვეული ობიექტური შინაარსი (კონატიური და კოგნიტიური მომენტი). ეს ფსიქიკური შინაარსი განწყობის ქცევაში რეალიზაციის პროცესს აადვილებს და აზუსტებს: ხელს უწყობს ქცევას“ [6, გვ. 75]. (ხაზგასმა ჩემია — ლ. ყ.) მაგრამ შეუძლებელია, რომ რაიმე ამოცანის წინაშე მდგომმა სუბიექტმა ქცევის იმპულსური განხორციელება დაიწყოს, მითუმეტეს თუკი ამგვარ ქცევას თან კონატიური ასპექტებიც ახლავს თან. ამრიგად, აქ დ. უზნაძეს აშკარად ადამიანის ნებელობითი (თუნდაც მარტივი) ქცევების შესახებ აქვს ლაპარაკი. მაგრამ ნებელობითი ქცევები იმპულსურისაგან ხომ სწორედ იმით განსხვავდებიან, რომ ისინი ემოციებს ნაკლებად ექვემდებარებიან. ნებელობითი ქცევების აღძვრისა და წარმართვის საქმეში ემოციას რომ იგივე სტატუსი მივანიჭოთ, რაც მას იმპულსური ქცევების დროს გააჩნია, ეს ფაქტიურად ადამიანის ნებისმიერი ქცევების იმპულსურ ქცევებზე დაყვანამდე მიგვიყვანს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ნებელობით ქცევებში იმპულსურისაგან განსხვავებით, ქცევის აღმძვრელი და წარმართველი ფუნქციები თავის თავზე აღებული უნდა ჰქონდეს სწორედ განზრახვას და არა ემოციას.

ყოველივე ზემოთქმული შეიძლება შემდეგი სახით შევაჯამოთ: ადამიანის როგორც მარტივი, ისე რთული ნებელობითი ქცევების დროს გადაწყვეტილების საფუძველზე აღმოცენებული განწყობა ცნობიერებაში აირეკლება განზრახვის სახით, რომელიც თავის მხრივ, კიდევ დამატებით იმპულსს იძლევა ქცევის დასაწყებად (დინამიური ასპექტი) და გარდა ამისა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქცევის რეგულაციაში (სტრუქტურული მომენტი), ახდენს რა უკუზეგავლენას ქცევის საფუძველად მდებარე განწყობაზე. ამრიგად, განზრახვა გვევლინება, როგორც განწყობისა და ქცევის შემაკავშირებელი რგოლი, ვინაიდან „განწყობა თვითონ, ასე ვთქვათ უშუალოდ როდი განსაზღვრავს ქცევას, არამედ ცნობიერების დახმარებით“ [6, გვ. 76]. მაშასადამე, განწყობა არის ადამიანის ნებელობითი ქცევის აღძვრისა და რეგულაციის სრულიად აუცილებელი, მაგრამ მაინც არასაკმარისი პირობა. იმისათვის, რომ ქცევა განხორციელდეს, მას აუცილებლად უნდა დაემატოს (ყოველ შემთხვევაში საწყის ეტაპზე მაინც) ამ ქცევის განხორციელების ცნობიერი განზრახვა.

ლიტერატურა

1. ქაჯაბაძე ვ. მოთხოვნების ცნება დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიაში. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1981, № 4.
2. ნადირაშვილი შ. განწყობის ფსიქოლოგია. ტ. I. თბილისი, 1983.
3. ნიუტენი ე. მოტივაცია, დაგეგმვა და მოქმედება: ქცევითი დინამიკის მიმართებით თეორია. 1984. (თარგმანი, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა).
4. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი, 1940.
5. უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, შრომები, ტ. 6, თბილისი, 1977.
6. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1992, № 1



6. უზნაძე დ. შენიშვნების რვეული. „მაცნე“, 1988, № 2.
7. უზნაძე დ. შენიშვნების რვეული. „მაცნე“, 1988, № 4.
8. უზნაძე დ. შენიშვნების რვეული. „მაცნე“, 1989, № 1.
9. ქოჩორაძე ბ. დ. უზნაძის განწყობის თეორიის სისტემატოლოგიური ანალიზი: მეტასტრატეგია. „მაცნე“, 1988, № 2.
10. ქოჩორაძე ბ. დ. უზნაძის განწყობის თეორიის მეტასტრატეგია: ძირითადი ცნებების სტატუსი. „მაცნე“, 1988, № 4.
11. ჩხარტიშვილი შ. განწყობა და ცნობიერება, თბილისი, 1975.
12. Божович Л. И., Славина Л. С. и Ендовицкая Т. В. Опыт экспериментального исследования произвольного поведения. «Вопросы психологии», 1976, № 4.
13. Имедадзе И. В. К постановке проблемы воли — энергетическая парадигма. «Мацне», 1988, № 3.
14. Имедадзе И. В. Проблема воли и виды регуляции деятельности. «Мацне», 1989, № 2.
15. Квავილავილი Л. Дж. Экспериментальные исследования воспоминания намерения. «Мацне», 1989, № 2.
16. Квავილავილი Л. Дж. Факторы, влияющие на воспоминание намерения. «Вопросы психологии», 1990, № 2.
17. Миллер Д., Галантер Ю. и Прибрам К. Планы и структура поведения, М., 1965.
18. Рубинштейн С. Л. Основы общей психологии, М., 1946.
19. Сакварелидзе М. Проблема бессознательного на международном симпозиуме «Бессознательное» в г. Тбилиси, Сб. Бессознательное, т. IV, Тбилиси, 1985.
20. Сарджвеладзе Н. И. Бессознательное и установка: еще раз об онтологическом статусе несознаваемой психической деятельности. Сб. Бессознательное, т. IV, Тбилиси, 1985.
21. Тихомиров О. К. Объективация и целеобразование. Сб. Дмитрий Николаевич Узнадзе — классик советской психологии. Тбилиси, 1986.
22. Ajzen I. From intentions to actions: A theory of planned behavior. In: J. Kuhl and J. Beckman (eds), Action Control: From Cognition to Behavior, Berlin: Springer, 1985.
23. Ajzen I. and Madden T. J. Prediction of goal-directed behavior: Attitudes, intentions and perceived behavioral control. Journal of Experimental Social Psychology, 1986, 22.
24. Brand M. Intending and Acting: Toward a Naturalized Action Theory. Cambridge, etc.: The MIT Press, 1984.
25. Fishbein M. and Ajzen I. Belief, Attitude, Intention and Behavior: An Introduction to Theory and Research. Reading, Mass.: Addison-Wesley, 1975.
26. Gault A. and Shotton J. Human Action and its Psychological Investigation. London: Routledge, 1977.
27. Gollwitzer P. M. The implementation of identity intentions: A motivational-perspective on symbolic self-completion. In: F. Halisch and J. Kuhl (eds), Motivation, Intention and Volition, Berlin: Springer, 1987.
28. Halisch F. and Kuhl J. (eds). Motivation, Intention and Volition Berlin: Springer, 1987.
29. Harré R. Theoretical preliminaries to the study of action. In: M. von Cranach and R. Harré (eds), The Analysis of Action: Recent Theoretical and Empirical Advances, Cambridge: Cambridge Univ. Press, 1982.
30. Heckhausen H. and Kuhl J. From wishes to action: The dead ends and short cuts on the long way to action. In: M. Frese and J. Sabini (eds), Goal-directed Behavior: Psychological Theory and Research on Action. Hillsdale NJ: Erlbaum, 1985.

31. Hollenbeck J. R. and Klein H. J. Goal-commitment and goal-setting process: problems, prospects and proposals for future research. *Journal of Applied Psychology*, 1987, 72.
32. Kreidler S. and Kreidler H. The motivational and cognitive determinants of individual planning. *Genetic, Social and General Psychology Monographs*, 113, 1987.
33. Kvavilashvili L. Remembering intention as a distinct form of memory. *British Journal of Psychology*, 78, 1987.
34. Kuhl J. Volitional mediators of cognition-behavior consistency: Self-regulatory process and action versus state orientation. In: J. Kuhl and J. Beckman (eds), *Action Control: from Cognition to Behavior*, Berlin: Springer 1985.
35. Kuhl J. Action control: The maintenance of motivational states. In: F. Halisch and J. Kuhl (eds.), *Motivation, Intention and Volition*, Berlin: Springer, 1987.
36. Kuhl J. and Beckman J. Historical perspectives in the study of action control. In: J. Kuhl and J. Beckman (eds), *Action Control*, Berlin: Springer, 1985.
37. Kuhl J. and Beckman J. (eds), *Action Control: from Cognition to Behavior*. Berlin: Springer-Verlag, 1985.
38. Levy R. and Loftus G. Compliance and memory. In: J. E. Harris and P. E. Morris (eds), *Everyday Memory, Actions and Absent-Mindedness*, London, etc.: Academic Press, 1984.
39. Lewin K. Intention, will and need. In: D. Rapoport (ed), *Organization and Pathology of Thought*. New York: Columbia University Press, 1951.
40. Locke E. K. et al. Goal-setting and task performance: 1969—1980, *Psychological Bulletin*, 90, 1981.
41. Nuttin J. R. The respective roles of cognition and motivation in behavioral dynamics, intention and volition. In: F. Halisch and J. Kuhl (eds), *Motivation, Intention and Volition*, Berlin: Springer, 1987.
42. Reason J. Skill and error in everyday life. In: M. J. A. Howe (ed), *Adult Learning*. London and New York: Wiley, 1977.
43. Reason J. and Mychieska K. *Absent-Minded? The Psychology of Mental Lapses and Everyday Errors*. Englewood Cliffs, NJ.: Prentice-Hall, 1982.
44. Ryan T. *Intentional Behavior: An Approach to Human Motivation*. New York: Ronald Press, 1970.
45. Terry W. S. Everyday forgetting: Data from a diary study. *Psychological Reports*, 62, 1988.
46. Tuomela R. *Human Action and its Explanation: A Study on Philosophical Foundations of Psychology*, Dordrecht: D. Reidel Publishing Company, 1977.
47. Valax M. and Sarrochi F. Structure of action plans and the nature of temporal stops. *European Bulletin of Cognitive Psychology*, 9, 1989.
48. Von Cranach M. The psychological study of goal-directed action: Basic issues. In: M. von Cranach and R. Harré (eds), *The Analyziz of Action*, Cambridge: Cambridge Univ. Press, 1982.

Л. Дж. КВАВИЛАШВИЛИ

## НАМЕРЕНИЕ, УСТАНОВКА И ВОЛЕВОЕ ПОВЕДЕНИЕ

### Резюме

Принятие и выполнение человеком своих намерений является важной, но почти неизученной областью психологии. В работе проведен теоретический анализ понятия намерения с целью выяснения его роли в волевом поведении человека. Намерение рассматривается как сложный феномен, в котором можно выделить динамический и структурный аспекты. Соответственно, намерение определяется как возникшая вследствие принятия решения сознательная готовность субъекта совершить определенное действие (динамический аспект), в котором уже более или менее ясно определено, что, где и когда нужно сделать (структурный аспект). Детально обсуждено то сложное взаимодействие, которое существует между намерением и потребностью, принятием решения, целью и планом действия. Предлагается трехфазовая модель сложного волевого поведения, в котором потребность переходит в цель, цель — в намерение, а намерение — в план с помощью последовательных актов принятия решения, которые иногда могут быть довольно отдалены друг от друга во времени.

Вторая часть работы посвящается рассмотрению вопроса о взаимоотношении между намерением и установкой. Отмечается, что в теории установки понятию намерения не отводится той роли, которую она реально играет в волевом поведении человека. Высказано предположение, что возникшая вследствие принятия решения установка волевого поведения отображается в сознании именно в виде намерения, которое в свою очередь дает еще добавочный импульс к действию (динамический аспект), а также играет важную роль в регуляции поведения (структурный аспект).

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

ბივი მარაბიშვილი, თამაზ ნონიაშვილი

ფსიქიკურის ადგილი ბიოლოგიურ-სოციალურ სისტემაში

ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საკითხი ეხება ადამიანში ბიოლოგიურის, ფსიქიკურის და სოციალურის ურთიერთობას. კერძოდ იმას, თუ რომელი ფაქტორი რა წილით განსაზღვრავს ადამიანის ქცევას, მის ასეთი თუ ისეთი სახის აქტივობას. პრობლემა მნიშვნელოვანია დიდი ხანია, მაგრამ ტრადიციულმა მიდგომებმა ვერ მოახერხა მისი სრულფასოვანი გადაჭრა. ამ ვითარებამ განაპირობა საკითხის ახლებური დაყენება, როგორც თეორიულ, ისე ექსპერიმენტულ პლანში.

ისტორიულად პრობლემის გადაწყვეტის უამრავი ცდა ორ ალტერნატიულ კატეგორიად იყოფოდა. ეს იყო ბიოლოგისტური და სოციოლოგისტური შეხედულებები. საკითხი ასე წყდებოდა: ადამიანის აქტივობას განსაზღვრავს ან ბიოლოგიური, ან სოციალური ფაქტორები.

ურთიერთგამომრიცხავ ტენდენციებზე აგებული ეს მიმართულებები რეალურ ცხოვრებაში ბევრ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ამ ვითარებამ განსაზღვრა ის, რომ როგორც ბიოლოგისტების, ისე სოციოლოგისტების შეხედულებებში გაჩნდა მსჯელობა გენეტიკური და გარემო ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულებების შესახებ. თუმცა ამ ურთიერთგავლენებმა მათთვის ვერ მიიღო გადაწყვეტი მნიშვნელობა, მაგრამ ხელი შეუწყო ახალი მიმდინარეობის — ბიოსოციალური კონცეფციის — აღმოცენებას. იგი ცნობილია, როგორც ორმაგი განსაზღვრულობის კონცეფცია, როცა სათანადო ყურადღება ექცევა როგორც თანდაყოლილ, ისე შექმნილ ფაქტორებს.

თუ ბიოლოგისტური და სოციოლოგისტური შეხედულებები ერთფაქტორიანობის პოზიციაზე დგანან, ბიოსოციალური მიმართულება წარმოგვიდგება, როგორც ორფაქტორიანი სისტემა, მისი ძირითადი დებულება ასეთია: ბიოლოგიური და სოციალური. ეს ვითარება ხსნის წინააღმდეგობას ორ აღნიშნულ ფაქტორს შორის და მნიშვნელოვნად წინადადებული ნაბიჯიცაა საკითხის გადაწყვეტის გზაზე, მაგრამ ის მაინც სრულიად ვერ ახასიათებს ადამიანს, როგორც მთლიან სისტემას. ამისათვის აუცილებელია ფსიქიკური ფაქტორის გამოყოფა და მისი სერუბულოზური ანალიზი. ეს იშვიათად ხდება, რადგანაც ფსიქიკურს არ ანიჭებენ მნიშვნელოვან როლს. მაგალითად, ე. შოროხოვა ფსიქიკურს წარმოგვიდგენს, როგორც მკავშირებელ რგოლს, ხიდს სოციალურსა და ბიოლოგიურს შორის, მაგრამ ის მხოლოდ პირველის მეორეზე ზემოქმედების გამტარია [8], ამ ასპექტში ყურადღებას იმსახურებს შ. ნადირაშვილის გამოკვლევები [2; 7], რომელმაც ბიოლოგიურსა და სოციალურს შორის ცალკე რგოლად გამოყო ფსიქიკური. მართალია ამ შრომებში სპეციალური შესწავლის საგანს არ წარმოადგენს ბიოლოგიურ-სოციალურ სისტემაში შემავალ რგოლებს შორის თანაფარდობის საკითხი, მაგრამ იძლევა ამ მიმართულებით ქცევის მდიდარ შესაძლებლობებს.



შ. ნადირაშვილის კონცეფციებში გამოყოფილია სამი იერარქიული დონე — ინდივიდის, სუბიექტის და პიროვნების, რომლებიც ბიოლოგიურ, ფსიქიკურ და სოციალურ საფეხურებს შეესატყვისება. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფსიქიკურის როგორც სპეციფიკური ქვესისტემის გამოყოფა, რომელიც, ჩვენი აზრით, გადამწყვეტ როლს თამაშობს ადამიანის აქტივობის განსაზღვრაში, წარმოადგენს რა ქცევის წარმართავ ძალას, ხოლო ბიოლოგიური და სოციალური მისი მეშვეობით ვლინდება. ფსიქიკური არ არის მხოლოდ მკაცვშირებელი რგოლი სოციალურსა და ბიოლოგიურს შორის. იგი ასახავს და ინტეგრირირებს უკეთეს რა მათ, ქმნის ადამიანის მთლიანობით მდგომარეობას, რითაც განპირობებს მისი აქტივობის ხასიათს ნებისმიერ დონეზე. ამ მდგომარეობას ჩვენ ვუწოდებთ ადამიანის ფსიქიკური წყობა, რომელიც ძირითადად განწყობების სისტემას წარმოადგენს.

როცა ფსიქიკურს ასეთ მნიშვნელოვან როლს ვანიჭებთ, ჩვენ პირველ რიგში ვეყრდნობით ასახვის თეორიას, რომელშიც აქცენტირებულია ფსიქიკურის აქტიური მხარე. ასახვა გულისხმობს არა მხოლოდ სუბიექტზე შემოქმედებას გარედან, არამედ თვით სუბიექტის აქტიურ მოქმედებას, რაც ვლინდება არჩევით და მიზანმიმართულ აღქმაში, გარკვეული საგნების, მოვლენების და დამოკიდებულებების უგულვებელყოფაში და სხვების დაფიქსირებაში. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ასახული განსხვავდება ასახავი საგნისაგან. ხდება ობიექტის ფსიქიკური რეპროდუქცია.

ფსიქიკურის ასეთი გაგება იმთავითვე უარყოფს დებულებას, რომ თითქოს მასში უშუალოდ „შედიან“ ბიოლოგიური და სოციალური. სინამდვილეში ეს პროცესი ატარებს გაშუალებულ ხასიათს. გამაშუალებელი რგოლის როლს კი ფსიქიკა ასრულებს.

მოცემულ კონტექსტში მნიშვნელოვანია განწყობის თეორიის დებულება, რომ არავითარი საქმიანობა არ იწყება ნულიდან. ადამიანის ნებისმიერ აქტივობას წინ უსწრებს განწყობა, ის კი ფსიქიკური მდგომარეობაა. სწორედ განწყობა განსაზღვრავს ასახვის ხასიათსაც და ქცევის რავგარობასაც.

ამრიგად, უნდა ჩავთვალოთ, რომ ფსიქიკური თვითმყოფადი მოვლენაა, რომელიც არ დაიყვანება ბიოლოგიურზე ან სოციალურზე. იგი როგორც მთლიანობა ფორმირდება ბიოლოგიურის, სოციალურის და ფსიქიკური ნასახების ბაზაზე.

ხაზს ვუსვამთ რა ფსიქიკურის აქტიურ მხარეს, ვითვალისწინებთ იმასაც, რომ შემოქმედების მნიშვნელოვანი ძალით აღჭურვილია სოციალურიც და ბიოლოგიურიც. ისინი წარმოდგენილი არიან რეალური საგნების და მოვლენების სახით, რომლებიც შემოქმედებენ ფსიქიკაზე. ფსიქიკური ასახვა სწორედ ამ ობიექტური რეალობის ასახვას წარმოადგენს. თუმცა ეს ასახვა თავისებურია, არაფორტოგრაფიულია, მაგრამ შედეგი თავისი წყაროს ფარდობითად ადეკვატური უნდა იყოს. ამიტომ მათი ფსიქიკაზე შემოქმედება ექვს არ უნდა იწყებოდეს. ასახული სახით მოცემული სოციალური და ბიოლოგიური რეალობები გარკვეული სახით გადამუშავებულია ფსიქიკის მიერ და უკვე მის შინაარსს წარმოადგენენ. ისინი შეიძლება განესაზღვროთ როგორც სოციოფსიქიკური და ბიოფსიქიკური. უნდა აღინიშნოს, რომ ამით არ ამოიწურება ფსიქიკის, ადამიანის ფსიქიკური წყობის შინაარსი. ამასთან აქ მთავარია მთლიანობითი მხარე, რომელიც ორგანიზაციას უკეთებს და წარმართავს ადამიანის აქტივობას.





აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ადამიანის ფსიქიკური წყობით განსაზღვრული აქტივობა უნდა ატარებდეს მთლიანად ფსიქიკურ ხასიათს, მაგრამ მასში უნდა ვლინდებოდეს სოციალურის და ბიოლოგიურის გავლენები. ჰიპოთეზის სახით მოცემული ამ დებულების შესამოწმებლად ჩატარებულ იქნა სპეციალური ექსპერიმენტული გამოკვლევა.

ტრადიციულად სოციალურ-ბიოლოგიური სისტემის ექსპერიმენტული კვლევებისას უფრო ხშირად იყენებენ ტყუპების მეთოდებს (საკონტროლო ტყუპები, კონტრასტული ჯგუფები, ტყუპთა წყვილები, განცალკევებული ტყუპები). ამ მეთოდებით ხდება ტყუპთა შორის მსგავსება-განსხვავების შესწავლა ისეთი პარამეტრების მიხედვით, როგორცაა მოტორიკა, ინტელექტი, რეაქცია-ჩვევები, ემოციები, ინტერესები, პროფესიის არჩევა და ა. შ. ამა თუ იმ თვისების მიხედვით მონოზიგოტური ტყუპების კონკორდანტობა ითვლება გენეტიკური ფაქტორის, დისკორდანტობა კი — სოციალურის გამოვლენად.

ჩვენი აზრით, ასეთი ექსპერიმენტების საშუალებით შეიძლება დავადგინოთ გენეტიკური და გარემოს ფაქტორების საშუალებით შეიძლება დავადგინოთ ბიოლოგიურის და სოციალურის ურთიერთდამოკიდებულება. ჯერ ერთი, მოცემული გარემო ფაქტორები ყოველთვის არ არიან სოციალურის ექვივალენტური, და მეორე, თვით სოციალურშიც არ ხდება პიროვნების დონისათვის დამახასიათებელი ძირითადი სტრუქტურების — ღირებულებებითი ორიენტაციები, სოციალური განწყობები და ა. შ. — შესწავლა.

მიანიც ყველაზე მთავარი ამ შემთხვევაში ისაა, რომ ბიოლოგიურ-სოციალურ სისტემაში არ ხდება ფსიქიკური ფაქტორის გათვალისწინება. ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს არა ორწევრიან სისტემასთან, არამედ სამწევრიანთან — ბიოლოგიური-ფსიქიკურ-სოციალური.

ასეთმა ვითარებამ განსაზღვრა კვლევის ობიექტის არჩევა, ორიგინალური ექსპერიმენტული მოდელის შემუშავება და მასალების ისეთი სტატისტიკური მეთოდებით დამუშავება, რომლებიც არ გვხვდებოდა მსგავსი კვლევების პრაქტიკაში. კვლევის ამოცანად დაისახა ადამიანის სხვადასხვა სახის აქტივობაში ფსიქიკურის, ბიოლოგიურის და სოციალურის როლის გამოვლენა.

კვლევის ამოცანიდან გამომდინარე, ცდისპირებად შერჩეულ იქნენ ტყუპები — მონოზიგოტური და დიზიგოტური და სხვადასხვა სოციალური კატეგორიის წარმომადგენლები — მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენტები. ასეთი არჩევა იმ პრინციპით მოხდა, რომ ტყუპები წარმომადგენენ გენეტიკურ დონეს, ზოლო კლასები — სოციალურს.

ტყუპების არჩევა ხდებოდა ორი პრინციპით — ასაკი და ზიგოტურობა. ქვედა ასაკობრივი ზღვრული შემოსაზღვრული იყო 16 წლით, ექსპერიმენტული მასალის გამო. თუმცა ზედა ზღვარი არ იყო შეზღუდული, მაგრამ ტყუპი ცდისპირების ასაკი არ აღემატებოდა 40 წელს. ტყუპების ზიგოტურობას განვსაზღვრავდით გარეგანი ნიშნებით და სპეციალური კითხვარით. ამჟამად მსგავსი კითხვარები ფართოდ გამოიყენება და ჩვენც ვისარგებლეთ ფინელი მეცნიერების მიერ შედგენილი ანკეტით [10]. ამ კითხვარის ვალიდობა ძალზე მაღალია — კორელაცია მის პასუხებსა და სისხლის თვისებების დიაგნოზს შორის 100%-ია.

როცა მსგავსება ყველა მონაცემის მიხედვით აშკარა იყო, ტყუპებს ვრიცხავდით მონოზიგოტურთა კატეგორიაში. თუ ისინი ასევე აშკარად განსხვავ-

დებოდნენ ერთმანეთისაგან (ანდა სხვადასხვა სქესიანი იყვნენ) მაშინ მათ ვეარტიანებდით დიზიგოტურთა ჯგუფში.

საკვლევე საშუალებებად გამოყენებულ იქნა თვითშეფასების, დანაშაულებრივი ქმედების შეფასების, ინტელექტის დონის, ყურადღების, შფოთვის დონის, ინდივიდუალურ თავისებურებათა შესასწავლი ტესტები და მრავალშვილიანობისადმი დამოკიდებულების სკალა.

ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლა ხდებოდა პ. აიზენკის ცნობილი კითხვარის მიხედვით, რომელიც ასდენს ინტროვერტობის და ექსტრავერტობის ხარისხს. შფოთვის დონე იზომებოდა ჯ. ტეილორის ასევე ცნობილი ტესტით.

თვითშეფასება ხორციელდებოდა ტესტის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს ადამიანის სხვადასხვა თვისებათა ცხრა ბიპოლარული წყვილისაგან შედგენილ შეიდალიან სკალას (შემდგენელი გ. მერაბიშვილი).

ინტელექტუალური დონის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა ჩეხოსლოვაკელი ფსიქოლოგის პ. რეიჩანის ტესტი [9], რომელიც კორელირდება რავენის და აიზენკის მსგავს ტესტებთან.

ყურადღების ფაქტორის შესასწავლად გამოიყენებოდა ბურდინის ტესტის ერთ-ერთი ვარიანტი.

დანაშაულებრივი ქმედება ცდისპირების მიერ ფასდებოდა მ. გომელაურის მიერ შედგენილი სკალის მიხედვით [6].

მრავალშვილიანობისადმი სოციალური განწყობა იზომებოდა მ. ბალიაშვილის მიერ შედგენილი მეთოდის მიხედვით [1].

მიღებული შედეგების შესატყვისი ანალიზისათვის ცდისპირთა მთელი კონტინგენტი დაყოფილ იქნა, ერთი მხრივ, სამ კატეგორიად: მონოზიგოტურ ტყუპების წყვილები, დიზიგოტური ტყუპების წყვილები და შემთხვევითი წყვილები, მეორე მხრივ კი, — სოციალური ჯგუფებისადმი მიკუთვნებულობის მიხედვით.

შედეგების ანალიზისას პირველად მონაცემად აღებულ იქნა წყვილთა შორისი სხვაობის მაჩვენებელი. ცდისპირთა გამოყოფილი ჯგუფების საშუალო მონაცემების შედარება საშუალებას იძლევა გაკეთდეს გარკვეული დასკვნები საკვლევი პარამეტრების გენეტიკური განპირობებულობის შესახებ. ჩვეულებრივ ასეთი სახით შეფასებისათვის იყენებენ პოლცინგერის, ფიშერის და სხვების კოეფიციენტებს, რომლებიც მიჩნეულია გენეტიკური და გარემო ფაქტორების როლის ფარდობითობის გამომხატველად. მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ანალიზის ეს მეთოდები გამოირჩევა მნიშვნელოვანი ცდომილებებით, რასაც მკვლევარებიც აღნიშნავენ [4].

აღნიშნული კოეფიციენტების გამოყენება ჩვენს მიერ მოპოვებული მონაცემების დამუშავებისას მით უფრო მიუღებელია. მართლაც, ისეთ კვლევებში, რომლებიც ეფუძნება მონოზიგოტურ და დიზიგოტურ ტყუპებს შორის მსგავსება-განსხვავებას, სადაც ძირითადი ფაქტორები იყოფა ორ კატეგორიად — გენეტიკური და გარემოსი, აღნიშნული კოეფიციენტები გარკვეულ ფარგლებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მათი ვაგლენის დონის მიახლოებით გამოვლენისათვის. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საკვლევი პარამეტრი ითვლება სამ ფაქტორზე დამოკიდებულად, ამ მაჩვენებლების გამოყენება სავსებით მიზანშეწონილია.



ამას გარდა, აღნიშნული კოეფიციენტები არ იძლევიან შემთხვევითი წყველების შედარების საფუძველზე მიღებული მონაცემების გათვალისწინების საშუალებას. ამიტომ მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების უკვე პირველ ეტაპზე ჩვენ შეგნებულად უარი ვთქვით მათ გამოყენებაზე და მივმართეთ ტუდენტის კრიტიციუზმს.

ექსპერიმენტული მონაცემების ამ მეთოდით ჩატარებულმა ანალიზმა ნათლად გვიჩვენა შესწავლილი სახეობის აქტივობებში ამა თუ იმ ფაქტორის მოქმედება, მაგრამ ვერ გამოავლინა მათ შორის თანფარდობა. ამიტომ ასეთი ანალიზი ჩვენ არ ჩავთვალეთ საკმარისად.

სწორედ ამგვარი დაუკმაყოფილებლობის განცდამ წარმართა კვლევა ახალი მიმართულებით. საჭირო იყო მიღებულ მონაცემებს შორის ახალი მიმართებების პოვნა. ამ მიზნის განხორციელებას ემსახურებოდა კორელაციის ბისერიალური კოეფიციენტის გამოყენება [5]. ამ კოეფიციენტის საშუალებით დადგენილ იქნა ექსპერიმენტული მონაცემების კავშირი, ერთი მხრივ, ბიოლოგიურ (გენეტიკურ), ხოლო მეორე მხრივ, სოციალურ ფაქტორებთან. ფაქტიურად ამით განისაზღვრა თითოეული ფაქტორის გავლენის წილი ადამიანის ამა თუ იმ სახის ფსიქიკურ აქტივობაზე. ამ გზით მიღებული შედეგები მოცემულია 1 და 2 ცხრილებში.

ცხრილი 1  
ექსპერიმენტული მონაცემების კორელაცია სოციალურ ფაქტორთან

პ ა რ ა მ ე ტ რ ე ბ ი	$\bar{x}_0$	$\bar{x}_1$	$S_x$	$r_{bis}$	$P_r$
ინდივიდუალური თავისებურებები	2,6	2,8	2,40	0,04	
შფოთვის დონე	5,9	5,6	4,39	0,05	
თვითშეფასება	1,07	1,17	0,90	0,06	
ინტელექტის დონე	6,3	8,3	5,36	0,23	<0,05
უზრადლება:					
სიზუსტე	5,9	9,8	6,38	0,39	<0,05
ტესტირების დრო	0,47	0,69	0,51	0,27	<0,05
დანაშაულთა შეფასება	1,56	1,58	1,23	0,01	
მრავალშვილიანობისადმი დამოკიდებულება	1,20	1,64	1,04	0,26	<0,05
განწყობის შეცვლა	1,21	1,20	1,00	0,01	

ცხრილი 2  
ექსპერიმენტული მონაცემების კორელაცია გენეტიკურ ფაქტორთან

პ ა რ ა მ ე ტ რ ე ბ ი	$\bar{x}_0$	$\bar{x}_1$	$S_x$	$r_{bis}$	$P_r$
ინდივიდუალური თავისებურებები	2,0	2,9	2,40	0,23	<0,05
შფოთვის დონე	4,7	6,1	4,39	0,19	<0,05
თვითშეფასება	1,13	1,12	0,90	0,05	
ინტელექტის დონე	4,65	7,8	5,36	0,28	<0,05
უზრადლება:					
სიზუსტე	3,9	8,8	6,38	0,45	<0,05
ტესტირების დრო	0,25	0,66	0,51	0,47	<0,05
დანაშაულთა შეფასება	1,11	1,71	1,23	0,29	<0,05
მრავალშვილიანობისადმი დამოკიდებულება	1,19	1,47	1,04	0,16	
განწყობის შეცვლა	0,99	1,27	1,00	0,16	

მოცემული ცხრილების ანალიზი საშუალებას გვაძლევს საინტერესო დასკვნები გავაკეთოთ. როგორც ცხრილი 1 გვიჩვენებს, სოციალურ ფაქტორთან კორელაციაშია ინტელექტის, ყურადღების (ორივე მონაცემი) და მრავალშვილიანობისადმი დამოკიდებულების პარამეტრები. სხვა ექსპერიმენტული მონაცემები სოციალურ ფაქტორთან არ კორელირებს.

1 და 2 ცხრილის მონაცემებს შორის ვნახულობთ გარკვეულ მსგავსებას. ცხრილი 2-ის მიხედვითაც კორელაციის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან ინტელექტის და ყურადღების მონაცემები. მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გენეტიკურ ფაქტორთან კორელაციასთან. მოცემული ცხრილი დამატებით გვიჩვენებს, რომ გენეტიკურ ფაქტორთან მნიშვნელოვან კორელაციაშია კიდევ სამი პარამეტრი — შფოთვის დონე, ინდივიდუალური თავისებურებები და დანაშაულთა შეფასება.

ამ ცხრილში მოცემული სხვა პარამეტრები არ ხასიათდებიან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მონაცემებით.

აღნიშნულ მონაცემთა დეტალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა სახის აქტივობაში სოციალური და გენეტიკური ფაქტორების გავლენის ხვედრითი წილი არ არის ერთგვაროვანი. შესაძლებელია გამოყოფილ იქნეს ოთხი განსხვავებული ვარიანტი: 1) ამჟამაა გენეტიკური კონტროლი, ხოლო სოციალური გავლენა უმნიშვნელოა (ინდივიდუალური თავისებურებების, დანაშაულთა შეფასების და შფოთვის დონის პარამეტრები); 2) სოციალურის როლი ამჟამაა, გენეტიკურის გავლენა კი — უმნიშვნელო (მრავალშვილიანობისადმი დამოკიდებულების პარამეტრი); 3) სახეზეა როგორც გენეტიკური, ისე სოციალური ფაქტორების გავლენა (ყურადღების და ინტელექტის დონის პარამეტრები); 4) მონაცემები მნიშვნელოვან კორელაციაში არ არიან არც გენეტიკურ და არც სოციალურ ფაქტორებთან (თვითშეფასების და განწყობის შეცვლის პარამეტრები).

სოციალურის და ბიოლოგიურის ერთ ან ორწევრიანი ტრადიციული სქემებიდან გამომდინარე, განხილული ვარიანტებიდან პირველი სამი არ უნდა რწვევდეს გაკვირვებას, რამდენადაც ნებისმიერ აქტივობას უნდა განსაზღვრავდეს ბიოლოგიური ან სოციალური ფაქტორი ან ორივე ერთად. რაც შეეხება შერთხე ვარიანტს მას დისონანსი შეაქვს ამგვარი მსჯელობის სისწორეში. მართლაც, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანის რაიმე სახის აქტივობა ან თვისება არ იყოს განსაზღვრული არც ბიოლოგიური და არც სოციალური ფაქტორებით. მეოთხე ვარიანტის სახით წარმოდგენილი „პარადოქსის“ და ყველა მოცემული ფაქტის ახსნა ძალუძს ჩვენს მიერ მოწოდებულ სამწევრიან სქემას ფსიქიკური-სოციალური-ბიოლოგიური. მეოთხე ვარიანტის ანალიზი ცხადყოფს, რომ ადგილი აქვს ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორების ზემოქმედებას, მაგრამ მათი ხვედრითი წონა სტატისტიკურად უმნიშვნელოა. მაგალითად, განწყობის შეცვლის პარამეტრთან სოციალური ფაქტორის ბისერიული კოეფიციენტი  $r=0,01$ . შერჩევის შემთხვევათი შეცდომების გათვალისწინებით ეს კოეფიციენტი  $P=0,95$  ალბათობით იქნება  $-0,19 \div 0,21$  ფარგლებში, ხოლო განწყობის შეცვლის მაჩვენებელზე მოცემული ფაქტორის გავლენის ხვედრითი წილი გენერალურ ერთობლიობაში არ აღემატება 4,4%-ს.

ორწევრიანი სქემის შესატყვისი თეორიული დებულებებიდან გამომდინარე, უნდა დავგვესკვნა, რომ განწყობის შეცვლის პარამეტრი თანდაყოლილი გან-

პირობებულ მონაცემს წარმოადგენს. მაგრამ, როგორც ცხრილი 2 გვიჩვენებს, განწყობის შეცვლის პარამეტრთან ბიოლოგიური (გენეტიკური) ფაქტორის ბისერიული კოეფიციენტი  $r=0,16$  სტატისტიკურად უმნიშვნელოა. შემთხვევითი გადახრების გათვალისწინებით —  $0,04 < r < 0,35$  ბიოლოგიური ფაქტორის ზემოქმედების ხვედრითი წონა არ აღემატება 12,3%-ს.

სხვა შემთხვევაში, როცა საკვლევი პარამეტრი მნიშვნელოვან კორელაციას იწვევს როგორც სოციალურ, ისე ბიოლოგიურ ფაქტორებთან (იხ. ზემოაღნიშნული მესამე ვარიანტი), ეს გავლენა მაინც არ უახლოვდება აბსოლუტურ მაქსიმუმს. მაგალითად, ცხრილი 1 და 2-ის მიხედვით, ინტელექტის დონის ბისერიული კორელაციის კოეფიციენტი სოციალურ ფაქტორთან უდრის 0,23-ს, ხოლო გენეტიკურთან — 0,28-ს. თუ ამ მაგალითს ისევ ორწევრიანი სქემის მიხედვით განვიხილავთ, ვნახავთ, რომ მათი უბრალო არითმეტიკული ჯამი  $0,51 < < 1$ . ასევე შეგვიძლია გავაანალიზოთ მოცემული ცხრილის სხვა მონაცემებიც.

მოცემული სიტუაციის ზუსტი აღწერისათვის ასეთი უბრალო მანიპულაცია არაადეკვატური ხერხია რამდენადაც ორი ფაქტორის ერთდროული ზემოქმედება ქმნის გარკვეულ მთელს, რომელიც არ უდრის უბრალო ჯამს. ამა თუ იმ პარამეტრის დეტერმინაციაში სოციალურის და გენეტიკურის საერთო წილის განსაზღვრის მიზნით. ჩვენ გამოვიყენეთ მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი. ამ გზით მიღებული შედეგები მოცემულია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3

## პარამეტრები

ინდივიდუალური თავისებურებები	0,23
შფოთის დონე	0,20
თვითშეფასება	0,08
ინტელექტის დონე	0,36
ყურადღება:	
სიზუსტე	0,60
ტესტირების დრო	0,54
დანაშაულთა შეფასება	0,29
მრავალშვილიანობისადმი დამოკიდებულება	0,31
განწყობის შეცვლა	0,16

როგორც ცხრილი 3 გვიჩვენებს, მრავლობითი კორელაციისას სოციალური და გენეტიკური ფაქტორების საერთო წილი კიდევ უფრო მცირეა, ვიდრე ამას გვიჩვენებდა მონაცემთა არითმეტიკული ჯამი. ეს ვითარება კარგად ჩანს ყურადღების ტესტის დამუშავების სიზუსტის შემთხვევაშიც, რომლის მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი ცხრილში მაქსიმალურია —  $r=0,60$ . შემთხვევითი გადახრების გათვალისწინებით მოცემული კოეფიციენტი იქნება 0,44—0,72 ფარგლებში. მიუხედავად ასეთი დიდი რიცხვისა, გენერალურ ერთობლიობაში ყურადღების სიზუსტის მაჩვენებელზე ამ ფაქტორთა ერთდროული გავლენის ხვედრითი წონა არ აღემატება 51,8%-ს.



ყოველივე აღნიშნული ნათელყოფს, რომ ადამიანის ამა თუ იმ სახის აქტივობის ან თავისებურების განსაზღვრისას სრულიადაც არაა საკმარისი მხოლოდ სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორების კონსტატაცია. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულია ფსიქიკური ფაქტორის როლი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის აქტივობის წარმართველ ძალას. ამას ადასტურებს ექსპერიმენტული მონაცემები. თუ სოციალურ და ბიოლოგიურ ფაქტორებთან კორელირდება მონაცემთა მხოლოდ გარკვეული რიცხვი, ფსიქიკურთან კავშირშია ჩვენი ექსპერიმენტული მოდელი ვაზომილი ყველა პარამეტრი.

ეს ბუნებრივია, რამდენადაც აქტივობის ყველა სახე ფსიქიკურ ხასიათს ატარებს, ხოლო ბიოლოგიური და სოციალური ფსიქიკის გავლით ზემოქმედებს. მართალია ობიექტურ ღირებულებებს მიძლეული ძალა აქვთ, მაგრამ ისინი შთაინახად ვერ განსაზღვრავენ ქცევას. პირიქით, აქ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის თავისუფლებას. ამ მხრივ ნიშანდობლივია კანტის აზრი, რომელიც მიუთითებდა კაუზალური დეტერმინაციისაგან თავისუფლებაზე. ეს იყო ერთი ანტინომიის, გადაწყვეტა. ფიზტემ მიუთითა მეორე ანტინომიამზე, ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს ზნეობის კანონის დეტერმინაციისაგანაც — შეეძლოს აირჩიოს როგორც სიკეთე, ისე ბოროტება. პარტმანის აზრით, ეს იმის გამოა, რომ ზნეობის (საერთოდ ღირებულების) კანონები არ ფლობენ სრულ რეალობას, ისინი მოთხოვნებს გამოთქვამენ [3]. ჩვენი აზრით, თუ რამდენადაა ეს მოთხოვნა აუცილებელი, ეს ფსიქიკამ უნდა დაადგინოს და შემდეგ არჩევანიც გააკეთოს — განახორციელოს თუ არა.

ადამიანი საგნებთან და მოვლენებთან მიმართებაში, პირველ რიგში, სუბიექტია, ამიტომ მისი ასახვა და ქცევის ხასიათიც სუბიექტური უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, ადამიანის არსს ქმნის არა თავისთავად ობიექტური ღირებულებები, არამედ მათი გარდაქმნა სუბიექტის შინაგან თავისებურებად. ერთადერთი შესაძლებლობა ობიექტური და სუბიექტური ღირებულებების გამთლიანებისა ინტეროორიზაციაში შეიძლება ვეძიოთ, ეს კი ფსიქიკისთვისაა.

ფსიქიკური ფაქტორის განსაკუთრებული როლი და ადგილი თვით ადამიანის არსობრივი თავისებურებითაა განსაზღვრული. მისი ნებისმიერი აქტივობა — ცნობიერი თუ არაცნობიერი, ფიზიკური თუ სოციალური — აისახება ფსიქიკაში და ხორციელდება მისი სანქციით. ფსიქიკის ასახვით და მანალიზებულ უნარის წყალობით ადამიანს უყალიბდება თავისებური (სუბიექტური) წარმოდგენა სოციალურის და ბიოლოგიურის შესახებ, უმუშავდება მათ მიმართ პოზიცია. ამ საფუძველზე იგი ან უკუაგდება ან ინტეროორიზაციას უკეთებს მათ. როგორც ცნობილია, ადამიანი თავისი განვითარების პროცესში, ერთი მხრივ, მწიფდება ბიოლოგიურად, მეორე მხრივ კი, მუდმივად იმყოფება გარემოს, განსაკუთრებით სოციალურის, გავლენის ქვეშ. ეს პროცესები არ მიმდინარეობს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. „ფუნქციური ტენუენციის“ გამოვლენა (ღ. უხაძე) მიმდინარეობს „ფიზიკური და სოციალური გარემოს ინტენსიური ზემოქმედების ფონზე, რასაც თან ახლავს ფიზიკური და სოციალური გამოცდილება“ (მ. ნადირაშვილი). ეს შინაგანი და გარეგანი პროცესება აისახება ფსიქიკაში და ადამიანი იძენს ფსიქიკურ გამოცდილებას, მას უყალიბდება გარკვეული მთლიანობა — ფსიქიკური წყობა, როგორც განწყობათა სისტემა. მოცემული მთლიანობა თვისებრივად მეტია, ვიდრე მისი შემადგენლების ჯამი. მას შეუძლია დიფერენცირებულად ასახოს, გაანალიზოს სინამდვილე, განსაზღვროს მოქმედებათა თანამიმდევრობა და წარმართოს ქცევა.

ფსიქიკური წყობა ხასიათდება თავისთავადობით და ინდივიდუალობით. სწორედ ამიტომ წარმოსდგება ყველა ადამიანი ჩვენს წინაშე როგორც უნიკალური, განუმეორებელი არსება, რის გამო მისი აქტივობა ხასიათდება ინდივიდუალური სტილით.

#### ლიტერატურა

1. ბალიაშვილი მ. სოციალური განწყობის ფორმირება და პიროვნების აქტიურობა, თბ., 1980.
2. ნადირაშვილი შ. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975.
3. ტაბიძე თ. ადამიანი — სინამდვილე და ოცნება, თბ., 1986.
4. Гиндилис В. М., Финогорова С. А., Животовский А. А., Некоторые аспекты генетического анализа полигенных признаков человека на основе семейных корреляций. В кн.: «Проблемы генетической психофизиологии человека», М., 1978.
5. Гласс Дж., Стенли Дж. Статистические методы в педагогике и психологии, М., 1976.
6. Гомелаური М. Л. Волевое поведение и установка. В кн.: «Проблемы социальной психологии», Тб., 1976.
7. Надирашвили Ш. А. Понятие установки в общей и социальной психологии, Тб., 1974.
8. Шорохова Е. В. О естественной природе и социальной сущности человека. В кн.: «Соотношение биологического и социального в человеке», М., 1975.
9. Ričan P. Test Intelektoveho Potencialu, Bratislava, 1971.
10. Sarna S. at all. Diagnosis of Twin Zigosity by Maild Questionaire. Human Heredity, 28, № 4, 1978.

Г. И. МЕРАБИШВИЛИ, Т. А. НОНИАШВИЛИ

### МЕСТО ПСИХИЧЕСКОГО В СИСТЕМЕ БИОЛОГИЧЕСКОГО—СОЦИАЛЬНОГО

#### Резюме

В работе изначально отвергаются биологизаторские и социологизаторские течения, которые односторонне трактуют определяющую роль биологического и социального в активности человека. Критически анализируется и биосоциальное направление, не уделяющее соответствующего места психическому фактору.

В исследовании психическое представляется в виде целого, самобытного феномена, в основном определяющего активность человека, а социальное и биологическое выявляются через него, будучи отраженными и интериоризированными в нем.

Ставится задача изучения психической активности различного характера с установлением степени влияния социального и биологического в их определении.

Испытуемыми были монозиготные и дизиготные близнецы и представители различных социальных категорий — рабочие, колхозники, интеллигенты. Обработка полученных данных производилась коэффициентами бисериальной и множественной корреляции.

Было установлено, что с психическим фактором связаны все параметры, измеряемые экспериментальной моделью, а влияние социального и биологического по различным показателям находится в пределах 0,08—0,6. Этим была подтверждена гипотеза о ведущей роли психического в системе (биологическое — психическое — социальное).

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა



## ჩვენი მემკვიდრეობა

### შალვა ნუსუბიძის უცნობი რამეზონი

მ. გოგიბერიძე, აინშტაინის რელატივიზმის თეორია და მისი ფილოსოფიური საფუძვლები

გამოჩენილმა გერმანელმა მეცნიერმა ალბერტ აინშტაინმა 1905 წელს, 25 წლის ასაკში, გამოაქვეყნა თავისი ისტორიული შრომა — „მოძრავ გარემოთა ელექტროდინამიკის შესახებ“ — რითაც საფუძველი ჩაეყარა ფარდობითობის (რელატივიზმის) სპეციალურ თეორიას, რომლითაც რადიკალურად შეიცვალა კლასიკური ფიზიკის (ნიუტონის ფიზიკა) წარმოდგენა სივრცესა და დროზე. 1907—1916 წლებში აინშტაინი მუშაობდა ფარდობითობის ზოგადი თეორიის შექმნაზე. 1916 წელს გამოაქვეყნა თავისი მეორე ძირითადი შრომა „ფარდობითობის ზოგადი თეორია“, რომელშიც ფარდობითობის თეორიას უკვე არსებითად დასრულებული სახე მიეცა. ამ თეორიით გატაცებული იყო მრავალი გამოჩენილი მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ასტრონომი. მათ არაერთი შრომა გამოაქვეყნეს. თითქმის ყველა უნივერსიტეტში იკითხებოდა ცალკე კურსი ამ თეორიის შესახებ.

საგულისხმოა, რომ 1918 წელს ახალგაზრდულ თბილისის უნივერსიტეტში პროფესორმა ანდრია რაზმაძემ პირველმა წაიკითხა ქართულ ენაზე ლექცია უმაღლეს მათემატიკასა და ფიზიკაში — სტუდენტ-ახალგაზრდობას გააცნო აინშტაინის ფარდობითობის თეორიის ძირითადი შინაარსი და შედეგები.

ქურნალ „კავკასიონში“ (1924, № 3—4) ა. რაზმაძემ გამოაქვეყნა სტატია „რელატივიზმის მოძღვრება ეინშტეინისა“, ხოლო „ჩვენი მეცნიერების“ (1924, № 1) ფურცლებზე დაიბეჭდა პროფ. ნ. მუსხელიშვილის შრომა „როგორ გავეცნოთ ეინშტეინის ფარდობითობის თეორიას?“ მოსე გოგიბერიძემ წერილების სერია გამოაქვეყნა „მნათობში“ (1924, № 1, 2, 3) — „აინშტეინის რელატივიზმის თეორია და მისი ფილოსოფიური საფუძვლები“, რომელიც ცალკე წიგნადაც (56 გვერდი) გამოიცა 1924 წელს.

გაზ. „კომუნისტში“ (1924, № 216, 21 სექტემბერი) მივაყვლით პროფ. შ. ნუცუბიძის რეცენზიას მოსე გოგიბერიძის წიგნზე „აინშტაინის რელატივიზმის თეორია და მისი ფილოსოფიური საფუძვლები“, რომელიც დღემდე უცნობია.

აი, მისი სრული ტექსტიც:

„ქართულ სამეცნიერო მწერლობაში ფილოსოფიური გამოკვლევები ჩვეულდებრივ მოვლენად იქცა. ამ მხრივ მ. გოგიბერიძის გამოკვლევა საინტერესო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

აინშტაინი იმდენად მძლავრად შეიჭრა თანამედროვე აზროვნებაში და იმდენად რადიკალური და ძლიერია ის ახალი საქმე, რომელსაც იგი აკეთებს, რომ კულტურულ ხალხთა წრიდან გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს ის ერი, რომელსაც ვერ მოუხერხებია ამ დიად მოვლენისათვის ასე თუ ისე გამოხმაურება. რამდენადაც ვიცი მ. გოგიბერიძის ცდა მესამე უნდა იყოს ასეთ გამოხმაურებათა შორის, რომელსაც ამ ერთი წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში. ლიტერატურულად კი ჩვენ ორი თვალსაჩინო მოვლენა გვაქვს ამ მხრივ: პროფ. ანდრია რაზმაძის წერილი „კავკასიონში“ და მ. გოგიბერიძის მოხსენებული გამოკვლევა. უკანასკნელს უფრო ფართო მიზანი აქვს დასახული არა მარტო დალაგება და გადმოცემა აინშტაინის ფიზიკურ-მათემატიკური კონცეფციისა, არამედ მისი ფილოსოფიურ ღირებულების შემოწმებაც. უკანასკნელ მიზნისათვის ნაცადია აგრეთვე სხვადასხვა თვალსაზრისებთან შედარება-დაპირისპირება, რაც წიგნის ამოცანის მნიშვნელობას აფართოებს.

აინშტაინზე დღეს მთელი ლიტერატურა არსებობს კულტურულ ქვეყნებში, თვით აინშტაინსაც მრავალგზის და სხვადასხვა ფორმაში აქვს დალაგებული თავისი ძირითადი კონცეფცია. ამიტომაც თვით მოძღვრების დალაგების საქმე ამით საგრძნობლად გაადვილებულია. უნდა ითქვას, რომ აინშტაინის მოძღვრება საუცხოოდ ეგუება მისი დალაგების სხვადასხვაობას, რომლის საფუძველს მეტ-ნაკლები სიძნელე წარმოადგენს. ერთსა და იმავე დროს მთელი კონცეფციის გადმოცემა ხერხდება სრულიად გამარტივებულ ფორმაშიაც, რომელიც თითქმის არავითარ მათემატიკურ ფორმულებს არ საჭიროებს და მერეს მხრივ კი ისეთი ძნელი მათემატიკური ფორმულებით, რომლებში გარკვევა თვით აინშტაინს უძნელდებოდა და ისიც სპეციალისტ-მათემატიკოსების დახმარებას საჭიროებდა.

როგორც დალაგებიდან, ისე მოძღვრების ფილოსოფიურ განხილვიდან, რაც წიგნაკის თითქმის ნახევარს შეიცავს, ჩანს, რომ ავტორი აინშტაინის ენთუზიასტების რიცხვს ეკუთვნის. დალაგება პათეტიკური ადგილით თავდება: „ასე გადარჩინა აინშტაინმა ჩვენი ქვეყანა სიკვდილს და გატიალებას“ და ცოტა ქვემოთ: „არა მარტო მათემატიკოსი და ფიზიკოსია აინშტაინი, არამედ დიდი ფილოსოფოსი და თუ, გნებავთ მგოსანიო“ (გვ. 33). ან კიდევ ასეთ ადგილს ვითხოვლობთ: „აინშტაინიდან ჩვენი აზრით არამც თუ ფიზიკის ახალი ისტორია იწერება, არამედ სააზროვნო საშუალების ახალი ისტორიაც დაიწერება“ და სხვ. (გვ. 48). ვინ დასწრის ამ „სააზროვნო საშუალების“ შესახებ გამორკვეული არაა: თვით აინშტაინი თუ სხვა ვინმე. ავტორის სხვა ადგილებიდან ნათელია, რომ დღევანდელ ფილოსოფოსებს ეს არ ძალუძთ, რადგან მათ ან ვერ გაიგეს აინშტაინი ან და მის მიჩქმალვას ლამობენ. ასე, რომ ვინ იქნება „სააზროვნო საშუალების“ ავტორი და რა კონტექსტში დაიწერება ასეთი რამ — თუ მართლა დაიწერება — გაურკვეველი რჩება.

ეს პათეტიკური ადგილები ჩვენ იმ მიზნით მოვიყვანეთ, რომ ჩვენი აზრით, ავტორის მსჯელობათა მეორე ნაწილის პირვანდელი ცდომაც აქვეა მოთავსებული. ავტორს ჰგონია, რომ ვისიმე თეორიას თუნდაც იგი უპოზიტიურესს მეცნიერულ სფეროს ეკუთვნოდეს, შეუძლია ქვეყნის გადარჩენის მიზანი დაისახოს და ამის შესრულების პრეტენზია იქონიოს.

ქვეყანა ისეთია, როგორც ის არის — არც მეტი არც ნაკლები და თუ ბეკონი და შემდეგ მარქსი მის გადარჩენაზე კი არა — არამედ მის შეცვლაზე ლაპარაკობდნენ. ამაში ჩადებული იყო ღრმა დიალექტიკური მოსაზრება, რომელშიც „თეზისების“ წამოყენების უფლება ბუნებას ანუ ქვეყანას ეკუთვნოდა. ბუნება, ანუ ავტორის სტილით, ქვეყანა ამოსავალი წერტილია „მუშაობისათვის“ და აინშტაინიც ისე, როგორც ყოველი წარსული თუ მომავალი მოაზროვნე, რაგინდ გენიოსი არ უნდა იყოს იგი, იმის საფუძველზე მუშაობს, რაც არის. წინ წასვლა უკან დახევას მოითხოვს — ამაშია შემოქმედებითი განვითარების დიალექტიკა და თუმცა ავტორს თვითონაც ახსოვს ეს (გვ. 38), მაგრამ ამისაგან აინშტაინის ფილოსოფიური ღირებულების შესაფასებლად ჯეროვანი დასკვნები ვერ გამოჰყავს.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ჰეგელის აზრიდან ამოსული რეალიზმის პრობლემა დიალექტიკურ რეალიზმის სახით უნდა განვითარებულიყო, თუ მხედველობაში მივიღებთ როგორც დადებით მიღწევებს, ისე სააზროვნო კრიზისებს მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში, მაგრამ სრულიად არ გვაჩვენებს თუ რატომ მიაჩნია მას აინშტაინი „ჰეგელის გენიის კანონიერ მემ-

კვიდრედ“ (გვ. 54). წიგნში მრავალი საკითხია წამოყენებული, რომელთაგან თითოეული მთელი გამოკვლევის თემად გამოდგება და რომლებიც ცხადია 56 გვერდიან წიგნაკში სრულიად გაუშუქებელი რჩება. მართალია ყველა წამოყენებულ საკითხზე თითო-ოროლა აზრი არის გამოთქმული, მაგრამ ამ საკითხების ბუნება ისეთია, რომ მაინც მათზე ან ნათლად უნდა ითქვას ყველაფერი ან სრულიად არაფერი. ჰეგელთან დამოკიდებულება მე სანიმუშოდ ავიღე. მკითხველი წაიკითხავს, რომ აინშტაინი ჰეგელის „კანონიერი მემკვიდრე“ ყოფილა და სრულიად დაებნევა მთელი ანგარიში, თუ თქვენ მას არ უჩვენეთ სად იხსნება ლოგიკურად ეს მემკვიდრეობა. აინშტაინის მოძღვრების ნიადაგზე ხომ მოხსნილია საშუალება იმ შინაგან შეგახება-კოლიზიებისა, რომლებიც დინამიურობის მატარებელნი არიან ჰეგელის ფილოსოფიაში. იგივე ამბავი გადაწყვეტილ მნიშვნელობის მქონეა დემოკრატეს მიმართაც. მ. გოგიბერიძე სრულიად სამართლიანად აფასებს იმ შესაძლებელ შედეგს აინშტაინის მოძღვრებისა, რომელიც მოხსნის ძველი მატერიალისტების მიერ წამოყენებულ გაორებას მსოფლიო დინამიკისა. გასაგნებული ვრცეულობა, ისე როგორც დროულობა, აუცილებლად მონიშნის გამარჯვების ხაზზე მოთავსებული მიღწევაა, მაგრამ საგნის გარემდებარე სივრცის ამოკვეთა ხომ საგანთა და მოვლენათა ონტოლოგიურ აგებულების პრობლემას აყენებს, რომლის ნიადაგზე სრულიად ახალი საკითხი იშლება, არსის გარკვეულობის საფუძველზე დამყარებულ ჭეშმარიტების თეორიისა.

მ. გოგიბერიძე ეხება კანტის ფილოსოფიასაც და სურს მისი დამოკიდებულება გამოარკვიოს აინშტაინის მოძღვრებისადმი. საკითხი უმთავრესად დრო და სივრცის პრობლემის ირგვლივ ტრიალებს. ეს დიდი საკითხი, რა თქმა უნდა ასე ადვილად და მოკლედ არ გადაიჭრება. „უნიონი დროსა და სივრცეს შორის“ რომელზედაც ავტორი ლაპარაკობს (გვ. 46) კანტისათვის უცხო ამბავი არ იყო. ეს ავტორმაც, როგორც სჩანს იცის. ჩვენ მეტსაც ვიტყვოდით: კანტისათვის დრო და სივრცე მხოლოდ განხილვის მეთოდის თვალსაზრისით იყო ერთიმეორისაგან დაშორებული, თორემ იმ მთლიან ფენომენებში, რომელსაც როგორც აზრი ისე არსი (თუნდაც ფენომენალი) უნდა მოეცვა, როგორც სივრცე ისე მთელი სავსეობა მოცემულისა დროის ნიშნის ქვეშ ედგა. პატივცემულ ავტორს ადვილად გაახსენდება კანტის მოძღვრება „გონების სქემების“ შესახებ. მაშ, როგორც ჩანს, საქმე „უნიონში“ ე. ი. ჩვენებურად და გასაგებად, რომ ეთქვათ — დროისა და სივრცის შეკავშირებაში, შეერთებაში კი არ ყოფილა, არამედ სხვა რაღაცაში. ეს სხვა რაღაცა გახლავთ ტრანსცენდენტალის ე. ი. ცდამდე მოცემულ ცდისათვის აუცილებელ ელემენტის პრობლემა და ვიდრე ამ მომენტის დამოკიდებულება აინშტაინის მოძღვრებისადმი გამორკვეული არაა, შეიძლება ითქვას, რომ კანტისა და აინშტაინის ურთიერთობის გარკვევისათვის არაფერი არ გაკეთებულა.

ავტორი ფიქრობს, რომ აინშტაინის თეორიიდან გამომდინარე მსოფლმხედველობრივი დასკვნა იქნება ობიექტივისტური რელატივიზმი, ან შებრუნებთ: „რელატივისტური ობიექტივიზმი“ (გვ. 42). რა თქმა უნდა ავტორი არაფერ შუაშია, როდესაც მას აინშტაინის თვალსაზრისიდან გამომდინარე მსოფლმხედველობა აღნიშნულ ტერმინებში ესახება. „ობიექტივიზმი“ აინშტაინის დახასიათებაში გამოწვეულია მისი დაპირისპირებით „სუბიექტივიზმისათვის“, უკანასკნელი კი, თავის მხრივ, გამოწვეულია „რელატივიზმის“ ცნებით.



ჩვენ უადგილოდ მიგვაჩნია ამ საკითხზე მოკლე შენიშვნებში ლაპარაკი, მაგრამ ზედმეტი არ იქნება მივაქციოთ ავტორის ყურადღება რომელიც, როგორც თვითონ აღნიშნავს წიგნაკის ბოლოში, აინშტაინზე ორიენტაციით აპირებს ფილოსოფიურ მუშაობას. იმ გარემოებაზე, რომ „რელატივიზმის“ ცნება ტრადიციით დარჩენილი ცნებაა აინშტაინის თვალსაზრისისათვის, ისე როგორც მასთან დაკავშირებული „სუბიექტური“ და „ობიექტურის“ დაპირსპრება.

„რელატივიზმს“ მაშინ აქვს აზრი, როდესაც ერთი და იგივე სხვადასხვა განსხვავებულ პირობებში. მაგრამ რომელ „ერთი და იგივეზე“ შეიძლება ლაპარაკი აინშტაინის თვალსაზრისს თუ ამოვგლეჯთ სუბიექტ-ობიექტის ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიკური კონტექსტიდან? „ერთი და იგივე“ ასეთი ტრადიციული აზროვნების და გაცვეთილ ფორმალიზმის შვილია, რომელიც უნიათო აბსტრაქციებით სულდგმულობდა. ყოველი სისტემის სივრცე ისეთია, როგორც ის არის და არა ერთი და იგივე სივრცის სხვადასხვაობა ან ურელატივობა. ამდენად გაცილებით უფრო მართებული იქნებოდა აინშტაინის თვალსაზრისი ამ მუხლში „რელატიურად“ კი არა, არამედ „რელატიურად“ გამოვვეცხადებია, რამდენადაც ყოველი სისტემის ელემენტთა კრებადობა ისე არის, როგორც არის და მაგალითად სივრცე და დრო გასაგნებელი (და არა ობიექტური) ფენომენებია. ხოლო რამდენადაც არა ერთი და იმავესი სხვადასხვაობის, არამედ ერთი ნიშნის მრავალ ნიშნად ყოფნაა გათვალისწინებული, იმდენად ეს რეალიზმი უნიკალურ ხასიათს იღებს. ამიტომ აინშტაინიდან გამომდინარე თვალსაზრისი უნივერსალ რეალიზმის სახეს მიიღებს.

დასასრულ ავტორი ეხება აინშტაინის ნიადაგზე ჭეშმარიტების პრობლემას (გვ. 52—54). ეს ადგილი ყველაზე ნაკლებადაა გარკვეული. თურმე ჭეშმარიტების „ყველა თეორიებს ახასიათებს ერთი რამ, ეს არის უპირატესობის მიცემა ვისმეს ან რისმეს მიმართ, უპირატესობა სულის, ადამიანის, ღმერთის, სხვა რიგად არ ყოფნის, თუ კიდევ ბევრი სხვა. ჭეშმარიტების პრობლემა, ყოველთვის უპირატესობის მინიჭების თეორიით წყდება“. აქ გასაკვირია „სხვა გვარად არ ყოფნის“ თეზისის ისეთ „პატივცემულ კომპანიში“ მოთავსება, როგორიცაა სული, ღმერთი და სხვა.

ავტორი რამოდენიმე სტრიქონის ქვევით თვითონ წერს: „ჭეშმარიტება ძველი გაგებით ჰყარავს ყოველივე შინაარსს... და იშლება არსის და სინამდვილის პრობლემაში“ (გვ. 53). „ყოფნის თეზა იჭერს მის ადგილს“. პატივცემულ ავტორს მგონი უნდა ძალიან კარგად მოეხსენებოდეს, რომ ჭეშმარიტების თეორია, რომელშიაც არსის და სინამდვილის გარკვევით და არა გაორების ე. ი. სუბიექტ-ობიექტის და ცნობიერება-საგნის რელაციით კიდევ უნდა არსებობდეს და შორს რომ არ წავიდეთ, ვგონებთ, ქართულ ფილოსოფიურ მწერლობაში. სამწუხარო იქნება თუ აქსიომატიკა, რომლის დაწერას დასასრულ გვპირდება ავტორი ამ უკანასკნელ გარემოებათა გაუთვალისწინებლობაზე იქნება აგებული. იმედი ვიქონიოთ, რომ ამ მომავალ შრომას აღარ ექნება ცოტაოდენი ნაჩქარევის და ადგილ-ადგილ ბოლომდე გაურკვეველობის ნიშნები, რომლებიც ჩვენს მიერ განხილულ შრომაში საკმაოდ მოიპოვება.

შალვა ნუცუბიძე

პუბლიკაცია მოამზადა დოცენტმა იროდიონ ერემეიშვილმა

ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი

## ახალი თარგმანები

მიხეილ დე მონტანი\*

ქ ს მ ე ბ ი

თავი XXV

ბავშვთა აღზრდა

გიურსონის გრაფის მეუღლეს  
ქალბატონ დიანა დე ფუას

მრავალი კუზიანისა და მუნიაინის მამას შევხვედრივარ, მაგრამ არც ერთ მათგანს შევიღის ნაკლი არ უღიარებია. შევიღისადმი მშობლიური სიყვარულით დაბრმავებულნი მათ ნაკლს ან ვერ ამჩნევდნენ, ან — რაკი მათი შველი იყო — არ აღიარებდნენ. მეც ასე ვარ; სხვაზე უკეთ ვიცი რომ ჩემი სტრიქონები სხვა არაფერია თუ არა იმ კაცის ნაოცნებარი ბავშვობაში ზოგადად რომ გავცნო სხვადასხვა მეცნიერებებს და მათ შესახებ ძალზედ ზერელე წარმოდგენა რომ შემორჩა: ცოტაოდენი რამ თითოეულ მათგანზე, საბოლოოდ კი არაფერი — ფრანგების ჩვეულებისამებრ. მართლაც, მე ვიცი რომ არსებობს მედიცინა, იურისპრუდენცია, მათემატიკის ოთხი ნაწილი, რას წარმოადგენს მათი საგანი; ვიცი რომ მეცნიერებებს პრეტენზია აქვთ ადამიანის სამსახურზე; და მაინც, თქმულის მიუხედავად, სურვილი არ მქონია ღრმად ჩავწვდომოდი მათ არსს, ფრჩხილები დამეკვნიტა თანამედროვე მოძღვრების მონარქის არისტოტელეს თხზულებათა შესწავლით, ანდა მთელი სერიოზულობით ჩავკვდომოდი მეცნიერების რომელიმე დარგს. ასეთი რამ არასოდეს დამმართნია. ნებისმიერი სასკოლო საგნის საწყისების გადმოცემაც კი არ ძალშიძს. შუა კლასების მოსწავლესაც შეუძლია ჩემზე მეტი განათლებულობით თავი მოიწონოს, რადგან მე საგნის პირველი გაკვეთილების მიხედვითაც ვერ შევძლებ მის გამოცდას. ყოველ შემთხვევაში ეს დამოკიდებული იქნება საგნის გაკვეთილთა შინაარსზე. თუ ყოველგვარი არჩევანის გარეშე მაინც მიიძღულებენ მის გამოცდას, მე საკმაოდ მოუხერხებლად შევჩერდები მისი გაკვეთილის რომელიმე ძალზე ზოგად მონაკვეთზე და ამ უკანასკნელის მეშვეობით შევამოწმებ მოსწავლის ბუნებრივ გონიერებას. ასეთი გამოცდა ისეთივე უცნობი იქნება მისთვის, როგორც მისი გაკვეთილი ჩემთვის.

ყველაზე ფუნდამენტურ თხულებებად პლუტარქესა და სენეკას წიგნება მიმაჩნია. მათგან დანაიდებივით დაუსრულებლად ვიძენ ცოდნას, ვივსები ამ უკანასკნელით და გადავცემ მას. ზოგი რამ მათგან შეძენილი ამ ფურცლებზეც მოხვდა. მე კი ძალზე მცირედი, თითქმის არაფერი, დამჩრა. დიდ სარგებელს ვიღებ ისტორიული წიგნებიდან, ასევე, განსაკუთრებულად მიყვარს პოეზია. კლეანთეს<sup>2</sup> თანახმად, შეკუმშული ხმა საყვირის წვრილი მილიდან უფ-

რო მეტი ძალითა და სიმძაფრით გამოდის; ვფიქრობ, სხვადასხვა პოეტური ხერხით შეზღუდული აზრით უფრო მძაფრად ზემოქმედებს ჩემზე. კარგად ვგრძნობ ამ მიზნის სიმძიმით როგორ ვერთმევით ძალ-ღონე ჩემს ბუნებრივ მონაცემებს, რომელთა წარმოჩინებასაც ვცდილობ ამ თხზულებით; ჩემი გონება და აზროვნება ტატიით მიიწვევენ წინ, მერყეობენ, ბორძიკობენ და მაშინაც კი, როდესაც ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს ვაღწევ, მიღწეული არ მაკმაყოფილებს; ჩემს წინაშე იშლება უცნობი სივრცეები, რომელთაც, როგორც ბურუსში, ბუნდოვნად ვხედავ და არ ძალმიძს მათი განხილვა. ჩემს მიერ მოაზრებულ საგნებზე მსჯელობისას საკუთარი ბუნებრივი მონაცემებით ვკმაყოფილდები. თუ ასეთ დროს, რაც არც თუ იშვიათად ხდება, იმავე აზრებს, რომელთა განვითარებაც მე მეწადა, რომელიმე კარგ მწერალთანაც შევხვდები (მაგალითად ასე იყო ამას წინათ პლუტარქესთან, ჩვენი წარმოსახვის ძალაზე მსჯელობისას), ვგრძნობ თუ რა არააოაბა. სუსტი, გონებაჩლუნგი, მძიმე და ზანტი ვარ ასეთ ადამიანებთან შედარებით, და საკუთარი თავის მიმართ სიბრალულისა და ზიზღის გრძნობა მეუფლება. ზოგჯერ ისიც გამხარება, რომ ჩემს აზრებს პატივი ჰქონიათ დამთხვეოდნენ მათსა და თუნდაც შორიდან დაედსტურებინათ მათი ჰეშმარიტება. ასევე ვაღიარებ ჩემსა და მათ შორის არსებულ დიდ სხვაობასაც. მერწმუნეთ ამის თქმა საკუთარ თავზე ყველას არ ძალუძს. თქმულის მიუხედავად, ჩემი სუსტი და უმნიშვნელო აზრები ყოველგვარი ცვლილებების, დიდი ადამიანების აზრებთან შედარებით აღმოჩენილი შეცდომების შესწორების გარეშე, უცვლელად გამომაქვს საჯაროზე.

თუ ასეთ ადამიანთა კვალდაკვალ სიარულს განიზრახავთ, საკმაოდ ძლიერი ფეხები უნდა გქონდეთ. ჩვენი საუკუნის ქარაფშუტა მწერლებს, დიდების მოსახვეჭად, უხვად მოჰყავთ თავიანთ უვარგის თხზულებებში ნაწყვეტები ძველი ავტორების თხზულებებიდან. ამით მათ ჰსურთ სახელი გაითქვან, მაგრამ პირიქით ხდება. მათ ნიჭთა შორის სხვაობა იმდენად მკვეთრია, რომ ამით ისინი უფრო მეტს კარგავენ, ვიდრე იგებენ; ამის გამო ჩვენ ავტორთა თხზულებები ძალზე უფერულად, ულიმლამოდ და უსახიოდ გამოიყურებიან.

ძველ ავტორებს ან ძალზე უხვად მოჰყავთ ციტატები სხვათა თხზულებებიდან — მაგალითად ფილოსოფოს ქრისიპეს; ერთ-ერთ თავის თხზულებაში მან მთლიანად ჩართო ევრობიდეს „მედეა“. აპოლოდორე ამბობდა, რომ თუ ქრისიპეს თხზულებებიდან ამოიღებდნენ იმას, რაც სხვას ეკუთვნოდა, მხოლოდ ცარიელი ფურცლები დარჩებოდათ; ან პირიქით, მაგალითად ეპიკურეს თხზულებათა სამას ტომში ერთ ციტატასაც ვერ შეხვდებით.

ერთხელ მეც აღმოვაჩინე ამგვარი ნასესხები ნაწყვეტი. ნაწილიანად ვფურცლავდი ფრანგული სიტყვებით შედგენილ უსიცოცხლო, უსუსურ, უმინარსო და უაზრო ტექსტს, სხვაგვარად ვერც უწოდებდით მას. ბოლოს მოსაწყენი ფიქრებით დალილიმა რაღაც მშვენიერს, დიდებულს და ცამდე ამაღლებულს მივალწიე. ყველაფერი რიგზე იქნებოდა, რომ ფერდობი, რომელსაც მივუყვებოდი, დამრეცი და აღმართიც შესაბამისად ხანგრძლივი ყოფილიყო. მაგრამ ის იმდენად ციკაბო იყო, რომ პირდაპირ უფესკრულის პირისპირ აღმოვჩნდი. პირველი სიტყვებიდანვე ვიგრძენი რომ სხვა სამყაროში აღმოვჩნდი. თვალი შევაღვე ჩემს მიერ გავლილ ფერდობს. ეს უკანასკნელი იმდენად ულიმლამო და შორეული მეჩვენა, რომ კვლავ ჩაშვების ყოველგვარი სურვილი დამიკარგა. რომელიმე ჩემი მსჯელობა წარსულის საგანძურებით რომ შემელამაზებინა, ამით მხოლოდ სხვა დანარჩენთა უხადარუკობას წარმოვაჩენდი. პირადად მე



სხვის პიროვნებაში საკუთარ ზადთა გაიკიხვა ისევე დასაშვებად მიმაჩნია, როგორც სხვათა ზადისა საკუთარ თავში. ამას ასაკმაოდ ხშირად ვიქმ. ნებისმიერი ზადი უნდა ვამხილოთ ყველგან და ყოველთვის, მათ არსად უნდა დავეტოვოთ თავშესაფარი. კარგად ვიცი როგორ თამამად ვცდილობ ყოველთვის ჩემს მიერ გაძარცველ ავტორებთან გატოლებას; ჯიუტად მჭერა რომ ჩემ მსაჯულებს მოვატყუებ და ვერაფერს მიხედებიან, მაგრამ ამის მიღწევას მე ვცდილობ ნასესხების მართებული გამოყენებით, საკუთარი გონების გამოგონებლობისა და შესაძლებლობების გამოყენებით. ამ ძველ ფალავნებთან ვკმაყოფილდები მხოლოდ მსუბუქი შეტევით, ხელნართულ ბრძოლას ვერიდები და არც შეუპოვრობას ვიჩენ. მოწინააღმდეგეებს ისე ვეხები რომ უმალ მათთან პაექრობის შთაბეჭდილებას ვქმნი. ღირსეული მეტოქეობა რომ შემეძლოს თავს პატიოსან მოთამაშედ წარმოვიჩინდით, მაგრამ მათთან იქ ვებმები ორთაბრძოლაში სადაც ისინი უძლიერესნი არიან. როგორც ზემოთ ავლინსე, ზოგიერთი არ თაკილობს საკუთარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად თავით ტერფამდე სხვათა საჭურვლით შემოსვას და ზოგადი ცოდნის მქონე ფრაგმენტების სახით, მარჯვედ იყენებს ძველთა სიბრძნეს; იგი მათ ხან აქ, ხან იქ ჩრის რათა დაფაროს და მიითვისოს სხვისი ქონება. ერთის მხრივ, ეს უსამართლობა და სიმდაბლავა; ამ მწერლუკებს სულის სიღრმეში არაფერი გააჩნიათ ისეთი, რასაც ძალუძს რაიმე ღირებულის შექმნა; მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ცდილობენ თავის წარმოჩინებას სხვათა ღირებულებებით. მეორეს მხრივ, ეს დიდი უგუნურებაა. ასეთი მწერლები უმეცარი ბრბოს აღიარებით კმაყოფილდებიან და ამით საკუთარ ავტორიტეტს ამცირებენ გონიერთა თვალში, რომლებიც ამგვარ ნასესხებ ნაზავზე კოპებს იყრავენ; არადა ჭეშმარიტად ღირებული მხოლოდ მათი ხოტბაა.

პირადად მე ასეთი რამ ნაკლებად მსიამოვნებს; სხვის სიტყვებს მხოლოდ საკუთარი აზრების უკეთ გამოსახატავად მივმართავ. თქმული არ ეხება ცენტონების<sup>4</sup> ქანრს, რომელსაც ახალგაზრდობაში გავეცანი და სიმაართლე გიოზრათ რამდენიმე მათგანი მართლაც დიდი ხელოვნებით იყო შედგენილი. მაგალითად კაპილუპეს<sup>4</sup> მიერ გამოქვეყნებული ცენტონები, რომ არაფერი ვთქვათ ძველად შექმნილებზე, რომელთა ავტორებმაც თავიანთი ნიჭი სხვა თხზულებებითაც გამოავლინეს. ნიმუშად დავასახელებ ლიპსის<sup>4</sup> „პოლიტიკას“ დიდად განმანათლებლური ხასიათის, ძალზედ შრომატევადი კომპილაციებით შესრულებულ თხზულებას. ამრიგად, როგორადაც არ უნდა იყოს, როგორ უგუნურებასაც არ უნდა ვიჩენდე, მე მაინც არ ვცდილობ მათ დაფარვას, ისევე როგორც არ უარყვოდ ჩემი სახის მიხედვით შექმნილ მელოტი და მოხუცი ბერიკაცის პორტრეტს, რომელზეც მხატვარმა ჩემი და არა მშვენიერი ადამიანის სახე აღბეჭდა. ამგვარი გახლავთ ჩემი ზრახვები და შეხედულებები. მე მათ გთავაზობთ და არა იმით, რომლებიც უნდა მწამდნენ. ჩემი მიზანია საკუთარი თავი წარმოვიდგინოთ ისეთად, როგორიც დღეს ვარ, შესაძლოა ხვალ შეძენილმა რაიმე ახალმა ცოდნამ შემეცვალოს და სხვაგვარი გავხდე. თითოეული ჩემი სიტყვა რომ იწამონ ამის არც სურვილი მაქვს და არც საკმაო ავტორიტეტი. საკუთარი განათლება არასაკმარისად მიმაჩნია სხვათა განსანათლებლად.

ერთხელ, წინამდებარე თავის გაცნობის შემდეგ, ერთმა პიროვნებამ ჩემთან ყოფნისას მითხრა, რომ უფრო დაწვრილებით უნდა გადმომეცა საკუთარი აზრები ბავშვთა აღზრდაზე; ქალბატონო, მართლაც თუ ამ დარჯში რაიმე გამეგება ამის საუკეთესო დემონსტრირება იქნება ის, რომ იგი იმ პატარა

ადამიანს ვუძღვნა რომელსაც თქვენ ახლო მომავალში მოავლენთ ამ ქვეყანას. (თქვენ საკმაოდ სულგრძელი ხართ იმისთვის რომ ვაყი შვათ). თავის დროზე მე საკმაოდ დიდი წვლილი შევიტანე თქვენს დაქორწინებაში. ამდენად თავს უფლებამოსილად ვთვლი ვზრუნავდე ამ ქორწინების ნაყოფის სიღიადესა და კეთილდღეობაზე. ჩემი თქვენდამი ხანგრძლივი, მორჩილი და ერთგული სამსახური, მთელი არსებით მავალდებულებებს დიდება, სკვეთე და წარმატება ვუსურვო ყოველივეს. რაც დაკავშირებულია თქვენთან. სამართლე ვითხოვთ ზემოთ ხსენებული საგნის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ ყველაზე დიდ და მთავარ სირთულეს ჩვენი შემეცნება მეცნიერების იმ დარგში აწყდება, რომელიც ადამიანის საბავშვო ასაკში აღზრდასა და განათლებას ეხება. მიწათმოქმედთათვის კარგადაა ცნობილი ის მეთოდები, რომელთაც თვისის დაწყებამდე მიმართავენ, თვისის პროცესიც არ წარმოადგენს მათთვის სირთულეს. მაგრამ როგორც კი თესვი გაღვივებას დაიწყებს, ვიდრე მისი ზრდა სისრულეს მიაღწევდეს, მათ წინაშე დგება ამ მეთოდთა დიდი მრავალფეროვნება და სირთულე. იგივე ითქმის ადამიანებზეც. ადამიანის ჩასახვა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ როგორც კი იგი ამ ქვეყანას მოევიწინება, მაშინვე თავს იჩენს მის აღზრდასა და გაზრდასთან დაკავშირებული შიშითა და ჯაფით აღსავსე სხვადასხვა საზრუნავი. ადრეულ ასაკში ბავშვები ძალზედ სუსტად და ბუნდოვნად ავლენენ თავიანთ მიდრეკილებებს. მათი მონაცემები იმდენად მაცდური და ბუნდოვანია, რომ ძალზე ძნელია რაიმე გარკვეული აზრის შემუშავება ამ მიმართებით. შეხედეთ კომონეს, თემისტოკლეს და მრავალ სხვას, როგორ არ ჰვადნენ ისინი ერთმანეთს ბავშვობაში. დათვის ბელებსა ან ძაღლის ლეკვებში ბუნებრივი მიდრეკილებები თავიდანვე შეიმჩნევა. ადამიანები კი რომლებიც სწრაფად ათვისებენ ჩვევებს, სხვის აზრებსა და კანონებს, ადვილად ექვემდებარებიან ცვლილებებს და მალავენ თავიანთ ნამდვილ სახეს. ამიტომაც ძნელი ადამიანში იმის გარდაქმნა, რაც მასში ჩადებულია თავად ბუნების მიერ; ამიტომაც არასწორად განსაზღვრული გზა უშედეგო, დაკარგული დრო იმ საგნების შესწავლა რომელთა ათვისებაც ბავშვს არ ძალუძს. ჩემი აზრით, ასეთ რთულ ვითარებაში ყოველთვის უნდა ვეცადოთ ბავშვი წარმართოთ საუკეთესო და სასარგებლო საგნებისაკენ, ნაკლებად გავამაჯვილოთ ყურადღება მათ ბავშვურ მოძრაობებში შემჩნეულ უსაფუძვლო ნიშნებსა და ვარაუდებზე. ჩემი აზრით, მათ ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პლატონი თავის „სახელმწიფოში“.

ქალბატონო, მეცნიერება დიდი სამკაული და ძალზედ სასარგებლო იარაღია, განსაკუთრებით მათთვის. ვინც თქვენსავით განებობრებულა ბედისაგან მდაბიო და უგუნურ ადამიანებში იგი ვერ ნახულობს სათანადო გამოყენებას. მეცნიერება საოცრად ამაყია, როდესაც შესაძლებლობა ეძლევა საკუთარი საშუალებები შესთავაზოს ბრძოლის წარსამართავად, სახელმწიფოს განსაჯებად, უცხო ქვეყნის ხელმწიფესა და მის ქვეშევრდომებთან კეთილგანწყობის უზრუნველსაყოფად, ვიდრე მაშინ, როდესაც მას ფილოსოფიური კამათის დროს რაიმე არგუმენტისათვის ან სასამართლოში საქმის აპელირებისათვის ანდა ერთი შეკვრა აბების გამოწერისათვის მიმართავენ. ამგვარად, ქალბატონო, მე ვთვლი რომ ბავშვების აღზრდისას საქმის ამ მხარესაც არ დაივიწყებთ, მით უფრო რომ თქვენ იგივეთ მეცნიერებით მიღებული ტკობა და დიდად განათლებულ ადამიანთა მოდგმას მიეკუთვნებით (ჩვენ ხელთ გვაქვს დე ფუას გვარის გრაფების წინაპართა ნაწერები, რომელთა ჩამომავლებიც ბრძან-



ლებით თქვენი მეუღლე, ბატონი გრაფი და პირადად თქვენც. ბიძათქვენი, ბატონი ფრანსუა დე კანდალი, დღემდე ქმნის თხზულებებს, რომლებიც კიდევ მრავალი საუკუნით გაუხანგრძლივებენ არსებობას თქვენი გვარის ამ ნიჭს). თქმულთან დაკავშირებით მინდა გავაცნოთ ჩემი მოსაზრებები — თუმცა ისინი ეწინააღმდეგებიან ზოგადად მიღებულთ — რითაც მე ძალმიძს თქვენი სამსახური ამ საქმეში.

აღზრდის მთელი შედეგი დიდადაა დამოკიდებული თქვენს მიერ ვაჟი-წვილისათვის შერჩეული აღმზრდელის პიროვნებაზე. მის მოვალეობაში ბევრი რამ იგულისხმება, მე მათზე არ შეეჩერდები, ვინაიდან ვერ შევძლებ რაიმე ღირებულის თქმას. რაც შეეხება ჩემი საგნის თემას, თავს უფლებამოსილად ვთვლი მის აღმზრდელს მივცე მთელი რიგი რჩევა-დარიგებები; დაე იგი იმდენად მენდოს, რამდენად სარწმუნოდაც მიიჩნევს ჩემს მოსაზრებებს.

კარგი ოჯახის შვილს სხვადასხვა მეცნიერებებს იმ მიზნით არ ასწავლიან, რომ იგი მეცნიერად აღზარდოს ან შემოსავლის წყაროდ გაიხადოს (ასეთი მდაბიური მიზანი მუხათა მადლისა და წყალობის ღირსი არაა, იმას გარდა რომ მსგავს შემთხვევაში სხვისადმი მორჩილება და პირფერობაც იგულისხმება), ან ზოგადად მიღებული წესები დაიცვან; ამ შემთხვევაში მეცნიერების მიზანია აღზარდოს განათლებული ადამიანი რათა მან მყარად იგრძნოს თავი საზოგადოებაში, შინაგანად გამდიდრდეს და გალამაზდეს. ამდენად ჩემი სურვილია რომ დიდი ყურადღებით შეარჩიოთ აღმზრდელის პიროვნება. სასურველია იგი უმალ ნიჭიერი იყოს, ვიდრე განათლებული; თუ ორივე ამ თვისებით იქნება დაჯილდოებული, ეს მართლაც დიდებული იქნება. ცხადია, მხოლოდ მეცნიერ აღმზრდელს ნიჭიერი და კარგი ჩვევების მქონე ჯობს, რომელიც თავის მოვალეობის შესრულებისას აღზრდის ახალი მეთოდით იხელმძღვანელებს.

ყურში დაუსრულებლად ჩავეძახიან ათასგვარ ცოდნას, თითქოს ძაბრში წყალს ასხამდნენო. ჩვენი მოვალეობა კი მხოლოდ ამ გავონილის გამეორებაა. მე მსურს რომ თქვენი შვილის აღმზრდელმა არ იხელმძღვანელს ამ მეთოდით, რომ მან დასაწყისიდანვე გაითვალისწინოს აღსაზრდელად მინდობილი ბავშვის სულიერი მოთხოვნილებები, მისცეს შესაძლებლობა თავისუფლად გამოავლინოს თავისი მიდრეკილებები, გააცნოს სხვადასხვა საგნები, მისცეს შერჩევისა და მათ შორის სხვაობის გამოვლინების საშუალება, გზა ხან თავად მიუთითოს, ხან პირიქით, ბავშვს მოაძებნინოს. არ მსურს რომ მხოლოდ აღმზრდელი წყვეტდეს ყველაფერს და მხოლოდ ის ლაპარაკობდეს. მე მსურს რომ იგი თავის აღსაზრდელსაც უსმენდეს. სოკრატე, შემდეგ არკესილაე<sup>7</sup>, თავდაპირველად თავიანთ მოწაფეებს ალაპარაკებდნენ, შემდეგ თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ. — *Obest plerumque iis qui discere volunt auctoritas eorum, qui docent.*\* აღმზრდელმა წინ უნდა ვაუშვას აღსაზრდელი, რათა მისი სვლა განსაჯოს და განსაზღვროს თუ რამდენად მართებს საკუთარი შესაძლებლობების შეზღუდვა ძალთა თანაფარდობის შესანარჩუნებლად. თუ თანაფარდობას არ დავიცავთ, შეიძლება ყველაფერი გავაფუჭოთ. ჩემი აზრით, აღზრდის ერთ-ერთი ურთულესი ამოცანა სწორედ ამ თანაფარდობის მონახვა

\* ხშირად მასწავლებლის ავტორიტეტი ხელს უშლის მათ ვისაც, იგი ასწავლას, ციცა-რონი, ლმერთების ბუნება 1, 5.

და მისი გონივრული დაცვა. აღზრდის პროცესში ბავშვის შესაძლებლობად დასვლა და ამ უკანასკნელით ხელმძღვანელობა მხოლოდ ძლიერ და ამბულგებულ სულთა ხვედრია. პირადად მე მთაზე ასვლისას უფრო მტკიცედ და მყარად ვგრძნობ თავს, ვიდრე დაშვებისას.

თუ აღმზრდელი, როგორც ეს ჩვენშია მიღებული, თავის მრავალრიცხოვან, გონებრივი შესაძლებლობებითა და ხასიათით განსხვავებული უნარის მქონე მოსწავლეებს ყველას ერთი და იმავე გაკვეთილს უხსნის, ერთნაირად სთხოვს, ბუნებრივია, რომ ბავშვთა ამ დიდი ჯგუფიდან ამგვარი სწავლების ჰერმეტიკი ნაყოფის მიღებას მხოლოდ ორი-სამი ბავშვი შეძლებს. მიცემული გაკვეთილიდან აღმზრდელმა მოსწავლეს უნდა გამოკითხოს არა მხოლოდ სიტყვები, არამედ მათი მნიშვნელობა და დედააზრი; ცოდნის ხარისხზე უნდა იმსჯელოს არა მოწაფის მეხსიერებით, არამედ იმით, თუ რამდენად ვააცნობიერა მან შეძენილი ცოდნა. ასახსნელი საგანი მან მრავალი მხრიდან უნდა დაანახოს მოწაფეს, უნდა გამოიყენოს უამრავი განსხვავებული საგანი, რათა შეამოწმოს თუ როგორ გაიგო და რამდენად შეითვისა იგი მოსწავლემ. ასხნა-განმარტებათა თანმიმდევრობისას პლატონის მეთოდით უნდა იხელმძღვანელოს. თუ ადამიანი საკვებს გადაუცაბავს და ვერ გადაამუშავებს, მაშასადამე უნდა დავასკვნათ რომ საკვები ძნელი მოსანელებელი იყო და კუჭმა იგი ვერ გადაამუშავა; რაკი კუჭმა მისი თვისებები და ფორმა ვერ შეცვალა, მაშასადამე მან თავისი ფუნქცია ვერ შეასრულა.

ჩვენი სული სხვისი ნებით მოქმედებს, სხვათა მაგალითით ხელმძღვანელობს და მათ მიითბებებს ექვემდებარება. სხვის შემყურეობას ჩვეულთ დამოუკიდებლად მოქმედების ყოველგვარი უნარი დაკარგული გვაქვს. ჩვენი ძალა და თავისუფლება დაზღუდულია. *Nunquam tutelae suae fiunt.*\*

პიზაში ერთ საკმაოდ პატივსაცემ კაცს ვიცნობდი, არისტოტელეს მოძღვრების საოცრად ერთგულ მიმდევარს. მისი უპირველესი დოგმის თანახმად, ნებისმიერი მოსაზრებისა და ჰერმეტიკების სასიხვი ჭეა და საფუძველი იყო მისი შესაბამისობა არისტოტელეს მოძღვრებასთან; რაც ამ მოძღვრებას არ ესაბამებოდა, მისთვის ყველაფერი ჭიმერა და ამაოება იყო, რადგან თვლიდა რომ: „არისტოტელემ ყველაფერი განჭვრიტა და ყველაფერი თქვა“. ამ კაცის მოსაზრება ძალზე ზოგადად და არასწორად ვაიგვს, რის გამოც მას საკმაოდ დიდხანს და სერიოზულად ემუქრებოდა საფრთხე რომის ინკვიზიციისაგან.

აღმზრდელი აღსაზრდელს ცოდნას ძალით არ უნდა უდებდეს გონებაში; სწავლების პროცესში იგი უნდა ხელმძღვანელობდეს თავისი ავტორიტეტითა და გავლენით. მისთვის არისტოტელეს, სტოიკოსთა ან ეპიკურელთა პრინციპები უცვლელ საწყისებს არ უნდა წარმოადგენდნენ. მოსწავლეს უნდა შეეძლოს სხვაობის ასხნა ამ მოძღვრებათა შორის და თუ უნარი ექნება არჩევანსაც თავად შეძლებს ან ეჭვი მაინც აღეძრება. მხოლოდ უგუნური არიან ურყევნი თავიანთი რწმენისადმი.

*Che non men che saper dubiar m'aggrada.\*\**

ქსენოფონტის ან პლატონის აზრების მიღებითა და განსჯით, ეს უკანასკნელი აღსაზრდელის აზრებადაც იქცევიან. მონურად, სხვისი მიდევნა არაფ-

\* მათ მუდამ მეურვეობენ, სენეკა წერილები, 39.

\*\* ეჭვი ცოდნაზე არანაკლებ სიამოვნებას მანიჭებს. დანტე, ჯოჯოხეთი XI, 93.

რის მიღვენის ტოლფასია; ასეთ შემთხვევაში ადამიანი ვერაფერს პოულობს და არც არაფერს ეძებს: *Non sumus sub regei sibi quisque se vindicet.\** მთავარია მას ესმოდეს ის რაც აცის. იგი ძველ მოაზროვნეთა მითითებების დაზუთხვით კი არ უნდა დაკმაყოფილდეს, მათი სულისკვეთებით უნდა განიმსჭვალოს. თუ დავიწყდება საკუთარი აზრების საწყისი პრინციპები არ უნდა შეშინდეს, ჭეშმარიტება და სალი აზრი ყველას კუთვნილებაა, თანაბრად ეკუთვნით მათ — ვინც პირველებმა გამოთქვეს და მათაც — ვინც მოგვიანებით გაიმეორეს. ესა თუ ის აზრი შესაძლოა პლატონის მოსაზრებასაც ესადაგებოდეს და ჩემსასაც; ცხადია, თუ საგნებს ერთნაირად ვუყურებთ, ჩვენი აზრები ერთმანეთს ემთხვევა. ფუტკარი ყვავილიდან ყვავილზე გადადის რომ თავლი მოგვეცეს, ეს უქანასკნელი კი აღარც ქონდარაა და აღარც მაიორანი, იგი არის ფუტკრის მიერ შექმნილი პროდუქტი. თუ ადამიანი გარდაქმნის და გადაამუშავებს იმას, რასაც სხვებს დაესესხება, აქცევს თავის თხზულებად, ის მისი საკუთარი მსჯელობა იქნება. ადამიანის აღზრდის, შრომის, სწავლების ერთადერთი მიზანი მისი პიროვნებად ჩამოყალიბებაა. მან საკუთარ თავში უნდა დაფაროს ის, რაც სხვებისგან აიღო, საჯაროდ მხოლოდ ის უნდა განაცხადოს რაც სხვებისგან აიღო, საჯაროდ მხოლოდ ის უნდა განაცხადოს რაც მის საფუძველზე შექმნა. მძარცველები და მევახშეები თავიანთ სახლებსა და შეძენილ ნივთებს წარმოგვიდგენენ ხოლმე და არა იმას, რაც მათ სხვისი ჯიბიდან აიღეს. თქვენ ხედავთ პარლამენტის წევრის კავშირებს და იმ პატაეს, რომელსაც მის შვილებს მიაგებენ, მაგრამ არა ძღვეს რომელსაც მას მიართმევენ. საკუთარ შემოსავალს თითოეული თავად განაგებს, საჯაროდ არავინ აცხადებს.

სწავლის სარგებელი ისაა, რომ ჩვენ უფრო კარგნი და გონიერნი ვხდებით. ეპიქარმე<sup>6</sup> ამბობდა რომ მხოლოდ გონება ხედავს ყველაფერს და მხოლოდ მას ესმის ყველაფერი; იგი განაგებს ყველაფერს თავის ნება-სურვილით. რეალურად მხოლოდ იგია ქმედითი, ყველაფრის განმგებელი და მბრძანებელი. სხვა ყველაფერი ბრმა, ყრუ და უსულოა. ჩვენ ვაიძულებთ მას მლიქვნელობასა და სიმხდალეს, ვართმევთ დამოუკიდებლად მოქმედების თავისუფლებას.

ვინ ეკითხება მოსწავლეს მის აზრს რიტორიკასა ან მათემატიკაზე? ციკერონის ამა თუ იმ სენტენციაზე? ორაკულებივით მზამზარეულად გვიდებენ მათ გონებაში, საგნის არსს ასოები და მარცვლები ცვლიან; მაგრამ ზეპირად ცოდნა, ცოდნას როდი ნიშნავს; ესაა მხოლოდ იმის შენახვა მეხსიერებაში, რაც მას შესანახად მიაბარეს. ჭეშმარიტი ცოდნის შემთხვევაში უფლებამოსილი ხარ თავისუფლად განაგებდე მას, არც პატრონს მისჩერებოდე და არც წიგნისკენ აპარებდე თვალს. მხოლოდ წიგნებით შეძენილი განსწავლულობა საბრლოა. მე ვთვლი რომ ეს სამკაულია და არა ფუნდამენტი. ამ საკითხში პლატონის მიმდევარი ვარ, რომლის თანახმადაც ჭეშმარიტი ფილოსოფია ეს არის სიმტკიცე, ერთგულება და კეთილსინდისიერება. ყველა სხვა ცოდნა და საერთოდ ყველაფერი რასაც სხვა მიზანი აქვს, მხოლოდ ფერუშმარულია. საინტერესოა როგორ შეგვესწავლიდნენ პირუტეს ჩვენი დროის ორი უდიდესი მოცეკვავე — პალიუელი ან პომპე თუ მხოლოდ გვაყურებინებდნენ თავად ისინი როგორ ასრულებდნენ მას, ჩვენ კი განძრევის საშუალებასაც არ მოგ-

\* ჩვენ არ გვყავს მეფე; დაე, თითოეული თავისუფლად განაგებდეს საკუთარ თავს. სენეკა, წერილები, 33.

ვცემდნენ. ბევრი აღმზრდელიც ასევე იქცევა. მათ სურთ ისე განათლონ ჩვენი გონება რომ ამ უკანასკნელმა არავითარი მონაწილეობა არ მიიღოს. განა შეიძლება ისწავლოთ ცხენის მართვა, შუბის ხმარება, ბარბითზე\* დაკვრა ან ხმის დაყენება ყოველდღიური ვარჯიშის გარეშე? აღმზრდელთა უმრავლესობას კი ჰსურს რომ საღად მსჯელობა და კარგი მეტყველება, მსჯელობასა და მეტყველებაში ვარჯიშის გარეშე გვასწავლოს. ამ უნარის განსავითარებლად ჩვენი ყოველდღიური ყოფაც საკმარისი იქნებოდა, ანუ ყველაფერი ის, რაც ჩვენ თვალწინ ხდება: პაყის ეშმაკობა, მსახურის სიბრძევე, სუფრასთან საუბარი — დიდაქტიური წიგნის ტოლფასია, ახალი საკვებია ჩვენი გონებისათვის.

გონების განვითარებას დიდად უწყობს ხელს მოგზაურობა უცხო ქვეყნებში, ურთიერთობა სხვა ადამიანებთან. მაგრამ ჩვენ, ფრანგ დიდგვაროვანთა ჩვეულებისამებრ, არ უნდა შემოვიფარგლოთ ასეთი სახის ცნობებით. მაგალითად, რამდენი ნაბიჯია სიგანეში როტონდას<sup>9</sup> მარამ დღისმშობლის ეკლესია, ან რამდენად ძვირფასი ქვედა საცვლები აქვს ქალბატონ ლივიას, ან რამდენად გრძელი ან განიერია ნერონის სახე რომელიმე ძველ ნაწარგებზე ამა თუ იმ მუდალზე გამოსახულ სახესთან შედარებით და ა. შ. მოგზაურობისას უცხო ქვეყნის მკვიდრთა სულიერი სიმდიდრით საკუთარი უნდა გავიმდიდროთ, გავცინოთ მათი ცხოვრების ყოფას, სხვა გონებთან ურთიერთობით უნდა დავხვეწოთ და განვავითაროთ ჩვენი საკუთარი. ჩემი სურვილია, რომ ჩვენმა აღზარდელმა შეძლებისდაგვარად ადრეულ ასაკში იმოგზაუროს უცხო ქვეყნებში, განსაკუთრებით იმ მეზობელ ქვეყნებში, რომელთა ენაც უფრო შორსაა ჩვენი ენისაგან. ამით ერთდროულად ორ კურდღელს დავიჭერთ: ახალგაზრდობიდანვე შეისწავლით მათ ენას, რაც ასე უჭირთ ასაკში შესულთ.

საყოველთაოდ მიღებული აზრის თანახმად, ბავშვის აღზრდა მშობლის კალთის ქვეშ არაგონიერულია. ბუნებით ბოძებული მშობლიური სიყვარულის გრძნობა ყველაზე გონიერსაც გულს უჩვილებს, სიბრალულსა და ლმობიერებას შთააგონებს შვილისადმი. მათ არ ძალუთ საკუთარი შვილების დასჯა შეედომებისათვის, ისინი მათ არიდებენ ცხოვრებისეულ სირთულეებსა და ხიფათებს, ვერ ეგუებიან რომ მათი შვილები სხვადასხვა ვარჯიშების შემდეგ გაოფლილები და გამტკვრიანებულები ბრუნდებიან, რომ ხან ცივ, ხან თბილ წყალს სვამენ, ოჩან ცხენზე სხედან, ძლიერ მეტოქეს ეფარაკაევიან; როცა ხელში პირველად იღებენ არკუზუსს. რას იზამ, ვისაც ჰსურს ვაფიშვილი ნამდვილ ვაჟკაცად აღზარდოს, მან უნდა იცოდეს რომ ყოველივე ამას ყრმას ვერ აარიდებს, ხშირად მედიცინის მითითებებსაც უნდა მიაპყროთ ყური.

Vitamque sub dio et trepidis agit In rebus.\*\*

ბავშვის მხოლოდ სულის წვრთნა არ კმარა, მისი კუნთების გაკაყებაც ასევე აუცილებელია. როდესაც ჩვენი სული მარტოა, საზრუნავების მთელი სიმძიმე მას აწევბა ვინაიდან ორის მაგიერ უხდება მუშაობა. კარგად ვიცი როგორ უშძიმს ხოლმე ჩემს სულს ისეთ ადამიანთა საზოგადოებაში, რომელთა ფაქიზი და მგრძნობიარე სხეულიც — ჩემი სხეულის მსგავსად — მუდამ მხარდაჭერას ითხოვს. ხშირად შემინიშნავს, რომ ის რასაც ზოგი ავტორი სულის სილიადგდ

\* ბარბითი — ძველებური სიმებიანი საკრავი.

\*\* დაე ღია ცის ქვეშ ტანჯვასა და გაჭირვებაში იცხოვროს, ჰორაციუსი, ოდები, III, 2, 5.

და სიძლიერედ წარმოგვიდგენს, უმალ კანის სისქესა და ძვლების სიმაგრეს მოწმობს.

მე მინახავს ბუნებით იმდენად არამგრძობიარე კაცები, ქალები და ბავშვებიც კი, რომელთაც ჯოხის დარტყმაზე უფრო ნაკლები რეაქცია ჰქონიათ, ვიდრე მე ცხვირზე წკიპურტზე. ასეთი ადამიანები დარტყმაზე არათუ დაიყვირებენ, წარბსაც კი არ შეიხრიან. ათლეტები გამძლეობით თავს ფილოსოფოსებს აღარებენ ხოლმე, მაგრამ ეს უმალ მათი კუნთების, და არა სულის სიმტკიცეს მოწმობს. მოთმინებით შრომის ჩვეულება ასეთივე მოთმინებით ტკივილის ატანის ჩვეულების ტოლფასია *labor callum obducit dolori\** სხეული რთული და მძიმე ვარჯიშებით უნდა გაიკაყოთ, რათა ღრძობით, ჰვალით, დადაღვით, ტუსალობითა და წამებით გამოწვეული ტკივილების ამტანობა განუვითაროთ. ყოველივე ამისათვისაც მზად უნდა იყოთ. ხშირად კეთილი ადამიანები ბოროტთა ხვედრს იზიარებენ. ეს საკუთარი გამოცდილებითაც კარგად ვიცით. ის ვინც კანონებს ამხობს, ყველაზე წესიერ ადამიანებს როზგოთა და თოკით ემუქრება.

აღმზრდელის ავტორიტეტი შეუზღალავი უნდა იყოს; ამ უკანასკნელს ხშირად ლახავს და ამცირებს მშობელთა ჩარევა აღზრდის პროცესში, რასაც ხელს უწყობს შინამოსამსახურეთა მოწიწება ბავშვისადმი, ოჯახის სიმდიდრე და დიდგვაროვნება. ჩემი აზრით, ყოველივე ეს საკმაო დაბრკოლებებს უქმნის აღმზრდელს ბავშვის სწორად აღზრდის პროცესში.

რაც შეეხება სკოლას, სადაც ბავშვს ურთიერთობა უხდება სხვა ადამიანებთან, აქ ხშირად შეეხვედრივარ ერთ ასეთ ზადს — ნაცვლად იმისა რომ სხვები ვავიცნოთ, მხოლოდ საკუთარი თავის წარმოჩინებას ვცდილობთ. მთელი ჩვენი საზრუნავი მიმართულია საკუთარი საქონლის წარმოსაჩინად და არა ცოდნის შესაძენად. დუმილი და მოკრძალებულობა ფრიად ღირებულ თვისებებად ითვლება საზოგადოებაში. ბავშვს ასევე უნდა ვასწავლოთ ყაირათიანობა და ზომიერება შეძენილი ცოდნის გაღებისას, თავშეკავება მისი თანდასწრებით გამოთქმულ უგუნურსა და უაზრო საგნებზე კამათისაგან, რადგან საზოგადოებაში, იმის უარყოფა რაც ჩვენ არ მოგვწონს, უზრდელობა და უპატივცემულობა; იგი უნდა კმაყოფილდებოდეს საკუთარ სრულყოფილებაზე ზრუნვით, არ უნდა ძრახავდეს სხვას იმის გამო რაც მისთვის მიუღებელია და არც ზოგადად მიღებულ ადათებს უნდა უგულუბეოყოფდეს. *Zicet sapere sine pompa, sine invidia\*\** უნდა ერიდოს ქედმაღლობასა და მედიდურობას, ბავშვურ პატივმოყვარეობას ანუ სხვებისაგან გამორჩეულობისა და სხვებზე ჰკვიანად თავის წარმოჩინების სურვილს; არ უნდა ელტვოდეს იმ ადამიანის დიდებას, რომელიც ყველას და ყველაფერს ლანძღავს, წელზე ფეხს იდგამს რათა რაიმე ახალი გამოიგონოს. როგორც დიდ პოეტებს შევენოდათ თავისუფლად მოქმედება თავიანთ ხელოვნებაში, ასე დიდ და ამაღლებული სულის ადამიანებსაც აქვთ უფლება ამაღლდნენ ადათზე *se quid Socrates et Aristipus contra morem et consuetudinem fecerint, idem sibi ne arbitretur licere: magnis enim illi et divinis bonis hanc licentiam assequabantur\*\*\**

\* გარჯა გვიამებს ტკივილს, ციკერონი, ტუსკულანური საუბრები, II, 15.

\*\* შესაძლებელია იყოთ ნასწავლი ყოველგვარი ყოფილობისა და ამპარტავენების გარეშე, სენეკა, წერილები, 130.

\*\*\* თუ სიკრატე და არისტოტელე ყოველთვის არ ექვემდებარებოდნენ თავიანთი ქვეყნის



ბავშვს უნდა ვასწავლოთ, რომ საუბარსა ან კამათში ჩაყრიოს მხოლოდ ღირსეულ მოწინააღმდეგესთან. ასევე კამათის დროს საწინააღმდეგო მოსაზრებათაგან მხოლოდ უძლიერესთა გამოყენება, მათი საგულდაგულოდ შერჩევა, უპირატესობის მინიჭება ყველაზე ზუსტის, ე. ი. კონკრეტულისათვის; მაგრამ პირველ რიგში მას ჰეშმარიტების წინაშე ქედის მოხრა და იარაღის დაყრა უნდა ვასწავლოთ, სულერთია ვის მოუვა იგი პირველს აზრად — მას თუ მოწინააღმდეგეს. ვინაიდან მას არ ევალება კათედრაზე ასვლა წინასწარ შედგენილ მითითებათა წასაკითხად, ამდენად ვალდებული არაა დაიცვას ის მოსაზრებები, რომელთაც არ ეთანხმება. იგი ხომ მათ რიცხვს არ მიეკუთვნება, ვინც საკუთარ ცოდვათა აღიარებისა და მონანიების უფლებას ნაღდ ფულზე ყიდის.

*Neque, ut omnia quae praescripta et imperata sint, defendat, necessitate ulla cogitur\*.*

თუ მის აღმზრდელს ჩემნაირი შეხედულებები ექნება, მაშინ იგი შეეცდება გააღვიძოს მასში საკუთარი ხელმწიფის უეროვულისა ქვეშევრდომი და მამაცი მსახური, მაგრამ თუ იგი ხელმწიფისადმი სხვაგვარი დამოკიდებულებით იქნება გამსჭვალული, და არა ისეთით როგორსაც ჩვენგან საზოგადოებრივი მოვალეობა ითხოვს — მაშინ ჩაუხშობს მას ამ სურვილს. არას ვამბობ იმ სხვადასხვა შეუსაბამობებზე, რომლებიც ზღუდავენ ჩვენს თავისუფლებას ამ განსაკუთრებული მოვალეობებით; დაქირავებული და მოსყიდული კაცის ამ აზრები ან ნაკლებად გულწრფელი და ნაკლებად თავისუფალია, ან უგუნურობის და უმადურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჰეშმარიტი ქვეშევრდომი, კანონის და საკუთარი ნების თანახმადაც, თავის გამგებელზე მხოლოდ კარგს უნდა ფიქრობდეს და ლაპარაკობდეს, რადგან ამდენ ქვეშევრდომთაგან მან მხოლოდ მას მიანიჭა უპირატესობა რაათა წყალობით აევსო. ცხადია ეს წყალობა და სარგებელი ქვეშევრდომში გარკვეულ წილად ახშობს გულწრფელობას და აბრმავებს მას. ამიტომაც რომ ჩვეულებრივ ამ ხალხის ენა განსხვავდება სხვა ფენის ადამიანთა ენისაგან, მათი სიტყვები ნაკლებად სარწმუნოა.

აღსაზრდელის მეტყველებაში უნდა გამოსჭვიოდეს მისი სინდისი და სიქველე, ამ უკანასკნელთ კი გონება უნდა განაგებდეს. ასევე, მან უნდა იცოდეს, რომ მსჯელობის დროს დაშვებული შეცდომის აღიარება, თუნდაც იგი მხოლოდ მან შენიშნოს, მის გონიერებასა და სიწრფელზე მეტყველებს. ყველაზე მეტად იგი სწორედ ამ თვისებებისაკენ უნდა ილტვოდეს. მცდარი აზრების ჭიუტად დაცვა სულმდაბალ ადამიანთა თვისებაა. კამათის დროს გონს მოვება, საკუთარი შეცდომის მიხვედრა და აღიარება ძალზედ იშვიათი, დიდად ღირებული და ფილოსოფოსთათვის დამახასიათებელი თვისებაა. ასევე უნდა ვასწავლოთ იყოს ყურადღებანი ყველასა და ყველაფრის მიმართ საზოგადოებაში. ჩვეულებრივ საშუალო ნიჭის ადამიანები წინაურდებიან ხოლმე, ბედი ღირსეულთ რთვი ავსებს თავისი წყალობით. ხშირად შემინიშნავს მაგიდის თავში, შპალერის სილამაზეზე ან მალავაზის\* გემოზე საუბრისას, როგორ დაუტოვებიათ უყურადღებოდ მაგიდის ბოლოს თქმული ბევრი, ძალზე სიან-

აღათებსა და წესებს, ეს თქვენ სრულებითაც არ განიჭებთ იგივე უფლებას. მაღალი, თითქმის ლეთთური ღირსება ანიჭებდა მათ ამ თავისუფლებას. ციცირონი, „მოვალეობები“, I, 41.

\* ვერავითარი აუცილებლობა ვერ აიძულებს მას იმის აკრძალვას, რასაც დაუწესებენ და უწინასწარმეტყველებენ, ციცირონი, II, 3.

\*\* მალავაზია — ტკბილი ღვინო.

ტერესო რამ. აღსაზრდელს უნდა შეეძლოს ნებისმიერი ადამიანის სულის სიღრმეში ჩაწვდომა, ვინც არ უნდა იყოს იგი მწყემსი, ქვის მოღველი თუ უბრალო შემხვედარი. უნდა ყველაფერი გამოიყენო, თითოეული ინდივიდისგან შეძლებისდაგვარად უნდა რაღაც შეიძინო; ყველაფერი გამოსადევნა, ვიღაცის უგუნურებასა და ნაკლშიც კი არის რაღაც ყურადსაღები. თითოეული ადამიანის ღირსებებისა და თვისებების შეფასებით ახალგაზრდა საკუთარ თავში გააღვიძებს ღტოლვას კარგი თვისებებისადმი და სიძულვილს უარყოფითებისადმი.

აღსაზრდელს უნდა ყველაფრისადმი გაუღვიძონ კეთილშობილური ცნობისმოყვარეობა, რათა დაინტერესდეს ყოველივე მნიშვნელოვანით, რასაც ცხოვრებაში შეხვდება, სულერთია რა იქნება ეს: შენობა, შადრევანი, ადამიანი, ძველი დროის ბრძოლის ველი, თუ ის ადგილები, სადაც ცეზარი ან კარლს დიდი სეირნობდნენ.

*Quae tellus sit lenta gelu, quae putris ab aestu,  
Ventus in Italiam qui bene vela ferat.\**

მან უნდა შეისწავლოს სხვადასხვა ხელმწიფეთა ჩვევები, შემოსავალი, კავშირები; მათი ცოდნა ძალზე საჭირო და სასარგებლოა.

ადამიანებთან ურთიერთობაში, ცხადია პირველ ყოვლისა ეგულისხმობ ურთიერთობას იმ ადამიანებთან, რომელთა შესახებაც მოგონებები მხოლოდ წიგნებშია. ისტორიის გაცნობით ყრმა გაცნობა საუკეთესო საუკუნეთა დიდ სულელებს. წარსულის ამგვარი შესწავლა ზოგისთვის დროის ამო კარგვავა, ზოგისთვის მისი ღირებულება შეუფასებელია. პლატონის თანახმად, ისტორია იყო ერთადერთი მეცნიერება, რომელსაც ლაკედემონელები პატივს სცემდნენ. მართლაც რამდენს შეისძენს ყრმას თუნდაც პლუტარქეს ბიოგრაფიების წაკითხვა. ისტორიის სწავლებისას აღმზრდელს მუდამ უნდა ახსოვდეს მისი ძირითადი მიზანი, არსებითია არა ის რომ აღსაზრდელმა კართაგენის დაცემის თარიღი დაიზუთხოს, არამედ ის, რომ მან შეისწავლოს პანიბალისა და სციპიონის ზნეები, ღირებულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არა იმის ცოდნა თუ სად მოკვდა მარცელუსი<sup>10</sup>, არამედ ის, თუ რატომ დაასრულა მან ასე თავისი სიცოცხლე და რატომ დათანხმდა მისი მდგომარეობის კაცი ასეთ უღირს სიკვდილს. აღმზრდელმა ყრმას მოვლენები და ფაქტები კი არ უნდა აზუთხონოს, მათზე მსჯელობის უნარი უნდა განუვითაროს. ჩემი აზრით, მეცნიერების სხვადასხვა დარგთა შორის სწორედ ისტორიაა ცოდნის ის სფერო, რომელსაც ჩვენი გონები სხვადასხვა ღირებულებებს ანიჭებენ. ტიტუს ლივიუსთან მრავალი ისეთი რამ ამოვიკითხე, რაც სხვამ ვერ შენიშნა. პლუტარქემ თავისი ეპოქის მრავალი ისეთი აქტი ამოიკითხა, რომელთა ამოკითხვა ზოგჯერ მეც ვერ შევძელი და პირიქით, ზოგჯერ მეც ამოვიკითხე ზოლმე ისეთი რამ, რაც ავტორის მხედველობაშიც არ ჰქონია. ზოგისთვის ეს გრამატიკული სავარჯიშოებია, ზოგისთვის ფილოსოფიის ანატომია, რომელიც გზას გვიკვლევს ჩვენი სულის ყველაზე იდუმალი კუნჭულებისაკენ. პლუტარქესთან ჩვენ ვხვდებით მრავალ, ძალზე ზოგადი სახის საოცრად საყურადღებო მსჯელობას. ჩემი აზრით, იგი ამ საქმის ნამდვილი დიდოსტატია. მასთანვე შეხვედებით მრავალ ისეთ რამესაც, რომელთაც ავტორი ზოგადად ეხება, მიმართულებას გეითი-

\* რომელი ნიადაგი იყუმშება სიცივისაგან, რომელი რბილდება დიდი სიცხისაგან, რომელია ზურგის ქარი იტალიაში მიმავალი გემებისათვის. პროპერციუსი, IV, 3, 39—40.

თებს და არ გვიზღუდავს არჩევანს; ზოგჯერ ძალზე მნიშვნელოვან და სერიოზულ საგანზე მხოლოდ სიტყვის გადაკვრით კმაყოფილდება. ასეთ შემთხვევაში მეტი გონიერება გვმართებს, რათა უყურადღებობა არ გამოვიჩინოთ. მაშაგალითად შესაძლოა მისმა შენიშვნამ — აზიის ერთ-ერთი მონარქის მონოცვლის „არა“-ს თქმა — შთაავონა ლა ბოესის<sup>1)</sup> დაწერა „ნებაყოფლობითი მონობა“. ზოგჯერ იგი გარეგნულად თითქოს ძალზე უმნიშვნელო მოქმედებასა და სიტყვაზე ამახვილებს ყურადღებას. სინამდვილეში კი ეს უკანასკნელი სერიოზული განსჯისა და მსჯელობის საგანია. რა სამწუხაროა რომ ბრწყინვალე გონები ასე სიტყვატუნწი არიან. ცხადია ეს კიდევ უფრო მეტ დიდებას ჰმატებს მათ, ჩვენდა საზიანოდ. პლუტარქესათვის არსებითია ის, რომ მას აქებდნენ მისი გონებისათვის, და არა ცოდნისათვის. იგი ამჯობინებს რომ მისდამი განიცდიდნენ დაუოკებელ ლტოლვას და არა მოყირკებულობას. მან შესანიშნავად იცის, რომ თუნდაც კარგ საგნებზეც შესაძლებელია ზედმეტის თქმა, რომ ალექსანდრიდმა სამართლიანად უსაყვედურა ორატორს, რომელმაც ეფლორებს მშვენიერი, მაგრამ ძალზედ ვრცელი სიტყვით მიმართა. „უტხოლო, შენ საჭირო რამეს ამბობ. მაგრამ ისე არ ლაპარაკობ როგორც საჭიროა“. გამხდარი ადამიანი სხეულის სისრულის წარმოსაჩენად ბევრ სამოსს იცვამს, გონებაშეზღუდული მრავალსიტყვაობას მიმართავს.

ადამიანის გონება საოცარ სიცხოველს აღწევს სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას. სამწუხაროდ ჩვენ ყველანი საკუთარ თავში ვართ ჩაფლული და ჩაკეტილი; ჩვენი აზროვნების ჰორიზონტი იმდენად ვიწროა, რომ საკუთარი თავის იქით არც კი ვიხედებით. ერთხელ სოკრატეს მისი სადაურობა ჰკითხეს და ნაცულად იმისა რომ ეთქვა „ათენიდან“, მან უპასუხა — „სამყაროდან“. ამ ბრძენის მდიდარ და ფართო აზროვნებას სამყარო საკუთარ ქალაქად მიაჩნდა; იგი მთელ თავის ცოდნას, საკუთარ თავსა და სიყვარულს სთავაზობდა კაცობრიობას, ჩვენ კი მხოლოდ იმას ვამჩნევთ რაც ჩვენ თვალწინაა. როდესაც ჩემ სოფელში ვენახს ყინვა მოუსწრებს, ჩვენი მოძღვარი ამას ადამიანთა მოდგმისადმი ღვთის რისხვით ხსნის და თვლის რომ ქვეყნის მეორე ბოლოს მცხოვრებ კაციჭამიებს ამავე მიზეზით უშრებათ ყელი წყურვილისაგან. ჩვენი სამოქალაქო ომების შემხედველი ვინ არ წამოიძახებს მთელი მსოფლიო ინგრევა, და მეორედ მოსვლა ახლოვდება. მაგრამ ავიწყდებათ რომ უარესი ამბებიც მომხდარა, და რომ ბევრ სახელმწიფოში სრული კეთილდღეობა სუფევს. თავგასულობა და დაუსჯელობა იმდენად გამეფებულა ჩვენში, რომ ამ ომთა სირბილე და უმტკივნეულობა კიდევ მაკვირვებს. სიტყვაში მოხვედრილ ადამიანს მთელი დედამიწა ქარიშხლითა და გრივალით მოცული ჰგონია. ერთი საოველი\* ამბობდა: „ფრანგთა ამ სულელ ხელმწიფეს საქმის კარგად წარმართვა რომ შეძლებოდა მისსავე პერცოვას მსახურთუფროსად გამოადგებოდაო“. ამ საბრალოს გონებას თავის ხელმწიფეზე უფრო დიდი პიროვნება ვერ წარმოედგინა. ჩვენც ასეთსავე გაურკვეველ მდგომარეობაში ვართ, თუმც ვერ ვგრძნობთ. ამგვარი მდგომარეობის შედეგები კი ძალზე სავალალო და საზიანოა. მაგრამ ვის ძალუქს წარმოიდგინოს ჩვენი დედა ბუნების სურათი მთელი მისი მეფური დიდებულებით, ამოიცინოს მისი დაუსრულებლად ცვალებადი და მრავალფეროვანი თვისებები. ვინც არა მხოლოდ საკუთარ თავს, არა-

\* საგოი — საფრანგეთის პროვინცია.



მედ მთელ სამეფოსაც უმცირეს, ძლივს შესამჩნევ ნაწილად თვლის ზუსტად თვალუწვდენელ მთლიანობაში, მხოლოდ მას შესწევს საგნების ჭეშმარიტი შეფასების უნარი მათ რეალურ სიდიდეებთან მიმართებაში.

ეს უზარმაზარი სამყარო, ზოგიერთები კიდევ უფრო რომ აღიდეგენ და გვარის შიდა სახეობად განიხილავენ, ის სარკეა რომელშიც უნდა ვიხედებოდეთ საკუთარი თავის ბოლომდე შესაცნობად; ერთი სიტყვით, მე მსურს რომ სწორედ სამყარო იყოს ჩემი ახალგაზრდის წიგნი. მრავალფეროვანი ხასიათების, სექტების, მსჯელობების, შეხედულებების, ადათებისა და კანონების გაცნობით ჩვენ ვსწავლობთ საკუთართა საღად განსჯას, ჩვენი გონება კი თავის არასრულყოფილებასა და ბუნებრივ უძლურებას იცნობიერებს. ეს არც ისე იოლი მეცნიერებაა. სახელმწიფოთა ამდენი ამბოხი და სხვადასხვა ხალხის ბედის ცვლა მიგვიითებს, რომ უფლება არა გვაქვს დიდად ვამაყობდეთ საკუთარი ხედვრით; დავიწყებას მიცემული მრავალი სახელის, გამარჯვების და დაპყრობის ფონზე ძალზე სასაცილოდ გამოიყურება ჩვენი იმედი: საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად რომელიმე საქათმის აღება (რომელიც მხოლოდ მისი დაცემის შემდეგ ხდება ცნობილი) და რამდენიმე ათეული ცხენოსანი მხედრის ტყვედ ჩაგდება. უცხო სახელმწიფოთა მდიდრული და მედიდური ზეიმები, ამდენ განმგებელთა და სამეფო კართა დიდებულება და ბრწყინვალეობა ჩვენ მხედველობასაც აძლიერებენ და აწრთობენ რათა ისიც თვალის დაუხამხამებლად უყურებდეს საკუთარი განმგებლისა და მისი კარის დიდებულებასა და ბრწყინვალეობას; ამდენი ჩვენამდე გარდაცვლილი ადამიანი მხნეობას გვატებს რათა მშვიდად გავეშუროთ იმ ქვეყნად რჩეული საზოგადოების შესახებ ვეღარად. სხვა დანარჩენზეც იგივე ითქმის. პითაგორე ამბობდა, რომ ჩვენი ცხოვრება ოლიმპიური თამაშების დროს თავშეყრილ ადამიანთა მრავალრიცხოვან თავყრილობასა ჰგავს; ერთნი გაწვრთნილი სხეულით შეჯიბრებებზე სახელის მოხვეჭას ლამობენ, მეორენი მოგების მიზნით საქონელს ეზიდებიან გასაყიდად; ისეთებიც არიან არავითარ სარგებელს რომ არ ეძებენ და არცთუ ცუდ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებიან; მათ მსურთ უყურონ თუ როგორ და რატომ ხდება ესა თუ ის აქტი, მათი მიზანი მხოლოდ სხვისი ცხოვრების მყუერებლობა, მისი განსჯა და მის საფუძველზე საკუთარი ცხოვრების მოწყობაა. მაგალითებს შესაძლოა ძალზედ სასარგებლო ფილოსოფიური მსჯელობებიც მოჰყვეს, რომელთა თანახმადაც უნდა განესაჯოთ ადამიანთა მოქმედებები.

quid fas optare; quid asper

Utile nummus habet; patriae carisque propinquis

Quantum elargiri deceat; quem te deus esse

Iussit, et humana qua porte [locatus es] in re;

Quid sumus, aut quidnam victuri gignimur;\*

აღმზრდელი აღსაზრდელს უნდა ესაუბროს: სიბრძნესა და უცილობაზე, ცოდნის არსზე, სწავლის მიზანზე, სიმამაცეზე, თავშეკაცებულობასა და სამართლიანობაზე; კაცთმოყვარეობასა და სიხარბეს, მონობასა და ქვეშევრდომობას,

\* რა შეგიძლიათ რომ ისურვოთ; რას უნდა ემსახურობოდეს ფული; რა უნდა მოიმოქმედოთ სამშობლოსა და ოჯახისათვის; ადამიანის ყოფნა მიწაზე ღვთის ნებაა, იგი განსაზღვრავს მის ადგილს საზოგადოებაში; რანი ვართ და რატომ გვიბოძა მან არსებობა, პერსონი, III, 69.

თავასულობასა და თავისუფლებას შორის არსებულ სხვაობაზე; იმ ნიშნებზე, რომლებითაც ჭეშმარიტი და მყარი კმაყოფილება შეიმეცნება, იმ ზღვარზე სადამდეც დასაშვებია შიში სიკვდილის, ტკივილის და შეურაცხყოფისადმი.

*Et quo quemque modo fugiatque feratque laborem;\**

ჩვენში მოქმედ ზამბარებასა და სხვადასხვა სურვილთა საწყისებზე, ჩემი აზრით, პირველ რიგში მის გონებას უნდა მივაწოდოთ ისეთი მსჯელობები რომელიც მის ზნეებსა და გრძნობებს მოაწესრიგებენ, დაეხმარებიან საკუთარი თავის შეცნობაში და სათანადოდ სიცოცხლესა და სიკვდილს ასწავლიან. რაც შეეხება თავისუფალ ხელოვნებებს, ცხადია უნდა დავიწყოთ იმ ხელოვნებით, რომელიც მეტად შთაგვაგონებს თავისუფლებას; თუმცა თითოეული მათგანი მეტნაკლებად გვასწავლის ცხოვრებას, მის გამოყენებას, ისინი ამ მიზანს ემსახურებიან. მაგრამ ამ ხელოვნების დარგთაგან ჩვენი არჩევანი უნდა შევაჩეროთ ისეთზე, რომელიც უშუალოდ ამ მიზნისკენა მიმართული და მას ემსახურება. ჩვენ რომ შეგვეძლოს ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დაყვანა მათს ბუნებრივ და კანონიერ ზღვრამდე, დაერწმუნდებოდით ყოველდღიურ ცხოვრებაში, ცოდნის დიდი ნაწილის უსარგებლობაში. პრაქტიკულად გამოყენებულ მეცნიერებებშიც კი აღმოჩნდება ხოლმე მრავალი ძალზედ ფუჭი ცნება და ისეთი წვრილმანები, რომელთა უგულებელყოფაც უმჯობესია. სოკრატეს თანახმად, აღზრდის პროცესში უნდა დაეკმაყოფილდეთ მხოლოდ იმის სწავლებით, რაც აუცილებელია.

*Sapere aude,*

*Incipi: vivendi recte qui prorogat horam,*

*Rusticus expectat dum defluat amnis; at ille*

*Labitur, et labetur in omne volubilis aevum.\*\**

*Quid moveant Pisces, animosaque signa Leonis,*

*Lotus et Hesperia quid Capricornus aqua,\*\*\**

ბევრად უფრო იოლია მათი სულის შემსწავლელ მეცნიერებამდე ბავშვებს ჯერ ვარსკვლავებისა და მერვე სფეროს მოძრაობის შემსწავლელი მეცნიერება შეასწავლოთ.

*Ti Πλειάδασι χάρσι*

*Ti βήσταισι Βοώτῃα\*\*\*\*.*

ანაქსიმენე<sup>12</sup> წერდა პითაგორეს: „ვარსკვლავთა საიდუმლოებანი როგორ დამინტერესებენ, როდესაც თვალწინ დაუსრულებლად ან სიკვდილს ვხედავ ან მონობას?“ (ეს ის პერიოდი იყო, როდესაც სპარსეთის მეფეები მის სამშობლოზე გალაშქრებას აპირებდნენ). ამრიგად თითოეულმა ასე უნდა უთხრას საკუთარ თავს: „თუ პატივმოყვარეობით, სიხარბით, უგუნურებით, ცრუმორ-

\* როგორც უნდა ავიცილოთ ან ავიტანოთ ტანჯვა, ვირგილიუსი, ენეიდა, III, 4, 59.

\*\* რაკი სათნოდ გახდომა გადავიწყვეტია, ნულარ აყოვნებ, აღმაინა რომელიც საკუთარი ცხოვრების წესის მოწესრიგებას აყოვნებს, იმ მოგზაურსა ჰგავს გზად შემხვედრი მდინარის დინების დასასრულს რომ ელის; მდინარე მიედინება და კვლავ იდენს, დრო მარადიულია. პორატიუსი, ეპისტოლე, III, 1, 40.

\*\*\* რა გავლენას ახდენს ზოდიაქოს ნიშნები თევზი, ცეცხლოვანი ლომი და თხის რქა, რომელიც ვეკრის დასავლეთის ზღვას? პროპერტიუსი, IV, 1, 89.

\*\*\*\* რა მესაქმება პლეადასა ან ელოპასთან? ანაკრონტი, ოდები XVII, 10.





წმუნეობით შეპყრობილი ჩემში სიცოცხლის მრავალ სხვა მტერსაც დაკნინებდა მეცლება ვარსკვლავთა მოძრაობაზე დასაფიქრებლად?“.

ამრიგად, თავდაპირველად ყრმას უნდა განუმარტოთ თუ რა ესაჭიროება მას იმისათვის რომ იგი უკეთესი და გონიერი გახდეს; ამის შემდეგ უნდა გავაცნოთ მას ლოგიკის, ფიზიკის, გეომეტრიისა და რიტორიკის საფუძვლები. ამ მეცნიერებათაგან რომელიც არ უნდა ამოირჩიოს მან, წარმატებებს მალე მი-  
აღწევს; მისი შესწავლა ახალგაზრდის განვითარებულ გონებას აღარ გაუჭირ-  
დება. სწავლების პროცესში აღმზრდელი ხან საუბრით უნდა კმაყოფილდე-  
ბოდეს, ხან კი წიგნს უნდა მიმართავდეს; ზოგჯერ მხოლოდ ავტორი უნდა მი-  
უთითოს, ზოგჯერ წიგნის შინაარსი და დედააზრი მოუყვეს. თუ აღმზრდელი  
დიდად ვათვითცნობიერებული არაა წიგნებში და არ ძალუძს მისი მანისა-  
თვის საჭირო ადგილების მოძებნა, მაშინ მას უნდა დავახმაროთ სწავლული  
ადამიანი, რომელიც აღმზრდელს ყოველთვის მოამარაგებს მისთვის საჭირო  
ლიტერატურით. აღმზრდელი კი მათ თავის აღსაზრდელს შესთავაზებს. ზომ ნა-  
თელია რომ ასეთი სახით სწავლება ბევრად უფრო სასიამოვნო და ბუნებ-  
რივია ვიდრე გაზას<sup>13</sup> მეთოდით? მისი წესები რთული და მოსაწყენია, სიტყ-  
ვები კი თითქოს ცარიელი და უაზრო, არაფერი არ გიზიდავს, არ გიღვიძებს  
გონებას. ეს მეთოდი კი ჩვენს სულს არჩევანის შესაძლებლობას სთავაზობს —  
სად დამორჩილდეს, სად ხარბად დაეწაფოს ცოდნას, სად კი ზოგადად. ამ მე-  
თოდის შედეგი გაცილებით მნიშვნელოვანია და სწრაფად ვლინდება.

საოცარია, რომ ჩვენ საუკუნეში მოაზროვნე ადამიანებისათვისაც ფილო-  
სოფია არაფრის მნიშვნელი, ცარიელი სიტყვაა; მას არავითარი ღირებულება  
და გამოყენება არ აქვს არც რეალურად, არც გონებრივად. ამის მიზეზად მე  
მის ირგვლივ ატეხილი დაუსრულებელი დაეა მიმაჩნია. დიდად ცდებიან ისინი,  
ვინც თვლის რომ ფილოსოფია მიუწვდომელია ბავშვებისათვის და მას კოპებ-  
შეკრულს, სქელი წარბებით და საშინელი, შიშის შთამაგონებელი იერით წარ-  
მოაჩენენ. ვინ ჩამოაცვა მას ეს ყალბი, ფერმიხილი და საზარელი ნიღაბი?  
სინამდვილეში ზომ არაფერია მასზედ უფრო მხიარული, მხნე, საყვარელი, კე-  
თილი, კინალამ ვთქვი ანცი მეთქი. ფილოსოფია მხოლოდ ზეიმებისა და მხიარ-  
ულებისაკენ მოგიწოდებთ. ნაღვლიანი და უსიცოცხლო სახე მოწმობს, რომ  
იგი შორსაა ფილოსოფიისაგან. ერთხელ გრამატიკოსი დემეტრიოსი დელფოს  
ტაძარში ფილოსოფოსთა ჯგუფს შეხვდა და გაკვირებულმა მიმართა მათ: „ან  
მე ვცდები, ან — თუ თქვენი მშვიდი და მხიარული განწყობილების მიხედვით  
ვიმსჯელებთ — თქვენ სერიოზულ საგნებზე არ უნდა მსჯელობდით“. ამაზე  
ერთ-ერთმა მათგანმა, კერძოდ, პერაკლეონ მეგარელმა უპასუხა: „მეცნიერებაზე  
შუბლშეკრული საუბარი იმათი ზვედრია, ვინც კამათობს ჭირდება თუ არა  
ზმნა Βαλλω (ტყორცნა) ორი λ მომავალ დროში ანდა როგორ იწარმოება Χετρον  
და Βέλαιον (უარესი) შედარებითი ხარისხი ანდა χείρστων და Βέλαιστων (უკეთესი)  
— აღმატებითი ხარისხი. რაც შეეხება ფილოსოფიურ საუბრებს, ისინი ჩვეულებრივ  
ართაბენ და ამხიარულებენ მოკამათეებს, არ აძლევენ მათ კოპების შეკვისისა და  
მოწყენის საბაბს.“

*Deprendas animi tormenta latentis in aegro  
 Corpore, deprendas et gaudia sumit utrumque  
 Inde habitum facies.\**

ფილოსოფიას ნაზიარები სული სიჯანსაღით სხეულსაც უნდა აჯანსაღებდეს, მასში დამკვიდრებულ სიმშვიდესა და კმაყოფილებას გარეგნულადაც უნდა ასხივებდეს და ჩვენს გარეგნობასაც თავისებურად უნდა გარდაქმნიდეს, ღირსეულ სიამაყეს, სიმზიარულეს, სიმზნევეს, კმაყოფილებასა და საკეთის გამოხატულებას ანიჭებდეს. სიცოცხლის მუდამ ხალისით აღქმის უნარი სიბრძნის ნიშანია. ისიც ისეთივე ნათელია, როგორც ყველაფერი ამ ქვეყნად. თავიანთ თავჯანსმცემლებს *baroco* და *baralipton\*\** ხვევენ ბურუსით და სვრიან ლაფით, და არა ფილოსოფია; მათ მის შესახებ ყურმოკვრით სმენიათ სინაძღვილში სწორედ ფილოსოფია აცხრობს სულის ქარიშხლებს, სწორედ იგი გვასწავლის შიმშილისა და ავადმყოფობის ღიმილით ატანას, არა წარმოსახვითი ეპიციკლებით, არამედ გონების მიერ რეალურად გაცნობიერებული ბუნებრივი მოსაზრებებით. მისი მიზანია ქველობა, რომელიც, სქოლასტიკოსთა თანახმად, ციკაბობ, სიპი და მიუვალი მთის წვერზე როდი იმყოფება. ვინც სხეებზე მეტად შეძლეს მიახლოვებოდნენ ქველობას, ისინი ამტკიცებენ რომ პირიქით, იგი ბინადრობს მშვენიერ, ნაყოფიერ და აყვავებულ ზეგანზე, საიდანაც ნათლად ხედვის ყველაფერს რაც მის ქვემოთაა. მისი მიღწევა მხოლოდ მას ძალუძს, ვინც იცის მისი ადგილსამყოფელი; მისკენ მიყავხართ ასასვლელად მოხერხებულ, ცის კამარასავით გლუვ დამრეც ფერდობზე გამავალ, პოლითა და ნაზი სურნელოვანი ყვავილნარით დაფარულ ჩრდილიან ბილიკებს. მაგრამ რაკი ამ ვაი ფილოსოფოსებმა (რომელთაც მე ვგულისხმობ) ვერ შეძლეს ამ მშვენიერი, მოზენიმე, მოსიყვარულე, მომზიბლავი, უმაღლესი ქველობის შეცნობა სიმამაცეც უხვად რომ აქვს, ქველობისა რომელიც ბოროტების, გულნაკლულობის, შიშის, ჩავერის დაუძინებელი მტერია, ქველობისა, რომელსაც გზამკვლევად ბუნება ჰყავს, თანამგზავრად კი ბედნიერება და სიტკბოება, მათ გამოიგონეს თავიანთი უძლურების გამო ეს უგუნური, პირქუში, ავი, წუნია, საშიში და ბოროტი ქველობა, შემოსევს განმარტოებულ ეკალბარდიან კლდეზე და ადამიანთა შიშის მომგვრელ ფანტომად აქციეს.

ამრიგად, ჩემ აღმზრდელს შეცნობილი უნდა ჰქონდეს თავისი მოვალეობა. ჩემი აზრით, პატივისცემაზე მეტად მან აღსაზრდელს ქველობისადმი სიყვარული უნდა შთააგონოს. აუხსნას, რომ პოეტებიც სხვებიც ექვემდებარებიან სისუსტეებს, რომ თვით ღმერთებიც უფრო მეტ ძალისხმევას ვერნარს, და არა პალადის სავანეში შესასვლელად ავლენდნენ; როდესაც აღსაზრდელს ყრმათათვის დამახასიათებელი სევდა დაეუფლება, აღმზრდელმა მას, როგორც სათაყვანო საგნები, ბრადამანტა და ანეელიცა უნდა შესთავაზოს. პირველი მთელი მისი უშუალობით საქმიანი, კეთილშობილი, ვაყვაცური, მაგრამ არა მამაკაცური, წარმოდგენაც რომ არა აქვს თავის სილამაზეზე; მეორე ქალური მშვენიერებით აღსავსე, ნებიერი, ნაზი, ნატიფი, კეკლუცი; ერთი ვაყვაცურ სამოსში, თავზე მზინიავი ჩაფხუტით, მეორე ქალიშვილის სამოსში მარვალიტე-

\* შეშფოთებული სულის წუხილიც ისევე ნათლად წარმოჩინდება, როგორც დამშვიდებულის სიხარული. ეს სხვადასხვა განწყობილებები სულისა სახეზე აღიბეჭდება. იუვენალისი, სატირები, IX, 8.

\*\* ძველი სქოლასტიკური ლოგიკის ტერმინები.

ბით მოოქვილი თავსაბურით. თუ იგი ქალაქუნა ფრიგიელი მწყემსივით არ შეცდება არჩევანში, აღმზრდელს მამაკაცური სიყვარულის უნარს დაუდასტურებს.

აღმზრდელმა ყრმას ისიც უნდა განუმარტოს, რომ ჭეშმარიტი ქველობის ღირებულება და სიდიადე თავად ქველობის ქმნის სიადვილესა, ამ უკანასკნელით მონიჭებულ სარგებელსა და სიამოვნებაშია. მისი ტვირთი იმდენად მსუბუქია, რომ მისი ზიდეა ყველას ძალუძს: მოზრდილსაც, ბავშვსაც, უბრალო ადამიანსაც და გონიერსაც. იგი ჩვენგან ითხოვს არა ძალისხმევას, არამედ წესრიგს. სოკრატემ, მისმა ერთ-ერთმა პირველმა ფავორიტმა, შეგნებულად დაივიწყა თავის ძალა რათა ღლად და თავისუფლად მისცემოდა ქველობით მინიჭებულ სრულქმნილებას. ქველობა ადამიანურ სიამოვნებათა მსასაზრდო-ებელი დედაა. ამ უკანასკნელთა კანონიერების ჩარჩოში მოქცევით, იგი სიმინდესა და სიმტკიცეს ანიჭებს მათ, ზოლო ზომიერების შთაგონებით. — სინორჩესა და მიმზიდველობას უნარჩუნებს; უღარს სიამოვნებათა გამოყოფით გვიძლიერებს ლტოლვას მის მიერ ნებადართულთაღმა. ასეთები კი საკმაოდ უხვადაა. ქველობა დედობრივი გულუხვობით გვიტოვებს ყველაფერს, რაც ბუნების მოთხოვნილებებს ესადაგება, ზოგჯერ საკმაოდ ჭარბადაც. ცხადია, თქმული არ გულისხმობს რომ გარკვეული შეზღუდვები — ისეთები რომლებიც სასამელის მოყვარულთ იცავენ გალოთებისაგან, მსუნაგებს კუჭის უმოქმედობისაგან, თავაშვებულ ადამიანებს თმის დაცვენისაგან — ადამიანურ სიამოვნებათა მტერია. თუ ქველობას არ სდევს ჩვეულებრივი, ყოფითი წარმატება, იგი მას ზურგს შეაქცევს და თავად შეიქმნის საკუთარ ბედს, რომელიც უფრო მყარი და ნაკლებად ცვალებადი იქნება. მას ძალუძს იყოს მდიდარი, ძლიერი, ნასწავლი, იწვევს მუშკით დაინანთებულ საწოლზე; მას უყვარს სიცოცხლე; სილამაზე, დიდება, ჯანმრთელობა, მაგრამ მისი უპირველესი და უმთავრესი მიზანი, გარკვეული ზომიერების დაცვით, ამ სიყვითთა განმედილობაა; კიდევ უფრო მეტი კეთილშობილებაა სიმტკიცის შენარჩუნება მათი (ამ სიყვითთა) დაკარგვის შემთხვევაში. თუ ამას ვერ შევძლებთ, ჩვენი ცხოვრება გახდება მოუსვენარი, უგვანი და ყოველგვარი წყალქვეშა რიფები, ჯაგნარები, ურჩხულები თავს იჩინენ ჩვენს წასაქეზებლად.

თუ აღსაზრდელი არ გაამართლებს ჩვენს იმედს, თუ იგი უპირატესობას მიანიჭებს ზღაპრების და არა რაიმე საინტერესო მოგზაურობაზე მოთხოვნის ანდა დიალექტიკური სიტყვის მოსმენას, თუ იგი ყურთასმენას მიაპყრობს არა იმ დოლის ხმას, რომელიც მის თანატოლებში საბრძოლო განწყობილებას იწვევს, არამედ იმას, რომელიც მოხეტიალე მოცეკვავეთა წარმოდგენაზე ეპატყება ხალხს, თუ მისთვის უფრო სასიამოვნო და სასურველი იქნება ჯილდოებით დამშვენებული, გამარჯვებული დაბრუნდეს მეგლისის ან ჩოგბურთის შეჯიბრებიდან, და არა მტვერსა და ქუჭყში ამოგანგლული ბრძოლის ველიდან, მაშინ ჩემი აზრით, აღმზრდელმა დროზე უნდა მოახრჩოს იგი (ცხადია ყოველგვარი მოწმის გარეშე) ანდა რომელიმე კომერციულ ქალაქში გაგზავნოს და მოწაფედ მიიბაროს კონდიტერს, თუნდაც ჰერცოგის ვაჟიშვილი. პლატონის თანახმად „ბავშვებს ცხოვრებაში ადგილი არა მამის ნიჭის, არამედ საკუთარი სულის უნარის მიხედვით უნდა დაუმკვიდროთ“.

რაკი ფილოსოფია ცხოვრებას გვასწავლის, მის მითითებებს ბავშვებიც მოზრდილებივით საჭიროებენ; ჰოდა რატომ არ უნდა გვაეცნოთ მათ ისინი?

*Udum et molle lutum est; nunc nunc properandus  
 et acri. Fingendus sine fine rota.\**

ჩვენ კი ჯერ ცხოვრებას გავლევთ და მერე გვიწყებენ მის სწავლებას; ასობით მოსწავლე ავადდება სიფილისით ვიდრე არისტოტელესთან იმ გაკვეთილამდე მივლენ, რომელიც თავშეკავებულობას ეძღვნება. ციცერონის თანახმად მას ორი ადამიანის სიცოცხლეც რომ ეცხოვრა, მაინც არ დარჩებოდა დრო ლირიკოს პოეტის შესასწავლად. მე კიდევ უფრო მეტი სიძულვილით ვუყუარებ ჩვენს პოეტებს. მე ისინი ფუჭ მოკამათებულ მიმაჩნია. ჩვენმა აღსაზრდელმა უფრო მეტად უნდა იჩქაროს. მან სწავლებას შეიძლება დაუთმოს სიცოცხლის მხოლოდ პირველი თხუთმეტი — თექვსმეტი წელი. დანარჩენი წლები მოქმედებისათვის უნდა გამოიყენოს. ასეთ ხანმოკლე დროში მან უნდა მიიღოს აუცილებელი განათლება; თავი დაანებეთ ზედმეტს, დიალექტიკის ყოველგვარ ეკლიან მხაკვრობებს, რომელთა წყალობითაც ჩვენი ცხოვრება არ უმჯობესდება; შეჩერდით ფილოსოფიის უმარტივეს დებულებებზე, ისწავლეთ მათი შერჩევა და განსჯა. მათ არსში ჩაწვდომა ბოკაჩოს ნოველის არსში ჩაწვდომაზე ბევრად უფრო იოლია; ძიძის კალთას ჩამოშორებული ბავშვი მათ გასაგებად უფროა მზად, ვიდრე, წერა-კითხვის შესასწავლად. ფილოსოფიას მსჯელობები ყრმათათვისაც აქვს და ღრმად მოხუცებულთათვისაც.

მე ვეთანხმები პლუტარქეს, რომ აღზრდის პროცესში არისტოტელე თავის დიდ მოწაფესთან უფრო მეტ დროს უთმობდა კეთილ მითითებებს გულადობაზე, ვაყვაცობაზე, სულგრძელობაზე, თავშეკავებულობაზე, შეუპოვრობაზე, ვიდრე სილოგიზმების შედგენას და გეომეტრიის საფუძვლების შესწავლას. ასეთი მითითებებით დამოძღვრილი გაგზავნა მან ჯერ კიდევ ბავშვი მსოფლიოს დასაპყრობად, ოცდაათი ათასი ქვეითი მებრძოლით, ოთხი ათასი მხედრითა და ორმოცდაორი ათასი ეკიუთი. პლუტარქეს თანახმად, ალექსანდრე დიდი მოწიწებით ეკიდებოდა სხვადასხვა მეცნიერებებსა და ხელოვნებებს, ზოტბას ასხამდა მათ სარგებლიანობასა და ღირსებას, მაგრამ მინიჭებულ სიამოვნების მიუხედავად მათდამი ნაკლებად მიილტვოდა

*Petite hinc, iuvenesque senesque,*

*Finem animo certum, miserisque viatica canis.\*\**

მენეკრესადმი წერილის დასაწყისში ეპიკურე<sup>14</sup> წერს: „ფილოსოფიას არც ახალგაზრდა გაუბრძის და არც მოხუცი იღლება მისგან“. ვინც სხვაგვარად იქცევა, შეიძლება ითქვას რომ მისთვის ცხოვრებში ბედნიერი პერიოდი ან არ დამდგარა ან უკვე წასულა. ყოველივე ამის გამო არ მსურს რომ ვაჟიშვილი ჩაკეტული გყავდეთ, სკოლის რომელიმე მკაცრი ზნის მასწავლებლის რისხვისა და მელანქოლიური ხასიათის ანაბარა; არ მსურს, მისი სულის დამახინჯება, მისთვის ნამდვილი ჯოჯოხეთის მოწყობა. თუ ბუნებით განმარტოების მოყვარულ და მელანქოლიური ხასიათის ბავშვს, ზოგიერთთა ჩვეულების თანახმად, ყოველდღიურად მტვირთავივით თოთხმეტი-თხუთმეტი საათის განმავლობაში აძულეობთ შრომას და გამომუშავებით წიგნზე გულმოდგინედ მუშაობის ჩვევას, ჩემი აზრით, ეს მაინც არ იქნება დიდი სიკეთე. ამით თქვენ მას-

\* ვიჩქაროთ, დროს ნუ დავკარგავთ, ვიდრე თიხა რბილი და ტენიანია მანამ უნდა დავამუშაოთ იგი მეთუნის თვალზე. პერსეოსი, III, 23—24.

\*\* ახალგაზრდობ და მოხუცობა! აქ ეძიეთ თქვენი სულის მყარი საყრდენი, ნაღვლიანი სიბერეც აქ ჰპოვებს მხარდაჭერას. პერსეოსი, V, 64—65.

ში ჩაახშობთ სხვებთან ურთიერთობის უნარს და ჩამოაშორებთ უფრო სასარგებლო საქმიანობებს. რამდენ ასეთ ადამიანს შევხვედრივარ, რომელთაც შეიძლება ითქვას მეცნიერებისადმი უგუნური ლტოლვით ადამიანის სახე დაკარგვის. მაგალითად კარნადელ<sup>15</sup> ისე გასულელდა, რომ თმისა და ფრჩხილების მოსაჭრელი დრო ვერ გამონახა. არც ის მინდა რომ სხვისმა უზრდელობამ და უღმობელობამ მისი კეთილშობილური ჩვევები გახრწნას. ფრანგული გონიერება ძველთაგანვე ანდაზად იქცა. იგი საკმაოდ ადრეულ ასაკში ვლინდება, მაგრამ საოცრად ხანმოკლეა. მართლაც, საფრანგეთში ყველაზე მშვენიერი პატარა ბავშვებია, მაგრამ როგორც წესი ისინი იმედს გვიცრუებენ და ზრდადასრულებულნი არაფრით აღარ გამოირჩევიან. გონიერი ადამიანებისაგან მსმენია რომ მათი ამგვარი დაჩლუნგების მიზეზი ის ჩვენი მრავალრიცხოვანი კოლეგებია, სადაც მათ სწავლის მისაღებად გზავნიდნენ.

რაც შეეხება ჩვენს აღსაზრდელს, მისთვის ნებისმიერი დრო და ადგილი ხელსაყრელი იქნება ცოდნის მისაღებად, მნიშვნელობა არა აქვს სამუშაო ოთახი იქნება, ბაღი, მაგიდა თუ საწოლი; მარტო იქნება თუ ამხანაგებთან, დილა იქნება თუ საღამო: მისი ძირითადი საგანი იქნება ფილოსოფია, ადამიანთა მსჯელობისა და ადათების შემქმნელი, ანუ საგანი რომელიც მოიცავს ყველაფერს. ერთხელ, ნადიმის დროს, ორატორ ისოკრატეს<sup>16</sup> თხოვეს სიტყვით გამოსულიყო თავის ზელოვნებაზე. მან მიუგო: „ახლა იმის წარმოჩინების დროა რაც მე არ ვიცი, და არა იმისა, რაც ვიცი“, ამ პასუხის მართებულობა ყველასთვის ნათელია. მართლაც, საზეიმო სიტყვის წარმოთქმა ან რიტორიკული მსჯელობის გამართვა მოსალხენად და სანადიმოდ მოწვეული საზოგადოების წინაშე, ურთიერთშეუსაბამო საგნების შეერთების ცდა იქნებოდა. შეიძლებოდა იგივე გვეთქვა ყველა სხვა დანარჩენ მეცნიერებებზეც. მაგრამ როცა საქმე ფილოსოფიას ეხება. განსაკუთრებით კი ფილოსოფიის იმ ნაწილს რომელიც ადამიანს, მის არსს და მოვალეობებს ეხება, ბრძენთა საერთო აზრის თანახმად, აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ფილოსოფიური საუბრებით გამოწვეული სიამოვნება და მასზე უარი არ უნდა განვაცხადოთ, არც ნადიმის და არც შეჯიბრის დროს. პლატონი დროისა და ადგილის შესაბამისად ჩინებულად ართობს დამსწრეთ საოცრად დიდაქტიკურა და ძალზე მნიშვნელოვანი მსჯელობებით.

*Aequae pauperibus prodest, locupletibus aequae;*

*Et neglecta, aequae pueris senibusque nocebit.\**

ამგვარად, ჩვენი აღსაზრდელი სხვებზე ნაკლებად იქნება უქმად. მაგრამ როგორც გალერეაში სეირნობისას გადადგმული სამკერ მეთი ნაბიჯი ისე არ გედლის როგორც რაიმე განსაზღვრული გზის გასაველად გადადგმული ნაბიჯები, ასევე, თითქოსდა შემთხვევით ჩატარებული გაკვეთილი, რომლის დროც და ადგილიც განუსაზღვრელია, ძალზე შეუმჩნევლად გაივლის ჩვენი სხვა მოქმედებების ფონზე; ასე რომ თვით თამაშები და ვარჯიშებაც კი სწავლების განუყოფელი და საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი გახდება. მხედველობაში მაქვს სირბილი, ჭიდაობა, მუსიკა, ცეკვა, ნადირობა, ცხენოსნობა, ფარიკაობა. ჩემი სურვილია რომ სულთან ერთად აღსაზრდელის გარეგანი მშვე-

\* იგი ერთნაირად სასარგებლოა ღარიბებისათვისაც და მდიდრებისთვისაც, მისი უგულებელყოფა კი მოხუცებისთვისაც საზიანოა და ახალგაზრდებისთვისაც. პორციუსი, ეპისტოლე, I, 125—126.



ნიერება, თავდაპერილობა და ზრდილობაც ყალიბდებოდეს; უნდა აღვზარდოთ არა მხოლოდ სული ან მხოლოდ ხორცი, არამედ ადაშიანი, მისი ორად გაყოფა დაუშვებელია. პლატონი ამბობს რომ მათი ცალ-ცალკე აღზრდა არ შეიძლება, ისინი უნდა წარემართოთ ერთდროულად, ერთ რეილში შებმული წყვილი ცხენებით. ყური მიუვდოთ პლატონს: ხომ არ უთმობს იგი უფრო მეტ დროსა და მცდელობას სხეულის ვაჭიშებს და ხომ არ თვლის, რომ სულიც სხეულთან ერთად იწვრთნება და არა პირიქით?

საერთოდ აღზრდის პროცესი უნდა წარიმართოს ლმობიერებასთან შეზავებული სიმკაცრით და არა ისე, როგორც მიღებულია. ნაცვლად იმისა რომ ბავშვს მეცნიერებისადმი ღრმადი გაუღვივონ, მას ნამდვილ საშინელებად და სისასტიკედ წარმოუჩინენ; უკუაგდეთ იძულება და ძალდატანება, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად ისინი ამახინჯებენ და რყვნიან ბავშვის სუფთა ბუნებას. თუ ვსურთ რომ ბავშვს სირცხვილისა და დასჯის შიში ჰქონდეს, ნუ შეაჩვევთ მას ამ საგნებს. მიაჩვიეთ იგი ოფლსა და სიცივეს, ქარსა და მზის მცხუნვარებას, ყოველგვარ განსაცდელს, რათა არ უშინდებოდეს მათ. იგი გულგრილი უნდა იყოს ტანსაცმლის, საწოლის, საკვების, სასმელის მიმართ; მოაშლევინეთ აზიზობა და წუწინაობა; მიაჩვიეთ ყველაფერს, რათა იყოს ძლიერი, ჯანმრთელი ახალგაზრდა და არა გოგოსავით სათუთი დედიკოს ბიჭი. ახალგაზრდაც, ასაკში შესულიც და მოხუცებულებიც მუდამ ასე ვმსჯელობდი. მრავალ სხვა საგანთან ერთად არასოდეს მომწონდა ჩვენს კოლეჯებში დადგენილი წესებიც. ამ უკანასკნელთაგან მიღებული ზიანი შესაძლოა გაცილებით ნაკლები ყოფილიყო, აღმზრდელები რომ ოდნავ ლმობიერები ყოფილიყვნენ. ეს კოლეჯები ნამდვილი საპატრმოებია ახალგაზრდობისთვის. სწორედ იქ აღვივებენ მათში გარყვნილებას და სჯიან ამ უკანასკნელისათვის მანამ, ვიდრე ივრეალურად გამოვლინდებოდეს. შედით მეცადინეობის დროს კოლეჯში, ყვირილის მეტს ვერაფერს გაიგონებთ; ყვირიან გაროზგილი ახალგაზრდები და რისხვისაგან ებოროტებული აღმზრდელები. ვანა შეიძლება ამგვარი მეთოდით ბავშვებს მეცადინეობის სურვილი აღუძრათ? ასეთი საშინელი გამომეტყველებით, მათრახით ხელში განაგებდეთ შიშისაგან დამფრთხალ ამ ნაზ სულებს? ეს ყალბი და დამღუპველი მეთოდია. თქმულს კენტილიანეს ერთ მართებულ შენიშვნასაც დავუმატებდი: აღმზრდელის ასეთ განუსაზღვრელ ძალაუფლებას საშიში შედეგები მოაქვს, მით უფრო თუ ჩვენში მიღებულ დასჯის ფორმებსაც გავითვალისწინებთ. რამდენად უფრო მართებული იქნებოდა სამეცადინო ოთახის იატაკი ტირიფის სისხლიანი წნელების ნაცვლად ყვავილებითა და ფოთლებით მოგვეფინა. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ებრძანებდი სამეცადინო ოთახის კედლები მხიარულების, დღესასწაულის, ბუნების მშვენიერების ამსახველი სურათებით მოეხატათ, რიგორც ეს ფილოსოფოსმა სპენსერმა<sup>17</sup> გააკეთა თავის სკოლაში. სადაც ბავშვებისათვის სასარგებლოა, იქვე მათთვის სასიამოვნოც უნდა იყოს. ჯანმრთელობისათვის სასარგებლო საკვები ბავშვს უნდა დაუტკობთ და ისე მისცეთ, მავნეს კი ნაღველი შეუერთოთ. პლატონი საოცრად დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდების მხიარულებასა და ვართობის საკითხებს თხზულებაში „კანონება“. იგი დაწერილებით ლაპარაკობს მათ შეჯიბრზე სირბილში, სხვადასხვა თამაშობებში, სიმღერაში, ხტომასა და ცეკვაში. მისი სიტყვების თანახმად, ძველ დროში მათ განაგებდნენ და მფარველობდნენ თვით ღმერთები აპოლონი, მუზეები და მინერვა. ვარჯიშებთან დაკავშირებით პლატონი მრავალ მითითებას იძლევა, წიგნი-

ერი ცოდნის მიმართ კი ნაკლებ ყურადღებას იჩენს; განსაკუთრებულად გვთავაზობს პოეზიას, ჩემი აზრით, მისი მუსიკასთან კავშირის გამო.

ჩვენს ზნეებსა და მოქმედებებში ყოველივე უცნაურსა და უჩვეულოს, როგორც საზოგადოების მტერს, უნდა ვერიდოთ, იგი ხელს გვიშლის ადამიანებთან ურთიერთობისას. ვინ არ გაოცდება ალექსანდრეს მეღვინეთუხუცესის, დემოფონეს, უჩვეულო თვისებებით, რომელიც ჩრდილში ოფლად იღვრებოდა, მზეზე კი სიცივისაგან კანკალებდა? ისეთი ადამიანებიც მინახავს, რომელთაც ვაშლის სუნს არკებუზიდან გასროლილი ტყვიის სუნი ერჩიათ, ანდა საოცრად ეშინოდათ თავისა ან კიდევ გულის რევა ემართებოდათ ნაღების დანახვაზე, ან არ შეეძლოთ ბუმბულის პენტვის ყურება გერმანაკუსივით, რომელიც ვერც მამლის დანახვას იტანდა და ვერც მის ყვილს. შესაძლოა ამის მიზეზი ბუნების რაიმე ფარული თვისებაა, მაგრამ თუ მას დროულად მივხვდავთ მე ვთვლი, რომ მისი დაძლევა შესაძლებელია, პირადად მე, თუმცა დიდი მეცადინეობისწყალობით, შევძელი ჩემი გემოვნება ყველანაირი საკვებისათვის შემეგუებინა, გარდა ლუღისა.

წესებსა და ადათებს სხეული მანამ უნდა დაუმორჩილოთ, ხანამ იგი დამყლია. თუ ჩვენი ყრმა დამყოდ ნებასა და გემოვნებას გამოავლენს, მაშინ თამამად შეგვიძლია იგი ნებისმიერი წრისა და ერის ადამიანთა ყოფას მივაჩვიოთ, საჭიროების შემთხვევაში ზედმეტობასა და თავაშვებულობასაც კი. იგი უნდა შეეგუოს თავისი დროის ადათებს, ყველაფერი უნდა შეეძლოს, სიყვარულით კი მხოლოდ კარგის ქმნა უნდა უყვარდეს. კალისტენეს<sup>18</sup> მოქმედებას ფილოსოფოსებიც კი გმობენ. ამ უკანასკნელმა თავისი ბატონის, დიდი ალექსანდრეს კეთილგანწყობილება მხოლოდ იმის გამო დაკარგა, რომ უარი განაცხადა იმდენივეს დაღევაზე, რამდენსაც იგი შესვამდა. ახალგაზრდამ ხელმწიფესთან ერთად კიდევ უნდა იცინოს, კიდევ იცელქოს და თუ საჭიროა თავაშვებულადაც მოიქცეს. მე მსურს რომ ამტანიანობითა და გამძლეობით იგი ღრეობაშიც ტოლს არ უდებდეს თანატოლებს, რომ ადამიანებს ვნებანსა და ზარალს ბოროტი ნების უქონლობით და არა უფიცობისა და უძლეურობის გამო არ აყნებდეს *Multum interest utrum peccare aliquis nolit au nesciat\**. ერთხელ, ერთ მხიარულ საზოგადოებაში, საფრანგეთში სანიმუშო ყოფით გამორჩეულ ერთ-ერთ დიდი თანამდებობის პირს მისდამა პატივისცემის ნიშნად ვკითხე რამდენჯერ დათვრა გერმანიაში მეფის სამსახურში ყოფნისას. მან სწორად გამიგო და მიპასუხა, რომ ასეთი რამ მას სამჯერ დაემართა და სამივე შემთხვევა მოგვიყვია. სამწუხაროდ ისეთ ადამიანებსაც ვიცნობ რომლებიც ამ ეროვნების ხალხთან ურთიერთობისას საქმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილან მსგავსი უნარის უქონლობის გამო. ხშირად აღვტაცებულვარ ალკიბიადეს<sup>19</sup> უბადლო ბუნებით; იგი საოცრად იოლად ეგუებოდა სრულიად განსხვავებულ პირობებს და ამით არც თავის ჯანმრთელობას ვნებდა. ზოგჯერ ფუფუნებითა და პომპეზურობით სპარსელებსაც აჭარბებდა, ზოგჯერ თავშეკავებულობითა და სიმკაცრით თვით ლაკედემონელებსაც. სპარტაში ყველას უბიწოებით, იონიაში კი ავხორცობით ანცვიფრებდა.

\* ძალზე დილია სხვაობა, ერთის მხრივ, ბოროტი ნების უქონლობასა და, მეორეს მხრივ, სიბოროტის ქმნის უნარს შორის. სენეკა, წერილები, 90.

Omnis Aristippum decuit color, et status, et res.\*

მე მსურს რომ ჩემი აღსაზრდელიც ასეთი იყოს.

quem duplici panno patientia velat

Mirabor, vitae via si conversa decebit,

Personamque feret non inconcinuus utramque.\*\*

ასეთია ჩემი მითითებები; მათგან მეტ სარგებლობას მიიღებს ის, ვისაც არ დააკმაყოფილებს მხოლოდ მათი დაზუთხვა და რეალურადაც განახორციელებს. თუ თქვენ ამას ხედავთ, მაშასადამე, გესმით კიდევ; და თუ გესმით, მაშასადამე ხედავთ კიდევ. პლატონის ერთ-ერთი პერსონაჟის თანახმად, მართლაც ღმერთმა ნუ ჰქნას რომ ფილოსოფოსობა მხოლოდ სხვადასხვა მეცნიერების შესწავლა და ხელობების დაუფლება იყოს. Hanc amplissimam omnium artium bene vivendi disciplinam, vita magis quam litteris persecuti sunt.\*\*\*

ლეონმა, ფლიუნტის<sup>22</sup> განმგებელმა, პერაკლიტე პონტოელს<sup>21</sup> ჰკითხა რომელი მეცნიერებით ან ხელოვნებით იყო იგი დაკავებული. „მე არც მეცნიერება ვიცი, და არც ხელოვნება, მე ფილოსოფოსი ვარ“ — მიუგო პერაკლიტემ. დიოგენეს<sup>22</sup> უსაყვედურეს ასეთმა უმეცარმა ფილოსოფოსმა ხელი როგორ მოჰკიდო. „უფრო დიდი მოსაზრებებით“ — უბასუხა მან. ერთხელ პეგესიამ<sup>23</sup> მას სთხოვა რაიმე წაეკითხა. „რა უცნაური ხართ — მიუგო დიოგენემ, თქვენ ხომ ნამდვილი ლეღვი დახატულს გირჩენიათ, მაშ რად არ ამჯობინებთ რეალურ მოქმედებას მასზე მონათხრობს?“

ახალგაზრდას არ უნდა აკმაყოფილებდეს შეძენილი ცოდნის მხოლოდ გაკეთილზე მოყოლა, იგი უნდა მიეჩვიოს მის რეალურად განხორციელებას ცხოვრებაში, და როდესაც იგი შეძენილ ცოდნას თავის მოქმედებით გამოამყვანებს, მაშინ ნათელი გახდება არის თუ არა კეთილგონიერება მისი წამოწყებების საწყისი, ავლენს თუ არა სიკეთესა და სამართლიანობას თავის მოქმედებებით, გონიერებასა და განათლებულობას საუბრის დროს, არის თუ არა ამტანი ავადმყოფობის, მოკრძალებული გართობის და თავშეკავებული ტკბობის დროს; ზომიერი სმისა და ჭამაში, გულგრილი საკვებისა — ხორცი იქნება თუ თევზი — და სასმელისადმი — ღვინო იქნება თუ წყალი; არის თუ არა კარგი მეურნე საოჯახო საქმეში: Qui disciplinam suam non ostentationem scientiae, sed legem vitae putet, quique obtemperet ipse sibi, et decretis pareat.\*\*\*\* ჩვენი აზროვნების ჭეშმარიტი ხატი ჩვენივე ცხოვრების წესია. ერთხელ ზევქსიდამემ კითხვაზე — რატომ არ აყალიბებდნენ წერილობით ლაკედემონელები თავიანთ მითიბებებს მამაცობაზე და არ აძლევდნენ მათ საკითხავად ახალგაზრდებს — ასე მიუგო: „იმიტომ რომ მათ სურთ ისინი ამას საქმით, და არა

\* არისტოტელს შეეძლო შეგუებოდა ნებისმიერ ადათს, წესსა და მდგომარეობას. პორაციუსი, ეპისტოლე I, 17, 23.

\*\* რათა დიდსულოვნება ორმაგი მოსასახამით ფარავდეს მას; ძალზე კმაყოფილი ვიქნებოდი თუ იგი იოლად შეეგუებოდა მდგომარეობისა და ბედის ცვალებადობას, თუ ორივე ამ როლს ღირსეულად შეასრულებდა. პორაციუსი, ეპისტოლე I, 17, 25—26.

\*\*\* მართებულად ცხოვრების ეს უდიდესი მეცნიერება მათ უმალ თავიანთი ადათებით, და არა ცოდნით შეისწავლეს. ციცერონი, ტუსკულანური საუბრები, IV, 3.

\* საკუთარი ქვეყნის ნორმები მას ცხოვრების წესად უნდა ჰქონდეს და არა ცოდნის წარმოსაჩენ საშუალებად; მას უნდა შეეძლოს მორჩილებდეს საკუთარ თავსა და გადაწყვეტილებებს. ციცერონი, ტუსკულანური საუბრები II, 4.

სიტყვით მიაჩვიონა“. შეადარეთ მათი თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ახალგაზრდა რომელიმე ჩვენს კოლეჯში აღზრდილ ლათინისტ ახალგაზრდას, იმდენივე დრო მხოლოდ ლაპარაკის სწავლას რომ მოანდომა. ქვეყანა საკმაოდ ყბედია; მე ჯერ არ შევხვედრივარ ადამიანს, რომელიც იმაზე ნაკლებს ლაპარაკობდეს, ვიდრე ეს საჭიროა. ყოველ შემთხვევაში ჩვენი ცხოვრების ნახევარი ლაპარაკში გადის; ოთხი თუ ხუთი წლის განმავლობაში სიტყვების სწორად გაგებასა და მათგან ფრაზების შედგენას გვასწავლიან; შემდეგ ამდენივე ხანს ოთხი-ხუთი ნაწილისაგან შემდგარ მსჯელობებში ამ ფრაზების შეერთებას, ბოლო ხუთ წელს კი, თუ მეტს არა, ამ მსჯელობების ერთმანეთთან მარჯვედ შეწყობასა და შეკავშირებას. მაგრამ ჯობს ეს საქმე იმათ მივანდოთ, ვისაც იგი ხელობად გაუჩნდა.

ერთხელ ორღეანში მიმავალი გზად, კლერკის მახლობლად ველზე, კოლეჯის ორ აღმზრდელს შევხვდი. ისინი ბორღოში მიდიოდნენ. ერთი მათგანი დაახლოებით ორმოცდაათი ნაბიჯის დაშორებით მისდევდა მეორეს. უფრო შორს, მათ უკან ჯარისკაცთა რაზმი შევნიშნე. მას ოფიცერი, აწ განსვენებული გრაფი დე ლაროშფუკო მიუძღლოდა. ერთ-ერთი ჩემი თანხლები პირველ მასწავლებელს მის უკან მიმავალი აზნაური ვინაობას შეეკითხა. საბრალომ მოშორებით მიმავალი ჯარისკაცები ვერ შენიშნა, იფიქრა მეგობარზე ეკითხებოდნენ და ფრიად სასაცილო პასუხი გასცა: „იგი აზნაური კი არა გრამატიკოსია, მე კი ლოგიკოსი ვარ“. ვინაიდან ჩვენი მიზანი არა ლოგიკოსის ან გრამატიკოსის, არამედ აზნაურის აღზრდაა, დაე მათ თავიანთი დრო სურვილისამებრ გამოიყენონ, ჩვენ სხვა მიზანი გვაქვს. ამრიგად, მთავარია აღსაზრდელი საქმეს მიეჩვიოს; სიტყვები კი თავისით მოვლენ, თუ მოსვლას არ ანებებენ, ძალით მოათრევს მათ. ხშირად მსმენია ზოგიერთთა მტკიცება თითქოს გონებაში არსებულ შესანიშნავ აზრებს ისინი მჭერმეტყველობის უუნარობის გამო ვერ გამოხატავდნენ. ცხადია, ეს ფუჭი მიზეზია. ჩემი აზრით, საქმე სხვაგვარადაა. ამ ადამიანებს გონებაში რაღაც გაურკვეველ კონცეფციათა აჩრდილები აქვთ, რომელთა ჩამოყალიბება და სხვისთვის გადაცემა მათ არ ძალუძთ. საბრალოთ საკუთარი თავი ვერ შეუცნიათ, რაღაცას ბუტბუტებენ და ჰგონიათ ჩამოყალიბებულ აზრებს გამოთქვამენ. ყველასათვის ნათელია რომ ეს უმალ მათ წინ ბუნდოვანად მოკიაფე აზრებთან მიახლოვება, ამ უკანასკნელთა ჩასახვის და არა დაბადების პროცესია. თქმულთან დაკავშირებით სრულიად ვეთანხმები სოკრატეს და ვთვლი რომ ის ვინც რაიმე გონივრულსა და ნათელს მოიაზრებს, მის გადმოცემას ნებისმიერ, თუნდაც ბერგამოს დიალექტზეც კი შეძლებს, მუნჯი კი სახის მიმოიკებით

Verbaque praevisam rem non invita sequuntur\*

ამის თაობაზე თუმცა პროზით მაგრამ საკმაოდ პოეტურად წერს სენეკა: cum res animum occupavere verba ambiunt.\*\* ძველი დროის ერთი ავტორიც ასევე თვლიდა Ipsae res verba rapiunt.\*\*\* ამრიგად, საგანგაშო არაფერია თუ მოსწავლემ არ იცის მოქმედებითი ბრუნვა, კავშირებითი კილო, არსებითი სახელი ანდა თუ გრამატიკა თავის ლაჭიასა და ქაშაყის გამყიდველზე უკეთ არ

\* როცა რაიმე წინასწარ კარგადაა მოაზრებული, სიტყვები თავისთავად მოდიან. პოკაციუსი, პოეტური ხელოვნება 311.

\*\* გონებით შთაგონებული საგნები სიტყვავხვია. სენეკა, კონტროვერსები, III.

\*\*\* საქმეს სიტყვა მოადევს. ციცერონი „უმალესი სიკეთე და უმალესი ბოროტება“.

იყის. თუ თქვენ ამ ლაქიასა და გამყიდველის ლაპარაკს მოუსმენთ, დარწმუნდებით, რომ თავიანთ მშობლიურ ენაში ისინი საფრანგეთის საუკეთესო მაგისტრზე მეტ გრამატიკულ შეცდომას არ დაუშვებენ. თუ აღსაზრდელს არც რიტორიკა ეცოდინება და არც იმის უნარი ექნება რომ წინასიტყვაობიდანვე უბრალო და მიაბიტი მკითხველის კეთილგანწყობილება მოიპოვოს, ამითაც არაფერი დაშავდება, ყოველივე ამის ცოდნა მას არც ჰირდება. სიმართლე გითხრათ ეს მდიდრული მორთულობა საოცრად უფერულდება ჭეშმარიტების ნათელ ფონზე. ამგვარი თავაზიანობა მხოლოდ უვიცთა თავშესაქცევია, რომელთაც არ ძალუძთ რაიმე უფრო სიღრმისეულის შემეცნება. თქმულს ნათლად მოწმობს აფერი, ტატიტუსთან. სპარტის მეფე კლეომენეს<sup>24</sup> სამოსის\* ელჩები ეახლნენ. მათ წინასწარ მომზადებული ვრცელი და მშვენიერი სიტყვით მიმართეს კლეომენეს; მათი მიზანი იყო კლეომენე პოლიკრატეს<sup>25</sup> წინააღმდეგ საბრძოლველად დაეთანხმებინათ. კლეომენემ მშვიდად მოუსმინა ელჩებს და მიუგო: „რაც შეეხება თქვენი სიტყვის შესავალს, დასაწყისსა და შუა ნაწილს, მე ისინი აღარ მახსოვს, ხოლო დასკვნით ნაწილს არ ვეთანხმები“. ჩემი აზრით, ეს არის უმშვენიერესი პასუხი ყბედთა გასაწბილებლად. რას იტყოდით კიდევ ერთ ჩინებულ ნიმუშზე? რომელიღაც მნიშვნელოვანი ნაგებობის მშენებლობისთვის ათენელებს ორი არქიტექტორიდან ერთი უნდა შეერჩიათ. ერთ-ერთი მათგანი, უფრო ფარისეველი, შესანიშნავი, წინასწარ მომზადებული სიტყვით წარდგა ათენელთა წინაშე. მან დიდხანს ისაუბრა ამ ნაგებობაზე, რათა ხალხი თავის სასარგებლოდ განეწყო. მეორე არქიტექტორი დაკმაყოფილდა შემდეგი სიტყვებით: „ათენის დიდებულებო მე გავაკეთებ იმას, რასაც იგი დაგპირდათ“.

ციცერონის მკერამიტყველებით ბევრი იყო აღტაცებული, მხოლოდ კატონი დაცინოდა და ამბობდა: „ჩვენი კონსული ძალზედ ენაფხიანია“. გონიერული ნათქვამი ან მოსწრებული სიტყვა მუდამ მართებულია იმის მიუხედავად დასაწყისშია ნათქვამი თუ დასასრულში, იგი თავისთავად კარგია, თუნდაც არც წინა აზრს ესადაგებოდეს და არც მომდევნოს. არ ვეთანხმები მათ ვინც თვლის რომ კარგ პოემას კარგი რითმი ქმნის. ჩემი აზრით, თუ პოეტი სადმე მოკლე მარცვლის ნაცვლად გრძელ მარცვალს ჩართავს, ამით არაფერი დაშავდება. მთავარია ლექსი ქლერდეს კარგად, იყოს აზრიანი და შინაარსიანი. ასეთი ლექსის ავტორზე მე ვიტყვოდი რომ იგი კარგი პოეტი, მაგრამ ცუდი მოლექსეა.

*Emunctae naris, durus componere versus.\*\**

ჰორაციული ამბობდა, რომ მარცვალთა თანმიმდევრობისა და ზომის შეცვლა მის ლექსს ვერაფერს დააკლებდა,

*Tempora certa modosque, et quod prius ordine verbum est,*

*Posterius facias, praeponens ultima primis,*

*Invenias etiam disiecti membra poetae.\*\*\**

რაც ცალკეული ნაწილები მაინც მშვენიერი იქნებოდა. ერთხელ მენანდრეს<sup>26</sup> უსაყვედურეს რომ დათქმული დღე ახლოვდებოდა, მას კი დაპირებული კომე-

\* კუნძული იონის სანაპიროსთან.

\*\* იგი გონიერია, მაგრამ მისი ლექსები უხეიროა. ჰორაციუსი, სატირები 1, 4, 8.

\*\*\* შეცვალეთ მარცვალთა თანმიმდევრობა, რითმი, სიტყვათა წყობა, ამ დაქუცმაცებულ ნაწილებშიც თქვენ პოეტს დინახათ. ჰორაციუსი, სატირები 1, 4, 58.



დია დაწყებულიც არ ჰქონდა. ამ საყვედურზე მენანდრემ ასე მიუღო: „კომედია შეთხზულია, იგი მზადაა, მხოლოდ ლექსად გადატანა ესაჭიროება“. მენანდრეს კომედიის თემა და მოვლენათა თანმიმდევრობა გონებაში ჰქონდა შემუშავებული, დანარჩენი კი მას არაფრად მიაჩნდა. მას შემდეგ რაც რონსარმა და დიუ ბელემ სახელი გაუთქვეს ფრანგულ პოეზიას, ყოველად უნიკო მელექსეც უხვად ხმარობს სიტყვებს და ბაძავს მათ ლექსთაწყობას. *Plus sonat quam valet\**. ამდენ პოეტს არასოდეს უწერია მშობლიურ ენაზე. მაგრამ რამდენადაც ეადვილებათ მათი რითმების მიბაძვა იმდენად უჭირთ მიბაძვა ერთის მდიდრული აღწერილობისა და მეორის უბადლო ფანტაზიისადმი.

როგორ უნდა მოიქცეს ჩვენი აღსაზრდელი თუ მას თავს მოაბეზრებენ რომელიმე სილოგოზმის სოფისტური გამჭრიახობით, მაგალითად ასეთით: ლორი ღრძავს წყურვილს, დაღვეა კლავს წყურვილს, მამასადამე ლორი კლავს წყურვილს. აბა გაბედოს გაციუნება; ცხადია ამგვარ სისულელეზე სიცილი უფრო გონიერულია, ვიდრე მსჯელობა. ასეთ შემთხვევაში უდავოდ ბევრად უფრო მართებული იქნებოდა თუ იგი არისტოპეს გონებამახვილურ შენიშვნას მოიშველიებდა: „რა აზრი აქვს ამ მზაკვრული ფრაზის განმარტებას თუ იგი ისედაც მათერთობს თავისი უთაგობლობით“. მივანმა და მივანმა კლუანტეს წინააღმდეგ დიალექტიკური ხრიკების მოშველიება გადაწყვიტა. ქრისტიანმა მას უბასუხა: „ამ ოინებით ზავშვები გაართე, მოწიფული კაცის სერიოზულ აზრებს ასეთი სისულელებით ნუ მოაცდენ“. თუ ამგვარ სოფისტურ უაზრობებს, ამ *contorta et aculeata sophismata\*\** მართლაც ძალუძთ ყალბი შეხედულებები შთააგონონ ყრმას, მაშინ ეს მართლაც საშიშია; მაგრამ თუ ისინი გავლენას არ ახდენენ მასზე და მხოლოდ სიცილს გვრიან, მაშინ მე ვთვლი რომ არ უნდა გაურბოდეს მათ. მახვილსიტყვას გამოდევნებული ზოგი უგულური — მზადაა გზიდან დაბრუნდეს და თუნდაც მეოთხედი ლეი გაიაროს *aut qui non verba rebus aptant, sed res extrinsecus arcessunt, quibus verba convenient\*\*\**. მეორე მწერალი კი ასე წერს *sunt qui alicuius verbi decore placentis vocentur ad id quod non proposuerant scribere\*\*\*\**.

პირადად მე, უმალ დიდი სიამოვნებით ვცვლი ხოლმე რომელიმე კარგ გამონათქვამს და ვრთავ ხოლმე მას ჩემ ნაწერებში; მისთვის შესაფერი ადგილის მისაჩვენად, ჩემი აზრების თანმიმდევრობას არ ვწყვეტ. მე ვთვლი, რომ სიტყვები უნდა ექვემდებარებოდნენ და მისდევდნენ აზრებს და არა პირიქით. თუ ეს ფრანგულს არ ძალუძს, იგი გასკონურმა დიალექტმა უნდა შეცვალოს. მე მინდა რომ საგნები ჰარბობდნენ, რომ ეს უკანასკნელნი ავსებდნენ მსმენელის წარმოსახვას და არა სიტყვები. წერის და ზეპირმეტყველების დროსაც საუბარი მიყვარს მარტივი და გასაგები, აზრიანი და გონებამახვილური, მოკლე და ზუსტი უმალ მკაცრი და ძარღვიანი ენით.

*Haec demum sapiet dictio, quae feriet\*\*\*\*\**

\* მათ ლექსებში ძღვრადობა უფრო მეტია, ვიდრე აზრი. სენეკა, წერილები, 40.

\*\* დახლართული და გაწაფული სოფიზმები. ციცერონი, აკადემიური საკითხები, II, 24.

\*\*\* საგნის არის გადმოსაცემად სათანადო სიტყვებს კი არ მიმართავენ, პირიქით, სიტყვებს უქვემდებარებენ მას. კვინტილიანე, VIII, 3.

\*\*\*\* არიან ისეთებიც, რომელნიც სიტყვით გატაცებულნი წერას იწყებენ ისეთ საგანზე რაც განზრახული არ ჰქონდათ. სენეკა, წერილები 59.

\*\*\*\*\* ჩვენ მხოლოდ ის სიტყვა მოგვწონს რომელიც მეტად ზემოქმედებს. ეპიტაფია ლუკანუსის საფლავეზე.

და არა თავაზიანით და საგულდაგულოდ შედგენილით, რთული და არა მისაწყენი, ბუნებრივი, უშუალო, თამამი და არა მაღალფარდოვანი ენით. ამ სიტყვის თითოეული ნაწილი, ერთი მთლიანობის შექმნას უნდა ისახავდეს მიზნად. ეს უნდა იყოს არა პედანტის, ბერის ან მოდავის სიტყვა, არამედ ჯარისკაცი — როგორც სვეტონიუსი უწოდებს ცეზარის სიტყვას, თუმცა კარგად არ მესმის რატომ უწოდებს ასე.

ერთ დროს მეც სიამოვნებით ვბაძავდი იმ დაუდევრობას, რომელსაც ჩვენს ახალგაზრდებს სამოსის ტარებაში ვამჩნევ; მხარზე გადადებული ქუდი, მხარილივ ლაბადა, ჩაჩაჩული წინდები ანუ ის რითაც გამოხატავენ ამაყ სიტუაციას უცხოური მორთულობისადმი და უპატივცემულობას გარეგანი პეწისადმი. ჩემი აზრით, ამგვარი დამოკიდებულება ბევრად უფრო მართებული იქნებოდა მეტყველებისადმი. ჩვენი ფრანგული ბუნების სილაღესა და უშუალობას სრულიად არ ესადაგება მანჭიაობა, მონარქიაში ყოველი აზნაური ქვეშევრდომივით უნდა იქცეოდეს. ამდენად სწორად მიმაჩნია ის მიამიტობა და დაუდევრობა რომელთაც ჩვენი მოქმედებებით ვავლენთ.

არ მიყვარს როდესაც ქსოვილს თვლები და ხაზები ემჩნევა, ასევე ლამაზ სხეულზე ყელა ძვალი და ვენა რომ ითვლება. *Quae veritati operam dat oratio, incomposita sit et simplex Quis accurate loquitur, nisi qui vult putide loqui?\**

მჭერმეტყველება ჩვენ ყურადღებას იპყრობს და ამით ხელს გვიშლის საგანთა არსის წედომში. სხვებისაგან სამოსის უსიამოვნო და უჩვეულო შეკერილობით გამორჩეულობის სურვილი სულის გულნამცეცობაზე მეტყველებს. იგივე ითქმის მეტყველებაზეც. ახალი გამოთქმებისა და ნაკლებად ცნობილი სიტყვების ძიება პედანტთა სქოლასტიკური და ბევრეფერი პატივმოყვარეობიდან მომდინარეობს. რატომ არ უნდა შემეძლოს პარიზის ბაზრის ენაზე მეტყველება? ეპიკურე, როგორც ორატორი, მკაფიო და ნათელი მეტყველების მომხრე იყო. გრამატიკოსი არისტოფანე<sup>27</sup> მას სიტყვის უბრალოების გამო აკრიტიკებდა. სხვისი მეტყველების მიბაძვა იმდენად მარტივი რამაა, რომ იგი ყველასათვის ხელმისაწვდომია; მაგრამ მსჯელობისა და აზროვნების მიბაძვა არც ისე იოლი საქმეა. მკითხველთა უმრავლესობა დიდად ცდება როდესაც ერთი და იმავე სამოსის ქვეშ ერთ და იგივე სხეული ჰგონია, ძალა და მყესები სესხად არ გაიღება, მხოლოდ სამშვენისებასა და ლაბადას თხოულობენ. ჩემ ნაცნობ-მეგობართა უმრავლესობა „ესეების“ სტილში ლაპარაკობს, მაგრამ რაც შეეხება მათ ფიქრებს, მათ შესახებ ვერაფერს გეტყვით. პლატონის თანახმად, ათენელების საზრუნავი მეტყველების სიმდიდრე და დახვეწილობა იყო, ლაკედემონელებისა — მისი ლაკონურობა, კრეტელებისა — აზრთა მრავალფეროვნება. ცხადია, ყველაზე მართებულად ეს უკანასკნელნი იქცეოდნენ. ზენონი<sup>29</sup> თავის მოწაფეებს ორად ყოფდა: ერთნი ანუ მისი ფავორიტები საგანთა არსის შეცნობით იყვნენ დაინტერესებულნი, იგი მათ *φύσις*-ს უწოდებდა, მეორენი მხოლოდ მეტყველების სრულყოფაზე ზრუნავდნენ. იგი მათ *λογική*-ს უწოდებდა. ცხადია, თქმული არ უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ კარგად ლაპარაკი ჩინებული და ძალზედ საჭირო რამაა, მაგრამ არც ისე კარგი, როგორც ფიქრობენ; სამწუხაროდ მთელი ჩვენი ცხოვრება მისკენ ვის-

\* ბასრ სიტყვებს ლერაქნილი სტილით მოსაუბრე მიმართავს. სენეკა, წერილები, 75.

წრადით. პირადად მე, პირველ ყოვლისა, მსურს რომ ჯეროვნად ვიცოდე ჩემი მშობლიური ენა, შემდეგ იმ მეზობელი ხალხებისა, რომელთანაც უფრო ხშირი ურთიერთობა მაქვს.

ბერძნული და ლათინური ენების ცოდნა ძალზედ დიდებული და მძვე-ნიერი საქმეა, მაგრამ საკმაოდ ძვირი გვიჯდება. მე გვიამბობთ როგორ შეიძინოთ მათი ცოდნა ჩვეულებრივზე ბევრად უფრო იაფად. ეს მეთოდი მე თავად გამოვიცადე, იგი შეუძლია ყველამ გამოიყენოს, ვისაც სურვილი ექნება. აწ განსვენებულმა მამაჩემმა სწავლულ და საქმის მცოდნე ადამიანებს დაწვრილებით გამოკითხა როგორ უფრო უმჯობესი იყო ძველი ენების შესწავლა: თავის მხრივ მათაც აუწყეს მამას ის დაბრკოლებები, რომლებიც ასეთ დროს წარმოიშობიან ხოლმე. მათი აზრით, ერთადერთი მიზეზი — რომლის გამოც ძველი ბერძნებისა და რომაელების სულის სიდიადესა და სიბრძნეს ვერ აღწევდნენ — ამ ენების შესწავლის ხანგრძლიობა იყო, რაც მათგან დიდ ძალისხმევას არ ითხოვდა. პირადად მე არა მგონია რომ ეს მართლაც ამის მიზეზი ყოფილიყო. მამაჩემმა მონახა გამოსავალი და ვიდრე ჩემ მშობლიურ ენაზე ავტრინდებოდი, ჩემი მეურვეობა როგორც კი ძიძის კალთას ჩამომამორბეს ერთ გერმანელს<sup>29</sup> მიანდო, მოგვიანებით იგი საკმაოდ ცნობილი ექიმი გახდა საფრანგეთში. იგი მრავალი წლის შემდეგ გარდაიცვალა. ჩემმა აღმზრდელმა საერთოდ არ იცოდა ფრანგული ენა, მაგრამ ბრწყინვალედ ფლობდა ლათინურს. მამამ იგი მოიწვია და შესანიშნავი პირობები შესთავაზა რათა მას ჩემთვის ლათინური ესწავლებინა და სულ ჩემთან ყოფილიყო. მას ჰყავდა ორი დამხმარე, თუმცა ისინი მასავით განათლებულები არ იყვნენ. მათი მოვალეობა ჩემი ზედამხედველობა და გერმანელისათვის შრომის შემსუბუქება იყო. სამივენი ლათინურად მესაუბრებოდნენ, ოჯახის წევრებმა — მამამ, დედამ, მსახურმა, შინამოსამსახურემ — ჩემთან საუბრითერთად წარსწავლეს ლათინური და მხოლოდ ამ ენაზე მომმართავდნენ. მათ საოცარ წარმატებებს მიღწიეს; მამას და დედას იმდენად თავისუფლად ესმოდათ ლათინური ენა, რომ საჭიროების შემთხვევაში თავიანთ აზრებს ლათინურად გამოთქვამდნენ. იგივე შეიძლება მეთქვა იმ მსახურებზეც, რომელთაც უფრო მეტად უხდებოდათ ჩემთან ურთიერთობა. ერთი სიტყვით იმდენად დავუფლებეთ ლათინურს, რომ ამ ამბავმა ახლომდებარე სოფლებამდისაც მიიღწია. იქ დღემდე შემორჩენილია ზოგიერთ ხელობათა და მათთან დაკავშირებულ იარაღთა ლათინური სახელები. მეწვიედ წელში გადავდექი, ფრანგული ენა და პერიგორული დიალექტი ისევე მესმოდა როგორც ვთქვით არაბული ენა. სამაგიეროდ ყოველგვარი ტრიკის, წიგნის, გრამატიკისა და წესის, შოლტისა და ცრემლის გარეშე ჩემი აღმზრდელივით დახვეწილი ლათინურით ვსაუბრობდი: სხვა ენა არ ვიცოდი ლათინური რომ დამემახინჯებინა. წერილობით სათარგმნელ ტექსტს, კოლეჯებში მიღებული წესის თანახმად, არა ფრანგულ ენაზე, არამედ ხალხურ ლათინურზე მაძლევდნენ, რათა იგი ლიტერატურულ ლათინურზე მეთარგმნა. ჩემს მოძღვრებს — ნიკოლა გრუსს<sup>30</sup> („De comitiis Romanorum“-ის ავტორს), ვიომ გერანტს (არისტოტელეს თხზულებათა კომენტარების ავტორს), ჯორჯ ბიუჟენენს<sup>31</sup> (დიდ შოტლანდიელ პოეტს), მარკ ანტუან მიურესს<sup>32</sup> (საფრანგეთსა და იტალიაში ჩვენი დროის საუკეთესო ორატორს) — არა ერთხელ უთქვამთ, რომ მათ ჩემთან გაკარებისაც ეშინოდათ იმდენად სრულყოფილად და თავისუფლად ვფლობდი ლათინურს ბავშვობაში. ბიუჟენენმა — მე მას შემდეგ შეიცვალა იმდენად აწ განსვენებულ მარშალ დე ბრისაკთან — მაცნობა რომ ბავ-

შეთა აღზრდაზე წერდა და ნიმუშად ჩემი აღზრდა ჰქონდა აღებული. იმ ხანად ბიუკენენი ახალგაზრდა გრაფ დე ბრისაკის აღზრდას მეურვეობდა; მოგვიანებით მან დიდად გაითქვა სახელი სიმამაციითა და გულადობით.

რაც შეეხება ბერძნულს, რომელიც თითქმის არ ვიცი, ამ ენის სწავლება მამაჩემმა განსხვავებული მეთოდით განიზრახა, კერძოდ, სხვადასხვა სახის გასართობებითა და ვარჯიშებით ჩვენ ერთმანეთს ვეპაექრებოდით ბრუნვებით, იმ ახალგაზრდების მსგავსად, რომლებიც მაგალითად შაშით სწავლობენ არითმეტიკას და გეომეტრიას. მრავალ მითითებებთან ერთად მამას ისიც ურჩიეს, რომ მეცნიერებისადმი ლტოლვა და მოვალეობის გრძნობა განვეითარებინა ჩემივე ნების თანახმად, ყოველგვარი იძულების გარეშე. საერთოდ მას ურჩევდნენ ჩემი სული აღეზარდა სრულ სიმშვიდესა და თავისუფლებაში, იძულებიან და სიმკაცრის გარეშე; მამა საოცარი სიზუსტით იცავდა ამ მითითებებს. თქმულის დასტურად ერთ ასეთ ფაქტს მოვიშველიებ. ზოგიერთები თვლიდნენ, რომ ბავშვის ფაქიზ ტვინზე უარყოფითად მოქმედებდა დილით მოულოდნელად გაღვიძება და ძილის ძალით შეწყვეტინება (რადგან ბავშვებს უფრო ღრმა ძილით სძინავთ, ვიდრე მოზრდილებს) მამამ განკარგულება გასცა რომ დილით რომელიმე მუსიკალური ინსტრუმენტის ხმას გავეღვიძებინე, გვერდით კი მუდამ ჩემი მსახური ყოფილიყო.

ვფიქრობ ეს მაგალითებიც კმარა სხვა დანარჩენთა განსასჯელად, რათა ჯეროვანი წარმოდგენა შეგექმნათ ასეთი ჩინებული მამის მზრუნველობასა და სიყვარულზე, რომელსაც მკირრდითაც ვერ დაადანაშაულებთ. ხოლო ის, თუ რატომ ვერ შეძლო მან ასეთი მზრუნველობის შედეგად ისეთი ნაყოფის მიღება როგორსაც ვარაუდობდა, ამის მიზეზი იყო ორი რამ: ჯერ ერთი, მწირი და უნაყოფო ნიადაგი; ჩინებული ჯანმრთელობის, თვინიერი და რბილი ხასიათის მიუხედავად იმდენად მძიმე, უსიცოცხლო და ზანტი ვიყავი, რომ თამაშსაც კი უჭმად ყოფნას ვამჯობინებდი. თუმცა მსჯელობით, ნებისმიერ საგანზე მუდამ სწორად ვმსჯელობდი. ამ უმძიმესი გარეგნული იერის მიუხედავად, ჩემი ასაკისათვის საკმაოდ თამამ და სერიოზულ ფიქრებს ვეძლეოდი. ჩემი ზანტი გონება არასოდეს სცილდებოდა იმ ზღვარს, სადამდეც მას მიიყვანდნენ; საკმაოდ მძიმედ ვითვისებდი, არც საზრიალობით გამოვირჩეოდი; ყველაფერთან ერთად — რაც თითქმის დაუჯერებელია — მეხსიერებაც ურიგო მქონდა. ამიტომ არაფერი უცნაური არაა იმაში, რომ მამამ ჩემგან ვერაფერი ღირებულს ვერ მიიღო. და მეორეც: გამოჩანმრთელების ძლიერი სურვილით შეპყრობილი ადამიანივით — ყველას რჩევას რომ ყურს უგდებს — ამ კეთილ კაცსაც საოცრად ეშინოდ მარცხისა იმ საქმეში, რომელიც მას ასე ძლიერ მიჰქონდა გულთან, მაგრამ ბოლოს ისიც დაყვა საერთო აზრს, რომელიც ისევე ჩამორჩება პროგრესულად მოაზროვნეთა აზრს, როგორც წეროების გუნდი თავის წინამძღოლს. გარდა ამისა, მას აღარც ისეთი მრჩევლები ჰყავდა რომელთაც მითითებები იტალიიდან ჩამოჰქონდათ. ამრიგად, ადათის თანახმად, დაახლოებით ექვსი წლისა მამამ გამგზავნა გიენის კოლეჯში, რომელიც იმ ხანად საფრანგეთში საუკეთესოდ ითვლებოდა. აქაც მან ისეთი მზრუნველობა გამოიჩინა რომ შეუძლებელია რაიმე უსაყვედუროთ. შემირჩია საუკეთესო, ყველაზედ ღირსეული აღმზრდელები; ისინი მამეცადინებდნენ ინდივიდუალურად და ბევრ ისეთ რამესაც მასწავლიდნენ, რასაც კოლეჯის პროგრამა არ ითვალისწინებდა. მაგრამ ეს მაინც კოლეჯი იყო. ჩემს მიერ შესწავლილი ლათინური თანდათან უარესდებოდა, და რადგან სალაპარაკო ენად აღარ ვიყენებდი, მალე კიდევ

დამავიწყდა. სწავლების ამ ახალი მეთოდით შეძენილი ცოდნა, მხოლოდ მაღალ კლასებში გადასახტომად გამომადგა. ამგვარად, ცამეტი წლის ასაკში დავასრულე სწავლების ანუ მეცნიერების კურსი (მათი სიტყვების თანახმად). მართალი ვითხრათ კოლეჯში არაფერი შემიძენია ისეთი, რაც ამჟამად ღირებული იქნებოდა ჩემთვის.

წიგნის სიყვარული ოვიდიუსის „მეტამორფოზებით“ მიღებულმა სიამოვნებამ აღმოძრა. შვიდი-რვა წლის ასაკში უარი ვთქვი ყველა სხვა სიამოვნებაზე, რათა წიგნების კითხვით დავმტკბარიყავი. გარდა იმისა, რომ ლათინურ ჩემთვის შობილი იყო, ჩემთვის ნაცნობ წიგნთაგან „მეტამორფოზები“ თავისი შინაარსით ყველაზე ადვილი და ხელმისაწვდომი იყო ჩემი უმწიფარი გონებისათვის. ყოველგვარი ტბის ლანსელოტები, ამაღიები, ბორდოელა ჰუნოები და სხვა ამგვარი უვარგისი წიგნები, რომლებიც ბავშვობაში არიან გატაცებულნი, არც კი გამეგონა (მათი შინაარსი რიგიანად არც ახლა ვიცი) იმდენად მკაცრად მზრდიდნენ. საოცარ დაუღვერობას ვიჩენდი კოლეჯის დავალებებისადმი, მაგრამ ძალზე გამიმართლდა, ჩემი აღმზრდელი ძალიან ჭკვიანი კაცი იყო, იგი მშვიდად ხუჭავდა თვალს ჩემს ამ და სხვა მსგავს ცოდვებზე; ამის წყალობით თითქმის სულმოუთქმელად წავიკითხე ვირგილიუსის „ენეიდა“, შემდეგ ტერენციუსი, პლავტიუსი, და ბოლოს იტალიური კომიდიები. რომელთა თავშესაქცევი სიუჟეტი ყოველთვის მომწონდა. ჩემს აღმზრდელს რომ ჯიუტად და ძალით შეეწყვეტინებინა კითხვა, კოლეჯიდან — თითქმის ყველა ჩვენი ახალგაზრდა აზნაურის მსგავსად — წიგნებისადმი მხოლოდ სიტულებილი გამოძევებოდა. მაგრამ იგი საოცრად გონივრულად იქცეოდა. თავი ისე ეჭირა თითქოს არაფერი იცოდა; ამით უფრო მეტად აღვივებდა ჩემს ლტოლვას და საშუალებას მაძლევდა ფარულად დავმტკბარიყავი წიგნებით. იგი ძალზე მსუბუქად მიძულებდა აუცილებელი გაკვეთილების შესრულებას. მამაჩემის აზრით, ჩემ აღმზრდელთა მთავარი თვისებები უნდა ყოფილიყო გულკეთილობა და ლობიობა. ჩემი ხასიათის ნაკლი სიზანტე და სიზარმაცე იყო. ამიტომ უმალ იმის შიში ჰქონდათ რომ რაიმე ცუდს კი არა საერთოდ არაფერს არ გვაკეთებდი. ერთი სიტყვით ყველაფერი მოწმობდა რომ ჩამოვყალიბდებოდი არა ბოროტ, არამედ გამოუსადეგარ ადამიანად. შეიძლება ვანგეჰვიტატი, რომ მე შეყვარებოდა უქმად ყოფნა, მაგრამ არა ცუდის ქმნა; ეს ასეც მოხდა. დამლაღეს საყვედურებით რომ ზარმაცა ვარ, გულგრილი მეგობრებისა და ნათესავებისადმი, საზოგადოებრივი საქმიანობისადმი; რომ ძალზედ დაკავებული ვარ საკუთარი თავით და ა. შ. ყოველივე ამის მიუხედავად, ჩემდამი არასიმპატიურად განწყობილნიც ნაცვლად იმისა, რომ თქვან: საიდან შეიძინა? რატომ არ იხდის? და ა. შ. ამბობენ: რატომ არ თმობს? რატომ არ აძლევს? და ა. შ. მოხარული ვიქნები თუ შემდეგშიც ამგვარ საყვედურებს გამოთქვამენ ჩემი მისამართით. ზოგიერთები სრულიად უმართებულად მთხოვენ იმას, რაც არ მევალება; თანაც ამას ჩემგან უფრო მეტი დაჟინებით ითხოვენ, ვიდრე საკუთარი თავისაგან იმას, რაც მათ ევალებათ. ამგვარი დამოკიდებულებით ისინი ნებისმიერი ჩემი მოქმედების მიმართ იმთავითვე უმადურობას, ხოლო პირადად ჩემს მიმართ უკმაყოფილებას გამოხატავენ. გთხოვთ ამასთანავე ისიც გაითვალისწინოთ, რომ ყოველი ჩემი კეთილი ქმედება უფრო მეტად უნდა ფასდებოდეს, რადგან თავად მე სხვაზე ნაკლებად ვარ განებივრებული სხვისი სიკეთით. რაც უფრო მეტად ვიგრძნობ თავს საკუთარი ქონების ბატონ-პატრონად, მით უფრო თავისუფლად შევძლებ მის



განმგებლობას, საკუთარი მოქმედებების შელამაზება რომ შემეძლოს, იოლად ავიცილებდი თავიდან ამ საყვედურებს, ზოგიერთებს კი დაეუსაბუთებდა: მათ უმალ ის აღიზიანებთ რომ შემეძლო ბევრად უფრო მეტად გავრჭილიყავი მათთვის, მე კი არასაკმარისად გავისარჩე.

ჩემს სულს თავისთავად არასოდეს აკლდა სიმტკიცე; მარტომყოფი, სხვათა დაუხმარებლად იგი საღად და ნათლად აფასებდა ყველაფერს მის ირგვლივ. სხვათა შორის მე მართლაც ვთვლი რომ იგი ვერ შეძლებდა ქედის მოხრას ძალადობისა და იძულების წინაშე. ერთი ბავშვობის დროინდელი უნარიც ხომ არ მეხსენებინა? მხედველობაში მაქვს სახის დამაჩერებელი გამომეტყველება, ხმისა და მოძრაობის მოქნილობა, იმ როლის შესისხლხორცების უნარი, რომელსაც ვასრულებდი. ჭერ კიდევ ადრეულ ასაკში.

*Alter ab undecimo tum me vix ceperat annus.\**

საკმაოდ კარგად ვასრულებდი მთავარი გმირის როლს ბიუკენენის, გერანტის, მიურეს, ლათინურ ტრაგედიებში, რომლებიც წარმატებით იდგმებოდა გენის კოლეჯში. ამ საქმეშიც — ისევე როგორც ყველაფერში, რაც კოლეჯის პრინსიპალს ეხებოდა — ჩვენი ანდრეა დე გიუვეა<sup>33</sup> ყველაზე საუკეთესო იყო კოლეჯის პრინსიპალთა შორის. ერთი სიტყვით, კოლეჯში ამ საქმის ნამდვილ ოსტატად მთვლიდნენ. მე არასოდეს გავკვიცხავდი სახელოვანი ოჯახის შვილებს ამ საქმიანობის გამო. ჩვენ უფლისწულთა სასახელოდ უნდა გითხრათ, რომ მე მინახავს ისინი, ძველი დროის რომელიმე პრინციის მიზაძვით, საოცრად გატაცებულნი ამ საქმიანობით. ძველ საბერძნეთში თუ რომელიმე სახელოვანი ოჯახის შვილი მსახიობობას თავის საქმიანობად გაიხდიდა, ეს საპატიოდ ითვლებოდა: *Aristoni tragico actori rem aperit; huic et genus et fortuna honesta erant; nec ars, quia nihil tale apud Graecos pudori est, ea deformabat.*

მე მუდამ ვგმობდი მათ შეუწყნარებლობას ვინც ილაშქრებდა ამ გართობების წინააღმდეგ და მათ უსამართლობას, ვინც უკრძალავდა ამ შესანიშნავ მსახიობებს ჩვენს დიდებულ ქალაქებში შემოსვლას და უხშობდა ხალხს საზოგადოებრივ სიამოვნებას. გონიერი განმგებლები პირიქით იქცევიან: ისინი მცდელობას არ აკლებენ რათა ქალაქის მცხოვრებლები შეკრიბონ და გააერთიანონ როგორც იმ მოვალეობათა შესასრულებლად, რომელთაც ჩვენგან ღვთისმოსობა ითხოვს, ასევე სხვადასხვა ვარჯიშებსა და თამაშობებში მონაწილეობის მისაღებად. ასეთი ქმედებები ხელს უწყობენ საზოგადოებაში ერთობისა და მეგობრობის განმტკიცებას. გარდა ამისა, ნუთუ შესაძლებელია ხალხს შესთავაზოთ იმაზე უწყინარი გასართობი, რომელიც ხდება მმართველების და ყველას თვალწინ? ჩემი აზრით, ბევრად უფრო მართებული იქნებოდა ხელმწიფე და ქალაქის განმგებლები დროდადრო, ასეთი სანახაობებით თავიანთი ხარჯით უმასპინძლებოდნენ ქალაქის მცხოვრებლებს. ამით ისინი თავიანთ კეთილ ნებას და ერთგვარ მშობლიურ მზრუნველობას გამოავლენდნენ, ხოლო თუ მრავალრიცხოვან ქალაქებში ამგვარ სანახაობებს სათანადო ადგილსაც გამოუყოფდნენ, ამით ქალაქის მცხოვრებლებს უფრო ცუდ და ფარულ გართობებს ჩამოაშორებდნენ.

\* ის ის იყო მეტორმეტე წელში გადავდექი. ვირგილიუსი, ეკოლოგები VIII, 39.

\*\* მან თავისი ზრახვა ტრაგიკოს მსახიობ არისტონეს გაანდო. იგი კარგი გვარის ჩამომავალი იყო, თანაც მდიდარი; მსახიობობა მის ღირსებას სრულებით არ ლახავდა, ბერძნებში ეს საუფო საქმიანობად არ ითვლებოდა. ტიტუს-ლივიუსი XXIV, 24.

კვლავ ვუბრუნდები ჩემი მსჯელობის საგანს და ვიმეორებ, რომ მთავარია ახალგაზრდას გაეუღვივოთ მეცნიერებისადმი ლტოლვა და სიყვარული, სხვაგვარად უბრალოდ წიგნიერი სიბრძნით დატვირთულ ვირებს გავზრდით, რომელთაც როზგით ცემით ახალისებენ ათასგვარი ცოდნით დატვირთული თოფების შესანახად; ცოდნა რომ ჭეშმარიტ სიყვარულს იქცეს, საჭიროა ცოდნით განიმსჭვალოთ, მხოლოდ მისი შეძენა არ კმარა.

(გაგრძელება იქნება)

ფრანგულიდან თარგმნა დოდო ლაზუნიძემ

## შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

თაზი XXV

1. დანაილები — დანავს ორმოცდაათი ასული. ქორწინების დამეს მათ შამის ბრძანებით დახოცეს საქმროები რისთვისაც დაისაჯნენ. სიკვდილის შემდეგ საიქიოში უძირო კასრების გავსება დევალათ.
2. კლვანთე — ბერძენი ფილოსოფოსი, ზენონის მოწაფე (დაახ. 300 წ. ქ. წ.).
3. ცენტონა — ნაწარმოები შედგება სხვადასხვა ავტორთა თხზულებათა ნაწყვეტისაგან.
4. ლელიო კაპილუპე (1498—1560) — იტალიელი ფილოლოგი, ცენტონების ავტორი.
5. იუსტ ლისი (1547—1606) — პოლანდიელი ფილოლოგი.
6. მონტენს მხედველობაში ჰყავს ბეარნის გრაფი ვასტონ III.
7. არკესილაე (316—241 ქ. წ.) — ბერძენი ფილოსოფოსი.
8. ეპიქარმე — ძველი ბერძენი პოეტი (გარდაიცვალა 450 წ. ქ. წ.).
9. წმ. როტონდას ტაძარი — იგი ააგო ქ. წ. 25 წელს რომში აგრიპამ.
10. მარკუს კლავდიუს მარცელუსი — რომელი მხედართმთავარი. დაიღუპა დაახ. 208 ქ. წ.
11. ეტიენ ლა ბოესი (1530—1563) — ფრანგი ჰუმანისტი და მწერალი, მონტენის მეგობარი.
12. ანაქსიმენე (VI ს. ქ. წ.) — ბერძენი ფილოსოფოსი, თალესის მოწაფე.
13. თეოდორ გაზი (1400—1478) — ფილოლოგი, წარმომავლით ბერძენი.
14. ეპიკურე (341—270 ქ. წ.) — ბერძენი ფილოსოფოსი.
15. კარნეადე (214—129 ქ. წ.) — ბერძენი ფილოსოფოსი.
16. ისოკრატე (436—338 ქ. წ.) — ერთი ატიკელ ორატორთაგანი.
17. სპეკსიპე (409—339) — აკადემიის მეთაური, პლატონის მოწაფე.
18. კალისტენე (360—327 ქ. წ.) — ბერძენი ისტორიკოსი არისტოტელეს მოწაფე.
19. ალკიბიადე (451—404 ქ. წ.) — ათენის პოლიტიკური მოღვაწე და მხედართმთავარი.
20. ფლონტი — ქალაქი პელოპონესში.
21. პერაკლიტე პონტოელი (540—480 ქ. წ.) — ბერძენი ფილოსოფოსი.
22. დიოგენე (413—327 ქ. წ.) — ბერძენი ფილოსოფოსი.
23. ჰეგესია (IV—III ს. ქ. წ.) — ფილოსოფოსი.
24. კლეომენე — სპარტის მეფე (235—222 ქ. წ.).
25. პოლიკრატე (533—522 ქ. წ.) — კენჭულ სამოსის ტირანი.
26. მენანდრე (342—292 ქ. წ.) — ახალი ატიკური კომედიის თეალსაჩინო წარმომადგენელი.
27. არისტოფანე ბიზანტიონელი (III—II ს. ქ. წ.) — ბერძენი გრამატიკოსი და კრიტიკოსი.
28. ზენონი (IV ს. ქ. წ.) — ბერძენი ფილოსოფოსი, სტოიციზმის ფუძემდებელი.
29. გვარად პორსტი; შემდგომში იგი ასწავლიდა გიენის კოლეჯში, სადაც მონტენი სწავლობდა.
30. ნიკოლა გრუში (1520—1572) — ფრანგი ფილოლოგი.
31. ჯორჯ ბოუკენენი (1506—1582) — შოტლანდიელი ფილოლოგი, ლათინისტი.
32. მარკ ანტუან მიურე (1526—1585) — ფრანგი ფილოლოგი, ლათინისტი.
33. ანდრეა და გუევა (1497—1548) — პორტუგალიელი ფილოლოგი.

669/37